

საბჭოთაობა

თვეური ჟურნალი

წელიწადი გეგვსე

№ V

მაისი, 1899

ტფილისი

საბჭოთაობის რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, მ. შ. 1899

1899

შ ი ნ ა ა რ ს ი

I—ნავარდოვა.—XII, XIII, XIV, XV, XVI, XVII, XVIII და XIX,—ნაწილი პირველი.—მოთხრობა შეჯანაძისა (დასასრული პირველი ნაწილისა)	83 1
II—გარიგალდიელეზი.—XVI, XVII და XVIII,—ისტო- რიული რომანი, ვიტეანო ვიტეანისა, თარგმა- ნი (დასასრული)	37
III—სიკვდილი გმირისა.—ლექსი ვაჟა-ფშაველასი	87
IV—დამონებულნი.—XV, XVI და XVII.—რომანი ბოლ- გართა ცხოვრებიდან, ივ. ვაზაფიასა, თარგმანი (გაგრ ძელება)	91
V—მასხარა კამფალონი.—X, XI და XII.—მოთხრობა ნ. ს. ლესკაფიასა, თარგმანი შ. ხ.-ისა (გაგრძელება)	125
VI—ოგერ-ვაჟა სამეგრელოში.—II.—ტ. ა. ბარბა- დინისა, თარგმანი თ. ს.-სი	1
VII—სალიტერატურო შენიშვნები.—„ქვალის“ პუბლი- ცისტები და ჩენი საზოგადო საქმეები.—ა. ნ.—ჯისა	25
VIII—რა აზარალა გნვა კალისტრატე ჩიკვაძემე მუ- თაინის ბანკს და მის მსახურებებს?—ბანკის წევ- რასა	51
IX—კუპინის ასის წლის იუბილევი.—ნინო შუბაძე- შვილისა	65

მ ლ ა მ ბ ე

თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი მეექვსე

№ V

მ ა ი ს ი , 1899

ტ ფ ი ლ ის ი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემი

1899

С 8 6 . 6 0 6

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Мая 1899 г.

УДК 30 8 8 6 8

შ ი ნ ა ა რ ს ი

I—ნავარდოზა.—XII, XIII, XIV, XV, XVI, XVII, XVIII და XIX,—ნაწილი პირველი.—მოთხრობა შეჯანაასი (დასასრული პირველი ნაწილისა)	33 1
II—გარიბალდიელები.—XVI, XVII და XVIII,—ისტორიული რომანი, ვიტორიო ოტელისისა, თარგმანი (დასასრული)	37
III—სიკვდილი გვირისა.—ლექსი გაჟა-ფშაგელასა	87
IV—დამონებულნი.—XV, XVI და XVII.—რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან, ივ. ვაზოვისა, თარგმანი (გაგრძელება)	91
V—მასხარა კამფალონი.—X, XI და XII.—მოთხრობა ნ. ს. ლესკოვისა, თარგმანი ზ. ს.-ისა (გაგრძელება)	125
VI—ომერ-ვაჟა სამეგრელოში.—II.—კ. ა. ბორცხინისა, თარგმანი თ. ს.-სა	1
VII—სალიტერატურო ფენიშენები.—„კვალის“ პუბლიცისტები და ჩვენი საზოგადო საქმეები.—ა. ნ.—ჯისა	25
VIII—რა აჯარალა გ. მთა კალისტრატე ჩიკვაძემ მუთანის ბანკს და მის მხედველებს?—ბანკის წევრასა	54
IX—კუპკინის ასის წლის იუბილეი.—ნანო ზურაბიშვილისა	65
X—ბანცხადებანი	75



ნ ა ვ ა რ დ მ ბ ა

(მოთხრობა)

ნაწილი პირველი

XII

მაზეზა ოჯახის აწვევ-დაწვევას

F 182

რაკი გეგენამ, მეოთხე ძმის ვაჟიშვილმა, თავზე ხელის მოსმა შეიძლო, იგი ჩააგდეს, როგორც ჯილაშვილების ოჯახს ჰქონდა დაწესებული, საქმეში. მაგრამ ყველა საქმეში, რასაც კი მიანდობდნენ, ცუდლუტობას იჩენდა გეგენა. ბევრი რჩევა-ფიქრის შემდეგ ყველა მამა-კაცთ ერთხმად დაასკვნეს, რომ თუ გამოდგებოდა გეგენა სადმე, ისევე ცხვარში და მიაჩემეს მესამე ძმას ივანეს—მეცხვარეს. არც მოტყუვდნენ. რამდენისამე ხნის შემდეგ ივანე აი რას უამბობდა ძმებს: „გეგენა ღმერთს მეცხვარედ გაუჩენია. როცა ცხვრის ფარა გაშლილია მინდორზე და სძოვს, არც დაჯდება თავის დღეში, არც როდისმე ზურგს შეაქცევს ფარას. დაეყუდება კავზე და ისე შეჰყურებს ფარას“. ივანესაგან წარმოთქმულმა ქებამ გაახარა ყველანი, მომეტებულიად კი დედამა, რომელთაც გეგენას ცუდლუტობა და ყალბლობა წინად გულში ლახვარივით ესობოდათ. ახლა ის გაუხდათ სამწუხაროდ, რომ გეგენა ძრიელ ყურადღებას აქცევდა თავის თავსა და ჩაცმა დახურვას.

*) იხ. „მოამბე“ № IV.





მთელი ოჯახობა, კაცი თუ დედაკაცი, დიდი თუ პატარა სასახლო ხარჯით იცვამ-იხურავდა; ამისთვის მათ ტანთ-საცმელს ერთგვარობა ეტყობოდა. ბევრჯერ მოხდებოდა ხოლმე ისე, რომ დაქორწილებულ სახლის შვილს ჩოხა-შალვარი არ ეცვა, ჩოხის მაგივრობას ახალ ახალუხს ზემოდან ჩაცმული ძველი ახალუხი უშვრებოდა. ჩოხა-შალვარი კი მიაჩნდათ მოსართავად რომელისამე შესანიშნავის დღესასწაულისა ანუ შემთხვევისათვის და, თუ ყველას არა ჰქონდა, ვისაცა ჰქონდა, იმით იოლას მიდიოდნენ ერთი-ერთმანეთში საჭიროებისდა გვარად. მომეტებული ნაწილი სახლის შვილებისა ბევრჯერ აღდგომა-საც კი უჩოხოდ მიჰგებებიან, მაგრამ მაინც ამითი გული არა სტკენიათ, რადგანაც სხვა უსაჭიროესი ჩასაცმელ-დასახური ყველას უხვი და უკლებელი ჰქონდა. არც არავინ ზრუნავდა მის მოპოვებაზე და ქონებაზე, რაც აღემატებოდა უსაჭიროეს ტანთ საცმელს, და ვერცარავინ წიხლს უკრავდა ჯილაშვილებს ოჯახს და ქონებას უბრალო ჩაცმა-დახურვის გამო. ერთადერთი გეგენა იყო, რომელიც არ ემორჩილებოდა ოჯახში მიღებულ ჩაცმა-დახურვის წესს. იმას უყვარდა ყოველთვის ჩოხა-შალვარში გამოპრანქვა, კრელ წინდებითა და საცვეთებით მორთვა და გვერდზე ნაბდის ქუდის მოგდება. პატარა, მეშით გადაკრული საკეცი სარკეც ყოველთვის ჯიბეში ეღო და ხშირ-ხშირად იყურებოდა შიგ და ერთგულად იგრებდა კიკინებსა და მობუსუსებულ უღვაშებს.

გეგენას არაფერი დამაბრკოლებელი მიზეზი არ ენარიხებოდა სურვილის აღსრულებაში ჩაცმა-დახურვის შესახებ. მეცხვარე ბიძას ძრიელ განებერებული ჰყავდა და ყოველთვის უსრულებდა წადილს. ისე არ ჩამოატარებდა თრიალეთიდან ტფილისზე ცხვარს, რომ გეგენასათვის ახალი ჩოხა-შალვარი, საცვეთები, ანუ სხვა რამე, რასაც მოინდომებდა, არ ეყიდნა. ერთხელ თითბრის წვრილი ღილებით მოჭედილი ქამარი უყიდა, რომელიც მოურთო ჩანთით, საშლით და ჯეირნის ფეხის ტყავის სამარილეთი — ბოლოზე ჩამოკიდებული მძივებ-ასხმული თასმებით.

ივანეს საბუთი ჰქონდა, უარის უთქმელად აესრულებინა გეგენასათვის გულის წადილი. „იმისთვის მიყვარს გეგენა“— ამბობდა ხოლმე იგი—, „რომ, აბა, ხო რა კოლიზი ბიჭია, მაგრამ დაიძვრება თუ არა დოლი, მანამ სულ არ გაიწმინდება, კაცი რომ ზედ შეაკვდეს, პირს არ დაიბანს. ერთ რათმე ღირს იმისი ყურება მაშინ, როცა ბატკანი დაერევა ხოლმე ცხვარს: აქედან იქ (ანიშნებდა ხელით) ისერის დედასთან ბატკანს. რომელი ბატკანი რომელა ცხვრისა არის, იმან იცის. მთელ ფარის ცხვარს ისე იცნობს, თითქო ერთი ცხვარიაო. დღის სავალზე სცნობს თავის ცხვარს. ბევრჯერ დავგსხლექტია რამდენიმე სული ცხვარი და გარეულა ნამგლად მდგომ ცხვარში. რამწამს დაუთვალეირებია საღამოთი ფარა, მაშინვე მოუკითხავს, მავანი და მავანი ცხვარი მაკლიაო. წასულა და შორიდანვე უჩვენებია, აგერა ჩემი ცხვარი სადა სდგასო. როცა სერი გაუსინჯავათ, მართლაც ჩვენი სერისა გამომდგარა“. ასე მართლულობდა ხოლმე ივანე თავს, როცა ძმები საყვედურს აძლევდნენ გეგენას განებივრებისათვის. მხოლოდ გიორგი კი ეტყობა ხოლმე ამისთანა თავის გამართლებაზე: „ეჰ, მე იმისი კობტაობა მეუპირიყლება!“.

გეგენა საუკეთესო მაყრად ითვლებოდა, და არც ერთი ქორწილი არა ხდებოდა უიმისოდ. იმის სოფელში იქნებოდა ქორწილი, თუ სხვა ახლო მახლო სოფელში, ის უთუოდ მაყრად უნდა ყოფილიყო ამ ქორწილში. თუ რამდენიმე ქორწილი ერთსა და იმავე დროს იყო, გეგენაზედ ცილობა ჰქონდათ. მომეტებულ ნაწილად უფრო მეჯვარედ იყო მიწვეული, ვიდრე უბრალო მაყრად. მთელი სოფლის პატარძლობა, ისინიც, ვის მეჯვარედაც არა ყოფილიყო, გაგიჟებული იყო გეგენას დანათლიავებაზედ. თუ შვილს ნატრობდა ვინმე—ნატრობდა არა მართა შვილის ყოლისათვის, არამედ გეგენას დანათლიავეებისათვისაც, ამისათვის გეგენას ბლომდა ჰყვანდა ნათლი-დედები და ყოველ ახალ წელს მრავალი ძღვენი მოსდიოდა. ძღვენზედ აუცილებლად წინდები, უნდა ყოფილიყო. იმდენი წინდები უგროვდებოდა, რომ თვითონაც ჰყოფნიდა მთელი წლის განმავლობაში

ღ სხვასაც ბევრს ურიგებდა ფეშქეშად. ასეთი გარჩევა ყოველის-ფერში გეგენასათვის არა ჰმურღათ სხვა სახლის შვილებს. ისინი ასე ფიქრობდნენ, რომ, როგორც თვალ-ტანად იგი ყველა მათგანს სჯობდა, ყოველი სიკეთის ღირსიც იყო; ამისთვის ყველანი უყურებდნენ მას სიყვარულის და არა სიმწუხრის თვალით; დიდსაც და პატარასაც, კაცსაც და დედაკაცსაც საკვებ-ხურად ჰყვანდათ და პირზედ ეკერათ: „ჩვენ გეგენა და ჩვენი გეგენა“.

არც გასათხოვარი გოგონები უყურებდნენ გეგენას გულ-გრილად. ისე ქალს არა ჰკითხავდნენ, საქანელაზედ ქანაობის დროს, როცა ქვეშ გაუძვრებოდნენ, ვინ გინდაო, რომ პასუხად არ ეთქვა: „ჯილდანთ გეგენაო“. გეგენას ეს არა რჩებოდა გაუგებარი და უფრო და უფრო უმატებდა სარკეში ცქერას და კიკინების და უღწევაშების გრენას. იცვამდა უფრო შნოიანად გამოჭრილს და შეკერილს ჩოხას, წითელ სათავიან შალვარს და ბუზმენტით მორთულ გულის პირიან მერდინის პერანგს. და როცა ჩაიცვა ყარაჩოხულად აქლემის ყელის ჩოხა-შალვარი, შემოირტყა წელზედ ჩოხას ზემოდან ვერცხლისას მიმგზავსებული ქამარ-ხანჯალი და დაიხურა წითელი ცხვრის-ტყავის მალალი ქუდი, ხომ სრულიად შეიცვალა და ერთი-ათად უკეთესი გამოჩნდა. ბევრი გოგო გამოელოდა—უფრო ნატრობდა—გეგენას თავისად. ყველა გულში ფიქრობდა: ნეტავი რაც ქვეყანაზედ გასათხოვარი ქალები არიან, ჩემს მეტი ყველანი გასწყდნენო, რომ გეგენა მე დამრჩესო, და თუ ჩემი არ იქნება, ნურც სხვისა გახდებო. ყველა ნატრობდა გეგენას თავისთვის, მაგრამ ნატვრა მხოლოდ ერთს შეუსრულდა—დანარჩენების გასაბრაზებლად და სამწუხაროდ.

ჯილდაშვილების ოჯახში მიღებული წესით ჯერ გეგენას არა ჰქონდა დრო ცოლის შერთვისა; იმაზედ უფროსი ორი კიდევ სხვა იყო დასაქორწინებელი, და როცა დრო მოუვიდოდა, მაშინაც ოჯახს უნდა ამოერჩევა მის საცოლოდ ოჯახშიშვილისავე ქალი. მაგრამ, როგორც სხვაფრივ ირჩეოდა მისი მდგომარეობა ოჯახში, ისე ცოლის შერთვაშიაც გაირჩა.

ორი წელიწადი უკლდა გეგენას იმ ასაკს, რა ასაკშიაც მისი ბიძაშვილები ქორწილდებოდნენ, როცა იგი მეჯვარედ იყო ერთ ქორწილში. ჯვარ-დაწერილი ნეფე-დედოფალი რომ დაბრუნდა ეკლესიიდან მან, გეგენამ, გააკეთა, როგორც წესი იყო, ხის ჯვარი, დაამაგრა ერთ-ერთ ნაზუქში, რომლებიც ცალკე ტაბაკზედ ელაგა ხილთან ერთად, სამსავე წვერზედ გაუქეთა ვაშლები და დადგა ტაბაკი ნეფე-დედოფლის წინ. ამის შემდეგ გადაავლო ხალხს თვალი და დაინახა, რომ დედოფალთან ერთი ლამაზი და კობტად ჩაცმული გოგო იჯდა. ხელები გოგოს თავის კალთაშივე ელაგა ერთად მიტანილი და თვალმოუშორებლივ შეჰყურებდა გეგენას. ეს გეგენას მეტმა ყველამ შენიშნა. პირველი გადათვალიერების შემდეგ გეგენამ შეხედა დედოფალთან მჯდომარე გოგოს და თვალი თვალსკი მოჰხვდა. გოგომ ისე ნაზად და მოხდენილად ჩაღუნა თავი, რომ გეგენას გულს მაშინვე სიყვარულის ნაპერწკალი ეცა და მოედო, როგორც კარგად გამოხარულ აბედს. მას შემდეგ რამდენიც შეჰხედავდა გოგოს, ყოველთვის თვალი თვალს ჰხედებოდა, რადგანაც გოგო სულ მას უყურებდა; იგი ამ დროს ისევ ნაზად ჰღუნავდა თავს და გეგენას გულში ჩავარდნილ სიყვარულის ნაპერწკალს ზრდიდა ისე, რომ აღმულად გარდაქცეულიყო და მოსდებოდა მთელ მის გულს.

წამოვიდა ნეფიონი შინ. გეგენას არც გული მოსდევდა შინათკენ, არც ფეხები. მაყრები ამჩნევდნენ ამას და ეუბნებოდნენ: „შენ, ი დედოფალთან რო გოგო იჯდა, ძალიან დაგკოდაო.—ახ, იმას კი ვენაცვალე ჯეირანივით თვალეში! ერთი იმის ლოყები კი დამაკბენჩინა და თუნდა მომკლა!“—უპასუხებდა მაყრებს გეგენა.

XIII

რუს-კონია

შაშვიანთ კონია მოსული ტანისა და ძრიელ ეშხიანი სახის დედაკაცი იყო—გლეხის კვალობაზე. ეშხსა და პეწს



უფრო იმითი იმატებდა, რომ ყოველთვის სუფთად ჩაცმულ დახურული გამოდიოდა ხალხში. მისი ჩაცმა-დახურვა ძრიელ ირჩეოდა სხვა გლეხის დედაკაცების ჩაცმა-დახურვისაგან. ამ მხრივ კონია უფრო უშუაანა მოეაქრე სომხის ცოლს წაგავდა, ვიდრე ხელთ უყარი და მარტო ხელი გლეხი-კაცის ცოლს, როგორც იყო მისი ქმარი ნოდარი.

თავისა და ახლო-მახლო სოფლებში ხომ ყველას ენახა და ყველა იცნობდა კონიას, მაგრამ შორეული სოფლებშიც, ვისაც თავის დღეში თვალთ არ ენახა, ისინიც კი იცნობდნენ გაგონით. ბევრი უნახავთაგანი, როცა შეჭხვდებოდა საღმე მას, მაშინვე გულში გაივლებდა: ე შაშვიანთ კონიას რო იტყვიან, უთუოდ ეს უნდა იყოსო. და არცა სცდებოდნენ.

კონიასი ყოველ ნაცნობს ერთსა და იმავე დროს კიდევ ეშინოდა, კიდევ ეხატებოდა და თვალის დასანახადაც ეჯავრებოდა. რომელ ყრილობაშიაც კონია მოჰყვებოდა, იმ ყრილობის თავი ის იყო. მარტო ისა ლაპარაკობდა, როგორც ენა-წყლიანი დედაკაცი, სხვანი კი გაჩუმებულნი ყურს უგდებდნენ. მოსწონდათ, თუ არა მისი ლაპარაკი, ამას არც თვითონ დაგიდევდათ და ვერც არავინ სხვა ენმე შეჭბდავდა ამის თქმას.

თუ მოჭხდებოდა ისე, რომ საზოგადოებაში კონიასთან ერთად სხვა დედაკაცებიც იყენენ თავიანთი ქმრებით და ისმენდნენ მის საუბარს, რაც უკადრისი და მანდილონისათვის გამოსათქმელად შეუფერებლად ეჩვენებოდათ, მაშინვე შეჭხვდავდნენ ხოლმე ქმრებს ისე, თითქოს თვალებით ეუბნებიანო: ეს სანაცლილე, უნამუსო და ლეჩაქზე ლაფ-დასხმული, რაებს მიედ-მოედებაო.

კონიას პირში ვერაფერს ვერაფერს უბედავდა, პიოს უკან კი ძრიელ სწეწდნენ და გაჰქონდ-გამოჰქონდათ. ეს იყო მიზეზი, რომ მას ყველა იცნობდა. მის დასამცირებლად ვინ მოსთვლის, რამდენ ნაირი საბუთი არ მოჰყვანდათ. აი როგორი იყო ხალხის აზრით კონია: კაცებს ეარშიყებოდა და, რომ უფრო მოსწონებოდა ვისმე, ძალზე ფერ-უშარლით იგლისე-

ბოდა; მთელი სანინლანის სომხობა ხელში ჰყვანდა დაქვრივი და თავის ჰკვავზე ათამაშებდა: რასაც მოსთხოვდათ, უარის უთქმელად და უფასოდ აძლევდნენ.—„იმისი მამიდაშვილები არიან, თუ პაპიდაშვილებიო, თუ უნამუსოდ არ იქცევაო. დერციკ კოსტუას, ვისთანაც ვაჟი-შვილი ჰყვანდა შევირდად, როგორც ცოლი, ისე ჰყავსო; ბიჭიცა და გოგოც იმისაგან ეყოლაო. როცა სოფელში რუსები იდგნენ, ძალიანა სწყალობდნენ კონიას—აქედან დაეძახა „რუს-კონია“. ნოდარს არ მოსწონდა მისი ყოფა-ქცევა, ბევრიც უშალა; რომ არ დაიშალა, ცემა დაუწყო, მაგრამ კონიამ მოწამლა იგი და ისე დაადუნა პატიოსანი ახალგაზდა, რომ წკიპურტი ეკრა ვისმე, გარდაიქცევოდა; ახლა, რაც უნდოდა, იმას შვრებოდა. ასეთი იყო შეერთებული აზრი ხალხისა კონიაზე.

კონიას ქალი კეკე, ანუ, როგორც თვითონ ეძახოდა, ეკა, ძრიელ ჰყვანდა დედას, როგორც თვალად-ტანად, აგრეთვე ყოფა-ქცევით. თავისი კეკლუკობით და თამამად ქცევით ბევრს დასანიშნ ბიჭს აუქებერა ევამ გული და გახდა ბევრისათვის სანატრელ და სალაპარაკო საგნად. ბლომა სიმღერებიც გამოსთქვეს მის შესახებ, რითაც უფრო მოაწონებინეს თავი და მოამატებინეს ხმარება საარშიყო და საკეკლუკო საშუალებათა.

ეს ეკა იყო ის ქალი, რომელმაც გააბა სიყვარულის ბადეში გეგენა, მაგრამ თვითონაც კი გაება იმავე ბადეში.

XIV

გ ა ე რ ა

გულზე დასმული დალი ეკას ნახვით გეგენას არ უმთელდებოდა; იგი უფრო-და-უფრო უწყლურდებოდა და იქამდის მიღწევიანა ბოლოს, რომ გამოუტყდა თავის საკუთარ ბიძას, როგორც ეძახოდნენ—ივანეს: „თუ კონიას გოგოს მითხოვთ, ხო რა კარგი, თუ არა და ცოცხალი არ გადაგვრჩები, თავს

დაეიხრობო“. ივანემ რჩევა დაუწყო, თავი დაენებებინათანა ფიქრებისათვის, მაგრამ რაკი ვერაფერი გააწყო, გაუშვლავნა ეს გარემოება ძმებს.

ამ ამბის სმენაზე შეხტა და შემოტრიალდა გიორგი: „როგორ, ჩემ ოჯახს აი უნამუსო დედაკაც კონიას შემოვალახვინებ! ქმარი მოწამლა, დაადუნა და დაამონავა, სიძეს რაღა კეთილს დააყრის! არა, ცოცხალის თავით მე უნამუსო კონიას გოგოს სახლში არ შემოვუშვებ, თუნდა ჯანაბას დილუბოს და თავიც ქვას ახალოს გეგენამ! მე რაც ჩვეულება და წესი მაქვს ოჯახში, იმას არ გადავალ. ჯერ მანამ იმაზე უფროსებს არ დავაქორწილებ და ისიც არ მოიყრება იმ დროთ, რა დრონისაც სხვები დავაქორწილე, კლდეზედაც რომ გადავარდეს, მე იმას ცოლს არ შევრთამ, და ისიც თუ კაი ოჯახის შეილის ქალი არ გამოჩნდება. კონიას გოგო კი ჩემს სახლში ფეხს ვერ დაჰდგამს.“

რაკი გიორგის პირიდან უარის თქმა ამოვიდა და ვერც წინ წაუვლიდა ვინმე იმის სიტყვას, გეგენამ სრულიად შეიცვალა ხასიათი და ყოფა-ქცევა. გახდა საშინელი ამაყი და გულ-ჩათხრობილი; ცხვარს უწინდებულად ერთგულად აღარ უგდებდა ყურს; თავის საკუთარ ბიძას ივანეს ხშირად წაეჩხუბებოდა ხოლმე, გაუწყრებოდა და მიდიოდა შინ. შინ ეტყოდნენ რასმე, იქ დაუწყებდათ ყვიტ-ყვიტს, გაუწყრებოდათ ახლა შინ და ისევ ფარეხზე მიდიოდა, მაგრამ ცხვარს მაინც ყურს არ უგდებდა. გეგენას იღბალს მოჰყვა, თუ განგებ გეგენამ მოახერხა, იმ წელიწადს დოლი დაზარალდა. ივანემ ეს გარემოება იმითი ახსნა, რომ გეგენა ერთგულად აღარ უვლიდა ცხვარს და ღმერთმაც ხელი აიღოვო.

მოვიდა დრო ცხვრის მთაზე წასვლისა. გეგენამ უარი გამოაცხადა მთაზე გაყოლაზე. ამ გარემოებამ ძრიელ შეაფიქრინა ივანე, რადგანაც სხვა ბიჭების იმედი მაგრე რიგად არა ჰქონდა. ძმებსაც აუხსნა ყოველი მოსალოდნელი ხიფათ-ზარალი ცხვრისა, თუ გეგენა არ გაჰყვებოდა მთაზე. მეტი გზა არ იყო, დასთანხმდნენ ყველანი, თუშცა გიორგი ძლივ-ძლიობით დაიყო-

ლიეს. გეგენას გამოუცხადეს, სანამ ჩამოხვალ მთიდან, დაგ-ნიშნავთო.

გულ-დამშვიდებული გაჰყვა გეგენა ცხვარს თრიალეთზე. იმან კარვად იცოდა, რომ რაკი გიორგის პირიდან ერთხელ ჰოობა ამოვიდა, იგი აღარ გადასთქვამდა თავის სიტყვას. თავისი საკუთარი ბიძა ივანეც გზაზე არწმუნებდა: მანამ შინ ყველებს ჩავიტანთ, დაგნიშნავენო. მართლაც, ამობრუნდა თუ არა ივანე შინიდან ყველების ჩატანის შემდეგ, სასიამოვნო ამბავი ახარა გენენას; მანამ ჩავიდოდი, ნიშნობა გავთავებინათო, და საცოლოს დაქსოვილი ჩახსაკრავებიც მოუტანა ნიშნად.

ამავე წელს, შემოდგომაზე, ჯილაშვილებმა სამი ქორწილი გადაიხადეს ერთი-ერთმანეთზე. ჯერ ორი გეგენაზე უფროსი სახლის შვილი დააქორწილეს, მერე გეგენა.

ჯილაშვილების ოჯახიდან გეგენა პირველი იყო. რომელმაც, მზითვეს გარდა, ხუთი თუმანი ფული აიღო ქრთამად. სხვა რძლები გაძლიერებული ოჯახის ქალები იყვნენ და მზითვის მეტი არაფერი მოუტანიათ თან. არც თავიანთ ქალებს აძლევდნენ ჯილაშვილები სხვა რაიმეს მზითვეს გარდა, არც სხვიდან თხოულობდნენ. კონიამ კი მზითვის გარდა ხუთი თუმანი ქრთამი და პირის გასასხნელად ვერცხლის ქამარი მისცა სასიძოს. ჯილაშვილების ოჯახში დადებული წესით გადასალოცი და სათამაშო დედოფლისა სახლში უნდა დახარჯულიყო საერთოდ, რომ სათავენო არავის გაეზინა, რადგანაც ჩაცმა-დახურვა და ყოველიფერი ხარჯი სასახლო იყო. ამ წესის ძალით გეგენას ქორწილში აღებული გადასალოცი, სათამაშო და ქრთამიც სასახლოდ უნდა დახარჯულიყო, მაგრამ კონიამ თავი გამოიღო და არც ქრთამი, და არც სათამაშო არავის დაანება, რადგანაც ორივე თითონ იგდო ხელში.—გადასალოცი კიდევ ჰო, სახლისა არისო,—ამბობდა იგი.

ეს არაფერი. თითონ პატარძალი—გეგენას ცოლი არა კადრულობდა მამამთილების წინდა-ქალამნის დახდასა და ავდარში დასველებულ იმათ ფეხსაცმელების დაშრობასა და დაფშენეტას, როგორც სხვა პატარძლები შვრებოდნენ ამას. წყალ-



ვერა ჰბედადნენ. დრო მიდიოდა და ეს უძრავი ქალაქი მგები ხმა გაკმენდილი ისხდნენ და საიქიოდან მოსულლებს ჰგვანდნენ. ბოლოს მეფეს თითქო ღრმა ძილიდან გამოეღვიძაო, შუბლზე ხელი გადისვა და სთქვა:

— თქვენ იცით ეხლანდელი მდგომარეობა და ისიც, რისთვისაც მოგიწვიეთ. აბა ითათბირეთ! — ამის შემდეგ მეფე გაჩუმდა და თავისი თვალევი ძირს დააშტერა. მეფის ამ მოჭრილმა მოკლე სიტყვამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა იქ მყოფებზედ, რადგანაც ყველა გაჩუმებული იყო, თითქო ღრმა ფიქრში არიანო. ნამდვილად კი თვითეულმა მათგანმა დიდხანია იცოდა, რაც უნდა ეთქვა; მაგრამ მალალი პირებისათვის დასამდაბლებელი რჩევის მიცემა იმდენად უსიამოვნო იყო, რომ ყველას უნდოდა ეს მოვალეობა თავიდან აეშორებინა. მეფემ ყველას თვალი გადააელო; მის სახეს გულჩათხრობა დაეტყო. ბოლოს, მეფის თვალევი სამხედრო მინისტრს, პიანელს, მიაჩერდნენ, რომელიც მეფის მარჯვნივ იჯდა; მინისტრმა ამ უსიტყვო ბრძანების აუსრულებლობა ვერ გაჰბედა და მწუხარებით თავჩაქიდებული წამოიღვა.

— მეფეო, — დაიწყო მან: — მე მხვდა მძიმე მოვალეობის ასრულება. მაგრამ ჩემი თქვენდამი ერთგულება ქვეშარიტების დამალვის ნებას არ მაძლევს. ჩემის აზრით ჯარი იმნაირ მდგომარეობაშია, რომ სალერნოს დაცვა სრულებით შეუძლებელია. ეს მდიდარი ქალაქი თავისი საწყობებიანა და სამზადისიანა რაც შეიძლება ჩქარა უნდა დავუტევოთ; კალდარელის იარაღის დაყრა და, შეიძლება, ლალატიც იქ დარჩენილი ჯარის შემწეობით სალერნოს დაცვას შეუძლებლად ჰხდის. მეშველი ჯარის გაგზავნას ველარ მოვასწრებთ, იმის იქ მისვლამდის მტერი უკვე იქ იქნება; ამითი ჩვენ უფრო მძიმე დამარცხებას მივიღებთ, ვიდრე აქამდინ. თუ ეს ჯარი ნეაპოლისკენ დაიხევს და ქალაქის ცხენოსან ჯარს შეუერთდება, მაშინ იქნება კიდევ შესძლოს თავხედი მემამოხეს შეჩერება.

მეფემ თავი დააქნია — თანხმობის ნიშნად კი არა, არამედ იმის ნიშნად, რომ თავის მინისტრს მოუსმინა, და თვალევი

მის მეზობელს მიაპყრო. ეს იყო გენერალი ბოსკო; თუმცა ის მილაცოსთან დამარცხდა, მაგრამ მაინც გენერლობა მისცეს, იმიტომ რომ იარაღის დაყრას დიდ-ხანს უარობდა. აი, ეს გახლდათ მართებლობის სამხედრო ძლიერების თვალის ჩინი! ეხლა მას უნდოდა, თავისი სიმაძაყე და გამბედაობა კიდევ გამოეჩინა, და სთქვა:

— თქვენო დიდებულებავ, მინისტრის აზრს მე სრულიად ვეთანხმები და ჩემდა თავად მგონია, რომ გარბაზდღის ნეაპოლთან დამარცხება არამც თუ შესაძლებელია, ცხადი საქმეა. პატარ-პატარა გამარჯვებებით წაქეზებულმა თავისი ჯარი რეჯიოდან საპრამდინ გააგძელა და ნეაპოლთან მოსვლის დროს ალბად უფროც ვაჭიძავს. ამიტომ ჩვენ მხოლოდ იმის მეთაურ ჯართან გვექნება საქმე.

ლაპარაკის ჯერი კუტროფიანოსი იყო.

— მეფეო, — დაიწყო მან: — მე ჩემი პატივცემული ამხანაგის მოსაზრების ყველა სარგებლობა მესმის და ძალიანაც მინდა მათი თანამააზრე ვიყო, მაგრამ ჩემს თავს ნებას მივცემ და ვკითხავ: მოიფიქრეს იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ჩვენთვის საბოლოო ბრძოლის გაწევა, რომელზედაც დამოკიდებულია მთელი სამეფოს ბედ-იღბალი, რადგანაც ზურგს უკან ნეაპოლია? ვინ არის მისი თავმდები, რომ ის სხვა ქალაქებსავე არ აჯანყდება და ჩვენ ბრძოლის დროს უკანიდან არ დაგვიშენს? ასე არ იყო აღებული პალერმოც და შემდეგ რეჯიოც? უფრო მეტს ვიტყვი: განა შესაძლებელია, რომ ქალაქში, საცა ნახევარი მილიონი მცხოვრებია, რავდენიმე ათი ათასი გარბაზდღის მომხრე არ აღმოჩნდეს, როდესაც მთავრობა და სამინისტროს ყველა წევრნი, გარდა აქ მყოფი ორი პატიოსანი ადამიანებისა, მათი მფარველნი არიან!

— მაშ რას მიჩვენო? დავაგდო სრულიად სატახტო ქალაქი და ჩემს უფლებაზე ხელი ავიღო? — მწუხარებით დაუმატა ფრანჩესკომ.

— დიად, დაუტევოთ სატახტო ქალაქი, მაგრამ მხოლოდ უფლების შერჩენის გულისათვის, ჯარი თქვენი ერთგულია,



ვერა ჰბედავდნენ. დრო მიდიოდა და ეს უძრავი ქალაქი გვერდები ხმა გაკმენდილი ისხდნენ და საიქიოდან მოსულეებს ჰგვანდნენ. ბოლოს მეფეს თითქო ღრმა ძილიდან გამოეღვიძაო, შუბლზე ხელი გადისვა და სთქვა:

— თქვენ იცით ეხლანდელი მდგომარეობა და ისიც, რისთვისაც მოგიწვიეთ. აბა ითათბირეთ!— ამის შემდეგ მეფე გაჩუმდა და თავისი თვალეი ძირს დააშტერა. მეფის ამ მოჭრილმა მოკლე სიტყვამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა იქ მყოფებზედ, რადგანაც ყველა გაჩუმებული იყო, თითქო ღრმა ფიქრში არიანო. ნამდვილადკი თვითეულმა მათგანმა დიდხანია იცოდა, რაც უნდა ეთქვა; მაგრამ მალალი პირებისათვის დასამდაბლებელი რჩევის მიცემა იმდენად უსიამოვნო იყო, რომ ყველას უნდოდა ეს მოვალეობა თავიდან აეშორებინა. მეფემ ყველას თვალი გადაავლო; მის სახეს გულჩათხრობა დაეტყო. ბოლოს, მეფის თვალეი სამხედრო მინისტრს, პიანელს, მიაჩერდნენ, რომელიც მეფის მარჯვნივ იჯდა; მინისტრმა ამ უსიტყვო ბრძანების აუსრულებლობა ვერ გაჰბედა და მწუხარებით თავჩაკიდებული წამოდგა.

— მეფეო, — დაიწყო მან: — მე მხვდა მძიმე მოვალეობის ასრულება. მაგრამ ჩემი თქვენდამი ერთგულება ქვეშარიტების დამალვის ნებას არ მაძლევს. ჩემის აზრით ჯარი იმნაირ მდგომარეობაშია, რომ სალერნოს დაცვა სრულებით შეუძლებელია. ეს მდიდარი ქალაქი თავისი საწყობებიანა და სამზადისიანა რაც შეიძლება ჩქარა უნდა დავუტევოთ; კალდარელის იარაღის დაყრა და, შეიძლება, ლალატიც იქ დარჩენილი ჯარის შემწეობით სალერნოს დაცვას შეუძლებლად ჰხდის. მეშველი ჯარის გაგზავნას ველარ მოვასწრებთ, იმის იქ მისელამდის მტერი უკვე იქ იქნება; ამითი ჩვენ უფრო მძიმე დამარცხებას მივიღებთ, ვიდრე აქამდინ. თუ ეს ჯარი ნეაპოლისკენ დაიხვეს და ქალაქის ცხენოსან ჯარს შეუერთდება, მაშინ იქნება კიდევ შესძლოს თავხედი მემამოხეს შეჩერება.

მეფემ თავი დააქნია — თანხმობის ნიშნად კი არა, არამედ იმის ნიშნად, რომ თავის მინისტრს მოუსმინა, და თვალეი

მის მეზობელს მიაპყრო. ეს იყო გენერალი ბოსკო; თუმცა ის მილაკოსთან დამარცხდა, მაგრამ მაინც გენერლობა მისცეს, იმიტომ რომ იარაღის დაყრას დიდ-ხანს უარობდა. აი, ეს გახლდათ მართებლობის სამხედრო ძლიერების თვალის ჩინი! ეხლა მას უნდოდა, თავისი სიმამაცე და გამბედაობა კიდევ გამოეჩინა, და სთქვა:

— თქვენო დიდებულებავ, მინისტრის აზრს მე სრულიად ვეთანხმები და ჩემდა თავად მგონია, რომ გარიბალდის ნეაპოლთან დამარცხება არამც თუ შესაძლებელია, ცხადი საქმეა. პატარ-პატარა გამარჯვებებით წაქეზებულმა თავისი ჯარი რეჯიოდან საპრამდინ გააგძელა და ნეაპოლთან მოსვლის დროს ალბად უფროც ვაჭიშავს. ამიტომ ჩვენ მხოლოდ იმის შეთაურჯართან გვექნება საქმე.

ლაპარაკის ჯერი კუტროფიანოსი იყო.

— მეფეო,— დაიწყო მან:— მე ჩემი პატივცემული ამხანაგის მოსაზრების ყველა სარგებლობა მესმის და ძალიანაც მინდა მათი თანამოაზრე ვიყო, მაგრამ ჩემს თავს ნებას მივცემ და ვკითხავ: მოიფიქრეს იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ჩვენთვის საბოლოო ბრძოლის გაწევა, რომელზედაც დამოკიდებულია მთელი სამეფოს ბედ-იღბალი, რადგანაც ზურგს უკან ნეაპოლია? ვინ არის მისი თავმდებები, რომ ის სხვა ქალაქებსავით არ აჯანყდება და ჩვენ ბრძოლის დროს უკანიდან არ დაგვიშენს? ასე არ იყო აღებული პალერმოც და შემდეგ რეჯიოც? უფრო მეტს ვიტყვი: განა შესაძლებელია, რომ ქალაქში, საცა ნახევარი მილიონი მცხოვრებია, რადენიმე ათი ათასი გარიბალდის მომხრე არ აღმოჩნდეს, როდესაც მთავრობა და სამინისტროს ყველა წევრნი, გარდა აქ მყოფი ორი პატიოსანი ადამიანებისა, მათი მფარველნი არიან!

— მაშ რას მიჩრევთ? დავაგდო სრულიად სატახტო ქალაქი და ჩემს უფლებაზე ხელი ავიღო?— მწუხარებით დაუმატა ფრანჩესკომ.

— დიად, დაუტევთ სატახტო ქალაქი, მაგრამ მხოლოდ უფლების შერჩენის გულისათვის, ჯარი თქვენი ერთგულია,

მეფეო! თქვენ შეგიძლიათ, მას მიენდოთ; წაუძებით წინ, წაბრძანდით ჩრდილოეთისკენ, იქ შეებრძოლეთ მტერს და ამითი გადასწყვეტეთ სამეფოს ბედ-იღბალი. იქ ყველა თქვენ მხარეს იქნება. აქ კი ყველა თქვენი წინააღმდეგია. ეს გახლავთ ჩემი რჩევა.

— მაგრამ თუ მეფე სატახტო ქალაქს დაუტევებს, ის ამითი ტახტზედ ხელს იღებს!— წამოიძახა ბოსკომ:— ის მაშინ მხოლოდ ტახტის მადიებლად ხდება, მეფედ კი ვიქტორ-ემანუილი. ესეც რომ არ იყოს, გარიბალდი ნეაპოლის დაპყრობით თავის ჯარს ერთი-ხუთად გააძლიერებს და ნამდვილ ჯარსაც დაიწესებს. ამისათვის მას დრო არ ეყოფა; მან ჩქარა უნდა გაათავოს სამხედრო საქმეები, რომ სხვის ჩარევას ხელი შეუშალოს; მისი მდგომარეობა უფრო გასაჭირი იქნება აქ, ვიდრე პალერმოს იყო... ბოსკოს კიდევ უნდოდა რალაცის თქმა, მაგრამ მეფემ ნიშნით გააჩერა, მიუბრუნდა მარტინოს და უთხრა:

— ჩვენ ჯერ არ გაგვიგონია, ჩვენი დედის მეგობარი რას ფიქრობს. მოვისმინოთ მისი აზრიც.

დე-მარტინო, მართლაც მარიამ-ქრისტინეს მეგობარი იყო; ის იყო ფრანჩესკოს აღმზრდელი და, რაც ყმაწვილ მეფეში კარგი თვისება მოიპოყებოდა, სულ ამ მასწავლებლის ბრალი იყო. ფრანჩესკო II-ის მეფობის პირველ წელიწადს დე-მარტინოს სასახლეში დიდი გავლენა ჰქონდა. მაგრამ მალე ის მარიამ-ტერეზიას დასმა გაანაპირა და სამეფო საქმეების საწარმოებლად სამეფოს დაღუპვის რავდენიმე დღის წინედ მოიწვიეს.

— მეფეო!— წარმოსთქვა ზეზე ამდგარმა დე-მარტინომ— ჩემი აზრის მოსმენა თქვენთვის და აქ მყოფთათვის სასიამოვნო არ იქნება და ამიტომ ნება მიბოძეთ, არ წარმოვსთქვა.

— სთქვით, — მკმუწვარედ უთხრა მეფემ:— მე იმდენჯერ შემხვედრია სიცრუის მოსმენა, რომ ეხლა სიმართლეს, თუნდა მეტად უსიამოვნოც იყოს, დიდის სიხარულით მოვისმენ.

— იყავნ ნება თქვენი! სამეფოს გადარჩენა იმ ღონისძიებით, რომლებსაც ბევრი გირჩევს, მე არა მწამს. ამის შესახებ აღრე უნდა მოგეფიქრებიათ. თუ გარიბალდის დამარცხება ასე

ადელია, აქამდინ სად იყავით? რატომ აღრევე არ დაამარცხეთ ის? თავის მომხრეების ერთი მუჟა მთელ ლაშქრად რისთვის გადააქცევიეთ? ოთხი თვეა, რაც ეს სამარცხენო ომი ატყდა; იმის მოსასპობად საკმარისი დრო იყო; უფრო მეტი დრო გქონდათ, მისი გადმოხდომისათვის ხელი შეგეშალათ. დე-მარტინოს სიტყვები იქ მყოფთა შორის ყუმბარასავით დაეცა. რადენადაც აქამდის თათბირი უღიმლამო იყო, იმდენად ესლა გამწვავდა. ყველამ ერთად დაიწყო ლაპარაკი. ბოსკო სალცანოს ამტყუნებდა, პიანელი კუტროფიანოს, კუტროფიანო ყველას ერთად: საზოგადო ვახურებულ კამათობაში ვერაფერს ვერ გააჩვენდით. ასე გასინჯეთ, მეფის იქ ყოფნამაც კი ვერ შეაჩერა მრავალი წლის განმავლობაში დანაგროვები ერთმანეთისადმი შურის, სიძულვილის და სიბრაზის მოვარდნილი ნაკადული. ერთბაშად ზარის ხანგრძლივი წკარუნი მოისმა, ეს კრებას დეპეშის მოსვლას ატყობინებდა, რადგანაც ნეპოლის ჩვეულებით, რაც უნდა მომხდარიყო, არავის არ ჰქონდა იმ ოთახში შესვლის ნება, სადაც მეფისა და მის მოთათბირების საიდუმლო სხდომა იყო. ყველამ ხმა გაკმინდა. ფრანჩესკომ ანიშნა პიანელის, გაეგო, რა ამბავი იყო. უეჭველია, არაჩვეულებრივი რამ უნდა მომხდარიყო, თორემ მეფის თათბირის დარღვევას ვერავინ გაჰხედავდა.

ერთი წამის შემდეგ სამხედრო მინისტრი გაფითრებულნი მობრუნდა და აკანკალებულ ხელში დეპეშა ეკავა; მეფემ საჩქაროდ გამოართვა, გადაიკითხა და ღონე-მიხდილმა ხელები ჩამოყარა. ამ დეპეშით გენერალი კოლონა ატყობინებდა, სალერნოში სრული აჯანყება არისო, მეფის ჯარი გამოარეკეს და ქალაქში გარიბალდიელების წინა ჯარი შემოიჭრაო.

დარბაზში სამარის სიჩუმე დადგა.

როდესაც სასოწარკვეთილების პირველმა წამმა გაიარა, მეფე საშინლად განრისხდა:

— არა! კმარა ამდენი სირცხვილი! დაღუპვა სჯობია ქვეყნის სასაცლოდ გახდომას! ვილაც ავაზაკის ერთი მუჟა ნაყარ-ნუყარმა ჯარმა წინაპრების ტახტიდან უნდა ჩამომავდოს!



მაშ ჩემი ჯარი რაღა ყოფილა? რისი მაქნისი ყოფლიან ჩემი სარდლები? მე თვითონ გავუძღვები ჩემს ჯარს და პირდაპირ მტრისკენ გავსწევ. ბატონებო, წადით და მთელ ჩვენ ერთგულ ჯარს ჩვენი გარდაწყვეტილება შეატყობინეთ!

არაფინ არ ინძრეოდა; არაფის ხმა არ ამოუღია; მეფემ ყველას თვალი გადააელო და ყოველისფერს მიხვდა; ჩავარდა სავარძელში და ხელებით პირისახე დაიფარა.

— რა გაეწყობა, — წარმოსთქვა ბოლოს მან აკანკალე-ბულის ხმით: — ნება ღვთისა აღსრულდეს! პიანელო, ჯარს უბრძანეთ, ვოლტურნისკენ დაიძრას! — ხელის მოძრაობით მეფემ თათბირის დაშლა ანიშნა. ამ დროს მეფის კოშკის საათმა დარეკა. ფრანჩესკოს სურვილისამებრ გამკეთებელმა საათში მუსიკა მოაწყო, რომელიც „Miserere“-ს უკრავდა. მეფის თათბირი ამ სამგლოვიარო ჰანგის ხმით იშლებოდა და ასე გეგონებოდათ, ბურბონის მთავრობის დამარხვაზე ესწრებო.

მეორე დღეს დილით მეფემ ეროვნული ჯარის უფროსები მიიხმო და უთხრა:

— რადგანაც, თქვენი მეგობარი ან უკეთ, ჩვენი საერთო მეგობარი ბატონი პეპე (შემცირებული ჯუზეპე) ახლოვდება, ჩემი სამსახური თავდება და თქვენი იწყება; ქალაქის მყუდროება დაიცვეით. ნეპოლს დარჩენილ ჯარებს იარაღის დაყრა ვუბრძანე. ერთი საათის შემდეგ მთელი თავისი ოჯახობით მეფე ზღვით გაეტას გაემგზავრა.

გავარდა თუ არა ქალაქში მეფის წასვლის ხმა, მთელი ნეპოლი აღუწერელ სიხარულს მიეცა. შექნეს მუსიკით და წითელი დროშებით სეირობა; ქალაქს გარს უელიდნენ და მამულისშვილურ სიმღერებს მღეროდნენ. სრულიად უცნობი პირნი შეხვედრის დროს მხიარულ ამბავს ერთმანერთს ახარებდნენ, ერთმანერთს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ. ამ დღესვე ლიბორიო რომანომ სამინისტრო თათბირი მოახდინა, რომელზედაც მხოლოდ პიანელი და დე-მარტინო არ დაესწრნენ. აქ ერთხმად გაღასწყვიტეს გარიბალდისთან ქალაქის გასაღებით

და მისალოცავი წერილით წარმომადგენლები გაეგზავნათ. წარმომადგენლებმა გარიბალდის სალერნოს მიუსწრეს; მიიღო თუ არა გარიბალდის ისინი, ლიბორიო რომანოს შემდეგი დებემა მოსწერა.

„იტალია და ვიქტორ-ემანუილი.

„ნეაპოლის მკვიდრთ.

„მოვა თუ არა აქ ქალაქ ნეაპოლის სინდიკი, მე მაშინათვე თქვენთან მოვდივარ.

„ამისთანა სიხარულის წამს, გაუიცებთ, სიმშვიდე და სრული წესიერება იქონიეთ, როგორც შეჭფერის ხალხს, რომელიც, ბოლოსაც არის, თავისუფლებას ეღირსა.

„სალერნო 7-ს ენკენისთვის, დილის ექვს საათს.

ორივე სიცილიის დიქტატორი

„ჯუზეპე გარიბალდი“.

ლიბორიო რომანომ უპასუხა:

„ორივე სიცილიის დიქტატორს, უძღვევლ გენერალ გარიბალდის!

„შინაგან საქმეთა მინისტრი, ლიბორიო რომანო.

ნეაპოლი დიდის სულწასულობით ელის თქვენს მოსვლას, რომ მამულის განმათავისუფლებელს მიესალამოს და ყველა საზოგადო უფლება და თვისი ბედ-იღბალი თქვენ ჩაგაბაროთ.

თქვენს მოსვლამდე შვიდობიანობასა და წეს-რიგს გავუძღვებით. თქვენი სიტყვები, რომლებიც ხალხს უკვე შეეატყობინე, ჩემი მოწადინების აღსრულების უკეთესი თავმდებია.

თქვენს ბრძანებას ველი და დავშაობი თქვენი უსაზღვროდ ერთგული

„ლიბორიო რომანო“.

დილის თერთმეტის ნახევარზე გარიბალდი რამდენიმე აფიცრით ვიეტრის სადგურზე მატარებელში ჩაჯდა და თორმეტ საათზე ნეპოლს მოვიდა.

ქალაქის წარმომადგენლები და ხალხის ურიცხვი გროვარკინის გზის პარმალზე დახვდა. კალამი ვერ აღწერს, რა აღფრთოვანებითაც შეეგება მას ხალხი. გარიბალდი თავხდით ეტლში ჩაჯდა და თავშიშველი ნელა-ნელა წავიდა, ხალხი მისი ეტლის გარშემო მირბოდა; ბევრი საფეხურზე ხტებოდა და მის ხელებსა და ტანისამოსს ჰკოცნიდა. ის ზოგს ეხვეოდა, ხელს ართმევდა ყველას და ჰკოცნიდა ყმაწვილებს; რომლებსაც დედები მას აწვდიდნენ. ბევრი სიხარულისაგან ტიროდა; მოხუცები წინ ეტანებოდნენ, რომ თავის სიცოცხლის სხივმილეთულობაზე კიდევ ეხილათ თვისი განმათავისუფლებელი, გმირი და მამულის შვილი*).

ასე მოვიდა გარიბალდი საგარეო საქმეთა სამინისტროს სასახლემდინ, სადაც დაბინავდა. მთელი ნეპოლი ვეებერთელა მოედანზედ შეგროვდა, სახლის წინ. გარიბალდი აივანზედ გამოვიდა და ხალხს მოკლე სიტყვით მიმართა. საღამოს ქალაქი გაჩირალდნებული იყო. მთელი ღამე ქუჩებში მუსიკა და

*) იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ უყვარდა ხალხს თავისი შვილი, მოვიყვან ერთ მცირე, მაგრამ დამახასიათებელ შემთხვევას, რომელიც ნეპოლში მეთევზემ მიაპბო: მეორე დღეს დილიდან მოკიდებული ხალხი გარიბალდის სახლის ფანჯრებთან იკრიბებოდა და განუწყვეტლივ „Eviva“-ს იძახდა. გროვა-გროვაზე აწყდებოდა, ასე რომ ყვირილი ერთ წამსაც არ შეწყვეტილა. ჩქარი სიარულისა და უძილო ღამის გამო გარიბალდის ნასადილევს მოსვენება უნდოდა; ამიტომ ხალხს თანაშემწე გაუგზავნა და სთხოვა, ცოტა ხანს დაწყნარებულიყვნენ, ყველამ მაშინათვე სული განაბა; მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ფანჯრებთან ვინც იდგნენ, იმათ გარიბალდის თხოვნა სხვებს შეატყობინეს, სხვებმა კიდევ თავის მეზობლებს! ამ გვარად ამ ამბავმა მთელი ქალაქი შემოიკრიბინა, და მთელს ქალაქში სამარისებური სიჩუმე დადგა; მეორე და მესამე დღესაც ნასადილევს ქალაქში იმგვარივე სიჩუმე იყო. ერთი-მეორეს ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ. თუ ვისმე დაავიწყდებოდა და ხმას აუმაღლებდა, სულ ქალაქის განაპირასაც რომ ყოფილიყო, ამ სიტყვით ჩააჩუმებდნენ—*duorme*: სძინავსო.

სიმღერები არ შეწყვეტილა, თითქოს აღდგომა ყოფილიყოს. ხალხი სამხრეთის ბუნების მგრძობიარე აღფრთოვანებით თავის განმათავისუფლებელის მობრძანებას უქმობდა და იმ წარმტაც შვება-სიხარულს მისცემოდა, რომელიც მონობისა და მტარვალობისაგან განთავისუფლებული, თავისუფლების ნაკადულს დაწაფებული ერი ლიტანიობს.

ნეპოლის აღებით საქმე ჯერ კიდევ არ თავდებოდა. ქალაქის ჩრდილოეთით ბანაკად იდგნენ 50,000 მეფის საუკეთესო ჯარის-კაცები, მშვენიერი მეზარბაზნე და ცხენოსანი ჯარით: მაშინ როდესაც გარბაჯღის თოთხმეტი ათასი უწინდებურად ცუდად შეიარაღებული კაცი ახლდა..

XVIII

უკანასკნელი დონისძიება

ღამით 31 მარიაშობისთვის ვოლტურნოს ნაპირად ცეცხლის გარშემო რამდენიმე ყმაწვილი კაცი იჯდა; მათ შორის ორი ჩვენი ძველი ნაცნობიც იყო: რობერტო და მისი განუშორებელი ვალენტინო, რომლებიც ამდენ ორონ-ტრიალში კიდევ მიგვაღიწყდა. გარშემო რამდენიმე ამისთანავე ცეცხლი ენთო. ლაპარაკის ხმაურობა ისმოდა; ცხენები ჭიხვინებდნენ. მდინარის მეორე მხარეს მოპირდაპირეთა ცეცხლი ბეჭუტავდა. კახერტის კოშკზედ ორმა საათმა დაჰკრა და წკრიალა ზარის ხმა ჯერ კიდევ ჰაერში თრთოდა.

მოვისმინოთ ამ ცეცხლის გარშემო მჯდომთა ბაასი.

— ... ისინი სახლში შემოცვიდნენ, — განაგრძობდა თავის ამბავს ოც და ხუთი წლის ყმაწვილი კაცი, — მე სახლში არ ვიყავი, მაგრამ ცოლი ძუძუ-მწოვარი ყმაწვილით და ბებერი მამა შინ წიყვნენ. ხელი სტაცეს მამა-ჩემს, გამოათრიეს ეზოში და იქ ამ პირშაემა ჩვენმა მღვდელმა, დონ-პიეტრომ დაუყვირა:

— სად არის შენი შვილი? სად არის ის უღმერთო, რომელსაც მაცხოვრისა და ღვთის-მშობლის ქანდაკების დაწვა ჰსურს; იმას უნდა, ძალის-ძალათი გენუის კერპზე*) გვალოცოს!

მამა-ჩემმა იცოდა, რომ მე მახლობელ სოფელში ვიყავი წასული, გაეტანო გრასისთან, სადაც რავდენიმე კაცი მოგროვდა მოსალაპარაკებლად; გვინდოდა გვეშოვნა იარაღი, რომ გარიბალდისთან ხელცარიელი არ მივსულეყავით. მაგრამ მამა-ჩემს არაფრის თქმა არ უნდოდა; მაშინ მათ დასცეს მოხუცი ძირს და ცემა დაუწყეს; როდესაც ამითიც ვერას გახდნენ, ერთმა მათგანმა ცულის დაავლო ხელი...“ აქ მოლაპარაკეს ხმა შესწყდა, რადგანაც მას ტირილი აუვარდა.

— მეორემ საბრალო მოხუცის ხელი დირეს მიაკრა.“ — განაგრძო მან: — მღვდელმა კიდევ დაიყვირა:

— „თქვი, ბებერო ძაღლო, თორემ მოგკლავთ“

მამა-ჩემმა თავი გააქნია. მაშინ... მაშინ... ცულით ხელი მოსჭრეს..... შემდეგი მეორე!..“

საბრალოს გაგრძელება აღარ შეეძლო, რადგანაც თვალთაგან ნაკადულსავეით წამოსკდა ცრემლები.

— „ცოლი ოთახიდან გამოვარდა პატარა ყმაწვილით ხელში და, ეს რომ დაინახა, ყვირილი და ლანძღვა შეჰქნა.

მაშინ ეცნენ მას, გამოჰგლიჯეს ბავშვი ხელიდან და ბერნადო ბუცციმ, რომელიც ავაზაკი და ცხენის ქურდი იყო, სტაცა ფეხში ხელი და თავი ქეას უხალა ამ სიტყვებით: „მათი დაწყევლილი ნაშობი ძირიანად უნდა აღმოვეფხვრათია!“

„შემდეგ დონ-პიეტროს ბრძანებით გაათიტელეს ყმაწვილი დედა, მიაკრეს ბოძზე და ჯოხებით ცემა დაუწყეს, მოხუცს კი ცულით თავი გაუბეს!“

*) ეს მაძინის შესახებ არის ნათქვამი. რესპუბლიკელები მაძინის Santo Maestro-ს ეძახდნენ. კლერიკალებმა ზოგიერთა მივარდნილი ალაგების მცხოვრებლების უგონურობისა გამო ხმა გაავრცელეს, ლიბერალებს უნდათ ქრისტეს თავყანის ცემა მოსპონ და მის ნაცვლად მაძინზე ალოცონ ხალხიო.

ის გაჩუმდა, ხელები პირზე მიიფარა და თავი მუხლებზე დააყრდნო. ეს იყო ერთი ლიბერალთაგანი, გადარჩენილი საშინელ ამოჯლეტას, რომელიც თავის ეპისკოპოსის წაქეზებით აველინოსა და არიანოს მცხოვრებლებმა მოახდინეს.

საბრალო პეტრუჩელის (ასე ეძახდნენ ამ ყმაწვილ კაცს) მოთხრობამ ყველა საშინლად ააღელვა. რავედენსამე ხანს ხმა აღარავის ამოუღია.

— ოხ, ეს სულ მათი საქმეა!—წამოიძახა ახალგაზდა ნეპოლემა, ჯიოვანი რიჩჩიმ, და მისმა თვალებმა სიმძულვარით დაიბრიალეს. ამ სიტყვებით მან ბურბონების ცეცხლისკენ გააშვირა ხელი.

— ნეტა ჩქარა მივახლოვდებოდეთ მათ!—შენიშნა რობერტომ და ამითი საზოგადო სურვილი გამოსთქვა. ისინი კურდღლებივით გვიფრთხიან და ჯავრის ამოყრა მხოლოდ უიარაღოზე და უძღურზედ იციან.

— დაგვაცათ, გაყურებინებთ სეირს! ერთი თქვენამდის მოვიდეთ!—ხმა მისცა მას მალალმა კალაბრიელმა და თავისი თოფი დააქნია. ამ დროს ბაასში ჩაერია ერთი რომაელი, რომელიც აქამდინ ხმას არ იღებდა.

— არა, ჭირის ძირი იქ კი არ არის, არამედ სხვა ალაგას.—სთქვა მან დიდის დარწმუნებით.

— სად არის?—ჰკითხა ვალენტინომ.

— იქ, სადაც მამულის განთავისუფლება არა ჰსურთ, ჩემს უბედურ ქვეყანაში—რომში,—სთქვა მან.

ამ შენიშვნამ ბაასი სხვა საგანზედ გადაიტანა; ყველამ იმის შესახებ დაიწყო ლაპარაკი—რომზედ ლაშქრობა იქნება თუ არაო. ეს ლაშქრობა ყველას ჰსურდა, მაგრამ ზოგიერთს ესათუებოდა.

— როგორც ამბობენ, პიემონტის ეშმაკმა ნეპოლი თავისი მომხრეებით გაავსო.

— ამბობენ, პიემონტის ჯარი გემებში ჩაჯდა გენუაში და გენერალი ჩილდინი მოსაზღვრე ხმელეთის ჯარის უფროსად არის დანიშნულიო.

— რა ვუყოთ, ალბად ომი იქნება გამოცხადებული და ვის წინააღმდეგ, თუ არ რომის პაპისა?!—სთქვა ლომბარდიელმა კარანეგრამ;—სულ ერთი არ არის, ვინც დაიპყრობს რომს: ჩვენ თუ ვიქტორ-ემანუილის ჯარი?!

— რასაკვირველია, რასაკვირველია!—სთქვა რამდენიმე კაცმა.

— მაგრამ გარჩევა იმაშია, რომ კავურს რომის დაპყრობა არ უნდა.—სთქვა რომაელმა.

— რატომ?

— იმიტომ რომ იქ საფრანგეთის ჯარი დგას. კავურს ნაპოლეონის გაჯავრებისა ეშინიან, რადგანაც მაშინ შეიძლება, ნეაპოლიტანის სამეფო ხელში ადვილად ვეღარ იგდოს.

— მაგრამ კავურს როგორ შეუძლია, გარიბალდის თავის გულის წადილის აღსრულება დაუშალოს?

— არ შეეძლო, მაგრამ გარიბალდის შეაძლებინა; გარიბალდის წინდაწინვე მეფედ ვიქტორ-ემანუილი აღიარა, ამიტომ ყველამ კარგად იცის, რომ ადრე თუ გვიან კავურს უნდა დაჰმორჩილდეს. რასაკვირველია, ვინც პირველი გამოხტება, მის უკეთესი ლუკმა ერგება. კავური ნეაპოლში ისე მოქმედობს, როგორც თავის ტურინში და გარიბალდის ყველა მოქმედებას აბათილებს.

— მაშ ეს რითი უნდა აეცილებინა?

— „Santo Maestro“-მ დიდხანია სთქვა, რომ თავიდანვე დამოუკიდებელ სამეფოდ უნდა აღეარებინათ. ხალხმა ამის მხარე ორჯერ დაიჭირა და გარიბალდის წაქეზებით ამას ისე ერთხმად მოახდენდა, როგორც აროდეს; მოძრაობას თავში გამბედავი და უშიშარი პირები დაუდგებოდნენ და პიემონტის ეშმაკს ხმა არ უნდა გაეკმინდა?

ამ სიტყვებმა ჯარის-კაეცხე სხვა-და-სხვა შთაბეჭდილება მოახდინა. რობერტო ჩაფიქრდა; ნეაპოლეელი ჭაბუკი თანხმობის ნიშნად თავს აქნევდა; ვალენტინო კი, რომელიც თავის ბელადის შეუცთომელობაში სრულებით დარწმუნებული იყო, მიუბრუნდა რობერტოს და ჩასჩურჩულა:

— ამისთანა ჭკუის კოლოფები საშინლად მეჯავრება! არაფრის კმაყოფილი არ არიან! მათთვის ყოველისფერი უბრალო საქმეა!

ამ დროს თხრილში, რომელიც ბანაკის ჩამოსწვრივ იყო, რაღაც საეჭვო შრიალი მოისმა. კალაბრიელი მიწას გაეკრა და გასაოცარის სისწრაფით გაცურდა ჩირგვებს შუა ისე ფრთხილად, რომ ტოტების თავებიც კი არ ირყეოდნენ. ყველამ სული განაბა და მოლოდინად გადაიქცა. ერთბაშად თოფის ხმა მოისმა. ყველა ფეხზე წამოიჭრა. ამ დროს კალაბრიელმა მოირბინა.

— მტერია! — დაიძახა მან: — ისინი თხრილით გვეპარებოდნენ. უნდოდათ, მოულოდნელად დავგვხმოდნენ თავს.

მთელმა გროვამ ამხანაგების შესატყობინებლად თოფები დასცალეს. თენდებოდა და დილის ბურუსში მოჩანდა, როგორ შეიმშუშნენ წითელი ხალათები. უკანასკნელმა ბრძოლამ მოაწვია.

ვოლტურნო, რომლის ნაპირზედაც ნეაპოლიტანის სამეფოს ბედ-იღბალი უნდა გარდაწყვეტილიყო, გამოდის ბიფენის მთებიდან, რომლებიც აპენინის მთების ნაწილს შეადგენენ. ეს მდინარე ჯერ კუნძულს ჩაუყვება, შემდეგ მარჯვენს უხვევს და ტირენის ზღვას ერთვის. თითქმის ნეაპოლისა და გაეტას შუა გზაზე. იმის ამ მეორე ნაწილზე გარბიხლდიელებისა და როიალისტების უკანასკნელი ბრძოლის ასპარეზი იყო მოთავსებული. მარჯვენა ნაპირი ბურბონებს ეჭირათ; მარცხენა — გარბიხლდიელებს. როიალისტების ასპარეზის ცენტროდ ახალი კაპუა იყო. ეს ქალაქი ძალიან გამაგრებული იყო და მომზადებული მტრის მოსაგერებლად. მტრის მარჯვენა მხარე სოფელ სანკლემენტეს უერთდებოდა, მარცხენა — სოფელ კოიაცოს. გარბიხლდიელები ვაჭიმული იყვნენ სანტა-მარიადან მარცხნივ სანტანელოს მთამდინ, სადაც დაბანაკებული იყო მათი მარჯვენა მხარე. მათ შუაში იყო რაედენიზე სიმაგრეებით დაცული კაზერტა. ამ გვარი სამხედრო მდებარეობა მეტად უხერხული იყო, რაც შემდეგში აღმოჩნდა. თოთხმეტი ათასი კაცი, რომ-



ლის წინააღმდეგ ორმოცდახუთი ათასი კაცი გამოდრიდა, მეტად დიდ ალაგზე იყო მოთავსებული. ამის გამო ამ ალაგის ყოველგან დაცვა მეტად ძნელი იყო. გარიბალდის ეს კარგად ესმოდა, მაგრამ ის მოიქცა ასე სანტა-მარიას მცხოვრებლების თხოვნით; ყველა გარშემო ქალაქებ შორის მხოლოდ მათ გამოაცხადეს თვისი თავი გარიბალდის მომხრეებად და როიალისტებისაგან საშინელ შურის ძიებას მოელოდნენ, თუ მათ ქალაქს გარიბალდიელები არ დაიჭერდნენ. კიდევ ერთი უხერხულობა იმაში მდგომარეობდა, რომ ამოდენა ადგილის დარაჯობა ძნელი იყო. ამითი აიხსნება ის, რომ როიალისტები კინალამ არ მოეპარნენ გარიბალდიელებს თხრილით. ვოლტურნოს ბრძოლა როიალისტების მოულოდნელი თავს დასხმით დაიწყო. ჩვენ ამ ბრძოლას არ ავწერთ, არამედ მოვიყვანთ თვით გარიბალდის სიტყვებს, რადგანაც ეს სიტყვები უფრო კარგად და ნათლად ასურათებენ ან ბრძოლას იმ სახით, როგორც ის თვით თავგამოდებულ გმირს ეჩვენა.

„პირველ ღვინობისთვის რავდენიმე კაცით მატარებლით კაზერტს მოვედი. ბევრი ნიშნეულობით საბოლოო ბრძოლის სიახლოვეს ვგრძნობდი და ამიტომ ვოლტურნოს ბანაკს ხშირად ვათვალიერებდი. მე ეტლში ჩავჯექი, რომ სანტ-ანჟელოს მთაზე ავსულიყავი: იქიდან მტრის ბანაკი მშვენივრად მოჩანდა. ერთ-ბაშად თოფის ხმა მომესმა მარცხენა მხრიდან. გენერალი მილბიცი, რომელიც ამ მხრის უფროსი იყო, ჩემთან მოიჭრა და მითხრა: „სანტა-მარიას მხრიდან იერიშით მოგვადგნენ; წავალ, იქაურობას დავხედავო“. მეეტლეს ვუბრძანე ცხენები ჩქარა გაერეკა. სროლა თან და თან ხშირდებოდა და მალე მთელ ჯარს მოედვა სანტ-ანჟელოს მთამდინ. მზის ამოსვლაზედ ჩვენ მთის მწვერვალს მივატანეთ. სადაც, ორივე მხრიდან სროლა ატყდა და ჩვენ მტერმა ტყვია დაგვიშინა.

მეეტლე მომიკლეს. მე და ჩემმა მხლებლებმა ხმაღს გავიკარით ხელი. მაგრამ ამ დროს მაიორი მოსტოს გენუელი მსროლელების გროვა და პოლკოვნიკი სიმონეცის ლომბარდიელი ჯარის-კაცები შემოგვეხვიენ და ჩვენ აღარ გავგესარჯეს,

რადგანაც მამაცმა მეომრებმა ჩვენი განსაცდელის დანახვანედ ზიშტებით მიმართეს მტერს, გარეკეს შორს და სანტაჟელოს მწვერვალამდინ გზა გაგვიწმინდეს.

„გამოვედით თუ არა ხელჩართულ ბრძოლიდან, მე ჩემი მხლებლებით სანტაჟელოსკენ გავსწიეთ, რადგანაც ასე მეგონა, თუ ბურბონები მარტო ჩვენ მარცხენა მხარეს დაეცნენ. მაგრამ მოვტყუედი: რამდენისამე თოფის ხმამ მარჯვნივ დამარწმუნა, რომ მტერი ამ მხრიდანაც მომდგარიყო. საქმე არეული იყო. ჩვენ ქვეითად მივდიოდით, რადგანაც ცხენები უკან დაგვრჩნენ. ბრძანების გაგზავნა ძნელი იყო; ჩვენი ჯარის ყველა ნაწილი თავისხედ მძლავრ მტერს თავდავიწყებული ებრძოდა და არავითარი მეშველი ჯარი ჩვენ ხელთ არ გვყავდა. აქ ჩვენ გვიშველა არეულობამ, რომელიც გამოუტყდელ ჯარის-კაცებს თვისებადა აქვთ. როცა სანტ-აჟელოსკენ მივდიოდით, მე დავინახე გზაზე ჩვენი ჯარის-კაცები, რომლებიც მთელს მინდორზე გაფანტულიყვნენ. მე მათგან შევადგინე პატარა ჯარი და გავგზავნე მტერზე. რომელმაც ამ დროს ჩვენს უკან მალლობები დაიჭირა. შემდეგ მე შევხვდი მამაც მილანელებს და მაშინათვე გავგზავნე მტრის თავის მოსაველელოდ.

„მალე მოვიდა გენერალი საკისი ჯარი; ასე რომ ამ მხრიდან ეხლა აღარა გვიჭირდა-რა. ეხლა შემეძლო სანტ-ანჟელოს მწვერვალზე აესულიყავი და ბრძოლის მინდორი სულ მთლად დამეთვალიერებინა. აქ შევნიშნე, რომ საქმე სახუმარო აღარ იყო.

„როილისტებმა, რომლებიც საბოლოო ბრძოლას კაი ხანია ელოდებოდნენ და ამისათვის ემზადებოდნენ, მთელი თავისი ძალ-ღონე კაპუასთან მოაგროვეს. ორივე სიმაგრემ კაპუამ და გაეტამ თავის ჯარს გარდა ყოველივე საჭირო იარაღი და სამხედრო სამზადისიც აქ გამოგზავნეს; ასე რომ ჩვენი შუაგულისა და მარცხენა მხრისკენ გამოწეული ჯარები მეტად მძლავრი იყვნენ.

„ორივე მხრით ბრძოლა თან და თან მწეყდებოდა, რადგანაც სანტა-მარიასა და სანტ-ანჟელოს შუა მთელი მანძილის

დაქერა არ შეგვეძლო, ამიტომ ორივე ალაგას შუა თითქმის სრულიად დაუცველად დავტოვეთ მინდორი; ამითი ისარგებლეს როიალისტებმა და იქ ბავარელი ჯარის-კაცები გაგზავნეს. ისინი თან და თან გვიახლოვდებოდნენ და მათ წინააღმდეგ მე რა ეშმაკი უნდა გამეგზავნა?

„ჰოი- მამულო, ამდენ გმირთა შორის, რომლებმაც თვისი ერთგულება სისხლით დაგიმტკიცეს, ძმების ბრონცენტების სახელს ნუ დაივიწყებ! ერთი მათგანი ავსტრიელებთან ბრძოლის დროს სერიატასთან დაიღუპა;—მეორემ ვალტურნოს ბრძოლაში გმირი მოწამის დაუვიწყარი დიდება მოიხვეჭა. სამასი კაცი ის ოთხი ათას მოწინააღმდეგეებს დაუხვდა და რამდენჯერმე გარეკა უკან! როიალისტების წინამძღოლი, გენერალი კოლონა, ამ ქაბუკების სიმამაცით განცვიფრებული ტყუილად ურჩევდა დაგნებლით და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ თავზედ ერთი ბეწვიც კი არ გაგიბრუნდოთო.

— დაგნებდეთ! მობრძანდით და სინჯეთ!—ეუბნებოდნენ ისინი და შეჯგუფულად ეწინააღმდეგებოდნენ.

ათჯერ იერიშით მივიდნენ; შემდეგ მათი რიცხვი შემცირდა და უმეტესი ნაწილი ბრძოლის ველზე დარჩა მკვდარი ან სასიკვდილოდ დაჭრილი. მაგრამ, ვინც დარჩნენ, ისინი ნახევრად დანგრეულ კოშკში გამაგრდნენ და დაემზადდნენ, მტერს შეჰკლომოდნენ.

— დაგნებდით, ყმაწვილებო!—უყვიროდნენ მათ ამ უწვევრო ქაბუკების უშიშროებით გულ-მობრუნებული მტრის აფიცრები.

მათ თოფებით უპასუხეს; ტყვია-წამალი სულ დახარჯეს და უკანასკნელ იერიშს ცივი იარაღით დაუხვდნენ. ყველა დაიღუპა, მხოლოდ რაედენიმე დაჭრილი კაცი შემდეგ კაპუის საავადმყოფოში გადიტანეს. ეს ზღაპრული ამბავი არ არის, არამედ სრული ჭეშმარიტებაა; ყოველივე ეს ჩემი თვალის წინ მოხდა და თავი მექებება, რომ ამისთანა გმირების ბელადი ვიყავი.

ბურბონებმა შუაგული მინდორი დაიკავეს და ამგვარად ორივე ჩენი მხარი ერთმანეთს ჩამოაშორეს; მაგრამ ჩვენ რომ

შუაზე გავეყავით, სანტ-ანჟელოს მაღლობები უნდა აეროთ. ეს იყო ჩვენი ერთად ერთი იმედი. ბურბონის გენერლები მიხვდნენ ამას და მთელი თავისი ძალ-ღონე აქეთ მომართეს. მეფის ცხენოსანმა ჯარმა ამ მაღლობების აღება რამდენჯერმე მოინდომა; ზარბაზნები რამდენჯერმე წაგვართვა; მაგრამ მედიჩის ჯარის კაცები გრიგალსავით დაეცემოდნენ ხოლმე და უკან აბრუნებდნენ.

ნაშუადღევს ერთი საათი იქნებოდა, როდესაც ბრძოლის ველი შემადრწუნებელმა ამბავმა დაირბინა: ტყვია-წამალი გამოილიაო!

საშინელ მდგომარეობაში ჩაეცვივდით. მტერი ჩვენზე მოდიოდა და მოდიოდა. წინიდან თავს დასხმის გარდა, იმათ სცადეს, მარჯვენა მხრიდან დაგესხმოდნენ, რომ ჩვენთვის უკუქცევა შეუძლებელი გაეხადათ, მაგრამ მედიჩი მიხვდა თავის მნიშვნელობას და მცირე ჯარით მტერს თავს დაეცა და გზა შეუკრა.

„ბრძოლა გაორკეცებულის ძალით გაცხარდა. ჩვენები თითქმის თოფს არ ისროდნენ; მათ მტერი ას ნაბიჯამდე მოუშვეს და შემდეგ ხიშტებით გამხეცებულსავით ეცნენ; წინ ველარაეინ ველარ გაუჩერდათ.

„სამ საათზე ჩვენები ისე დაილაღნენ, რომ არაქათი აღარა ჰქონდათ. დილიდან მოკიდებული თითქმის ჯარის ყველა ნაწილი იბრძოდა; ბევრმა შვიდჯერაც მიიტანა იერიში, რადგანაც ჩვენზე ბევრად მძლავრი მტერი წამსაც არ გვასვენებდა.

„მაგრამ ბურბონებიც ძალიან დაილაღნენ და ამას გარდა ამდენ უქმი ცდის შემდეგ გამარჯვების იმედი აღარა ჰქონდათ და სასოწარკვეთილებაში შედიოდნენ. ეს იმაში ეტყობოდათ, რომ ისე მამაცად და სისწრაფით ველარ მოქმედებდნენ.

„მე მივხვდი, რომ თუ არ ეხლა, საქმე წამხდარი იყო; ჩემის ანგარიშით მეშველი ჯარი უნდა მომსვლოდა; ის კახურტიდან დავიბარე. მაგრამ იმასთან როგორ მიმელწია? ბურბონები ჩვენ შუაში რკინის სოლივით იღვნენ და იქით აღარ გამიშვებდნენ. მე ძალიან შორს მოვიარე და იმ დროს მივედი



სანტა-მარიას, როდესაც იქ მეშველი ჯარი მოვიდა. მაგრამ რა ჯარი იყო! ყოველი მცოდნე მეომარი იმის დანახვაზედ სასო-წარკვეთილებით თავზედ ხელს იტაცებდა. აქ იყვნენ წითელ-პერანგიანები, ნეაპოლის ჯარის კაცები, რომლებიც ჩვენ მხარეს გადმოსულიყვნენ; ყოველგვარი გემების მსახურები, უბრალო მოგზაურები, რომლებიც ბრძოლის ველზე იტალიის განთავისუფლების თანაგრძნობას მოეხიდა. მათ შორის მეტადრე ბევრი იყო ალბიონის სულგრძელი შვილები, რომლებიც არც ერთ გაჭირვების წამს არ მომცილებიან. მაგრამ ამ ნარევ-ნურევმა ბრბომ დაამტკიცა, რომ მას ბრძოლის ბედის გადაწყვეტა შეეძლო. როდესაც ისინი კარგა ბლომად მოგროვდნენ, მტრისგან დაქერილ შუაგულისკენ მივუთითე და ვუთხარი: „ხედავთ აი იმ ჩირგვებს იქით მტერს? წადით და თოფ გაუსროლელად ხიშშებით იფრინეთ“. გენერალმა ებერმა ამ მეშველი ჯარით და ერთი მუჟა უშიშარი უნგრელებით წინ გასწია; მტერმა მას თოფი დაუშინა, მაგრამ ის წინ მიდიოდა და თოფს არ ისროდა. ბურბონებს თავზარი დაეცათ და გაიქცნენ.

თითქმის ამავე დროს ჩემის ბრძანებით მედიჩმა და ავე-ცანამ, რომლებიც მარჯვენა მხარის ბელადები იყვნენ, ტურმა და მილბიცმა, მარცხენა მხარის ბელადებმა, შეაგროვეს თავისი დანარჩენი ჯარის-კაცები და უკანასკნელ ბრძოლაზე წაიყვანეს ბურბონები ყოველის მხრიდან გაიქცნენ; ჩვენ მათ კაპუამდინ ვდიეთ.

„სალამოს ხუთ საათზე მე ნეაპოლში დებეშას ვწერიდი: „ყველა ალაგებზე გავიმარჯვეთ“.

ამ სახელოვანი ბრძოლის შესახებ თვით უმთავრესი მოქმედი პირი ასეთის სინამდვილით და სიმარტივით მოგვიანხრობს. ამ მოთხრობაში თავისუფლების ყველა მებრძოლთა საზოგადოდ და კერძოდ ცალკე ბელადების სიმამაცის შესახებ ბევრია ნათქვამი, მაგრამ თვით ბელადთა ბელადზე კი ძალიან ცოტა.

გარიბალდი შესანიშნავი იყო ბრძოლამდინ, ბრძოლის დროს და მის შემდეგ, იმის არწივის თვალებს არაფერი არ გამოეპარებოდა ამოდენ ბრძოლის მინდორის გაყოლებაზედ, რო-

მელიც 48 კილომეტრს უდრიდა. უმთავრესი მიზნის გონებიდან განუშორებლად ის ატყობს სად და როდის უნდა თავს დასხმა, იერიში; სად და როდის საკმარისია მხოლოდ მოგერება ან კიდევ უკან დახვევა. ყოველ საშიშ ალაგას თითონ არის; იბადება იქ, სადაც სრულიად არ მოელიან; ასე რომ ბურბონებს ყოველი წითელ პერანგა გარიბალდი ეგონათ. სანტ-ანტელოსთან მან თავისი ხასიათის მთელი ძალა და თავისი აღმაფროთოვნების უზომო გავლენა, გამოიჩინა. გარიბალდის იქ მისვლის დროს, საქმეები მეტად სამწუხარო მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ მტრის გამარჯვებას ის არც ერთ წამს არ შეუფრთხია. იმის გამარჯვების რწმუნებას ვერაფერი ვერ არყევს. როდესაც ბურბონები წვიმა-სეტყეასავით აყრიან ტყვიას, ის სრულიად დამშვიდებული ხმით და სახით ისეთის გამბედაობით არწმუნებს მათ გამარჯვებაში, რომ მსმენელს ძალა-უნებურად უნდა დაეჯერებია. როიალისტების ყოველ იერიშს ახალის იერიშით უხვდება ყოველგან, სადაც კი თორმეტობადე კაცს შემოიკრებს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ატყობს, რომ მედიჩის მეშველი ჯარი მეტად დაიქანცა ამ ათი საათის ჭაპანწყვეტაში და მალბიცას ჯარებიც დაღალულობისაგან ფეხზედ ძლივს დგანან, მხოლოდ მაშინ ის მიჰმართავს თავის უკანასკნელ ჯარს და მარტო მიჰყავს საშიშ გზებით, თითქმის მტრის შუაგულში. ამ ჯარს თავისის განუწყვეტელის სიმამაცით ამხნევებს, გამარჯვების სიახლოვეს უქადის, ბრძოლის ბედის გარდაწყვეტის სახელს ჰპირდება; მათთან ერთად ტყვიის ქვეშ მოდის, დაესხმის მტერს; მტერი გაურბის ამ მცირეოდენს გროვას და გარიბალდიელების ჯარის წინააღმდეგ გამოსვლას ველარ ჰბედავს!

მეორე დღეს, ორ ღვინობისთვის მან მთელი თავისი ძალღონე შეაგროვა, რომ მტრის უკანასკნელ ძალას თავს ელვასავით დასხმოდა და სრულიად მოესპო.

ასეთი იყო გარიბალდი, ასეთი იყო მისი ჯარი სანახოვრო 1860 წლის ღვინობისთვის პირველსა და მეორე დღეს.



მაგრამ ჩვენი მოთხოვნის გმირები რას შერებოდნენ ამ დროს?

როგორც ერთი გადატყორცნილი კენჭი იკარგება დაზღვევებულ ქვიშაში, ისე ისინი ამ აწერილ მორევში დაიმაღლნენ. აბა ისინი ერთ წამს დაეძებნათ და დავინახათ, როგორ დაბლოვდა მათთვის ეს მრისხანე და სახელოვანი დღე.

მაგრამ ვაი ამ დღეს: ზოგიერთ მათგანს მზის ჩასვლამდინაც არ უცოცხლია.

პირველ სროლაზედვე რობერტოს მეგობარი, კეთილი და ერთგული ვალენტინო, დაეცა; იმას ტყვიამ გული გაუხვრიტა, მხოლოდ თავის მეგობრის ხელის ჩამორთქვეა და ამისი თქმა მოასწრო: „ჩემს მოხუცს ნუ დააგდებო!“ და განუტევა სული. რობერტო მისკენ დაიხარა და შუბლზედ ხელი დაადვა; შუბლი ყინვასავით ცივი იყო. გული კიდევ უცემდა, მაგრამ ერთი წამის შემდეგ ისიც გაცვიდა. სუსტ არსებას მწუხარება სულის სიმხნეს უკარგავს, მძლავრ არსებას კი სულის სიმხნეს უფრო უღონიერებს. რობერტო თავისი მცარე ჯარისკაცებით მხეცსავით ეცა მტერს. მის გარშემო ტყვიას ზუზუნნი გაჰქონდა, მაგრამ ის თავის ამხანაგებით სულ წინ მიდიოდა! მტერი იმასა და იმის ამხანაგებს ლუქმა-ლუქმა აქცევდა, რომ ამ დროს თავს არ დასხმოდნენ გენუის მსროლელები, რომლებიც ჩასაფრებული იყვნენ და მოულოდნელსროლაზედ ფეხზე წამოცვივდნენ.

რობერტო ბრძოლის დროს ყოველთვის ყველაზედ წინ იყო. მას ახსოვდა თავისი ვალენტინო და სისხლ-აუღებელი მეგობრის სახე თვალ-წინ ედგა და მტრის ზარბაზნების ლულებს და ხიშტებს უჩინარ-ჰყოფდა.

ამ გვარმა თავგამომეტებულმა მოქმედებამ იმას უხიფათოდ არ ჩაუარა: ორი ჭრილობა მიიღო—ერთი ბეჭში და მეორე ხელში, მაგრამ ომის გათავებამდინ ბრძოლის ველი მაინც არ დაუტოვებია.

ესლა ორიოდე სიტყვა სხვების შესახებაც მოვისმინოთ.

ჩვენ წინ სამხედრო ცხოვრების სამწუხარო სურათია: დიდი ოთახი ერთმანეთზე მიტყუპებული ლოგინებით მკრთა-

ლად არის განათებული. ლოგინებზედ ფერმკრთალი შეწუხებული სახეები გამოიყურებიან. ზოგი მათგანი სულთ მობრძანია. ეს არის კაზერტაში, ხელდახელ გაკეთებული სამხედრო საავადმყოფო. დრო-გამოშვებით დაჭრილების საშინელი კენესა გამოისმის. ესენი თითქმის ყველა ყმაწვილი კაცები არიან, მაგრამ უმეტესი ნაწილისათვის სიცოცხლე უკვე მოშხამულია: თუ აქედან გამოვიდნენ, სამუდამოდ მახინჯი დარჩებიან, ვერა-ერთარ მუშაობას ვეღარ შესძლებენ და იძულებული იქნებიან, სხვისი მოწყალებით თავი ირჩინონ. განაპირა ლოგინზედ წევს ერთი ყმაწვილი კაცი. იმის შავ თმაში ჯერ ერთი თეთრი ბეწვიც არ გამოჩნდება, მაგრამ სახით მოხუცს დამგვანებია. ლოყები ჩავარდნია, შავი დიდრონი თვალები სილურჯეს მოუცავს; ტუჩებზე სისხლი აქვს შემხმარი: ავადმყოფი მარჯვენა ფილტვშია დაჭრილი და სისხლი სასაში ამოსდის. მისი სიცოცხლის წამები დათვლილია; მძიმედ სუნთქავს; დრო-გამოშვებით იმის გულიდან საშინელი ხროტინი მოისმის, მაგრამ სიცოცხლეს ჯერ კიდევ არ დაუტოვებია: თვალები გაშტერებული აქვს და გამოუთქმელის მწუხარებით და სინაზით მისჩერებიან მის თავით მჯდომ ქალის სახეს. ეს ვაჟ-კაცი—გრაფი ერნესტოა ***.

პალერმოს ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ის ისევ თავის ჯარში დაბრუნდა. ამდენმა თავგადასავალმა მას გულის ტკივილი დაუამა, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ მარციას ერთი შეხვედრა გულს ხელახლად აუტკივებდა, ამიტომ გადასწყვიტა, ის არაოდეს აღარ ენახა. ერნესტო ადვილად გაიგებდა, მარცია სად იქნებოდა, რადგანაც უკანასკნელმა თავისი გმირობით სახელი გაითქვა და ყველა იმის შესახებ ლაპარაკობდა; ამის გამო ერნესტოსათვის ძნელი არ იყო საქმის ისე მოწყობა, რომ მასთან ერთსა და იმავე ჯარში არ ყოფილიყო. როდესაც გარიბალდის მთელი ლაშქარი ხმელეთზე გადავიდა, ამის აღსრულება უფრო გაადვილდა, რადგანაც ჩქარი მოძრაობის გამო ჯარი მთელ კალაბრიას გაება. მაგრამ ვოლტურნოს ბრძოლის დროს გარიბალდის მთელი თავისი ძალა ერთად შეაგროვა. გენერალი ავეცანოს ნაწილი, სადაც მარცია იყო,

და მედიჩის, სადაც ერნესტო იყო, გვერდი-გვერდ დააყენეს. ორივე ნაწილის ბოლოები ერთმანერთში აირივნენ. ერნესტომ იცნო მარცია, უკანასკნელიმა კი ვერ იცნო პირველი, რადგანაც ერნესტოს ქული შუბლზე ჰქონდა ჩამოფარებული და ნაბადი ესხა. ყმაწვილი კაცი მას თვალს აღარ აშორებდა; ის მრისხანე თავგამომეტებამ გაიტაცა. მისჩერებოდა ამ ახოვან ქალს, როდესაც ის ბრძოლის ველზე კვამლში გამოანათებდა და იმაზე მაღალი და კეთილშობილი აღარავინ ეგონა. ამასთანავე გრძნობდა, რომ თვალის მოშორება არ შეეძლო, რომ მისი ხილვით სცოცხლობდა და როცა ის აღარ იქნებოდა, მისთვის ყოველივე წყვილადში შთაინთქებოდა. მაშ მისი სიცოცხლე რაღა იქნებოდა? მას უნდოდა სიკვდილი, მაგრამ სიკვდილი ერიდებოდა, მის გარშემო ამხანაგები ერთი მეორეზედ იღუპებოდნენ; ტყვიის ზუზუნი ყურებს უჭედავდა, მაგრამ ერთიც არ ეკარებოდა. მას თავში გასაოცარი განზრახვა მოუვიდა. წარმოუდგა სიკვდილი რაღაც ცოცხალ არსებად, რომელსაც მისი თხოვნის ასრულება არ უნდოდა. ერნესტომ მოინდომა მისი მოტყუება. ბრძოლა თავედებოდა. გარიბალდიელები უკან იხევდნენ, მაგრამ ნელა-ნელა; ყოველ ჩირგვთან ჩერდებოდნენ, ყოველ ქვასთან მტერს თოფებით პასუხს აძლევდნენ.

ერნესტო თავის ამხანაგებს ჩამორჩა და უკან მისდევდა მარციას, რომელიც ბრძოლას გაეტაცა და ერნესტოს ვერ ამჩნევდა. ბურბონების მსროლელები თან და თან წინ იწევდნენ. ოთხი კაცი ჩამოშორებოდა მთელ ჯარს და ერნესტოსა და მარციადან ორმოც და ათი ნაბიჯის სიშორეზედ იყვნენ. ერნესტო მათ სახეებსაც კი არჩევდა. ერთბაშად შენიშნა, რომ ერთმა მსროლელმა, მაღალმა წითელ-წვერა გერმანელმა, თოფი მხარზე მიიღო და მარციას დაუმიზნა.

ყმაწვილ-კაცს გული აუტოკდა. „აი, აი ეხლა თუ, თორემ არასოდეს!“

წაიბუტბუტა იმან და სწრაფის გადახტომით მარციასა და გერმანელის შუა დაიბადა, რაღაცამ იელვა. ერნესტომ იგრძნო, რომ გულში მაგრად რაღაცა მოხვდა, თავში სიცივე აუვარდა

და პირქვე დაეცა: მარციაზედ დამიზნებული თოფი გავარდა; ერნესტომ თვისი წადილი აისრულა: სიკვდილი მოატყუა! ყმაწვილი ქალი წაქცეულ ამხანაგისკენ დაიხარა და ეხლა კი იცნო ის. სწრაფად გადააძრო ნაბადი და გულზედ დაუნახა განიერი ქრილობა, საიდანაც სისხლი ამოჩუხჩუხებდა.

მარციას ბევრი დაქრილი ენახა და ეხლა ადვილად მიხვდა, რომ ეს ქრილობა სასიკვდილო იყო.

— ერნესტო, ერნესტო, — სასოწარკვეთილებით წამოიძახა მან: — ეს რა ჰქენით?!

მაგრამ ყმაწვილი კაცი ხმას არ იღებდა, რადგანაც გრძობა დაკარგული ჰქონდა.

მეშველი ჯარი რომ მოვიდა და გარბალდიელებმა ხელახლად მტრისკენ მიიწიეს, მარციამ ამხანაგების შემწეობით ერნესტო ავადმყოფების მოსაველელ ადგილას გადაიტანა. ბრძოლის გათავებისას ის საავადმყოფოში გადაიტანეს; მარციაც იქ დარჩა, რომ ერნესტოსათვის მოეველო, რადგანაც მტრის სრულიად დამარცხების შემდეგ დროებით მშვიდობიანობა ჩამოვარდა.

აი ამგვარად მარცია და ერნესტო ერთად იყვნენ ეხლა.

დაქრილმა ხელით ანიშნა, რომ რალაცის თქმა უნდოდა. ქალი იმის თავისკენ დაიხარა და მას მწუხარე თვალები მიაპყრო.

— მარცია, — ძლივს წაიჩურჩულა მომაკვდავმა: — რამდენიმე წუთის სიცოცხლე-ლა დამჩინია; მითხარი...

ერნესტომ ველარ დაამთავრა, რადგანაც პირიდან სისხლმა იჩქეფა.

— საყვარელო! — წამოიძახა თავდავიწყებულმა ქალმა და იმის ხელებს კოცნა დაუწყო: — მიყვარხარ! ეიცო, რომ შენ სწორედ ამის გაგონება გინდოდა! დიად, დიად, მიყვარხარ, თუმცა მეგონა, რომ ამ საიღუმლოს თან ჩავიტანდი საფლავში.

ერნესტომ თვალები დახუჭა, რომ ბედნიერებისათვის პირდაპირ არ ეყურებია. ეს მის მისუსტებულ მხედველობას თვალს მეტად სჭრიდა. შემდეგ ოდნად ხელი მოუჭირა თავის ხელში მდებარე ქალის ხელს.



— მომითმინე, ერთი გონს მოვიდე!—წაიჭურჩულა იმან.

მარცია გაჩუმებული იყო და ავადმყოფს მწუხარედ მისჩერებოდა.

— რა ვუთხარი ეს!—ფიქრობდა ის თავის გულში!—ახლა ამას სიკოცხლე ათას წილად ძვირფასი ეჩვენება და სიკვდილი კი საშიში!

დაჭრილი შეინძრა; სახეზედ რაღაც ჩრდილმა გადურბინა, თვალეში საყვედური გამოიხატებოდა.

რაღაც საიდუმლო გრძნობიერობით, რომელიც მხოლოდ მომაკვდავს სჩვევია, ის თითქოს ქალის ფიქრს მიხედა.

— ნანობ, რომ გამომიტყდი?—უთხა მან.

მარციამ არა უპასუხა-რა.

— ნუ ნანობ,—წარმოსთქვა ავადმყოფმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ:—მთელი სიკოცხლე არ მომცემდა იმ ბედნიერებას, რაც შენმა სიტყვებმა მომანიჭეს!—მარცია მის ლოგინს დაეკრა და მდულარედ ქვითინი დაიწყო.

ერნესტომ დიდის გაჭირვებით აიღო ხელი და ქალს მშვენიერ თავზე დაადვა. ორივე გაჩუმებული იყვნენ. ანკი ერთმანერთისათვის რა უნდა ეთქვათ! მარცია მთელი ღამე მომაკვდავთან იჯდა, რომ მისი წვალემა არ გაეორკეცებინა. მარცია ცდილობდა თავისი გულის წუხილი და აღშფოთება დაემალა და ამიტომ ერნესტოს უღიმოდა, მაგრამ როცა იქით გაბრუნდებოდა, ჩუმად იწმენდდა ცრემლებს, რომლებიც თვალებზე უნებურად მოსდიოდნენ. დილაზედ დაჭრილს ცოტა წაეძინა. მაგრამ მალე წამოიძახა:

— მარცია!

ქალი მასთან მიიქრა

— მშვიდობით, ეკვდები!—წარმოსთქვა მან.

მარცია იმის გაცხელებულ ტუჩებს დაეკრა და რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ტირილისაგან სული ეგუბდებოდა. მომაკვდავმა შფოთვა დაიწყო. მარცია იმის ლოგინთან ფერმიხდილი იდგა და მწუხარებისაგან დამუნჯებული სულთმობრძაობის ტანჯვით დამანქულ სახეს დაჰყურებდა.

ამ დროს ოთახში მკურნალი და ერთი ყმაწვილი კაცი შე-
მოვიდნენ. ეს იყო რობერტო. ის მივიდა მარციასთან და რა-
ღაცის თქმა დააპირა, მაგრამ რა დაინახა სულთ მობრძავი
ერნესტო, გაჩერდა და მომაკვდავს მიაჩერდა. ბრძოლის ველზე
სიკვდილი ბევრჯერ უნახავს, მაგრამ მას ამგვარი ამაზრზენი
შთაბეჭდილება მასზედ აროდეს არ მოუხდენია.

დიღხანს ლოდინი არ დასჭირვებიათ; რამდენისამე წამის
განმავლობაში ერნესტომ სული განუტევა.

მკურნალმა გულზე ხელი დაადო და წარმოსთქვა:

— მოკვდა!

მარცია წაბარბაცდა; ეს სიტყვა, რომელსაც ის ყოველ
წამს მოელოდა, მეხივით მოხვდა.

რობერტომ შეიმაგრა საბრალო ქალი და მწუხარედ უთხრა:

— ამ კაცის სიკვდილს მარტო თქვენ არ იგლოვთ! ეს
ჩემი უკეთესი მეგობარიც იყო.

რობერტოს მზისგან დამწვარ სახეზე ცრემლები მოგორავ-
დნენ.

— თქვენი მწუხარება გულწრფელია, — განაგრძო რობერ-
ტომ; — მაგრამ იქნება ახლობელთა თანაგრძნობამ შეგისუბუ-
ქოთ. მე მოვედი თქვენთან თქვენი ბიძის, სახელოვანი მამულის
შვილის ლიბორიო რომანოს, თხოვნით, რომელსაც შესანიშ-
ნაეის ძმისწულის თავის სახლში დანახვა სწყურის.

მარციამ არაფერი უპასუხა, თითქო რობერტოს სიტყვები
ვერც კა გაიგონა! ის გაქვავებულსავეით იდგა, არ სტიროდა,
ხელებს არ იმტვრევდა, მხოლოდ უძრავად იდგა, როგორც ქან-
დაკება, და თავის საყვარლის უსულო გეჟმს დასჩერებოდა.

— წავიდეთ! — უთხრა რობერტომ, რომელიც მიხვდა, რომ
საბრალო ქალს როგორც ყმაწვილს, ისე უნდა მოჰპყრობოდა.
ნახევარ საათის შემდეგ მარცია თავის ბიძის სახლში იყო.

დასასრული საოჯახო კერასთან

დავანებოთ ეხლა თავი ბრძოლის და სიკვდილის შემზა-
რავ სურათებს. გადვიდეთ ლომბარდიის იმ ალაგებში, სადაც

ჩვენი მოთხოვნა დაიწყო. იმავე ოთახში, სადაც ამ რამდენიმე თვის წინედ დალიამ გრაფის ქალს ემილიას თავის რობერტოს წერილი პირველად წაუკითხა, ზიან ეხლა ისევ ისინი და რობერტოს წერილსა კითხულობენ. რამდენი ცვლილება მოხდა ამ ცოტა ხანში! ემილიას თავის ნათესავზე შავები აცვია. მისი კმაყოფილი და მხიარული სახე ეხლა მწუხარებით არის მოცული, რადგანაც გულკეთილ მოხუცს თავისი ერთად-ერთი ნათესავი ღვიძლ შვილსავით უყვარდა. მის გვერდით უბრალო ტანისამოსით დალია ზის და ხელში პატარა წერილი უჭირავს. ის ძალიან გამოცვლილა ამ პატარა ხანში. სახეზედ სიდინჯე ეტყობა; გონებრივადაც განვითარდა, რადგანაც იძულებული იყო, ბევრი ფეიქრა იმ საგნებზე, რომლებიც წინედ თავში სრულიადაც არ მოხვლია. ის მოხუც გრაფის ქალსაც სხვა ნაირად ეპყრობოდა ეხლა; რასაკვირველია, ორ აღამიანს ერთმანერთთან არაფერი არ აახლოვებს ისე, როგორც ერთად მოქირვებული წვალემა, შფოთი და იმედები. ემილიას და ახალგაზდა მკერვალ ქალს თავისი უსაყვარლესი პირები ერთსა და იმავე დროშის ქვეშ ეგულებოდათ. ერთი და იგივე შიში აფრთხობდა ორივეს და გასაკვირველიც არ არის, რომ ერთი მეორის გულში სრულ ცხარ თანაგრძნობას პოულობდნენ. ამ გვარად ისინი ერთმანეთს ძალიან დაახლოვებით დაუმეგობრდნენ. ემილიას ახალგაზდა მეგობარი თან და თან უფრო უყვარდებოდა და მასში თან და თან ახალ-ახალ ღირსებებს ჰპოულობდა, რომლებიც აქამდინ არ შეუმჩნევია. იქნება ეს ღირსებები ყმაწვილ ქალს სრულიადაც არა ჰქონდა და ისინი მხოლოდ გრაფის ქალის სიყვარულმა შექმნა, იმ სიყვარულმა, რომელიც უდიდესი და თითქმის ერთად-ერთი შემომქმედია ქვეყნიერობაზედ, რადგანაც მხოლოდ მას შეუძლია არარაისაგან რისამე შექმნა. ემილია ნათესავის სიკვდილის ამბავმა საშინლად შეაწუხა; ეხლა მისთვის დაიღუპა ყოველივე, რაც მას სიცოცხლესთან კიდევ აკავშირებდა. ერნესტო იყო მისი ერთად-ერთი ახლობელი ნათესავი, მისი ერთად-ერთი ნუგეში; ის მოკვდა; მაგრამ ცოცხალ აღამიანს არ შეუძლია ისე იცხოვროს, რომ არაიის

დაუმეგობრდეს. ამბობენ, რომ ტყვეები, რომლებსაც მარტო დამწყვედვა აქეთ გარდაწყვეტილი, ეჩვევიან და უმეგობრდებიან კატებს, ძაღლებს და ასე გასინჯეთ, თავის ოთახის ობობებსაც კი. ამის შემდეგ გასაკვიველი ის არის, რომ საბრალო მოხუცი, ძვირფასი კაცის დაკარგვის შემდეგ დალიას უფრო მეტად მიეკედლა. ის გრძნობდა, რომ მისი სიბერე დალიას მოშორებით მეტად აუტანელი და გასაჭირი იქნებოდა; როცა ის დალიას უყურებდა, თავის საბრალო უგზო-უკვლოდ დაკარგულ ქალს იგონებდა და არა ერთხელ უფიქრნია, იქნება დალიამ ქალიშვილის მაგივრობა გამიწიოსო. ამ დროს ის კიდევ იგრძნობდა ხოლმე ახალგაზდა მკერვალი ქალისადმი რაღაც ნამდვილ დედაშვილურ სიყვარულს, რომელიც მას უკვე ოცი წელიწადი არ გამოუცდია.

ამ გვარ გრძნობაში იყო ეხლაც ემილია.

რობერტოს წერილმა იმას მაშინათვე თავისი საყვარელი ერნესტო მოაგონა, რომლისგანაც ერთ დროს იმასაც მოსდიოდა წერილი. თავისი მარტოობის მოფიქრება უფრო კარგად აგრძნობინებდა ხოლმე ემილიას, რადენად ძვირფასი იყო მისთვის დალია. იღბლად, რობერტოს წერილმა იმდენად გაახარა ახალგაზდა ქალი, რომ გულკეთილმა მოხუცმა თავისი მწუხარება დაივიწყა, რომ მისი სიხარულით დამტკბარიყო.

„საყვარელო დალია, — სწერდა რობერტო: — ბოლოსაც არის შემძლია შევატყობინო, რომ ომი გათავდა და, როგორც მომირჩება ქრილობები, მაშინათვე მილანს გამოვფრინდები შენტან, ჩემო... (აქ დალიამ გამოსტოვა რაღაცა). ომი გათავდა, — განაგრძო დალიამ კითხვა: — გუშინ ვიქტორ ემანუილი და გარიბალდი ერთ ეტლში ნეპოლში შებრძანდნენ. ჩვენი დანიშნულება გათავდა, თუმცა, მართალი გითხრა, ჩვენი ლაშქრობის დაბოლოებით კმაყოფილი არა ვარ; რომი და ვენეცია, — იტალიის საუკეთესო ნაწილები, ისევ ავსტრიის კირთებისა და ხელმწიფის მტარვალობის ქვეშ დარჩნენ. ჩვენ კი თავთავის სახლში უნდა დავბრუნდეთ! მაგრამ მეტი გზა არ იყო. უკეთეს დროს უნდა ვუცადოთ. მე, თუ მკითხავ, შენტან მოცდა



არ გამიძნელდება... (აქაც კიდევ გამოსტოვა დალიამ). ერთი კვირის შემდეგ განთავისუფლებას მპირდება. ბევრს მოგწერდი, მაგრამ, რადგანაც მალე განახავ, ამიტომ მაშინდლისათვის ვიზოგავ*.

რობერტომ თავისი სიტყვა ასრულა. ერთი კვირის შემდეგ დალიამ მისგან ღებუმა მიიღო, რომელშიაც მხოლოდ ოთხი სიტყვა ეწერა:

“ხეალ დილის რვა საათზედ“.

შვიდის ნახევარზე დალია უკვე სადგურზე იყო და რვაზე მთლად გაწითლებული რობერტოს კისერზე ჩამოეკიდა. მაშინათვე ორივემ ემილიასთან გასწიეს. უკანასკნელმა რობერტო ნათესავსავით მიიღო. დალიასგან რობერტოს შესახებ იმას იმდენი რამ ჰქონდა გაგონილი, რომ რობერტო ეხლა თავისიანად მიაჩნდა. რობერტოს ემილიას ბრძანებით ერთი სხვადა სხვა იარაღებით მორთული ოთახი მოუშადადეს მალლა სართულში. მეორე დღეს ემილიამ რობერტოს სიტყვა ჩამოუგდომის „მომავლ განზრახვაზე“, ესე იგი სხვა სიტყვით, როდის აპირობდა დალიაზე ჯვარის დაწერას. რობერტომ უპასუხა, შხავარ ეხლავე ჯვარი დავიწერო, მაგრამ ქონებრივად იმდენად შეეწროებული ვარ, რომ ოჯახს ჯერ ვერ შევინახავო. მოგება წინედაც არა მქონია-რა და სიცილიის ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებამ ხომ სულ გამაღარიბაო:

— ნუ თუ რავდენისამე ასი ფრანკის გულისათვის ბედნიერებაზე უარს იტყვით?—უთხრა ემილიამ.

— არა, უარს კი არ ვიტყვი,—მიუგო რობერტომ:—მაგრამ დროებით გადავდებ; შეიძლება წლით ან ორი წლით, სანამ ცოტა არ მოელონიერდები.

— ერთი წლით! ორი წლით!—წამოიძახა ემილიამ:—საუკეთესო დრო უნდა დაკარგოთ! ოხ, სიყმაწვილე, სიყმაწვილე; რა ცოტა ფასს სდებს მას, რაც სიცოცხლეში საუკეთესოდ არის ჩასათელელი! ყური მიგდეთ, რობერტო! დალია ღვიძლ შვილსავით მიყვარს; ქვეყანაზე ჩემი ძვირფასი ერნესტოს სიკვდილის შემდეგ აღარავინ დამრჩენია. თუ გინდა, მე ყოველ წლივ

სიკვდილამდინ სამიათას ფრანკს გაგიჩენთ, და სიკვდილის შემდეგ ერთ ჩემ მამულს ანდერძით დაგიმტკიცებთ.

რობერტომ მოხუცს პატივისცემით ხელზედ აკოცა.

— გულით გმადლობთ, მაგრამ თქვენი საჩუქრის მიღება კი არ შემძლია; მე ჯანსაღი ვარ, ყმაწვილი და ამიტომ უფლება არა მაქვს, სხვისი ჯიბით ვიცხოვრო საპყარივით. ვერავინ ვერასოდეს ვერ იტყვის, გარიბალდის აფიცერი მოწყალეობით ცხოვრებსო.

ემილია ბევრს არწმუნებდა რობერტოს, ეჩიხინებოდა, მაგრამ რობერტო თავისაზე იდგა.

ბოლოს, მოხუცმა ეშმაკობა იხმარა, რის გამოც რობერტოს კეთილშობილური თევზოყვარეობის შეუბღალავად მათი ჯვარის დაწერა მოახდინა; იმან რობერტოს უთხრა:

— თქვენ ჩემი ფულების აღება არ გინდათ, მაგრამ უარს ხომ არ იტყვიით სამსახურზედ, რომელიც პატიოსნად ლუკმის შოვნას შეგაძლებინებთ?

— რასაკვირველია, არ ვიტყვი, თუ კი ჩემ ცოდნას შეესაბამება! — მიუგო რობერტომ.

— ძალიან კარგი! ვეცდები, მოგიხერხოთ. გარიბალდის აფიცერი ულუკმა-პუროდ არ უნდა დარჩეს.

რამდენისამე დღის შემდეგ ემილია მილანიდან გახარებული დაბრუნდა. მან უშოვნა რობერტოს მშვენიერ ხელოვნებათ მუზეუმში ზედამხედველის ადგილი. ეს მუზეუმი იმყოფებოდა ბრერას წიგნთ-საცავთან, რომელიც ლომბარდიის სატახტო ქალაქის ერთ-ერთ მშვენიერებად ითვლებოდა. ეს ალაგი ახალგაზდა მხატვრის გემოვნებას და მისწრაფებას ძალიან შეჰფეროდა. რადგანაც ნებას აძლევდა, თავის ხელობა გაეგრძელებია და აგრეთვე ოჯახიც რიგიანად შეენახა. რობერტომ მაშინათვე მიიღო ეს ალაგი; ჯვარის საწერად მათ ხელს აღარაფერი უშლიდა; ქორწილი ერთი თვის შემდეგ დანიშნეს.

ჯვარის-წერის რამდენისამე დღის წინად, რობერტო თავის ძველ ქალაქებს სჩხრეკავდა; ეს ქალაქები დალიამ გადმოიტანა იქიდან, სადაც ისინი ლაშქრობაში წასვლამდინ ერთად



ცხოვრობდნენ. ერთბაშად მისი ყურადღება შავი ზორნითი კრულმა გამტვერიანებულმა ძველმა ქალაქებმა მიიქცია.

— ნეტა რა უნდა იყოს?!—ფიქრა მან, გახსნა და რამდენიმე ძველი წერილები ნახა ლურჯ ქალაქზე, რომელსაც ოცი წლის წინედ ხმარობდნენ; კიდევ რალაც ანგარიში, თითქოს ძიძისგან, რადგანაც იქ აღნიშნული იყო სახვევები, პერანგები, საბნები და ბავშვის სხვა-და-სხვა ნივთები.

— ამას აქ რა უნდა?—ეკითხებოდა ის თავის თავს:—უთუოდ დაავიწყდა ვისმეს.

რადგანაც ამ ქალაქებს არავისთვის განსაკუთრებითი მნიშვნელობა არს ჰქონდა, ბუხრის თავზე შეაგდო რობერტომ და უეჭველია, მეორე დღეს ცეცხლში შეაგდებდა. მაგრამ ამ დროს ოთახში გაბრწყინებული დალია შემოვიდა, მას მოსდევდა ემილიაც.

ორივე მომავალი მეოჯახეობის საქიროების მოსალაპარაკებლად მოვიდნენ. რობერტომ ყოველივე თავის ცოლს და ემილიას მიანდო; ამიტომ მასთან მოსალაპარაკებელი აღარა იყო-რა. მხოლოდ დალიას თავისი საქმროს ნახვა უნდოდა. რობერტო ამას მიხვდა და გაუბა მუსაიფი; იმის სიტყვებს თითქმის ყურს არცკი უგდებდა და მისი ლამაზი ტუჩების მოძრაობით სტკებოდა. გრაფის ქალი გვერდით იჯდა, იღიმებოდა და დრო-გამოშვებით თანხმობის ნიშნად თავს აქნევდა.

ერთბაშად ემილიას სახე აენტო; თვალები ერთ მხარეს მიაპყრო და ხელებიც იქით მიაშვირა.

— რა დაგემართათ?—ჰკითხეს რობერტომ და დალიამ.

— ეს ვინ მოგვცათ?—აკანკალებულის ხმით იკითხა მან.

— რა ვინ მოგვცა?

— ეს წერილები?

— ჰო, წერილები,—უბასუხა რობერტომ:—სწორედ არ ვიცი. დარჩებოდა ვისმე. შენ ხომ არ იცი, დალია?

დალია წამოდგა და წერილები ჩამოიღო; ემილიამ მაშინათვე გამოჰგლიჯა და აკანკალებულის ხელებით სწრაფად ფურცლა დაუწყა.

— ეს თქვენსა საიდან გაჩნდა?—აღელვებით ჰკითხა მან ორივეს.

— ეგ დედა-ჩემს ჰქონდა!—უთხრა დალიამ.

— დედა-შენს? საიდან იცი?—ჰკითხა გაფითრებულმა ემილიამ, რადგანაც დალიას სიტყვებს სრულიად სხვა მნიშვნელობა მისცა.

ეს წერილები და ანგარიშები ემილიას საკუთრება იყო; ის სწერდა მათ თავის ქალის ძიძას, და ეხლაც ერთიც და მეორეც მშვენივრად გაიგო.

— მე ეს ბიძა-ჩემმა, კაპიტანმა ბერნარდომ მითხრა. დედინემის სიკვდილის შემდეგ პატარა ყუთი დარჩა ქალაღლებით; ბიძა-ჩემი ამ ყუთს თვალის ჩინისავეთ უფროთხილდებოდა და ხშირად გადაიკითხავდა ხოლმე... თქვენ რაღა დაგემაართათ, ბატონო?

გრაფის ქალს ხელები პირზედ მიეფარებინა და სტიროდა. ყოველივე ექვი გაქრა; მის წინ მისი ღვიძლი ქალიშვილი იდგა; ბერნარდო მისი მამა იყო და მას კიდევაც უცვნია ის თავის ქალიშვილად. ბერნარდოს და, რომელიც დალიას დედად აცხადებდა თავის თავს, არც ბერნარდოს და ყოფილა, არც დალიას დედა; ის იყო ერთი მათხოვარი, რომლის ხელშიაც შემდეგ პატარა ქალი ჩავარდნილიყო.

ემილიას სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა; ის ეცა დალიას და დაუწყო კოცნა თვალებში, ლოყებზე, შუბლზე, ტუჩებში და თან სტიროდა. ის დიდხანს გონს ვერ მოსულიყო.

დალია და რობერტო ყოველ გვარ საშუალებას ხმარობდნენ მის დასამშვიდებლად, მაგრამ ეს მათთვის ძნელი იყო, რადგანაც მათ სრულიად არ ესმოდათ ემილიას ასე მოულოდნელი ზედ მეტი მგრძნობიერება. და ვერც გაიგეს, რადგანაც ემილიამ თვისი საიდუმლო საფლავში ჩაიტანა. და მათ კი არა გაუმჟღავნა-რა. ამის შემდეგ ხუთმა წელიწადმა გაირბინა. ემილია გარდაიცვალა; როდესაც მისი ანდრეძი ნახეს, ყველა მისი ნათესავი კინაღამ გულს შემოასკდა; მთელი თავისი მამული ეანდერძებინა დალიასათვის ***, რომელიც წინედ მკერვალი

იყო და ეხლა კი ბრერის მუზეუმის სამხატვრო განყოფილების ზედამხედველის ცოლი.

ამ ანდერძმა ყველაზე უფრო დალია და რობერტო გაანცვიფრა. რობერტო აუარებელ სიმდიდრის პატრონი გახდა, მაგრამ თავისი ძველი ჩველებები არ დავიწყებია. მთელ თავის შემოსავალს თავის ამხანაგ გარიბალდიელებს ახმარს, რომლებიც იტალიის განთავისუფლებისათვის ომმა დაამახინჯა. მოულოდნელმა სიმდიდრემ მხოლოდ ის ცვლილება შეიტანა მის ცხოვრებაში, რომ მხატვრობის სიყვარულის გარდა მას მეურნეობის სიყვარულიც აღეძრა. ყოველ ზაფხულს ის მილიოდა მილანიდან კომოს ტბის ნაპირს, პატარა აგარაკში, რომელიც სოფელ ალბეზედან რამდენიმე კილომეტრის სიშორეზედ არის. ეს ის სოფელია, სადაც გახლავთ სამიკიტნო თავის წმიდა ეპისკოპოსი კარლოს ბორომეოთი.

რობერტომ აქ ვენახი გააშენა, ყვავილები დათესა და დარგო, გააკეთა ხეივნები—ერთის სიტყვით, განახორციელა ის ოცნებები, რომლებითაც თავს იქცევდა რამდენისამე წლის წინედ, როდესაც სამიკიტნოს სარკმელიდან ამ აგარაკს გაჰყურებდა. ერთად-ერთი განსხვავება მაშინდელი ოცნებისა და ეხლანდელი სინამდვილეს შუა იმაში მდგომარეობდა, რომ იმისი ბალის ყვავილებში და ამწვანებულ ვენახში ორი პატარა ყმაწვილი დაცქრილობდა—ესენი მისი ვაჟიშვილები იყვნენ. უფროსს ერნესტო ერქვა და უმცროსს—ვალენტინო.

სიკვდილი გვირისა

ცის ქუხილივით გაისმა
სოფლად სიკვდილი გვირისა,
რომ ვერ უშეკლა ექიმმა,
ზის და ჩუმადა ტირისა.
ვერც მკითხავენმა უშეკლეს
ვედრებამ იმათ ზირისა.
მიზეზს რად ეძებთ სხვა-და-სხვას —
დღე — წერს იყო იმისა.
«ათსუს რა ჯონგა წაიქცა!»
უკელა ამას ჩივისა.
ცრემლი აწვიმა მთაზედა
ტურფამ ცისკარმა დილისა...
კუბოს ფიცრებიც ითლებს
მისრიათ ქალის შვილისა.
დრო ჩამოუგდო შტრის ტუვიამ
გაუღვიძარის ძილისა.
ურჯულს გაუნარდება,
ლამქარში ვედარ ივლისა.
თავს რომ დაატყო — ვკვდებიო,
ჯალათთ ანიშნა ხელითა,
რომ გაუეწანათ კარზედა
ახჯარ-ახჯარით მთელითა.
სულის დაღვევა გარეთა
წესია ძველის-ძველითა.
ჯერ თავად წამოიწია,

იდაუებს იდგამს სვეტად.
 სიკვდილსაც არა ჭნუბდება:
 კერზობა ჭქონდა წესდა.
 უნდა ხმლითა სცას მტარფაღსა,
 თუ კი მოუვა ხელადა;
 უჩინარია, ვის ებრძვის?..
 სული ამოჴდა ეელადა.
 თავის მომრევი ვაჟკაცსა
 არვინ ეგონა ჭვეუნადა:
 უგვირს, რომ ძალმა უჩინმა
 დაჴბნა მეტის-მეტადა;
 მტერი სცემს, ზისუხს ვერ აძლევეს,
 მონას რასმე ჭგავ ქლესსა.
 მტრის ჴავრს არა სჴმს მხოლოდ მით,
 არ გაავრებს კვნესასა.

მამა ამკაცრებს როსტია,
 გული წაჭსულია დედასა.
 ეურჩა შეილი მახუნსა,
 მამას არ აძლევეს ნებასა:
 ვერ იტანს ვაჟკაცის ფიქრი
 გულზე ხელების კრეფასა.
 სიკვდილო, კარგის მოკვდიისთვის
 ნეტავ, ვინ გეტუვის ჭებასა!?.
 ბერიძის დისა ტირილი
 სახთლად დაქნთო ჴეტასა.
 აუღო მთელი მთა-ბარი
 ქალთაშვის მოთქმა-კვნესასა.
 დაიჭრა თმები გიშრისა
 ათეულის ჭგავ კრებასა.
 ცოლის გულსაც ჭხვდა ლახვარი,
 თუმც ტირილს ვერა ჭბედავსა.
 ხუმად იტირებს ბუნავი,

როცა არავინ ჰხედავს.
საღვთო ჩვეულება დიდია:
დევის ჰგავ რკინის მკენეტავსა..

დერეფანში წევს ბერიძე,
თვალ-დახუჭული, მკვდარია.
მშობელი ქვეყნის დარაჯი
მთკვდა და აღარ არია.
ზირ-ნათლად მივა სულეთსა,
სადც იმის წინაპარნია,
რომ არ უმტეუვნა, ასრულა
გმირმა გმირული ვაღია.
მკერდზე დაწვევს იმისი
თოფი, ფარი და ხმაღია,
თავით დაუღვეს ხანჯარი,
ხმალ-შეუვალი რვაღია.
ფეხთით უდგია ლურჯაი
ერთ უბურავ ლაგმის ტარია.
ტოტს უცემს, ელის ბატონსა,
დაუგვიანდა მგზავრია.
დედ-მამას ანდერძს უწირავს:
«მანშეს მიეცით ხმაღია,
სხვის ხელში ნუმც მკეულება,
ღირსი სხვა არავინ არია.
ხანჯარი — ფუნჩაიშვილსა,
ის კარგი შეამარია.
ფარი და ჯაჭვი — ლეგასა,
ჯერ ომში შაუვაღია.
ვინაც ზირველად მიუხდეს
ბატონის აარაქმასა,
ვინაც კი ამოაშხამებს
თათარს ცოდვების ჭამასა,
ჩემ ცხენი იმასა ჰეუანდეს,



ხელ იმან უსვას გაფასა.
 ალალი არი იმაზე,
 ხურც თქვენ დაუწებთ დავასა.
 თოფი—ელიზბარს, ჭრილობით
 მე მკონაჲ იუთს ავადა.
 ვინც ჩემს იარაღს იხმარებს
 ერთგულად, დაუმტდარადა,
 ცოცხალიც ვამბობ, მკვდარიცა:
 დამერთმა ახმაროს ალლადა.
 ვეკლავს შრომამც იქნება
 მშობელი ქვეყნის წამლადა.
 ეს სთქვა და გაქრა, როგორაც
 შანდალში ნამწვი სანთლისა.
 ვენაცულე იმის ბიჭობას,
 ჭირივე იმის გამდლისა!..
 საგძალი მისდევს შავეთსა
 აქ მოხვეჭილის მადლისა.
 შაჭირვებულა სოფელი,
 ძენსა სჭირდება ბადლისა.
 ვაი, რომ ცუდი ბეურია,
 ხოვანა ძნელია კარვისა!

გაუბ-ფშაველა



დაგონებულნი

რომანი ბოლშევიკთა ცხოვრებიდან

ავ. ვაზოვისა

XV

მოულოდნელი შეხვედრა

ოგნიანოვი ჩრდილოეთის მხარეს წავიდა, ბალკანის ხეობისაკენ. უკვე დაღამდა. ველს ბნელი ზეწარი გადაეფარა. ოგნიანოვი მონასტერს უკან მოუარა, ავიდა ხშირ-ტოტიან კაკლებით დაფარულ სერზე, გასცდა აქაურობასაც, გავიდა უშველებელ ლოდებ ქვეშ ხტუნვით მომდინარე პატარა წყალზე და, ბოლოს, ბალკანის ხეობაში შეჰყო თავი, საიდანაც თვით ეს წყალი გამოდიოდა.

ოგნიანოვი ფათურით დაადგა ალაგ-ალაგ გაფუჭებულ საცაღფებო ბილიკს, რომელზედაც მარტო დღისით თუ შეეძლო კაცს უხიფათოდ ევლო. მოაგონდა, რომ ამ ნახევარ წლის წინად ამავე ბილიკით დავეშვი მთიდან და ბაი მარკოს სახლში მივიპარეო. სიბნელემ სულ დაფარა ხეობა და ოგნიანოვი უჩინარ შეიქმნა. დიდის წვალებით მიბობლავდა გზაზე ამართულ ქვებზე. ვისმე რომ ენახა ამ დროს ოგნიანოვი ამ უდაბურს ალაგს, იტყოდა, ამ საშიშ კლდე-ღრეში, უეჭველია, მხეცი თუ იქმნება, თორემ აღამიანს აქ რა უნდოდაო. ერთბაშად ხმაუ-

*) იხ. „მოამბე“ 1899 წ. № IV.

რობა მოესმა ოგნიანოვს; ეს ხმა წისქვილისა იყო. მაშინ უფრო თამამად და გულმაგრად გასწია იქითკენ, საითკენაც ეს ხმა მოდიოდა. მალე, სიბნელით მოცულ ხეობაში ოგნიანოვმა პაპა სტოიანის წისქვილის სახურავი გაარჩია და ერთს წუთს უკან მის გვერდით იდგა კიდევცა.

პაპა სტოიანი ჭიშკართან მოეგება.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა აჩქარებით და შეშინებულის სახით ოგნიანოვმა.

— მადლობა ღმერთს. არა უშავს-რა.

ამ პასუხმა ერთბაშად დაამშვიდა ოგნიანოვი. იმას ეშინოდა, ალბად როგორმე წიაგნეს ორ ოსმალოს მკვლელების კვალსა და პაპა სტოიანმაც იმიტომ მიხმო ასე გვიანაო.

— არაფერი, მაპატივე, ბატონო მასწავლებლო, რომ შეგაწუხებ და აქ მოგიხმე, მაგრამ რა მექნა, სხვაფრივ არ შეიძლებოდა.

ამის თქმაზე პაპა სტოიანმა ხმას დაუდაბლა და დასძინა:

— მინდოდა ჩვენის ბიკენტისათვის დამეძახნა, მაგრამ ახლა იმას აცივებს და ავადაა. ამის ფიქრში რომ ვიყავი, ისე ხრისტიუმ, ჩვენმა ყმაწვილმა, შენი მითხრა, მონასტრის ახლო დავინახეო, — ეთქვი, მოდი, მასწავლებელს მოვიხმოზ, ეს უკეთესი იქმნება-მეთქი. მაპატივე, მასწავლებლო.

ოგნიანოვი მოუთმენლად ელოდდა, რას მეტყვის ეს კაციო.

— კარგი და, არ მეტყვი, რა საქმე გაქვს? — ჰკითხა მესამეჯერ ყმაწვილმა კაცმა.

— მაშ იმ ყმაწვილს არაფერი ჰკითხებ?

— არა.

— ჰოო, მე კი მეგონა, ჰკითხე-მეთქი! ფუი, შეარცხვინა ღმერთმა, მე აკი დაეარიგე, თუ რამე გკითხოს, ყურში ჩუმად უჩურჩულე-მეთქი. აი, რა საქმე გახლავთ, მასწავლებლო. — მოხუცმა სულ დაუდაბლა ხმას.

— მეგობარი მოვიდა.

— ვინ მეგობარი?

— ჩვენი კაცია.

— ჩვენი კაცი?

— ჰო, ხალხის მოკეთე.

— ვინ არის, რა გვარია?

— არ ვიცნობ. მთიდან დაეშვა და პირდაპირ ჩემთან მოვიდა. პირველად შემეშინდა: ყაჩაღი არ იყოს-მეთქი, ვიფიქრე... უნდა გენახა, რასა ჰგავდა საცოდავი! ფეხები სულ გაჭთიჩხებოდა... მერე მითხრა, ხალხის მოკეთე ვარო.

— ხომ არ უთქვამს, ვინ არის ან სადაურია?—ჭკითხა საშინლად გოცნებულმა ოგნიანოვმა.

— ვკითხე, მაგრამ ის-ლა მითხრა, ოსმალებს გამოვექეცი და ბალკანზე დავეშვიო.

— ხომ არაფერი გთხოვა?

— მთხოვა, როგორ არა. ერთი ნაჭერი პური მთხოვა, ოთხი ღვინო, პირში ნაწილი არ ჩამიშვიაო. გარდა ამისა, ისა მთხოვა, ვინმე ხალხის მოკეთე მოიხმე, მინდა ვუთხრა რამეო. მაშინათვე ის ვიფიქრე, დიაკვანს მოვიხმობ-მეთქი. მაგრამ მომაგონდა, რომ იმას აციებდა და გადავსწყვიტე შენთან გამომეგზავნა კაცი, ბატონო.

— ძალიან კარგად გიქნია, პაპა სტოიანო.

— მაპატივე, რომ ასე უდროვო დროს შეგაწუხე.

— რას ამბობ, პირიქით მაღლობელი ვარ შენი. აბა, მაჩვენე შენი სტუმარი.

— ფარდულში მყავს დამალული, გამოძევი და გაჩვენებ. და პაპა სტოიანმა ოგნიანოვი წისქვილში წაიყვანა.

ბნელოდა.

○ ანთო ლამპა, ბოიჩო ჯერ კედელსა და წისქვილის ქვას შუა გაატარა, შემდეგ ორ ბედელს შუა და გაჩერდა ერთ პატარა კარის წინ. ამ კარის თავი დაფარული იყო ახლად გახეულის ობობას ქსელით, რაიცა ჰმოწმობდა, რომ ეს კარი დიდხანს უნდა ყოფილიყო დაკეტილი.

— როგორ, ის აქ არის დამალული?

— რას გაიკვირე? თუ რძის ქურქელს თავი კარგად აქვს დაფარებული, კატა რძეს ვერ ამოსვლევავს... ასეა, განა, მასწავლებლო?

ეს რომ სთქვა, პაპა სტოიანმა კარი დააკაკუნა და დაუ-
ძახა:

— ბატონო, გამობრძანდი!

კარი გაიღო და იქიდან კაცი გამოვიდა.

უცნობი დაბალი ტანის ყმაწვილი კაცი იყო, ხმელ-ხმელი, ქერა, მეტად გამხდარი სახისა, წვერი დიდინის მოუპარსავი ჰქონდა, თვალეში სიცოცხლე ეტყობოდა. ოგნიანოვს ელდა ეცა, ასე საცოდავად მიკნავებული და დასუსტებული კაცი რომ დაინახა. მეზავრს თეთრი ტილოს ტანისამოსი აკანკალებულ ტანზე მიჰკროდა და ისე შემოჰგლეჯოდა, რომ ხორცი უჩანდა.

შეხედა თუ არა, ოგნიანოვმა, მაშინათვე იცნო და გაოცებით წამოიძახა:

— მურატლიისკი!

— კრალიჩი!

ორმავე მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და მხურვალედ გადაჰკოცნეს.

— როგორ, შენა ხარ? საიდან?—ჰკითხა ოგნიანოვმა თავის წრის ამხანაგს მურატლიისკის.

— მე? მაგრამ შენ ვილასა გხედავ? მართლა კრალიჩი ხარ?

კრალიჩი მობრუნდა, მიიხედ-მოიხედა და სტოიანს უთხრა, რომელიც უნძრეველად იდგა მათ წინაშე და ლამპარი ეჭირა:

— პაპა სტოიან, ლამპარი გააქრე და ჰიშკარი მიხურე. მაგრამ არა: აქედან გავიდეთ. წყლის ხუილისაგან ერთმანეთის ნათქვამი არ გვესმის.

პაპა სტოიანი წავიდა წინ, ჰიშკარი მიჰკეტა და უთხრა:

— თქვენ ილაპარაკეთ და მე კი დავწვები. როცა თქვენც მოგინდეთ ძილი, შემოდით და, როგორც მოახერხოთ, ისე დაწვეით.

ხეობა სულ სიბნელეში იყო გახვეული, მაგრამ კლდე, პირიქით, მთვარისაგან კარგად იყო განათებული. ოგნიანოვმა და მისმა ამხანაგმა სულ ბნელი ადგილი აირჩიეს და ერთ დიდ ქვის ქვეშ დასხდნენ, დაკლაკნილ და ჩუმად მოდულუნე წყლის მახლობლად.

— მოდი, ძმაო, კიდევ გადავხევიოთ ერთმანეთს, — უთხრა გრძნობით ოგნიანოვმა.

— მითხარ მალე, კრალიჩ, აქ რამ მოგიყვანა? მე ისევ დიარბეჭირის სამოთხეში მეგულებოდი!

— შენა, შენ კი ჯერ არ ასულხხარ სახრჩობელაზე? — სიცილით ჰკითხა კრალიჩმა.

შინაურულად დაუწყეს ერთმანერთს ლაპარაკი... ერთნაირი ბედი და ტანჯვა-წვალება ადამიანს ადამიანთან ახლოვებს, თუნდაც ძალიან უცნობნი და შორეულნი იყვნენ ესენი ერთმანერთისთვისა. ხოლო ბოიჩო და მურატლიისკი ერთმანერთის ძმები იყვნენ ხმლითა და აზრითა.

— აბა, სთქვი, — განაგრძო მურატლიისკიმ. — შენ უფრო შორეული ადგილებიდანა ხარ მოსული, პირველად შენი ჯერია. დიარბეჭირიდან როდის დაბრუნდი?

— შენ გინდა გაიგო, როდის გამოვიქეცი?

— როგორ? გამოიქეცი?

— მაისშივე.

— მერე ისე როგორ მოახერხე, რომ გზაში ხიფათს არაფერს წააწყდი? რომელ გზით მოხვედი?

დიარბეჭირიდან ფეხით რუსეთის სომხეთამდე მიველ, იქიდან კავკასიაზე გავიარე, კავკასიიდან — რუსეთში, ქალაქ ოდესაში ჩამოვედი, — აქ რუსები მიწყობდნენ ხელს. ოდესიდან გემით ვარნაში მოვედი. იქიდან მთა-მთა ტროიანოს სოფლებში ჩამოვედი; და, ბოლოს, სტარაია-გორაზე გავიარე და ბელაია-ცურკოვში მოვედი.

— კარგი და, რაღა ბელაია-ცურკოვი აგირჩევია?

— საცა არავის ვიცნობდი, იქ წასვლისა მეშინოდა. ხოლო საცა ნაცნობები მყვანდნენ, არ ვიცოდი, რა დაემართათ, ცოცხლები იყვნენ, ან არა. სწორედ ამ დროს მომაგონდა, რომ ბელაია-ცურკოვში მამა-ჩემის საუკეთესო მეგობარი და მეტად პატიოსანი კაცი სცხოვრობდა. თან, დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ ამ კაცის მეტი არავინ მიცნობდა; თვითონ ის კაციც ვერ მიცნობდა, მე რომ არ გამოვცნაურებოდი.

— რა კარგია, რომ მაშინათვე გიცანი! აქა რჩები?

— ჰო, აქა ვრჩები. მამა-ჩემის მეგობარმავე მიშველა და მასწავლებლობა მაშოვნინა, და ჯერ, მადლობა ღმერთს, შიში არაფრისა მაქვს.

— მაშ შენ მასწავლებელი გახდი, კრალიჩ?

— ოფიციალურად—მასწავლებელი ვარ, ჩუმაღ კი ჩემს ძეგლს საქმეს ვაკეთებ.

— ჰმოციქულობ, არა?

— ჰო, ხალხს ასაჯანყებლად ვამზადებ...

— თქვენი საქმეები როგორ-ღაა? ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ.

— ახლა კარგადაა. ხალხი მეტის-მეტადაა ატეხილი, ნიადაგი მეტად მკვიდრია: ბელაია-ცერკოვი ლევსკის ერთი ბუდე-თავანი იყო.

— ეს კარგი. თქვენი გეგმა მოქმედებისა როგორი-ღაა?

— გეგმა ჯერ არ შეგვიმუშავებია. ჯერ თეორიულად ვემზადებით, მერე თვითონ დრო გვაჩვენებს, როგორ მოვიქცეთ. ხალხის მღელვარება დღითი-დღე იზრდება აქაცა და ახლო-მახლო სოფლებშიაც: ადრე თუ გვიან, ხალხი აჯანყდება, თავს მალლა აიღებს.

— ეაშა, კრალიჩ! ყოჩალი ხარ!

— ახლა შენი თავგადასავალისა მიაამბე!

— რა გიამბო, აკი იცი ყველაფერი... სტარაია-ზაგორაში ისე დავმარცხდით, რომ გერცხვენია ადამიანს პირდაპირ თვალში შეეხებდოთ...

— არა, არა, თავიდან დაიწყე; იმ დროიდან მოჰყევი, როცა ჩვენი წრე დაიქსაქსა და ჩვენ ერთმანერთს გავშორდით. რვა წლის განმავლობაში, რაც ხანი დიარბეჟირში ვიყავ დამწყვდეული, არა გამიგია—რა არც შენი და არც სხვებისა.

მურატლიისკი ქვაზე გაიშხლართა, ხელები თავ ქვეშ ამოიღო და, ასეთს მოსვენებულს მდგომარეობაში მყოფი, დიდ ხანს ამბობდა თავისს თავგადასავალსა. მის ნათქვამიდან კრალიჩმა გაიგო, რომ ის მონაწილეობას იღებდა სოფლის შეთქმულობაში და მაშინ დიმიტრი ობშჩის სახელით დადიოდა. მერე

ორხანის ფოსტის გაძარცვის საქმეში ისიც ერია. იმის შემდეგ სატუსალოში ამოჰყო თავი და მხოლოდ რაღაც სასწაულ მოქმედებით დააღწია თავი დიარბექირსა ან სახრჩობელას. აქედან რუმინიაში გაიქცა, წელიწადნახევარი დაძროდა და შიმშილსა და წყურვილს ებრძოდა; რუმინიიდან ისევ შემოვიდა ბოლგარეთში სარევოლიუციო წრის ერთის მიდნობილობის ასასრულებლად, ისევ ჩაავდო თავი განსაცდელში და მისი ბედი, როგორც, საზოგადოდ, ყოველ აგიტატორის და „საქვეყნო საქმისათვის თავდადებულისა“, უფრო ხშირად ბეწვზე კიდებულა. ამ გაზაფხულზე ძველს-ზაგორაში ამოუყვია თავი და გატაცებით შესდგომია ხალხის მომზადებას ასაჯანყებლად. ამ დროს აჯანყება მოხდა კიდევცა. მაგრამ საქმე სამწუხაროდ გათავდა. თვითონ მურატლიისკიც მსუბუქად დასჭრეს ოსმალებმა ელხოვოსთან მომხდარს შეტაკებაში. ისიც, ოსმალების მეძიებელთა და თვით ბოლგარელ გლეხთა მიერ დევნილი, სტარაია-გორაზე ავიდა, აქ ბოლგარებს თავის სარევოლიუციო ტანისამოსის*) ნაცვლად გლეხურ სამოსელსა და პურსა სთხოვდა, მაგრამ ყველა უარს ეუბნებოდა. ამნაირად ათის დღის განმავლობაში დაძროდა ბალკანებში და თავის თავს ათასგვარ განსაცდელში ავდებდა. საშინელმა შიმშილმა მოუჭირა და იძულებულ შეიქმნა მთიდან ძირს ჩამოსულიყო და პირველ შეხვედრილ ცოცხალ ადამიანისათვის საქმელი პური ეთხოვნა. მისდა ბედად, ეს კაცი პაპა სტოიანი გამოდგა: მურატლიისკიმ აღელვებულის ხმით უამბო თავის ამხანაგს, მეწისქვილე მეტად კარგად დამიხვდა, ეს იყო პირველი ადამიანი, რომელიც ძმურად მომექცა მას შემდეგ, რაც მე ბალკანებში დავიწყე იქიანაქეთ წოწიალიო.

მურატლიისკი გააჩუმდა. მდინარე მის ფეხებთან მიშხუოდა. მაგრამ გარშემო იღუმალეება იყო გამეფებული, ჩამი-ჩუმი არსაიდან ისმოდა. მეორე ნაპირას ბუმბერაზი ხალი კლდეები, მთვარით განათებულები, უტყვ მოწმებსავით იდგნენ. მხოლოდ

*) აჯანყების დროს ბოლგარელებს სხვანაირი ტანისამოსი ეცვათ.

ღამის ნიავი იღუმალგებით სავსე სახით აშრიალებდა მათს ზევიდან ამოღულ ჯაგნარსა და შამბსა.

ოგნიანოვი აღზნებით ისმენდა თავის ამხანაგის თავგადასავალსა. მასთან ერთად იმანაც გამოსცადა ყოველი შიში, ტანჯვა, მწუხარება, გაცრუება იმედისა... და გულს უკლავდა ისა, რომ რევოლიუციონერების დამარცხებაზე ხალხმა სულმდაბლობა გამოიჩინა და სათანადო თანაგრძნობა არ გამოუცხადა თავის მოკეთებებსა. კრალიჩს რცხვენოდა ამ ხალხის მაგიერ, სინიდისი სტანჯავდა. ახლა ძმურად თანაუგრძნობდა მურატლიისკსა და უნდოდა როგორმე ეშველნა მისთვის, დახმარებოდა, ტანჯვა შეემსუბუქებინა.

— ახლა რასა ფიქრობ, რა უნდა გააკეთო?—ჰკითხა ბოიჩომ.

— ისევ რუმინიაში წავალ, მხოლოდ შენ ტანისამოსი და პასპორტი მიშოვნე სადმე.

ოგნიანოვი დაფიქრდა.

— იქ რა უნდა გააკეთო?

— დავიცდი ცოტას... მერე ისევ სარევოლიუციო მზადებას შევუდგები... ხომ იცი... ჩვეულებაა...

— ჯერ თავი დაანებე; ვერა ხედავ, ძლივსაა სუნთქვე, ჯერ უნდა მოკეთდე, სული მოითქვა. აქ დარჩი.

— დასამალავად?.. თოკით რომ დამბა, არ დავიცდი! ნება-ყოფლობითი დამწყვდევა არ მინდა.

— დამალვა საჭირო არ არის!—უთხრა ოგნიანოვმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ.

— როგორ?

— ქალაქში ივლი ჩემსაგით თავისუფლად და ჩემთან ერთად იმუშავებ.

— დიდის სიხარულით... მაგრამ ხომ არ გადარეულებარ, კრალიჩ? პირველსავე დღეს სატუსალოში ამომაცოფინებენ თავსა. ფანრებით დამეძებენ.

— ისინი მხოლოდ მემამოხეთა და ბოლგარებს დაეძებენ.

— მე კი ვინღა ვარ?—ჰკითხა მურატლიისკიმ და გაიცინა.

— ფოტოგრაფის ხელობა დაიწყე. ფოტოგრაფი ხომ მშვიდობის მოყვარე კაცად არის ცნობილი. თან, ვიტყვი, ავსტრიელიაო.

— არ მესმის, რას მეუბნები.

ოგნიანოვმა გაიღიმა, სიბნელეში ჩაუკვირდა მურატლისკის სახეს და განაგრძო:

— მაიმუნს დასეზავებინარ, ისე გაგზრდია წვერ-ულვაში, ხვალ სალამოს ჩემთან წაგიყვან და გაგპარსავე. მხოლოდ ნიკაპ-თან დაგიტოვებ ცოტას. ხომ თანხმა იქმნები?

— თანხმა ვარ, მერე?

— მერე ულვაშებსაც გაგპარსავთ.

— ულვაშებსაც შენი ქირი წაუღია, — უთხრა ლიმილით მურატლისკიმ.

— მერე გაგავერობიელებთ: გუშინ რუმინიიდან ერთი მეგობარი მოვიდა და იმას თავისს ძველს ნემეცურს ტანისა-მოსს გამოვართმევ შენთვის; რკინის გზის კონდუქტორის ქუდიცა მაქვს, სირმა შემოვლებული, იმას თავზე დაიხურავ და მაშინ: „გუტ მორგენ, მაინ ჰერ!“*)

— რა გაეწყობა, ავსტრიელი გაეხდები, მაგრამ ფოტო-გრაფად როგორ გამხდნი?

— როგორა და ფოტოგრაფიული მანქანა ვექმნება. ამ სამის წლის წინად აქა სცხოვრობდა სააგიტატორო აზრით ფოტოგრაფი ან—ი. როცა აქედან მიდიოდა, თავისი გაფუ-ქებული ფოტოგრაფიული აპარატი ჩემს კარგს მეგობარს, ნეტკოვიჩს, დაუტოვა. როგორც იქმნება, მანქანას შევაკეთებთ, რაც საჭირო იარაღია, ვიყიდით და ჩვენს პატიოსანს ბელო-ცერკოველების სახეებს გადიღებ.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ფოტოგრაფობა სიზმრა-დაც რომ არ მინახავს!

— ისწავლი. შეიძლება, ვისმე თვალები გაუფუქო, ცხვი-რი უფრო დიდი გამოუყვანო, ვიდრე აქვს, პირი მოუღრიცო,

*) გერმანულია: „გამარჯობა, ბატონო“.



სახე სულ დაუმახინჯო, მაგრამ, ბოლოს, ხელობასაც ისწავლეს და ოსტატი გახდები.

— ეს კი იცოდე, პირველად შენზე ვცდი.

— ბატონი ბრძანდები.

— ბოლგარულიც უნდა დავიეიწყო, განა?

— თავი ისე უნდა მოიკატუნო, ვითომ არც კი იცოდე შენს დღეში ბოლგარული... მხოლოდ გერმანულად ან ჩეხურად უნდა ილაპარაკო; ჩეხური ენა ჩვენს ენას უფრო მოჭავს და შენს ნათქვამს ათში ერთს მაინც გაიგებს მუშტარი; ცოტახანი რომ გაივლის, ზოგიერთ ბოლგარულ სიტყვებს დამახინჯებულად ისწავლი. ჩეხური ხომ არ დავიწყნია?

— შენს შემდეგ ერთი წელიწადი ვცხოვრობდი ქ. პისეკაში...

— ეს უკეთესია, ამიტომ რომ ის ავსტრიელი პასპორტი, რომელიც ჩვენა გვაქვს, ჩეხის, ვილაც იაროსლავ ბრზობეგუნიოკის სახელობაზეა გამოტანილი.

— როგორ? იაროსლავ ბრზობეგუნიოკი?

— ჰო, მშვენიერი სახელია ჩეხურად. შენზე ზედგამოჭრილია ეს სახელი, ამიტომ რომ შენ მართლა რომ ბრზობეგუნიოკი*) ხარ: ფეხით შემოიარე მთელი ნახევარი ბალკანეთის ნახევარ კანძულისა. ასე და ამ გვარად, დობრი მურატლისკი ამიერიდან და უკუნისამდე იწოდებოდეს იაროსლავ ბრზობეგუნიოკად, ავსტრიელ ჩეხად, რომელსაც ზურგზე მოკიდებული ჰქონდა ვითომ და ექნება ფოტოგრაფიული აპარატი!

ეს რომ უთხრა, ოგნიანოვმა ქუდი მოიხადა და დაიძახა:

— ცტენი პანე იაროსლავე, პროსიმ ეას აბისტე ფოტოგრაფოვალი მნე? **)

— ველმი დობეე, პანე იანე!***)—უპასუხა იმავე ხუმრობითის კილოთი მურატლისკიმ.

*) „ბრზობეგუნიოკ“ ჩეხურად მწევარს და, საზოგადოდ, მსწრაფლ-მავალსა ჰქვია.

**) ეს ფრაზა ჩეხურია, ნიშნავს: „პატივცემულო ბატონო იაროსლავ, გთხოვთ ჩემი ფოტოგრაფიული სურათი გადაიღოთ“.

***) „ძალიან კარგი, ბატონო იან (ივანე)“.

— ჩუმაღ! მე ახლა ივან კრალიჩი არა ვარ; აქ ბოიჩო ოგნიანოვის სახელით მიცნობენ. ეს კარგად დაიხსოვებ!

— შენ მაინც მოგებულნი ხარ... შენ ჩემსავით ხამად არა გრძნობ თავსა. აჰ, პანე იანე, პანე იანე...

— პანე ბოიჩო! ახლა არ გითხარი ჩემი სახელი?— შეაწყვეტინა ლაპარაკი ოგნიანოვმა, — შენ, როცა იქმნება, დაძლუპავ შენის გულმავიწყობითა... კარგად გახსოვდეს შენი როლი, პანე იაროსლავე.

XVI

მკვდრები აღაშარაკდნენ

მეორე დღეს, ინათა თუ არა, ოგნიანოვი ქალაქში წაიდა. გასცილდა ბალკანის ხეობას და მონასტერს ჩაუარა. მონასტრის წინ მინდორზე წინამძღვარი დასეირნობდა თავშიშველა. ამ ადგილის დილის სიმშვენიერითა სტკბებოდა ბერი და თან იყნოსავდა სუფთა ცხოველმყოფელს ჰაერს ბალკანისას. შემოდგომაზე აქ ბუნება განსაკუთრებულად მშვენიერია, მშვენიერია ხეების დაოქრვილი ფოთლები, ხავერდის მსგავსი ფერდები ბალკანისა, რომელიც ნაზად ფერმკრთალისა და სევდიანის სახით სანეტაროდ გამოიციქირება.

ოგნიანოვი და წინამძღვარი ერთმანერთს მიესალმნენ.

— ჭეშმარიტად მშვენიერი ადგილებია, მამაო, აქ, — უთხრა ოგნიანოვმა, — თქვენ ბედნიერი ხართ, რომ ასეთს ბუნებაში სცხოვრობთ და თავისუფლად შეგიძლიათ მისის ღვთაებრივის სიმშვენიერით დასტკბეთ. თუ როდისმე ბერად შედგომა განვიზრახე, მარტო ამ მარად მშვენიერ ბუნების გულისათვის შევდგები ბერად.

— ფრთხილად იყავ, ოგნიანოვო, მოციქულობიდან*) ბერობაზე არ გადახვიდე; მაშინ რამდენისამე საფეხურით დამ-

*) ოსმალეთის მონობისაგან განსათავისუფლებელ აზრების მქადაგებლებს ბოლგარიაში „მოციქულებს“ ეძახდნენ.



დაბლდები. ისევ შენს საქმეს უერთგულე. გარდა ამისა, შენ არც კი მივიღებ ჩემს მონასტერში; შენ ურწმუნო ხარ და თვით მამა იეროთესაც ხელს ააღებინებდი სარწმუნოებაზე; — ხუმრობითის კილოთი დასძინა წინამძღვარმა.

— ეს მოხუცი ვილა არის? — იკითხა ერბაშად ოგნიანოვმა.

— მეტად კეთილმორწმუნე და პატივსაცემი ბერია, ძალიანა ჰგავს ღმერთს საბაოთს, მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს: ფულებს მიწაში ჰმარხავს და უღპება... რამდენჯერ გვითქვამს, ღირსო ძმაო, რამე საზოგადო საქმეს შესწირე ეს ფულებიო, მაგრამ ყოველთვის თავს ისე დაიჭერს, ვითომ არც კი ესმის ჩვენი ნათქვამი... ასე რომ ახლა როცა გვინდა ვისიმე გაუგებრობა აღვნიშნოთ, ვიტყვით: გაუგებარია, როგორც მამა იეროთეო... მაგრამ შენ ეს მითხარ, ასე აღრე სადა ყოფილხარ?

— ჰაჰა სტოიანის წისქვილში გავათიე ღამე.

წინამძღვარმა გაოცებულად შეხედა.

— ქალაქში დარჩენისა ხომ არ გეშინოდა?

— არა, წისქვილში მე ერთი ამხანაგი მომსვლოდა და იმან დამიბარა.

და ოგნიანოვი მურატლიისკის შეხვედრის ამბავს მოუყვა.

— კარგი და რატომ მონასტერში არ მოხვედით ორივე? — უსაყვედურა წინამძღვარმა: — უეჭველია, ხორბლით სავსე ტომარებზე დაიძინებდით.

— ჩვენ, როგორც რევოლიუციონერები, ყველაფერს შევეჩვიეთ.

— ღმერთმა გაკურთხოთ!... უეჭველია, იმასაც მონათლავდით; რა სახელი დაარქვით?

— იაროსლავ ბრზობეგუნევი.

მამა ნათანაილმა გაიცინა.

— თქვენ, მოციქულები, მეტად კადნიერი ხალხი ხართ! უფრთხილდით იმ ადგილს, კოკა წყალს ყოველთვის ვერა ჰზიდაეს, ერთხელაც იქმნება, გატყდება.

— თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, ღმერთი ჩვენცა გვწყალობს, ხელს არ აღებს აგრეთვე აბრაგებსაც, — უთხრა მრავალმნიშვნელოვანის სახით და ღიმილით ბოიჩომ. — ბიჭოს, შენ ყარაბინის თოფიც მოგიტანია თანა? — წამოიძახა ოგნიანოვმა, როცა ხეზე მიყუდებული თოფი დაინახა.

— ამ დილას რომ ავდექი, ვთქვი, მოდი ერთი ვცდი, როგორ ისვრის-მეთქი... დიდ ხანია, არ მისვრია... შენ ხალხი გამირყვენი და მთელი დღე თოფის სროლა გაქვს გამართული მონასტრის წინ... მგონი, მკვდრებსაც კი მოანდომოთ თოფის სროლა, არამცთუ მე, ძველს ცოდვილს...

— არც ცუდსა შერები, მამაო წინამძღვარო, რომ ისევ მოგინდომებია თოფის სროლა.

ამ ლაპარაკში რომ იყენენ, ორივე იმ წისქვილს მიუახლოვდა, სადაც ორი ოსმალო იქნა მოკლული. ოგნიანოვს ისევ მოაგონდა ის საშინელი და დაუფიწყარი ღამე.

ამ წისქვილის ნახვამ სახე საშინლად დაუმანჭა ოგნიანოვს.

წისქვილი თავმინებებული იყო, მთლად შამბს დაეთარა. გარშემო შემოკრულს მშვენიერს ბუნებას სრულებით არ ეხამებოდა მისი მოღუშული სახე და უფრო საფლავს აგონებდა ადამიანსა.

ამ დროს ქურდულად მოუახლოვდა მუნჩო, გაჩერდა და თავისი ბრიყვული თვალეზი ოგნიანოვს დააშტერა. უაზრო და იდიოტურ სახეზე რალაც უცნაური ღიმილი შეუთამაშდა. მის თვალეზში შიშის იხატებოდა, მეგობრობაც და გაოცებაცა. ყველა ეს გრძნობები, ბოიჩოს რომ უყურებდა, მაშინ ებადებოდა. შარშან მუნჩომ ერთის ოსმალოს ჟანდარმის წინაშე წაჰმადს შეაგინა, ჟანდარმმაც იმდენი სცემა, რომ კინალამ სული არ ამოართვა. მას შემდეგ მისს შერყეულს ჭკუა-გონებაში მხოლოდ ერთი გრძნობა, ერთი აზრი დარჩა — საშინელი სიძულვილი ოსმალთადმი. ამიტომ, როცა შემთხვევით დაინახა, რომ ოგნიანოვმა ორი ოსმალო მოჰკლა და იქვე თხრილში ჩაჰფლდა, გაუკვირდა მისი ვაჟკაცობა, თანაც შეეშინდა და გულში პატივი და სიყვარული ჩაენერგა ამ ყმაწვილისა. თით-



ქმის სარწმუნოებად გადაექცა. ოგნიანოვს „რუსსიანს“ ეძახდა, — თვითონაც არ იცოდა, რად დაარქვა ეს სახელი. პირველად იმ ლამეს რომ დაინახა, ოგნიანოვისა შეეშინდა, მაგრამ შემდეგ, რაკი ხშირად ხედავდა მონასტერში, შეეჩვია. რომ დაინახავდა, თვალს არ ამორებდა და თავისს მფარველად მიაჩნდა. როცა მონასტრის მუშათაგანი ვინმე აწყენინებდა, „რუსსიანის“ სახელით დაემუქრებოდა: „დამაცა, ყველაფერს რუსსიანს ვეტყვი და თქვენ ყველას დაგხოცაეთო“. მაგრამ ვერავინ მიხვდებოდა, მუნჩო ვიზე ამბობდა. კიდევ კარგი, რომ არავინ იცოდა მისის „რუსსიანის“ ვიანობა, თორემ დაჭლუბავდა თავისს მფარველს: ამ სახელს ქალაქშიაც იმეორებდა ხოლმე. წინამძღვარმა და ბოიჩომ ყურადღება არ მიაქციეს მუნჩოს. ისიც იდგა, თავს ატრიალებდა ჯარასავით და მეგობრულად ილიმებოდა.

— აი, უფროსი ქანდარმი შოდის! — სთქვა წინამძღვარმა.

მართლაც, ქანდარმს ხელში თოფი დაექირა, ჩანთა მხარზე გადაეკიდნა და მათკენ მოდიოდა. სანადიროდ წამოსულიყო.

გასიებულისა და ჩაყვითლებულის სახის ქანდარმი ასე შინ წლისა თუ იქნებოდა. დიდი, წინ-გამოწეული შუბლი და პატარა, ნაცრისფერი თვალები ჰქონდა. სახეზე უძილობა და სიზანტე ეტყობოდა. რომ შეგვხედნათ, იტყოდით, ეს კაცი, აღბად, ოპიუმს ეწყობაო. ქანდარმი მიესალმა, ნადირობის შესახებ ორიოდ სიტყვა სთქვა და წინამძღვარს კარაბინი გამოართვა. გულდადებით გასინჯა, როგორც ყველა ნადირობის მოყვარემ იცის ხოლმე, და უთხრა:

— მამაო, შენი კარაბინი ძალიან კარგი ყოფილა, რა არის, სასროლად ხომ არ მოდინარ?

— მე თვითონ არ ვიცი, შერიფ-ალა... ერთი წელიწადი მეტია, ხელში არ ამიღია, ვიფიქრე, მოდი, ტყუილად მაინც დავცლი-მეთქი.

— აბა, ნიშანში რა ამოიღე? — ჰკითხა ქანდარმმა და თავისი თოფი გადმოიღო, — უნდოდა ეჩვენებინა, მეც კარგად ვიხსერი თოფსაო.

— ა იმ სერს უნდა ვესროლო, — უთხრა წინამძღვარმა; —
ოქ, ხომ ხედავ, ძირხვენას ფოთოლია, ქუდის მსგავსი, ნათხარ
თიხის გვერდით.

ქანდარმა გაოცებულად შეხედა:

— ეს ხომ ძალიან შორს არის!

ეს რომ სთქვა, დაიჩოქა და მთელის ათის წამის განმავლობაში უმიზნებდა.

თოფი გავარდა; ტყვია რამდენისამე ნაბიჯით განზე ასცდა
ნიშანს.

შერიფ-ალას ერთბაშად წამოქარხლებულ სახეზე ოდნავ წყენა
დაეტყო.

— ერთხელ კიდევ! — სთქვა ქანდარმა და ახლა კი მთელი
ერთი წუთი უმიზნებდა. როცა თოფი გავარდა, ქანდარი ზეზე
წამოხტა და თვალები ძირხვენას დააშტერა. მაგრამ ტყვია
ბექობს მიხვდა, მიზანი უფრო განზე დასტოვა.

— დასწყევლა ღმერთმა! — წამოიძახა გულმოსულმა ქან-
დარმა, — მამაო, ძალიან შორსაა, ასე შორს ნიშანში ამოღება
ვის გაუგონია! აბა ახლა შენ ესროლე! მხოლოდ წინდაწინვე
გეუბნები, ტყვია ტყუილად დაიკარგება... ეცადე, ბექობს მაინც
მოახვედრე, — დაუმატა დაცინვის კილოთი.

წინამძღვარმა თოფი მოიმარჯვა, ამოიღო ნიშანში და
ესროლა.

ძირხვენა შეირხა.

— ვერა ხედავ, თოფი კიდევ მემორჩილება! — სთქვა წინა-
მძღვარმა.

— ალალბედზე მოხვდა! — წამოიძახა ქანდარმა; — აბა ხელ-
ახლა ესროლე...

წინამძღვარმა ისევ დაუმიზნა და ესროლა. ტყვია ისევ
მოხვდა ნიშანსა. ქანდარი გაფითრდა. ბრაზმორევით დაიბუზ-
ლუნა:

— შენ, მამაო, თვალი გიჭრის, მხოლოდ ის კი არა მჯე-
რა, რომ ვითომც წელიწადი მეტი იყოს, რაც არ გისროლ-
ნია თოფია... თამამად შეგეძლო თქვენებურ ყმაწვილებისათვის

აი აქ ყოველდღე რომ თოფს ისვრიან, თოფის სროლა გესწავ-
ლებინა...

მერე გესლიანად დასძინა:

— მეტისმეტად აიშვეს თავი. რაღაცა უდევთ გულში...
მაგრამ, საცა იქნება, ფეხს წაატეხენ...

ქანდარმმა ზიზლით სავსე თვალეები ახლა ოგნიანოვს მია-
შტერა.

მუნჩო აქამდე კარგა მოშორებით იდგა, განზე, მაგრამ
ახლა უნდა გენახათ, როგორ გამოიცივალა! რაღაც უსაზღვრო
შიშმა და მხეცურმა სიბრაზემ საშინლად დაუმანჭა სახის ნაკე-
თები. ქანდარმს მუქარით უყურებდა, პირდაღებული და ხელ
გაშლილი, მსგავსად იმ ადამიანისა, რომელიც ემზადება ვისმე
ექვეროს. ქანდარმი მაშინაღურად მოპრუნდა? მისკენ და ზიზლ-
მორევით შეხედა. სულელ მუნჩოს უფრო უარესი სიშმავე გა-
მოეხატა თვალეებში და დაიბლავლა:

— რუსეიანი შენც ჩავადრძობს!—და შეაგინა. ქანდარმს
ბოლგარული ცოტა ესმოდა, მაგრამ მუნჩოს ბურტყუნს ვერც
თავი გაუგო და ვერც ბოლო.

— ეს პირუტყვი რასა ბლავის?—ჰკითხა მან წინამძღვარს.

— ნუ გეწყინება, ბატონო, განა შენ თითონ ვერა ხედავ,
ვინც არის?

— ვერ უყურებ, როგორ გაშმაგდა მუნჩო? ოოცა ქალაქ-
შია, უფრო ჭკვიანად უჭირავს ხოლმე თავი,—შენიშნა ბოი-
ჩომ.

— განა არ იცი? ყველა ძაღლს თავის ეზოში აქვს დიდი
გული!

ამ დროს შორიდან ერთი მშვენიერი მეძებარი გამოჩნდა,
ზურგზე შავი წინწკლები ასხდა, ტყავის საყელო ჰქონდა, რომელზედაც
გაწყვეტილი თოკი ეკიდა; პირდაპირ იქითკენ მირ-
ბოდა, სადაც წისქვილი იდგა.

ყველამ ყურადღება მიაქციეს.

— გზა დაჰკარგვია; ალბად მონადირენი სადმე ახლოს
არიან,—სთქვა წინამძღვარმა.

ოგნიანოვს მისდა უნებურად გააჟრჟოლა.

ძალღმა წისქვილთან მიიღბინა, უსუნა ზღურბლს და ფეხით ფხაჭუნნი დაუწყო, თან საცოდავის ხმით ყმუილს მოჰყვა. ოგნიანოვს უარესმა ჟრუანტელმა დაურბინა.

— ახ, ემექსით ფეხლივანის, რომ მოჰკლეს, იმის ძალღია! — დაიძახა ჟანდარმმა.

ოგნიანოვმა მაშინათვე იცნო ეს ძალღი. წისქვილს გარშემო ურბენდა, მიწასა სთხრიდა და ყმუოდა. მერე, თავისი სველი ტუჩი მალღა აიშეირა, თითქმის იქ მყოფთა სთხოვღა, შემომხედღეთო, და ბრაზიანად ყფღას მოჰყვა. მისი ყფღის ხმა ოგნიანოვს გულში ლახვარიღით ესობღდა. წინამძღვარი გაშრა, როცა ოგნიანოვს შეხედღა. ჟანდარმი მთელს ამ სურათს გაშტერღებული უყურღბღდა.

ძალღი თან იმათ უყურღბღდა და თანაც ჰყეფღდა და ყმუოღდა. ერთბაშად ოგნიანოვს ეძღგრა. ყმაწვილი კაცი გაფითრღდა და უკან გადახტღა, ამიტომ რომ ძალღი მგელსაღით გაღღმღსღდა.

მაშინათვე სატღვარი იძრო და იმით დაიწყო მოგღრღბღა გახელღებულის პირუტყვისა. წინამძღვარი ამოღღ ცღღღღბღდა ბოიღოსათვის ძალღი მოღღშორღბინღ.

ჟანდარმი ხმას არ იღღბღდა და ისე უყურღბღდა ამ სცენას. რაღღაც იკვიანისა და ბოროტის თვღღით უტკქერღდა ოგნიანოვსა და მის სატღვარს. მაგრამ როცა დაინახღ, ოგნიანოვმა შეიძღღღბღა მოჰკლღს ძალღიო, ჰაერია და პირუტყვი მოაშორღ. მერე მოუბრუნღდა ოგნიანოვს, მთღღად გაჰარხღღებული და ქშენით უთხრღ:

— ბატონო, ძალღმა რატომ აგრე შემოგღტიათ?

— ერთხელ, არ მახსოვს საღ, ჰვა დღღვარტყი, — უბასუხღ ვითომ და გულგრიღღად ოგნიანოვმა.

ჟანდარმმა უნღღღღღ შეხედღ, თითქო რისამე შეტყობღ უნღღღ კიღღღღღ. აშკარა იყო, რომ ოგნიანოვის პასუხმა ვერ დააკმაყოფიღღა.

რაღღაც ღღღღ იკვი შეუღღღღ. მაგრამ გაღღსწყვიტღ, ამის შესახებ მერე ვიფიქრღბო. თავი ისე აჩვენღ, ვითომ ოგნიანოვის პასუხი საფუძღღღღღღღღღღღ სცნო და უთხრღ:

— დიად, ამ ჯიშის ძაღლები მეტად გულღვარძლიანები არიან.

მერე გამოემშვიდობა წინამძღვარს და ბალკანის ხეობაში მიიმალა.

ძაღლმა კული აიშვირა და თავის ახალს პატრონს გამოუღვა.

— განა არ მოგიკლავთ ეს წყეული?—გაოცებითა ჰკითხა წინამძღვარმა.

— ცოცხალ-მკედარი იყო, რომ ღარში ჩაეგდე, აქ ჩაიღრჩობა-მეთქი, მაგრამ, საუბედუროდ როგორცა ხედავთ, გაცოცხლებულა!—წაიდუღუნა ოგნიანოვმა.—სტოიანს ტყუილი კი არ უთქვამს ჩემთვის, სხვა ძაღლებთან ერთად უნდა დაგვემარხნა ესეცაო. ნეტავ ვიცოდე, რა ეშმაკმა მოიყვანა ეს ოხერი შერიფი აქ! უბედურება სწორედ მაშინ უნდა დაატყდეს კაცსა, როცა არც კი ფიქრობს ამაზე.

— სხვები მაინც ხომ მოჰკალი კარგად? ძაღლსავით კი არ გაცოცხლდეს რომელიმე მათგანი?—ჰკითხა საყვედურის კილოთი წინამძღვარმა.—როცა აღამიანი ასეთს საქმეს ჰკიდებს ხელსა, მანამდე არ უნდა დაანებო თავი, სანამ ბოლომდე არ მიხვალ... ნეტავი არ იქნება, ღმერთმა ხიფათს აგვაცდინოს!... ოსმალებმა ჩვენი გავრცელებული ხმა დაიჯერეს, ახლა კი ვნახოთ, რა იქნება...

სანამ წინამძღვარი ამას ეუბნებოდა, ოგნიანოვმა თვალი იმ ადგილს მიაშტერა, სადაც ოსმალები იყვნენ დამარხულნი. ახლა ამ ალაგს ქვების ბეჭობი გაკეთებულა. გაუკვირდა და თავის ვაკვირვების მიზეზი წინამძღვარსაც გაუზიარა. წინამძღვარმა დააშოშმინა: იქნება. სულ უბრალო მიზეზით გაჩნდა აქ ეს ქვებიო. არც ერთმა არ იცოდა, რომ მუნჩო აქ ყოველდღე მოდიოდა, თან იწყევლებოდა და თანაც ქვებს აყრიდა ოსმალების საფლავსა; ამ ნაირად, ბოლს, მთელი ბეჭობი აღიმართა.

ოგნიანოვმა ხელი გაუწოდა.

— სად მიდიხარ?

— მშვიდობით, მეჩქარება, წარმოდგენის გამართვაში ვუ-
 რევივარ და აუარებელი საქმე მაქვს. ამ წყეულმა ძაღლმა, ლა-
 მის არის, ჩემი როლი დამაეიწყოს.

— შენ ვისი როლა გაქვს?

— გრაფისა.

— გრაფისა? მერე და შენი საგრაფო სადლაა?—გაეხუმრა
 ბერი.

— დიარბეკირის ციხე, და ვისაც უნდა, იმისთვის მიჩუ-
 ქებიია...

ესა სთქვა და ოგნიანოვი ბერს მოშორდა.

XVII

წ ა რ მ ა დ გ ე ნ ა

დრამა „მრავალტანჯული გენოვიევა“, რომელიც სალამოს
 უნდა ეთამაშნათ სავაჟო სკოლაში, ბევრ ახალგაზდა მკითხვე-
 ლებს არც კი წაუკითხავთ. ოც და ათის წლის წინად კი ამ
 დრამასა და მასთან ერთად „ალექსანდრიას“ „თვალთმაქც ბერ-
 ტოლდის“ და „მიხაილს“ ხშირად სდგამდნენ სცენაზე და აღ-
 ტაცებაში მოჰყავდათ მაშინდელი თაობა. ამ დრამის შინაარსი
 მოკლედ ასეთია. ერთი გერმანელი გრაფი სიგვერდილი მავრების
 წინააღმდეგ საომრად წავიდა ისპანიაში. ცოლი კი, ახალგაზ-
 და გენოვევა, მეტად მწუხარე და სასოწარკვეთილი დასტოვა.
 გრაფი წავიდა თუ არა, მოვიდა მისი მოურავი გოლოსი და
 გრაფის მეუღლეს ქმრის ღალატი სთხოვა. ცოლმა საშინლად
 იწყინა ასეთი წინადადება და მოურავს ზიზლით უარი უთხრა.
 გული მოუეიდა გოლოსს, ადგა და მოჰკლა გენოვევის ერთგუ-
 ლი მოსამსახურე დრაკი, თითონ გრაფის ცოლი ბნელეთში
 ჩააგდო და გრაფს კი წერილი მისწერა, დრაკსა და შენს ცოლს
 ერთად მოვასწარიო. ამ ამბით გაშმაგებულმა გრაფმა უბრძანა
 მოურავს, ჩემი მოღალატე ცოლი სიცოცხლეს გამოასალმეო.
 მაგრამ გენოვევის მოსაკლავად გოლოსისაგან გამოგზავნილ კა-



ცებს შეეცოდათ გრაფის ცოლი და მთაში წაიყვანეს; იქ ერთ გამოქვაბულში დასტოვეს ღვთის სინაბარად და გოლოსს კი ამბავი მოუტანეს, გრაფის ცოლი, შენის ბრძანებისამებრ, მოეკალითო. განვლო შვიდმა წელიწადმა. გრაფმა ომი ვერ მოიგო და შინ დაბრუნდა. გენოვევას სასახლეში ერთი წერილი დაეტოვებია, რომელიც ქპარს ჩაუვარდა ხელში და ამ წერილიდან ვაიგო, რომ ჩემი ცოლი უდანაშაულო ყოფილაო და ტირილი დაიწყო, რად დავლუბე ასე უდროვოდ საწყალი ქალიო. გოლოსს მაშინათვე ხუნდები გაუყარა ხელფეხში, და ისიც სინიდისის მხილებისაგან ჭკუაზე შესცდა. მერე, გულიდან დარდი გადავიყაროვო და გრაფი მთებში წავიდა სანადიროდ. აქ შემთხვევით წააწყდა თავის ცოლს და მის ვაჟს, რომელსაც მშველი ძუძუს აწოვებდა. ორმავე ერთმანეთი იცნეს, გაიხარეს და სასახლეში დაბრუნდნენ.

ეს გულბრყვილო და გულის ამაჩუყებელი სცენები საშინლად მოსწონდათ ქალაქში ყველა მოხუცსა და ახალგაზდა ქალებს ზღვრულად ახსოვთ გენოვევის შესახებ დარჩენილი ლეგენდა. ზოგმა კი მთელი დრამა ზეპირად იცოდა.

აი ეს იყო მაზეზი იმისა, რომ ამ წარმოდგენას მოუთმენლად მოელოდა საზოგადოება. ამ წარმოდგენას უნდა გამეზიარებინა ნირ-შეუცვლელი ცხოვრება ბელო-ცერკველებისა.

ყველას უნდოდა წარმოდგენას დასწრებოდა. დიდ ტუზის ქალები მდიდრულს ტანისამოსს იმზადებდნენ, ღარიბი ქალები კი ნაქსოვებსა ჰყიდდნენ და ბილეთებსა ჰყიდულობდნენ, რომ მერე ის ფული მარილისა ან საპონის სასყიდლად არ დაეხარჯნათ. ყველას სალაპარაკო საგნად წარმოდგენა გახდომოდა და დროებით ქორებსაც კი დაანებეს თავი. ბებრები ერთმანეთს ეკითხებოდნენ ეკკლესიაში: „გენო, საღამოზე „გენოვევას“ საყურებლად ხომ წახვალ“? და ყველანი ემზადებოდნენ, გენოვევის ტანჯვას რომ გაიგონებდნენ, ეტირნათ. სახლებში დიდის სიამოვნებით ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, ვინ რა როლს ითამაშებსო, და ერთმანეთს სიამოვნებით უამბობდნენ, გრაფის როლს ოგნიანოვი ითამაშებსო. ცბიერისა და მერე გა-

გიყებულის გოლოსის როლი ფრატიუმ აიღო, რომელსაც სა-
'მინლად უყვარდა სხვა-და-სხვა თავგადასავლიანი როლები (უფ-
რო დიდი შთაბეჭდილება მოვახდინო მაყურებლებზედაო და
ერთი თვე მეტი თმა გაუკრეკავი დაჰქონდა). ილია ლიუბო-
პიტნიმ მოსამსახურე დრაკის როლი აიღო და დღეში ოცჯერ
მანც იმეორებდა იმ ადგილს, საცა გოლოსი ხმლითა ჰკლავს.
მგრე გრაფის ძაღლის როლი უნდა ეთამაშნა და რამდენი ეწვა-
ლა, ყეფა ესწავლა კარგად. გენოვევის როლი ჯერ დიაკონ
ბიკენტისათვის უნდა მიეცათ, რომელსაც დიდი თმა და ნაზი
ფერი ჰქონდა, მაგრამ რომ გაიგეს, სცენაზე სასულიერო პირს
გამოსვლა არ შეუძლიაო, ამ როლისათვის სხვა იშოვეს. ახალს
მსახიობს უღვაშები რაღაც თეთრის სითხით გაუგლისეს. მეო-
რე ხარისხოვანი როლებიც სხვა მოთამაშეთა შორის გაანაწი-
ლეს.

რის ვაივაგლახით მოაწყვეს დეკორაცია, ამიტომ რომ
ზოგი სად გაუხდათ საშოვნელი და ზოგი სადა. ყველაზე მე-
ტად ფარდის შოვნა გაუჭირდათ და, ბოლოს, რომ ვერსად
რას გახდნენ, აღისფერ ჩითისაგან შეჰკერეს; სთქვეს, რამე ნა-
ხატი უნდა იყოს ზედაო და ერთს სოფლის მხატვარს ჩანგი
დაახატინეს. თივის მისაწოდებელ ორთითის მსგავსი რაღაც
გამოიყვანა მხატვარმა. გრაფის სასახლის დასამშვენებლად, ქა-
ლაქში რაც რამ საუკეთესო ავეჯი იყო, ყველაფერს თავი მოუ-
ყარეს.

ტანისამოსი იგივე იყო, რაც სამის წლის წინად „ქენინა
რაინას“ წარმოდგენის დროსა ჰქონდათ მოთამაშებებს. გრაფმა
სვიატოსლავის სამოსელი მოისხა, ხოლო გენოვევამ—რაინისა.
გოლოსმა რაღაც სამხრულები დაიკერა და ფეხზედაც სამოგვის
პაიჭები ჩაიცვა. განჩო პოპოვმა, რომელსაც განოვევას ერთ-
ერთ მკვლელის როლი უნდა ეთამაშნა, სარეეოლიუციოდ ნა-
ყიდი სატევარი ჩამოიკონწილა. დრაკის როლის მოთამაშემ
მიხალაკი ალაფრანკის დაქექილი ცილინდრი ჩამოიფხატა
თავზე. პოიჩომ ეს შიდტრელი და უგვანი ჩაცმულობა რომ
დაინახა მოთამაშეთა, კკუაში არ დაუჯდა და ბევრი იძახა,

არ ვარგაო, მაგრამ ყური არავინ უგდო. მსახიობთ აიხირიეს, სცენა, რაც შეიძლება, ეფექტური გამოვიდესო, და ბოიჩომაც თავი დაანება, რაც გინდათ, ისა ქენითო.

მზე ჩავიდა თუ არა, თეატრში ხალხმა იწყო დენა. წინა სკამებზე დასხდნენ მოხუცნი და ბეი, რომელსაც ცალკე გაუგზავნეს მოსაპატიებელი ბარათი. მას გვერდით მოუსვენს გრიგოლი დემიანჩო, რომ როგორმე გაერთო. დანარჩენ სკამებზე შიდჭრელი საზოგადოება დალაგდა და ფარდის ახდის მოლოდინში ხმაურობა დაიწყო. ქალებში ყველაზე მეტად გინკა ხმაურობდა. ამან მთელი დრამა ზეპირად იცოდა და მარჯვნივ და მარცხნივ ყველას უამბობდა, გრაფმა პირველად ესა და ეს სიტყვები უნდა სთქვასო. ჰაჯი სმიონი მეორე სკამზე იჯდა და მეზობლებს მოუთხრობდა, თუ რამდენით დიდი იყო ბუქარესტის თეატრი აქაურ თეატრზე, ან ფარდაზე დახატული ორთითები რასა ნიშნავდა. ორკესტრი აღვილობრივ მაწანწალა ბავშვებისაგან შესდგებოდა. უკვე დაწყებული ჰქონდათ რომელიღაც ავსტრიული მარში, ალბად გრაფის ცოლის პატივსაცემლად.

ბოლოს, წარმოდგენის წამიც დადგა. ავსტრიული მარში შესწყდა, აიხადა დანაოქებულის სახის ფარდა. პირველად გრაფი გამოჩნდა სცენაზე. მთელს თეატრში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, თითქო ძეხორციელი არავინ იყო შიგაო. გრაფმა ლაპარაკი დაიწყო, ხოლო სკამზე დამჯდარი გინკა უკარნახებდა. როცა გრაფი რომელსამე სიტყვას გამოსტოვებდა ან გადაასხვავებდა, მოკარნახე დაუყვირებდა: „შეგცდა!“ გაისმა საყვირის ხმა, შემოდინ კარლოს დიდის გამოგზავნილი კაცები და სთხოვენ, მავრების წინააღმდეგ საბრძოლველად იწვევენ. გრაფი ეთხოვება თავის მეუღლეს გენოვიევას და მიდის; ცოლს გული უწუხდება. მოსულიერებული გენოვევა გრაფს რომ ვერ დაინახავს, სტირის. მის ტირილზე ყველახეცინება. მოკარნახე გინკა ისევ უყვირის; „უფრო ძლიერად იტირე! ნუ თუ არ იცი, როგორ უნდა ტირილი?“ გრაფის მეუღლე უარესად ღრიალებს და მყურებლები უარესად ხარ-

ხარებდნენ. ყველაზე ხმამაღლა გინკა იცინის; იძახის: „მე რომ
იქ ვიყუცე, გაჩვენებდით, როგორ უნდა ტირილი!“ ჰაჯი სმი-
ონი დამსწრეთ ეუბნება, სიცილსა და ტირილს დიდი კოდნა
უნდაო, რუმინიაში მიცვალებულების სატირლად განგებ ქირა-
ობენ მომტირალ ქალებსაო. ვილამაც ანიშნა, გაჩუმდით და
იმანაც სხვებს ანიშნა, გაჩუმდითო... სცენაზე გოლოსი გამო-
ჩნდი და ყველაფერი გამოიკვალა. გოლოსი ცდილობს გე-
ნოვევა შეაცდინოს და ქმრისათვის ალაატებინოს. მაგრამ
გრაფის ცოლი ზიზლით უარსა ჰყოფს მისს წინადადებას და
უძახის დრაკსა, რომ ქმართან გაგზავნოს და წერილით ყვე-
ლაფერი შეუთვალოს. შემოდის დრაკი; მისს ცილინდრს
რომ დაინახვენ, ყველას სიცილი აუტყდება; დრაკს შერ-
ცხვა. გინკა უყვირის: „დრაკო, ეს ფრანგული ქოთანი რომ
გხურამს, გადააგდე, თავშიშველა იყავ!“ დრაკმაც დაუჯე-
რა და ცილინდრი გადააგდო. საზოგადოება ისევ ხარხარებს.
მაგრამ სცენას თან-და-თან ტრაგიკული ხასიათი ეძლევა. გო-
ლოსმა სატევარი იშიშვლა, რომ დრაკს გულში გაუტაროს,
მაგრამ სანამ გოლოსი ამას იზამდეს, დრაკი, მოცევილ ბალახ-
სავით, ძირს ეცემა უძრავი და მკედარი. საზოგადოება კმაყო-
ფილი არ არის, ასე სულელურად სიკვდილი ვის გაუგონიაო
და ზოგნი ეძახიან დრაკსა, გაინძერიო. შემოდინ მსახურნი
და მის მცხედარს ფეხით გარეთ გაათრევენ, თავი კი მიწაზე
მისთრევენ. მაგრამ დრაკი გმირულად ითმენს ყოველსავე და
თავს ისე იკატუნებს, თითქო მკვდარიო. გრაფის ცოლს სა-
ტუსალოში აგდებენ.

ერთი მოქმედება გათავდა. ავსტრიული მარში ისევ ვაისმა
ღარბაზში. ყველანი წუნსა სდებენ მოთამაშეებსა და იცინიან.
ქალებს არ მოეწონათ გენოვიევა, მისმა თამაშობამ გული არ
აუჩუყათ, პირიქით, ყველას ეცინებოდა. გოლოსმა თავისი უმა-
ღური როლი გვარიანად ჩაატარა და ზოგიერთ ხანში შესულ
ქალების სიძულვილი დაიმსახურა. ერთი მათგანი მის დედასთან
მივიდა და უთხრა: „ცუდად მოიქცა, ტანო, თქვენი ფრატით,
საწყალმა დედაკაცმა რა დაუშვა ისეთი?“



პირველ სკამზე დამიანი გრიგორი იჯდა და ბეის დაწვრილებით უხსნიდა პირველ მოქმედების შინაარსს. თავისმა მჭერმეტყველებამ ისე გაიტაცა, რომ უამბო ერთის ფრანგების ელჩის ამბავი, რომელმაც თავისს ცოლს ლალატისათვის თავი დაანება. ბეი გულმოდგინედ უგდებდა ყურს და, ბოლოს, იფიქრა, მოთამაშე გრაფი—ფრანგების ელჩაო და წარმოდგენის გათავებამდე ელჩადა სთვლიდა.

— ეს ელჩი დიდი ბრიყვი ვინმე ყოფილა,—სთქვა ბეიმ მრისხანედ;—აბა სად გაგონილა, კაცი ასე მოქცეულიყო! ჯერ კარგად უნდა გამოეკიოხნა ცოლისათვის ყველაფერი და მერე მოეკლა. მე თვითონ ქუჩიდან აყვანილს ლოთს სატუსალოში მანამდე არ ჩავაგდებ, სანამ პოლიციელ მიხალასათვის არ ჩავაორთქლიანებ და არ გავიგებ, რომ მართლა მთვრალია.

— ბატონო ბეი,—მოახსენა დამიანმა,—ეს იმისთვის არის ასე დაწერილი, რომ უფრო სახალისო გამოსულიყო.

— დამწერიც ბრიყვია და ელჩი უარესი ბრიყვი ყოფილა. მათს შორიახლო სტეფჩოვი იჯდა და გრაფის საქციელს წუნსა სდებდა.

— ოგნიანოვს,—სთქვა მან მედიდურისა და ავტორიტეტულის კილოთი,—თავის დღეში არ უნახავს თეატრი.

— რაღა გგონიათ? ურიგოდ არ თამაშობს,—ჩაერია ჰაჯი სმიონი.

— მიამუნსავითა თამაშობს, საზოგადოების რიდი და პატივისცემა არა აქვს!

— მართალსა ბრძანებთ, მეც შევნიშნე, საზოგადოების პატივისცემა არა აქვს... ხომ ხედავდით, რა სახით იჯდა ბანჩოლუს დივანზე? თითქო თავადის კუხის ძმა იყო. —უბასუხა ჰაჯი სმიონმა მკაცრად.

— საზოგადოებამ უნდა უსტვინოს.—სთქვა ბრაზ-მორევით სტეფჩოვმა.

— საჭიროა, საჭიროა,—კვერი დაჰკრა ჰაჯი სმიონმა.

— ვინ უნდა უსტვინოს? — წამოიძახა ვილამაც ამავე სკამზე. თანამოსაუბრეებმა მოიხედეს და დაინახეს კაბლეშკოვი.

კაბლეშკოვი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო რევოლიუციონერი. ბელაია-ცერკოვში ერთ ნათესავეთან მოვიდა სტუმრად და შემთხვევით დაესწრო წარმოადგენას.

მომავალ მოციქულის გაცეცხლებული სახე რომ დაინახა, ჰაჯი სმიონს შიშისაგან ფერი ეცვალა; ცოტა განზე გადაიხარა, რომ კაბლეშკოვს დამნაშავე სტეფნოვი დაენახა.

— თქვენ რა გინდათ? — ჰკითხა სტეფნოვმა.

— არა, ვის უნდა სტვენა?

— მე! — უპასუხა ჯიუტურად კირიაკმა.

— შეგიძლიათ, ბატონო, მაგრამ წინასწარ ქუჩაში უნდა გაბრძანდეთ.

— მერე თქვენ ვინა გკითხავთ?

ეს წარმოდგენა საქველმოქმედო აზრით არის გამართული და სცენის მოყვარენი თამაშობენ. თუ თქვენ უკეთესად შეგიძლიათ ითამაშოთ, აბრძანდით სცენაზე, — გაცხარებით უთხრა კაბლეშკოვმა.

— მე აქ ფულს ვიხდი და არ მინდა ვინმე დარიგებას მძღვედეს, — უპასუხა სტეფნოვმა.

კაბლეშკომ თოჯინის წამალსავით იფეთქა. ერთი ბეწო რომ დასცლოდათ, ჩხუბი გაიმართებოდა. მაგრამ ამ დროს მათს ლაპარაკში მიჩნე ბეზადეიტო ჩაერია:

— კირიაკ, როგორ ეკადრება თქვენისთანა ქუჩიანს კაცს... ტოდორჩო, დამშვიდდი...

ამ დროს ავსტრიული მარში შესწყდა. ფარდა აიხადა.

სცენა წარმოადგენს საკანს, პატარა ლამპარით განათებული. გენოვევას ხელში ბავშვი უჭირავს. ეს ბავშვი საკანში შეეძინა. სტირის და ვიწვიშებს. ახლა უფრო მეტი ბუნებრიობა ეტყობა მისს თამაშს. შუალამეა; საკანის სიბნელე, უბედურისა და უმწეო დედის ოხვრა მაყურებლებს გულს უჩუყებს. ზოგიერთ ქალს ცრემლები გამოაჩნდა სახეზე. სიცილსავით, ცრემლებიც გადამდებია. მოტირალთა რიცხვი გამრავლდა,

როცა გრაფის ცოლმა თავისს ქმართან წერილის წერა დაიწყო, თვით მამაკაცთაც კი აუჩვილდათ გული და ცრემლები გადმოსცივდათ. თვით კაბლეშკოვსაც აუჩუყდა გული და ერთს პატეტიულ ალაგას ტაში დაჰკრა. მაგრამ მთელს დარბაზში ბანი არაინ მისცა. ბევრმა შეუბღვირა ამ მოუსვენარ ყმაწვილკაცს, — საუკეთესო ალაგას ხმაურობსო. იენე სელიამლიზმა, რომელიც თვალცრემლიანი სლუქსლუქებდა, საშინელის თვალლებით შეხედა. გენოვევა მთებში მიჰყავთ მოსაკლავად. ფარდა ეშვება. კაბლეშკოვი ხელობლა უკრავს ტაშს, მაგრამ არც ახლა გამოჩნდა მიმბაძველი. წარმოდგენის დროს ტაშის კვრა იმ ხანებში ჯერ კიდევ არა ჰქონდათ ჩვეულებად ბელია-ცერკოვში.

— ძალიან ოხერი ხალხი კი ყოფილა ამ საქმეში გარეული, — ყურში უჩურჩულა ბეიმ დამიანს: — სადა ხდებოდა ეს ამბავი?

— გერმანელების ქვეყანაში.

— გერმანელების ქვეყანაში? ეს გიაურები*) ჯერ არ მიხახავს.

— რასა ბრძანებთ, ბატონო ბეი, ერთი გერმანელი აკი ჩვენცა გყავს!

— უღვაშ მოპარსულს ხომ არ ამბობ, ორი წყვილი თვალი რომ აქვს, ლურჯ სათვალეებიანი?

— სწორედ ის გახლავთ, ფოტოგრაფი.

— ესა? ჰო, კარგი გიაურჯიკია... როცა შემხვდებო, სუყოველთვის ევროპიულად მომიხდის ხოლმე თავსა... მე კი მგონია, ფრანგია-მეთქი...

— არა, ნამდვილი გერმანელი გახლავთ, დრანდაბურელი...

დაიწყეს მესამე მოქმედება. სცენა ისევ სასახლეს წარმომოდგენს. გრაფი უკვე დაბრუნდა ლაშქრიდან, პირქუში და დაღონებული, ცოლის დაუხვედრელობა გულს უკლავს. მოსამსახურე იმ წერილს აძლევს, რომელიც მისმა ცოლმა დასწერა

*) ოსმალები ყველა უცხო ქვეყნის ხალხს გიაურებს ეძახიან.

საკანში მოსაკლავად წაყვანის წინ. გრაფი წერილსა ხსნის. ცოლი სწერდა, გოლოსის ბოროტების მსხვერპლი ვარ, უღანაშაულო ვარ და ყველაფერი მიპატიებია შენთვისაო. გრაფი ხმა-მადლა კითხულობს ამ წერილს და თან სლუჟსლუჟებს, სტირის, სასო ეკვეთება. მაყურებლებიც მისის ცოდვით იწვიან და მასთან ერთად ისინიცა სტირიან, ზოგი ღრიალებს კიდეცა, ბეის ეხლა არა სჭირია გრიგორის ახსნა-განმარტება და ისიც კი სტირის. ხალხის მღელვარებამ უფრო იმატა, როცა გრაფმა ბრძანა, ცბიერი გოლოსი—მიზეზი ჩემის უბედურებისა აქ მომიყვანეთო. გოლოსი თმა-აბურძგნული შემოდის, ადამიანს გულს შეზარავს მისი შეხედვა, ეტყობა, სინილის დაუტანჯავს საშინლად, ფეხებში ხუნდები აქვს გაყრილი. ხალხი წყევა-კრულვით მიეგება. ყველანი გაშმაგებით უყურებენ. გრაფი წერილს უკითხავს. ამ წერილში გრაფის ცოლი სწერს, გოლოსისათვისაც მიპატივებია მისი დანაშაულიო. გრაფი ისევა სტირის, თმას იგლეჯს თავზე, გულზე მჯიღს იცემს. საზოგადოებამ ისევ ქვითინი ამოუშვა. თვით გინკამაც გადმოყარა ცრემლები, მაგრამ ცდილობს სხვები დაამშვიდოს.

— ნუ სტირით, გენოვევა ცოცხალია!

რამდენმამე დედაბერმა პიესის შინაარსი არ იცოდნენ და გოაცებულნი უკან მოიხედეს:

— გინკა, მართლა ცოცხალია? მაშ ვეტყვი იმის უბედურს ქმარს, არ იტიროს, — სთქვა დედაბერმა ნეტგოვიცისამ, ხოლო დედაბერმა ჰაჯი პავლიუვიცისამ სლუჟსლუჟით გრაფს დაუძახა:

— ნუ სტირი, შეილო, ნუ, შენი ცოლი ცოცხალია!

ამასობაში გოლოსი ჭკუაზე შესცდება. საშინელი სახე აქვს, თვალები გადმოუკარკლავს, თმა-აწეწილი ხელებს იქნევს, იმანქება, კბილებს ადჭრიალებს. სინილისი საშინლად ჰქენჯნის; მისს ტანჯვას რომ უყურებს, საზოგადოებას გულს ეფონება. ყველა გახარებულია და ნიშნს უგებს გოლოსს. „ასე უნდა მაგას“, იძახიან ქალები. გენოვევას უსაყვედურებენ კიდეცა, ამისთანა ავაზაკს თავისს წერილში რად აპატივაო. ფრატოუს დედა

საშინლადა სწუხდა, როცა უყურებდა, რომ მისს შვილს ხუნდების სიმძიმე აწუხებდა და საზოგადოებაც მართლა დამნაშავესავით სწყევლიდა.

— დასტანჯეს ჩემი შვილი, შეარცხვინეს!— ამბობდა დედა და თან სცენისაკენ იწევდა, უნდა წაეყვანო ჩემი შვილიო, მაგრამ სხვები არ უშვებდნენ.

ეს მოქმედება მეტისმეტად მოეწონა ხალხს. თვით შექსპირის ოფელიასაც არ აუტირებია ამდენი ხალხი ერთს საღამოს.

უკანასკნელი მოქმედება მთებში სწარმოებს. გამოქვაბულის შესაველთან გამოჩნდება გენოვევა, ნადირის ტყავებით შემოსილი, და მისი შვილი. თხა, რომელსაც ნორჩი ფურცელი აჭამეს, არ გაიქცესო, წარმოადგენს მშველს, რომელიც თავის ძუძუთი ჰკვებავს გამოქვაბულში შეფარებულ დედა-შვილს. გენოვევა თავისს შვილს დაჰყურებს, და საცოდავად მოსთქვამს და მამის ამბავს ეუბნება; მეძებრის ყეფა რომ გაიგონა, გამოქვაბულში იმალება და რქით თხაც მიჰყავს თან. ყეფა უფროდა-უფრო გაისმის. ილია ლიუბოპიტნი ასრულებდა ძაღლის როლს და საზოგადოებას ძალიან მოეწონა, მშვენივრად ჰყეფსო. მერე ისე გულმოდგინედ გააბა ყეფა, რომ ქუჩიდან რამდენმამე ძაღლმა ბანი მისცეს. აჰა, გრაფიც მოახლოვდა, სანადირო ტანისამოსში მორთული, თან მისდევს ამაღა. მაყურებლების სულთქმაც არ ისმის: ყველა მოუთმენლად მოელის, აბა ვნახო, გრაფი როგორ მიეგებება თავისს ცოლსაო. დედაბერ ივანიცას ეშინიან, ვაი თუ გვერდთ აუაროს და ცოლი ვერ დაინახოსო, ამიტომ გრაფს ანიშნებს იმ ადგილს, სადაც გენოვევა არის. მაგრამ გრაფმა დაინახა. მიისწრაფვის გამოქვაბულისაკენ და ყვირის:

— ვინ ხარ, ადამიანი ხარ, თუ მხეცი, გამოდი გამოქვაბულიდან!

მაგრამ გამოქვაბულის მაგივრად დარბაზიდან აძლევენ პასუხს. გაისმა ნელი სტვენა.

ყველანი მობრუნდნენ და გაცემით სტეფნოვს შეხედეს. ამდენი ხალხი რომ დააცქერდა, სტეფნოვი მთლად აენტო.

— ვინ იყო, რომ დაისტვინა?—გაბრაზებით დაიყვირა სელიამლიზმა.

მთელს თეატრში ჩოჩქოლი შეიქმნა.

ოგნიანოვი თვალით დაეძებდა მსტენავსა. მისკენ მიჩერებული კანდიერი სახე რომ დაინახა სტეფნოვისა, ჩუმად უთხრა.

— მაგ გრძელ ყურებს დაგაგლეჯავ!

ხელახლა უფრო მძლავრად გაისმა სტვინვა. ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა.

— აქ მოიყვათ ეგ წუწკი, სარკმლიდან გადავადო,—დაიღრიალა მკაცრად ანგელ იოვკოემა, ერთის მხარის სიმაღლე გოლიათმა. ყველა მხრიდან ყვირილი გაისმა.

— გააგდეთ მსტვინავი!—სტეფნოვ, გარედ გაეთრიე,—ჩვენ აქ სტენისა და ტაშის კვრის საყურებლად კი არ მოვსულვართ,—დაიყვირა სელიამლიზმა, რომელმაც კარგად ვერ გაიგო, თუ რა აზრით უკრავდა ტაშს კაბლეშკოვი.

— კირიაკი აქ შემოსაშვები არ არის!—დაიძახა გულმოსულად გინკამაც, რომელსაც გვერდთ უდგა თვალცრემლიანი რადა.

ჰაჯი სმიონმა ყურში უჩურჩულა სტეფნოვს:

— თუ ღმერთი გწამს, კირიაკ, ნუ უსტვენ... აკი გითხარ, არ ვარგა-მეთქი!.. აქ უბრალო ხალხია, განა შენ თვითონ ვერა ხედავ?

— ეს კაცი რად უსტვენს?—ჰკითხა ბეიმ დამიანჩოს.

დამიანჩომ მხრები შეიშმუშნა. ბეიმ რაღაც წასჩურჩულა პოლიციელს და ისიც სტეფნოვისაკენ გაემართა.

— კირიაკ,—უთხრა ჩუმად პოლიციელმა სტეფნოვს,—ბეიმ გიბრძანა, ქუჩაში გადი და თუთუნი მოსწიე, თუ დარდი გაწუხებს რამეო.

სტეფნოვი დარბაზიდან გავიდა ამაყად, ტუჩებზე დაცინვის ღიმი უკრთოდა. თანაც უხაროდა, ოგნიანოვის თამაშობისა ხომ არაფერი გავაგებებნე ხალხსა, კარგი იყო, თუ ცუდიო!

ის გავიდა და დარბაზში ყველანი დამშვიდდნენ. თამაშობა ისევ განაგრძეს, გრაფმა თავისი დაკარგული ცოლი იპოვნა. გაიმართა ხვევნა, კოცნა, აფრქვიეს კრემლები. მაყურებლებს ისევ აუჩუყდათ გული... სათნოება გამარჯვებული რჩება... გრაფი და იმისი ცოლი ერთმანერთს თავიანთის მწუხარებისა და სიხარულის ამბავს უზიარებენ. დედაბერი პეტკოვიცა ორსავე უძახის:

— წადით, შვილებო, სახლში და იქ ილაპარაკეთ, იმ დაწყველილ გოლოსს კი ნუ დაუჯერებთ...

— შენ თვითონა ხარ დაწყველილი, — ყურში ჩასისინებს თრატიუს დედა.

დედაბერ პეტკოვიცის რჩევა-დარიგება ბეიმაც გაიმეორა, მხოლოდ დაბალის ხმით. ყველას უხარიან, ყველა კმაყოფილია. გრაფს ყველანი თანაგრძნობით უყურებენ. წარმოდგენა სიმღერითა თავდება. სიმღერას გრაფი, იმისი ცოლი და ამაღლა იწყებენ: „გრაფო სიგფრიდ, აწუ გაიხარე!

მაგრამ სასიხარულო სიმღერის ორი ტაეზი არც კი გაე-თავებინათ, ისე სცენაზე სარეგოლიუციო სიმღერა გაისმა:

სიყვარულო, აღზნებულო, გაგვითბე გული,

და ამ გულით ოსმალებს წინ დავუდგებით!

ეს სიმღერა ჯერ ერთმა დააწყო, მერე მოთამაშეთა ერთმა ნაწილმა ბანი მისცა, შემდეგ ყველა მოთამაშეებმა შემოსძახეს, ბოლოს, მაყურებლებიც აპყვნენ მოთამაშეთა ხმას. ყველანი ერთბაშად პატრიოტულმა გრძნობამ აღიტაცა. გამირულმა და ვაჟკაცურმა კილომ ამ სიმღერისამ, მსგავსად უხილავის ტალლისა, აიტაცა მთელი დარბაზი, მოეფინა ყველგან იგი ხმა. გუგუნით გავიდა ეზოში და შორს, სიბნელეში სწყდებოდა... სიმ-

ღერის ხმით გაიქნთა ჰაერი, ყველას გულს უხურებდა, თავ-
 ბრუს ახვევდა. ამ მძლავრმა ჰანგებმა დამსწრეთა გულში ახალი
 სიმი ააქლერა. ვინც კი იცოდა, ქალი და კაცი ყველა მღერო-
 და. ყველანი ერთ არსებად იქცნენ, სცენა და დარბაზი ერთად
 შეერთდა, შეკავშირდა.

— იმღერეთ, შვილებო, იმღერეთ, თქვენის დღეგრძელო-
 ბისა იყოს! — იძახდა ალტაცებული მიჩო.

მხოლოდ ზოგიერთნი მოხუცინი ჩუმად ბუზღუნებდნენ, ნუ
 სულელობთ, რა დროს ამ სიმღერის თქმა არისო!

თვით ბეც კი, რომელმაც ამ სიმღერისა ვერა გაივო-რა,
 სიამოვნებით ყურს უგდებდა. დამიან გრიგორსა სთხოვა, ყვე-
 ლა ტაეპის შინარსი გადამითარგმნეო. სხვა უმაგისო თავ-ტანს
 დაჰკარგავდა და ვერაფერს მოახერხებდა. მაგრამ დამიანი იმათ-
 განი არ გახლდათ, ვისაც მძიმე კითხვაზე პასუხის მიცემა უჭირ-
 დებათ ხოლმე, და იმანაც თავის ჰკუთის ძალა გამოიჩინა. ბეი
 სულ ადვილად გააცურა; ამ სიმღერაში გრაფი თავის ცოლს
 ეუბნება — გაგიყვებით მიყვარხარ, ახლა ასჯერ უფრო მიყვარხარ
 წინანდელზედაო. ამაზე ცოლი ეუბნება: ათასჯერ უფრო მი-
 ყვარხარო... ქმარი ეუბნება: გამოქვამულის ადგილას ეკვლე-
 სიას ავაშენებო. ამაზე ცოლი პასუხს აძლევს: რაც რამ თვალ-
 მარგალიტი მაბადია, ყველაფერი უნდა გავყიდო, ფული და-
 რიბებს უნდა დაეურიგო და ას მარმარილოს შადრევანებს გა-
 ვაკეთებო“...

— ამდენი შადრევნები რაღად უნდა, რაკი მაგეთი გულ-
 კეთილი და სათნო ხასიათისაა, არა სჯობია ხიდები გააკეთოს, —
 სიტყვა გააწყვეტინა დამიანს ბეიმ.

— შადრევნები იმიტომ არის საჭირო, რომ გერმანეთში წყა-
 ლი კოტაა და ხალხი მეტად ბევრ ლუდსა სვამს, — აუხსნა და
 მიანმა.

ბეიმ მოწონების ნიშნად თავი დააქნია.

— გოლოსი სადღაა? — ჰკითხა ბეიმ და ფრატიუს მსახიობთა
 შორის დაუწყო თვალთვლება.

— ის ახლა აქ არ უნდა იყოს.

— შენ მართალს ამბობ... ეს ვაჟბატონი ჩამოხრჩობის ღირსი იყო. თუ კიდევ ითამაშეს, ელჩს უთხარი, ცოცხალი არ გაუშვას. ასე ემჯობინება.

მართლაც და, ფრატეუ სცენაზე არ იყო. საშიშოა სიმღერა დაიწყეს თუ არა, ის მაშინათვე წავიდა, არც კი უნდოდა ხალხის გვირგვინებისათვის დაეცაღნა.

სიმღერა გათავდა და „ვაშას“ ძახილით ფარდა დაეშვა. ავსტრიული მარში ისევ დაუკრეს. ხალხი ნელ-ნელა გამოლაგდა გარედ და დარბაზი დაცარიელდა.

აქტიორები ფარდის უკან ტანისამოსს იცვლიდნენ და მხიარულად ელაპარაკებოდნენ მეგობრებს, რომლებიც მისალოცავად მოვიდნენ.

— კაბლეშკოვ, ე რა სისულელე ჩაიდინე? ერთბაშად დამთხვეულივით სცენაზე ამოიჭერი, ზურგს უკან ამომეფარე და საყვირივით ღრიალი მორთე!.. როგორ არა გრცხვენიან, — უთხრა ოგნიანოვმა და თან სვიატოსლავის ჩექმებს იხდიდა.

— ევლარ მოვითმინე, ძმაო, გული გამიწვრილა შენმა კრემლებმა და წუწუნმა. ხალხი რითიმე უნდა გამოვაფხიზლომეთქი. და აჰა, სცენაზე ამოსვლა გადავსწყვიტე... ხომ ნახე, ხალხი რა გუნებაზე დადგა!..

— მე სულ იმას ვუყურებდი, აცა, რომელიმე პოლიციელი მოვა და ხელს დამავლებს-მეთქი, — გაიცინა ოგნიანოვმა.

— ფიქრი ნუ გაქვს, სტეფწოვი ადრე წავიდა, — უთხრა სოკოლოვმა.

— ბემი გააგდო გარედ, — დაუმატა ფრანგოვმა.

— მაგრამ თვითონ ბეი კი დარჩა, — უთხრა ვილამაც. — მე ვუყურებდი, რა გულმოდგინეთ ყურს უგდებდა... ჯერ, ვინ იცის, რა გადაგვხდება თავს!..

— ბეისა ნურა გეფიქრებათ. დამიანჩო გრიგორი განა ტყუილად იჯდა მის გვერდით? მიხვდა, როგორ უნდა მოეტყუებინა. მაშ დიპლომატის დიპლომი ტყუილად მივეციო!..

— მე განგებ მოვიყვანე და გვერდთ მოვუსვი ბეის, რომელსაც ლაყბობა უყვარს. ნუ გეშინიანთ, ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის, — დააშოშმინა ყველა ნიკოლაი ნეტკოვიჩმა და ტანიდან თხელი ანაფორა გაიხადა მღვდელ დიმიტოსი. ამ ანაფორით შემოსილი გენოვევას მამის როლსა თამაშობდა.

მაგრამ შესცდნენ. მეორე დღეს ოგნიანოვი კონაკში იხმეს.

ოგნიანოვი მიუყვანეს ბეის, რომელსაც მეტად მოღუშული სახე ჰქონდა.

— ბატონო კონსულო, გუშინ საღამოს თქვენ სარევილიუციო სიმღერასა მღეროდითო. მართალია თუ არა?

ოგნიანოვმა ცივი უარი უთხრა.

— მე ჟანდარმმა მითხრა ეს ამბავი.

— ტყუილი მოუხსენებია.

ბეიმ ჟანდარმს დაუძახა.

— შერიფ-ალა, სარევილიუციო სიმღერას როდის ამბობდნენ, ჩემს დროს, თუ ჩემს შემდეგ?

— თქვენ იქა ბრძანდებოდით, ბატონო ბეი, როცა აღკრძალულ სიმღერას ამბობდნენ. ბატონმა კირიაკმა ტყუილი არ იცის...

ბეიმ მრისხანედ შეხედა. საქმე მის თავმოყვარეობას ეხებოდა.

— რას მიჰქარავ? იქ კირიაკი იყო, თუ მე? განა მე ჩემის ყურით არ მესმოდა? განა პატივცემული დამიანჩო სიტყვა-სიტყვით არ მითარგმნიდა ყველაფერს? მერე პატივცემულ მარკოსაც ველაპარაკებოდი ამის შესახებ და იმასაც ძალიან მოეწონა სიმღერის კილო... ასეთი უწყესობა მეორეჯერ არ ჩაიდინოთ! — წაიბურღლუნა ბეიმ გაჯავრებით; მერე მოუბრუნდა ოგნიანოვს და უთხრა: — გვაპატივეთ, ელჩო, შეესცდით. მართლა, იმ ხუნდებ გაყრილს რა ერქვა?

— გოლოსი.

— ჰო, გოლოსი. კარგი იქნებოდა მისი ჩამოხრჩობა გებრძანებინა... ქალის ჭკუას როდი უნდა აჰყვე... ყველაფერი



კარგად იყო, მაგრამ სიმღერა ყველასა სჯობდა, — უთხრა ბეიმ და მიძიმედ წამოდგა.

ოგნიანოვმა თავი დაუკრა და გავიდა.

— მალე სხვა სიმღერასაც გაიგონებ და იმ სიმღერას კი დამიანის დაუხმარებლად გაიგებ, — ჩუბჩულოთ წარმოსთქვა ოგნიანოვმა, ჭიშკარში რომ გადიოდა.

მაგრამ ოგნიანოვი ვერა ხედავდა, რა მრისხანედ და გესლიანად უყურებდა ამ დროს ჟანდარმი.

(შემდგომი იქნება)





მასხარა პამფალონი

ძველებური მოთხრობა

ნ. ს. ლესკოვიას

(თარგმანი)

≠ *)

ოცნებისაგან გამოირკვა პირველად პამფალონი.

შენიშნა, რომ ერმიას სრულიად არავითარი ბარგი არა ჰქონდა.

— სად არის შენი კალათა და გოგრა?

— მე არა მაქვს-რა, — უპასუხა მეუღაბნოემ.

— მაშ, ვმადლობ, ღმერთსა, რომ ამალამ ცოტა რამ ეახ-
შამი მაქვს.

— მე არა მინდა-რა, — უთხრა მოხუცმა. — მე აქ საკმელად
არ მოვსულვარ. მე მინდა გავიგო, რითი ასიამოვნებ შენ
ღმერთსა?

— რას ბრძანებ, რას ბრძანებ, მამაო! ჩემგან რა სიამოვნ-
ება უნდა ნახოს ღმერთმა! მე ეს აზრადაც არ შემძლიან გა-
ვიტარო გულში.

— რატომ არ შეგიძლიან? ყველა ვალდებულია ფიქრობ-
დეს თავის სულისათვის. კაცისათვის ისეთი ძვირფასი არა იქნე-
ბა-რა, როგორც სულის ცხონება. ცხონება კი შესაძლებელი
არ არის, თუ კაცი არა ცდილობს ღვთის სიამოვნებას.

პამფალონმა ჩაიციხა და უპასუხა:

*) იხ. „მოვამბე“ № IV, 1899 წ.



— ოჰ, მამაო, მამაო! მომიტევე, სისწორით უნდა გითხრა, რომ ჩემთვის სასაცილოა შენი ლაპარაკის ყურის გდება. გეტყობა, მართლადაც, რომ დიდი ხანია დაგიტოვებია ქვეყნიერობა.

— ჰო, დიდი ხანია; ოც და ათი წელიწადია რაც მე ხალხში აღარა ვყოფილვარ, მაინც და მაინც, რასაც გეუბნები, არის ჭეშმარიტი და თანხმა სარწმუნოებისა.

— მე მაგაზედ არ აგიხირდები, — უბასუხა პამფალონმა: — მაგრამ უნდა გითხრა, რომ მე დაუდგარი ცხოვრების კაცი ვარ — ხელობითა ვარ მასხარა და ღვთის მსახურებაზედ არა ვფიქრობ. მე დავბტი, ვთამაშობ, ციბრუტივით ეტრიალებ და არ ვიცი რას არ ჩავდივარ, რომ ცოტა რამ ვიშოვნო. აბა მი-თხარი, ამ გვარ ცხოვრებაში მე შემიძლიან კიდევ-ღა ვფიქრობ-დე ღვთის სიამოვნებაზედა?

— მაშ განებე თავი მაგ ნაირ ცხოვრებას, დაიწყე საუკეთესო ცხოვრება.

— ოჰ, მე ბევრჯელა ვცადე ეგა.

— მერე?

— ეტყობა, ბედი არა მქონია მაგაში, მამაო!

— კიდევა სცადე.

— ეხლა გამოცდა ტყუილი-ღა იქნება.

— რაღა?

— აი ამ ცოტას ხანში მე ისეთი კარგი შემთხვევა მქონდა ცხოვრების გასასწორებლად, რომ იმაზე უკეთესი აღარ შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევითაც კი ვერ ვისარგებლე.

— რითი იცი? შენის აზრით იმ შემთხვევაზე უკეთესი აღარ შეიძლება, მაგრამ ღმერთს ყველა შეუძლიან.

— არა, არა! მაგაზე ნულარას მეტყვი. მე ვეღარ გამოეცდი უფალსა, რადგანაც ვერ ვისარგებლე იმის მოწყალებით. მე დავტოვე ჩემი თავი ჯურღმულში და დეე ვგრე დავრჩე.

— მაშა, სჩანს, იმედ-გადაწყვეტილი ხარ შენა?

— არა, იმედ-გადაწყვეტილი კი არა, მე ვარ უზრუნველ-
ლი და მზიარული კაცი.

ერმიან თავი გაიქნ-გამოიქნია და უთხრა:

— მაშ რაში მდგომარეობს შენი რწმენა, მზიარულო და
უზრუნველო კაცი?

— მე მრწამს, რომ მე ჩემით ვერ მოვახერხებ ჩემს გაუ-
კეთესობას, და თუ გამჩენი-ღმერთი მაქცევს შემდეგში უკე-
თესად, მე არ ვიცი. ეს იმის საქმეა.

— რატომ შენ თითონ არ ზრუნავ შენი თავისათვის.

— მე მაგისტვინ არა მცალიან.

— როგორ თუ არა გცალიან?

— აი ესე, მამაო! მე მაქვს დაუდგრომელი ცხოვრება, და
როდესაც მე შევეუდგები ხოლმე ჩემს სულზე ზრუნვას, მაშინა-
თვე რაღაც წუხილი დამაწვება გულზე და უფრო ცუდი იბა-
დება აქედან.

— შენ უცნაურს ლაპარაკობ.

— არა, მე მართალს ვამბობ. ჩემი სუსტი ხასიათი რომ
ვიცი, მე თითონ თავს ვანებებ სულზე ზრუნვას და ისევ დავ-
მყარდები ხოლმე ჩემს სამასხარო ხარისხზე.

— მაშ შენ დაკარგული კაცი ყოფილხარ.

— არ ვიცი.

— მე ვგონებ, შენ სრულიადაც არ უნდა იყო ის პამ-
ფალონი, რომელიც ჩემთვის საჭიროა.

— მე მაგის პასუხს ვერ მოგცემ, — უთხრა მასხარამ: — მე
გგონი, რომ, ეხლა კი, როდესაც მე მაქვს ბედნიერება შენი
მასპინძლობისა, იქნება სწორედ ის პამფალონი ვიყო, რომე-
ლიც შენთვის საჭიროა და რაც შემდეგს შეეხება იმას, ხვალ
გავიგებთ. ეხლა კი დაგბან ფეხებსა, მერე პური მიირთვი და
დაიძინე. მე კი უნდა წავიდე სამასხაროდ.

— შენთან დიდად საჭირო მოსალაპარაკებელი მაქვს.

— ჩემთანა! — გაკვირვებითა სთქვა პამფალონმა.

— დიად, ჩემთვის საჭიროა შენთან საუბრობა და არას გზით მე შენ არ მოგეშვები.

პამფალონი გაშტერებით შესცქეროდა მოხუცსა და შემდეგ უცბად გულიანად ჩაირახრაბა.

— რა ნახე ჩემს სიტყვებში ეგრეთი სასაცილო? — ჰკითხა ერმიამ.

პამფალონმა უპასუხა:

— მომიტყევე ჩემი უგუნურება. ეგ ჩვეულებით მომივიდა — მე ძალიან ხშირად ვიციანი. გარდა ამისა, არ დაგიმაღავე, როცა სთქვი, მე შენ არ მოგეშვებიო, მაშინათვე გულში გავიფლე, რომ კარგი იქნება ჩემთან ვატარო ეს მეუღაბნოე; მთელი დამასკი ზედ დაგვედება და ბლომად საშოვარი შემომივამეთქი. ეხლა კი მრცხვენთან, რომ მე ეს გავიფიქრე; მაგრამ შენთვისაც კი სირცხვილია ჩემი სასაცილოდ აგდება.

— შე სასაცილოდ არავის არ ვიგდებ, პამფალონ!

— მაშ რისთვისა სთქვი, რომ ჩემი ბაასი გსურს, ვითომ რამე შეისწავლო ჩემგან? მე ვარ ერთი საძაგელი მასხარა და განა მოსაფიქრებელია შეისწავლო ჩემგან რაიმე ღვთის სათნო? არა, მოხუცო! მხოლოდ შენ მოგეპოება მყუდრო და წმინდა უღაბნოში მოკრებილი ძალა სჯისა ღმერთზედაც და კაცზედაც. უფალს აგრეც არ მოუკლია ჩემთვის გონება, რომ ვერა ვხედავდე, რა დიდი მთები დევს მე და შენ შუა. ნულარ დამციანი; ნება მომეცი დაგბანო ფეხები და განისვენე ჩემს ლოგინში.

— კარგი, — უთხრა ერმიამ: — შენა ხარ სახლის უფალი და ჰქმენ, რაიცა გწადიან.

პამფალონმა მოიტანა ტაშტით სუფთა წყალი და განბანა თავის სტუმარს ფეხები. შემდეგ ვახშამი მიართვა და ჩააწვინა ლოგინში.

— ხვალ კიდევ ვილაპარაკოთ მე და შენა, — უთხრა პამფალონმა. — ეხლა კი გთხოვ გემრიელად მოისვენო. არ შეგეშინდეს თუ ან კარი დაარახუნოს ვინმე, ან კედელს ესროლოს

რამე. იცოდე ჩემს დამძახებლად იქმნებიან და შენ სრულნიდ არას გაენებენ.

— მაშ მიდიხარ შენა?

— დიალ.

— ნუ თუ სუყველგან შედიხარ?

— რასაკვირველია, სუყველგან: მე მასხარა ვარ და არჩევანში ვერ შევალ, რომელ სახლში შევიდე და რომელში არა.

— საწყალობელო, ჰამფალონი!

— მაშ რა ვქნა, მამაო! ბრძენნი და ფილოსოფოსები ჩემს ხელობას არ საჭიროებენ, მე მხოლოდ უქმობის მოყვარენი მიმიწვევენ. სად გინდა ჩემს ხელობას არ ვიჩენ — ქუჩებში, მოედანზე და ცხენით-სარბიელთან; ხან ლხინის დროს შევაქცევ მოქეიფეთ, ხან ვოინბაზობ ქალაქ გარედ მწვანეზე ტყეში, სადაც დროს ატარებენ ახალგაზდა მდიდრები. მაგრამ ღამით ჩემი ბინა უფრო ხშირად არის ხოლმე უნამუსო ქალებთან.

ამ უკანასკნელმა სიტყვება დიდად შეაწუხა ერმია, თვალეზიდან ცრემლები წამოუვიდა და წამოიძახა:

— საწყალობელო, ჰამფალონი!

— რა ვუყო, — უპასუხა მასხარამ: — მე ვარ მუცლად დებული ცოდვაში და ცოდვილებთანვე გაზრდილი. ოინბაზობის მეტი მე არა მისწავლია-რა, და ამ ქვეყნიერობაზე უნდა ვცხოვრობდე, ამისათვის რომ აქ სცხოვრობდა დედა-ჩემი, რომელმაც ცოდვაში დამბადა მე. მე ვერ ავიტანდი, რომ დედა-ჩემს სხვისთვის ხელი წვეშვირა ლუკმა პურისათვის და ვასაზრდოებდი მე იმასა ჩემის მასხარობით.

— სად არის ეხლა დედა-შენი?

— მე მრწამს, რომ ეხლა ის არის უფალთან. აი მაგ ლოგინში გარდაიცვალა ისა.

— დამასკში უყვარხართ შენა?

— დიალ, უყვარვარ. ფულსაც მაწოდებენ ჩემის მასხარობისათვის და სუფრიდანაც არ მიშორებენ. მე მივირთმევე კარგ სადილ-ვახშამს, ვსვამ ძვირფას ღვინოებს და ამაში სხვა არა მეხარჯება-რა გარდა ჩემის ხუმრობისა.

— ღვინოსაცა სვამ?

— დიად, ბატონო. ღვინოსაც ვიხლავ და მე რომ კარგი სასმელების მოყვარული ვარ, ამაში ეჭვი არ არის. როცა მოქვიფე ხალხთანა ხარ, უამისობა სრულიად არ შეიძლება.

— ვინ შეგაჩვია შენ მაგვარ ხალხსა?

— შემთხვევამ. დედა-ჩემი ახალგაზდობას ლამაზი და მზიარული იყო და მამა-ჩემი დიდებული კაცი. მამა-ჩემმა მე განმიტოვა; დარბაისელმა ვინმემ ხელი არ წაშკიდა. პატრონობა გამიწია ისევ ჩემსავით მასხარამ. მართალია, მცემდა ხოლმე, მაგრამ—მადლობა უნდა შევწირო მე იმასა—თავის ხელობა მასწავლა. ეხლა ჩემზე ხერხიანად ვერავინ ვერც გრგოლებს ისერის მალა, ვერც უსტვენს, ვერც ითამაშებს და ტანში დაიგრიხება.

— და არ მოგზიზღდა შენ ეგ ხელობა?

— როგორ არა, ხანდისხან მე თითონ არ მომწონს, მეტადრე მაშინ, როდესაც დიდებულნი გარყვნილ ქალებში ატარებენ დროსა და სადღა სცალიანთ საკეთილო იფიქრონ რამე ხალხისათვის. მაშინაც მბეზრდება ჩემი ხელობა, როდესაც ვხედავ, რომ ნორჩი ახალგაზდები ღუბავენ თავის სიყმაწვილეს ამ გვარ ქალებში, მაგრამ მე ამაში ვარ აღზრდილი, და ამითი უნდა ვქამო ქვეყანაზე ლუკმა-პური.

— საწყალობელო, საწყალომელო პამფალონ! აბა დაიხედე თავზედა, თმა გაგთეთრებია და აქამდის წაწყმენდილ და ნამუს გაწყვეტილ ქალებში მასხარაობ. შენც იმათთანვე დაიღუპები.

პამფალონმა უპასუხა:

— ნუ გებრალები მე. რა ვუყო, დავხტივარ, დავტრიალებ, ვოინბაზობ. რა თქმა უნდა, უნამუსო ქალები ცოდვილები არიან, მაგრამ ჩემისთანა საწყალი კაცისა დიდი შებრალება აქვთ. როდესაც იმათი სტუმრები შევლენ ხოლმე ქვიფში და დაითრობიან, ეს ქალები თითონვე ჩამოუვლიან ხოლმე და

გვიგროვებენ ფულსა. რომ ბლომად შეგვიგროვონ, ისინი არ იშურებენ არც მიფერებას და არც ალერსსა.

განდევნილმა პირი იქით მიიღო და შეუქცია გვერდი; ჰამფალონმა ხელი გადასდო მხარზედ და ალერსით უთხრა:

— მერწმუნე მე, პატივსაცემლო მოხუცო, რომ ცხოველი ცხოველად დარჩების, და იმ ქალებს, რომლებს ხსენებაც კი შენ აგრე გაწუხებ, ძალიან ხშირად უძგვრით მშვენიერი და ყოვლად კეთილი გული. უფრო შესაწუხარია, როდესაც ჩვენა ვართ ხოლმე მდიდარ ბატონებთან, ესენი არიან უზომო ამპარტავნები და ზვაობით სავსენი. თითქო მხიარულება უნდათ, მაგრამ თავისუფალ სიცილს და ხუმრობას კი განდევნიან ხოლმე. იქ ეს დიდებულნი მოითხოვენ იმ გვარს რამეს, რაიცა შესარცხვენია კაცობრიობის ბუნებისათვის. იქ ისინი გექადებიან ცემასა და დაწყლულებასა. შებრალებას მათ გულში ადგილი არა აქვს. ხან ფრთებს უწყალოდ აგლეჯენ ჩემს ზოიას, ხან ტუჩში აფურთხებენ ჩემს აკრას. იქ არაფრად არ მიაჩნიათ იმათ თავიანთზე დაბალის დაჩაგვრა და შეურაცხყოფა, დილით კი... სხვის დასანახვებლად მიეჩქარებიან ლოცვაზე...

— ვაიმე, ვაიმე!—ჩაიბუტბუტა გულში ერმიამ:—გეტყობა, საწყალობელო, ჯერ სრულიადაც მიხვედრილი არა ხარ, რაშია დანთქმული შენი ზნეობა; შენი აზრები და ბუნება კი, შესაძლებელია, კეთილნი იყვნენ... იქნება იმისთვის ვიყო წარმოგზავნილი, რომ მე ჯეროვან გზაზედ გამოვიყვანო ამ მარტივი კაცის სული.

და უთხრა გრძნობით:

— თაეი გაანებე შენ საძაგელს ხელობას, ჰამფალონ.

იმან მშვიდად უპასუხა:

— არ შემოძლიან.

— წარმოსთქვი სიტყვა წინაშე ღვთისა და ის გიშველის შენ.

ჰამფალონი შეკრთა და მოდუნებული ხმით უთხრა:

— რაღა კითხულობ ჩემს გულში იმას, რაც მე შინდა დავიწყებას მივცე!

— შენ გქონდა რაიმე აღთქმა და დაარღვიე ისა?

— დიაღ. მე მქონდა მიცემული აღთქმა და დავარღვიე იგი. ნუ თუ სუსტს და უძლურ კაცს შეუძლიან წარმოსთქვას აღთქმა წინაშე ყოვლად შემძლებელისა, რომელმაც ყველა კაცს თავისი მხვედრი დაუნიშნა და დააყენა ერთს ან მეორე გზაზედა. ნება არა აქვს მექურქულს გამოიყვანოს თიხიდან ისა, რაიცა სურს? იცოდე, მოხუცო, მე მქონდა შემთხვევა, რომ დესაც შემეძლო დამეტოვებინა ჩემი ხელობა, მაგრამ არ დამშტამე.

— რატომ არ დაუტყვე?

— არ შემეძლო.

— ეგ რა პასუხია: სულ გაიძახი „არ შემეძლო!“ და რისთვის არ შეგეძლო?

— არ შემეძლო და არც შემიძლიან, ამისათვის, რომ... მე არ შემიძლიან ჩემ თავზე ზრუნვა მაშინ, როდესაც სხვას ვხედავ გაჭირვებულს და როდესაც სხვა მოითხოვს შემწეობას.

მოხუცი წამოჯდა ლოგინში, ჩააბჯირა თვალები მასხარასა და უთხრა:

— რა სთქვი ეგ შენა? შენ სრულებით არაფრად არა სთვლი შენი თავის დაღუპვას უკუნითი უკუნისამდე, ოღონც კი რაიმე შემწეობა გაუწიო ამ წუთის სოფელში სხვასა! მიხვედრილი ხარ თუ არა, რა არის განუწყვეტელი და აღზნებული ცეცხლი ჯოჯოხეთისა და უღრმესი ღამე საუკუნოობისა? მასხარამ გაიცინა და უთხრა:

— არა, მე მაგაზე არა ვიცი-რა. და როგორ შემიძლიან მე ვიცოდე რამე მკვდრებზედა, მაშინ როდესაც ბევრჯელ ცოცხლებისაც არა გამეგება-რა? შენ კი რცი რამე ქვესკნელზე, მოხუცო?

— რასაკვირველია, ვიცი.

— ვხედავ, რომ შენ არა გცოდნია ბევრი რამ, რაც დედამიწაზეა. მე ეს მაკვირვებს. მე გეუბნები, რომ ვარ უვარგისი კაცი, შენ კი არ მერწმუნები მე. მეც არ დაგერწმუნები, ვითომ შენ იცოდლე რამე მკვდრებზე.

— უბედურო! გაქვს კი შენ რაიმე წარმოდგენა თვით ღვთაებაზედა?

— ცოტა რამ, მაგრამ ბევრი კი არაფერი და არა მგონია დიდად გავიკიცხო, ამისათვის რომ მე არა ვარ აღზრდილი კეთილშობილ ოჯახში და ამასთან არა მისწავლია. რა ვიზანტიაში ღვთის-მეტყველ ფილოსოფოსებთან.

— ღვთის ცნობა და სამსახური ყველას შეუძლიან. ამისათვის საჭირო არ არის მეცნიერების შესწავლა ფილოსოფოსებთან.

— მე თანახმა ვარ შენი და ყოველთვის ფიქრობ: გამჩენო ჩემო, ღმერთო, ჩემი გონება შენ ვერ მოგწვდება, მე არ მინდა ვიყო ზარმაცი მონა და ვიკვლევდე რად მოითხოვ ჩემგან ერთსა და მიკრძალავ მეორესა! მე ვარ შენი მორჩილი და იმის გაგებას არ გამოვუდგები რას ფიქრობ შენა, უფალო. მე შევესრულებ იმას, რაც შენ აღბეჭდე ჩემს გულში! და თუ კარგად ვერ შევესრულებ, მომიტევე, ამისათვის რომ შენ მე შემქმენ უძლურ კაცად და მომანიჭე სუსტი გული. და ამ გულითა ვცხოვრობ მე.

— და შენ იმედი გაქვს მაგითი თავი იმართლო!

— ოჰ, მე არაფრის იმედი არა მაქვს, და არც არაფრისა შეშინიან. მე მიყვარს მხოლოდ გამჩენი ჩემი.

— უკეთესი იქნება, რომ თრთოდე წინაშე მისა.

— რისთვის. განა შენ თითონა თრთი?

— ვთრთი.

— და ეხლა კი მოიღალე?

— მე ის აღარა ვარ ეხლა, რაც ოდესმე ვიყავი.

— აუცილებელია შენ გაუწვდებოდნი?

— არ ვიცი.

— ეგ კარგად სთქვი. იცის მხოლოდ იმან, ვინც შორიდან უყრებს და არა იმან, ვინცა მოქმედობს. თავის მოქმედებას კაცი თითონ ვერა ხედავს.

— როდესმე გრძნობდი შენს თავს კარგს მდგომარეობაში?

პამფალონი გაჩუმდა.

— გვედრები—განიმეორა ერშიამ:—მითხარი, გრძნობდი თუ არა ოდესმე შენს კარგს მდგომარეობას?

— დიალ,—უბასუხა მასხარამ:—ვეგრძნობდი...

— როდის იყო ეგა?

— იმ დროს, როდესაც მე განვაშორე ჩემი თავი უფალსა...

— ღმერთო, რას ამბობს ეს უგუნური!

— მე ვამბობ ნამდვილ ქეშმარიტებას. აკეთე საქმე, მართო კი ნუ შესტრფიალებ!

— რითი ან როგორ განაშორე შენი თავი უფალსა?

— მე ვქმენ ეს ერთად ერთი ამოოხვრისათვის.

— მიპასუხე, რა ვქმენ შენა?

პამფალონს უნდოდა პასუხის გება და თქმა თავის თავგადასავლისა, მაგრამ უცბად კარის ჭილობი გადასწიეს ორმა შევეგრემანმა გოგომ. ზარივით ხმა გაისმა, ერთმანერთს აღარ აცდიდნენ და ორთავემ ერთად დაიძახეს:

— პამფალონ, პამფალონ! ადექ, ადექ მალე და ჩვენსა წამოდი. ამ ბნელაში დაუსვენებლივ მოვრბივართ. გეძახის ჩვენი უფროსი... მალე, მალე, ჩვენსა ბევრი სტუმრებია დღესა კორინთიდან. სავსეა მთელი ბალი და ხეივნები. წამოიღე გრგოლებიცა და სიმებიც. წამოიყვანე აკრა და ზოიაც. ამაღამ ბევრს იშოვნი შენა და ცოტაც არი შეგისუბუქდება ის დიდი ზარალი, რომელიც ეხლახანს შენ მოგეცა.

ერშიამ შემოხედა ამ ქალებსა. მიჯებზე ვქონდათ სამკლავენი; ლოყები ულაპლაპებდათ, თვალები ამღვრეოდათ და მათ

უშობლზე არ გამოიხატებოდა არავითარი აზრი. ჰეშენინავდნენ საგრძნობლად და იყვნენ აღელვებულნი სამრუშოდ. თითქოს ისმოდა როგორა სჩქედდა სისხლი მათ ძარღვებში... და იმათ ტანს ასდიოდა გრძნობის აღმაშფოთებელი სუნი. ერმიას თავბრუ დაეხვა, გაეხვია ლოგინში და კედლისაკენ აქცია პირი.

ჰამფალონმა თავი მიიხარა ერმიასკენ და წასჩურჩულა:

— აბა მოხუცო, ხედავ? განა მე დროლა მაქვს ვფიქრობდე უმალლეს და მიუწდომელ საგნებზედა! მსწრაფლ ხმა შეიცვალა, მალა და მხიარულად უთხრა ქალებსა:

— ემ წუთში, ემ წუთში, ჩემო ნილის გველებო!

ჰამფალონმა დაუსტეინა აკრას, ჩამოიყვანა თავის ჯოხით და კრკალითა ზოია, წამოავლო ხელი ზოგიერთს სამასხარო იარაღებს, გააქრო ლამპარი და გაჰყვა გოგოებსა.

ერმია მარტოკა დარჩა ცარიელ სახლში.

XI

ერმიას დიდი ხანი არ დაეძინა—სხვა-და-სხვა ფიქრებმა გაიტაცა იგი. რა ვქნა, როგორ უნდა შევათანხმო ჩემს გონებაში ისა, რისთვისაც მე აქ წამოვედი და ის, რასაც მე აქ ვხედავო. აუცილებელია და აშკარადაც სჩანს, რომ მასხარა კეთილი გულის კაცია, მაგრამ მსუბუქი გონებისაა: ის მისდევს ოინბაზობას და სხვა ურიგო შექცევებსა; სრულებითაც არა აქვს სურვილი გაანებოს თავი იმ ეშმაკურ დროს-გატარებასა. და ისეა გაქსუებული, რომ, მართლაც, ძნელიდაა ის მოშორდეს ამ გვარ უწყესო ცხოვრებასა. აი მაგალითი, კარგა ხანია რაც გაიტაცეს ურცხვმა გოგოებმა და სად არის აქამდინ ისა?..

თუ მაწვევარი ქალები ასეთი ღირფები იყვნენ, ადვილად წარმოსადგენია როგორი უნდა იყოს მათი უფროსი, მათი წინამძღოლი დედაკაცი!.. და რა ზნეობა უნდა მეფობდეს იმის გარყვნილ სახლში!...

განდევნილი შეკრთა.

ერმია დიდ სინანულს მიეცა; ოცდაათის წლის ფეხზე დგომის შემდეგ, რად გავანებე თავი ჩემს კლდესა, რაზე ამოვიწყვიტე სული და გული გაჭირვებულ მოგზაურობაში, თუკი დამასკში შევხედებოდი ისევ იმ საძრწუნველ და აღელვებულ ცოდვებს, რომელთაც მე გამოვექეც ვიზანტიიდანაო?! „არა, ანგელოზმა უფლისამაკი არ გამომგზავნა აქა—ბოროტმა სულმა მაცდინა და შემიყვანა ამ განსაცდელში. ბევრი ფიქრი საქირო ალარ არის, უნდა ეხლავე ავდგე და გავიქეცე აქედან.“

ძნელი იყო მოხუცისათვის, საშინლად ძნელი, წამოდგომა, ფეხები მოლალულ-მოკვეთილი და დაწყულულებული ჰქონდა, გზა წინ ედო დიდი, მიყრუებული, ცხელი და საშიშარი, მაგრამ ის არ დაუმონავდა თავის უძლურ სხეულსა... წამოდგა; ბნელაში დაბურბუტებს. შემოუარა დამასკის ქუჩებს, გარბის და თან მისდევს სიმღერა, ლოთების ხარხარი, ღვინის ჯამების მტკრევა და ურცხვი ქალების აღელვებული ქშინვა. ერმიას მიეცა საკვირველი სიმხნე და ძალა ფეხებში; გარბის უწყალოდ და ბოლოს, წარმოიდგინეთ იმის ბედნიერება, — მიადგება თავის გამოქვამულ კლდეს, ეპოტინება აქა-იქ გამოშვერილ კლდის წვერებსა, ცდილობს როგორმე აძვრეს თავის გამოქვამულში, მაგრამ ამ დროს საშინელი ძლიერი ხელი სწვდება იმას ფეხებში, ჩამოაგლეჯს კლდესა და დააყენებს დედამიწაზე, და გაისმის მრისხანე ხმა:

— შეევედრე ჰამფალონს, რომ მან გიამბოს შენა თავისი მშვენიერი საქმე შესახებ სულის დასხნისა.

ერმიას მოედო რაღაც ქარიშხალი, სულს ველარ იბრუნებდა საწყალობელი, ისე უკუ მოაქროლებდა იმას დამასკისაკენ. ოფლში გაწურულმა გაახილა თვალები, ხედავს... გათენებულა და ისევ ჰამფალონის სახლში იმყოფება და ეს მასხარაც იქვეა გაწოლილი შიშველ იატაკზე და სძინავს. აკრაცა და ზოიაც სთვლემენ...

ერმიას თავით უდგია ორი თიხის ქურქელი—ერთი მსუფთა წყლით სავსე და მეორე რძითა, ამასთან ფოთლებში გახვეული ახალი ყველი და მშენიერი ხილი.

წუხელი ესენი აქ არ ყოფილა...

სჩანს, მეუღაბნოეს ღრმადა სძინებია. როდესაც ღამე ნატეხი და მოქანცული იმის მასპინძელი დაბრუნებულა სახლში, ეტყობა მაშინვე კი არ დაწოლილა დასაძინებლად, —ჯერ უზრუნვია თავის სტუმრისათვისა.

მასხარას მოემზადებინა რისაც შოვნა შესძლებოდა. ადგება დილით ჩემი სტუმარი, საუზმე მზადა ჰქონდეს, რომ პატარა ღონეზე მოვიდესო...

არც ყველი, არც ხილი არ მოეპოვებოდა ჰამფალონსა და, აშკარაა, ახაებს იქ მისცემდნენ, სადაც წუხელი შეაქცევდა უნამუსოების სტუმრებსა.

ესენი გამოურთმევია გარყვნილ ქალისათვის, რომ მიართვას თავის სტუმარსა.

— გასაშტერებელი კაცია ჩემი მასპინძელი! — ჰფიქრობდა ერმია; წამოდგა ლოგინიდან და მივიდა ჰამფალონთან, დახედა სახეზე და თვალს ვეღარ აშორებდა. წუხელი პირველად ლამპარის სინათლეზედა ნახა ერმიამ ჰამფალონი მაშინ, როდესაც ის განმზადებული იყო სამასხარო წარმოდგენისათვის; თმა დახუჭუჭებული ჰქონდა და პირისახე დახატული წამლებითა. ეხლა კი ეძინა ჰამფალონს პირდაბანილი და თავ დავარცხნილი; შუბლიდანაც მოესხნა სამასხარო სალტა, წყნარი და მშენიერი სახე ჰქონდა ეხლა მასხარასა—თითქო კაცს კი არა, სწორედ ზეციდან ჩამოსულ ანგელოზს წააგვანდა ისა.

— იქნება—სთქვა ერმიამ:—მე არა ვარ მოტყუებული და შემეცდარი! შესაძლებელია ეს სწორედ ის ჰამფალონი იყოს, რომელიც ჩემზე უფსრულესია და რომლისაგანაც მე რაღაცა უნდა შევისწავლო. ღმერთო! როგორ უნდა გავიგო მე ესა? როგორ უნდა განვმარტო ჩემი იქვნეულება?



და მოხუცმა დაიწყო ტირილი. დაიჩოქა წინაშე ლონისა, გულში ჩაიკრა იმის თავი და ცრემლის ღვრით უწოდებდა მას.

ჰამფალონს გამოეღვიძა და ჰკითხა:

— რა ვნებავს, მამაო ჩემო?

და როდესაც დაინახა, რომ მოხუცი სტირის, გულ-გახეთქილი წამოვიარდა:

— რაღა ვხედავ მე შენს მოხუც სახეზე ცრემლებსა? ხომ არავინ არა გაწყენინა-რა შენა?

ერმიამ უპასუხა:

— არა, არავის უწყენინებია შენს გარდა, ამისათვის რომ მე ვარ წამოსული უდაბნოდან და მოველოდი გამეგო რამე შენსგან სასარგებლო ჩემთვისა და შენ კი მიმალავ: რითი ასიამოვნებ შენ ღმერთსა? მე კი მოვლინებული მაქვს, რომ შენ სათნო ხარ უფლისა.

ჰამფალონი ჩაფიქრდა და შემდეგა სთქვა:

— მერწმუნე, მოხუცო, ჩემს ცხოვრებაში არა მოიპოებარა იმისთანა, რაიცა საქებური იყოს,—სიბილწე კი მრავალ არს ჩემშია.

— იქნება შენ თითონ არ იცი, რა მადლი მიგიძღვის?

— აბა როგორ შესაძლებელია, რომ არ ვიცოდე? მე ზედმიწევნით ვიცი, როგორც შენ თითონვე ხედავ, რომ დაუდგრომლად ვცხოვრობ და ამასთან მაქვს ისეთი საძაგელი გული, რომელიც ნებას არ მაძლევს გაუკეთესობისას.

— მხოლოდ ეს მაინც მითხარი: რა გავნო შენ შენმა გულმა და არ გაძლევს ნებას რითი დასდგე სხვა ხარისხზე? მიამბე, როგორ იყო, როდისა გრძნობდი შენ თავს კარგად და როდის ჰქმენი ცუდი?

— კარგი! ბატონი ბრძანდები,—უთხრა ჰამფალონმა:—რაკი შენ ეგრე აუცილებლივ მოითხოვ, მე გიამბობ ერთ შემთხვევას, მაგრამ, იცოდე, შემდეგ ჩემის მოთხრობისა შენ აღარ მოინ-

დომებ ჩემთან დაბრუნებას! კარგი, აედგეთ და გავიდეთ ქალაქ გარედ, მინდორში და იქ გიამბობ შენ ერთს ჩემს თავგადასავალს, რომელმაც მე მომიწყვიტა იმედი ჩემის ოდესმე გაუმჯობესობისა.

— წავიდეთ ღვთის გულისათვის, წავიდეთ ჩქარა, — უპასუხა ერმიამ და მსწრაფლ გადაიკვა თავის ძონძი ტყავი.

გავიდნენ ორივენი ქალაქ გარედ და ამოიჩინეს ერთი მყუდრო ალაგი გადმონგრეულ კლდის ძირში; ფეხთით წამოუწვიათ აკრა, და ჰამფალონი მოჰყვა მოთხრობასა.

XXI

მე არას დროს არ გიამბობდი ჩემს თავგადასავალს, დაიწყო ჰამფალონმა, მაგრამ უნდა შევესრულო შენი თხოვნა, რადგანაც შენ ბეჯითად მთელი მე კარგ კაცად. მე კი ეს მიმაჩნია სირცხვილად, ამისთვის რომ არა ვარ ღირსი მაგ გვარი აზრისა, და მე უფრო შემფერის ვითვლებოდე საზიზღარ კაცად.

მე ვარ ყოვლად ცოდვილი და გაქსუებული ადამიანი, ეს კიდევ არაფერი, მე ვარ მაცდური და მატყუარა და ამაზე უარესიცა: მე შოვატყუეე ღმერთი, მე გავტყეე აღთქმა წინაშე მისა და გავტყეე როდის?? მაშინ, როდესაც მოულოდნელად მომეცა შემთხვევა და შემეძლო დაუყოვნებლივ შემესრულებინა ჩემი აღთქმა. გვედრები, ყური დამიგდე და მიუფერებლივ განმსაჯე მე. მე მსურს, მოხუცო, შენს სამართლიან განსჯაში კაფიათად დავინახო ის წყლული, რომელიც ჩემს დასასჯელად დავიმსახურე ჩემის შეუსაფერო ცხოვრებითა.

შენ აშკარადა ნახე ჩემი სამასხარო ცხოვრება, დანარჩენ ჩემს უბედურებას შენ ადვილად წარმოიდგენ. მე ვარ ყოვლად ჩირქიანი და საძაგელი. მე ჭეშმარიტად გითხარ შენა, რომ ვარ



გაუჩორკნელი ბრიყვი, უსწავლელი და სრულიადაც არ შემძლიან სჯა ღვაებაზე და მის განგებაზე. შენ შორს მხედველი ხარ, მოხუცო, მართალია, ხანდისხან მოხდებოდა ხოლმე, რომ მეცა ვფიქრობდი ჩემს სულზე. დავეხეტები მთელი ღამე ლოთების შესაქცევრად, და როდესაც განთიადზე დავბრუნდები სახლში, ვფიქრობ: რისთვისა ვცხოვრობ მე ქვეყანაზე? ეცოდავ იმისთვის, რომ ლუკმა ვიწოვნო და ლუკმას ეწოულობ იმისათვის, რომ ცოდვასვე მივეცე. აი, ესრე ტრიალებს ჩემი უგზო-უკვლო ცხოვრება. მაგრამ, მამაო, კაცი ცბიერია და ყველა თავის მდგომარეობაში ეძიებს ლელენარში ფოთლებსა, რომ მითი დაიფაროს თავის სიშიშვლე და სიბილწე. მეც სწორედ ეგრეთი განლავარ: რამდენჯერ ვფიქრობდი—მე ვარ შთანქმული ცოდვაში სიღარიბით და რასაც ვწოვულობ, იმითი ძლიესლა ვსაზრდობ; აი, თუ როდისმე მომეცემა შემთხვევა იმოდენა ფულის შოვნისა, რომ პატარა მამულის ყიდვა შევიძლო, მაშინ გავანებებ თავს მასხარობის ხელობასა, დაიწყებ მუშაობას და ისეთ მიმართულებით ვიცხოვრებ, როგორც ეკადრება დარბაისელ და მართებულ კაცსა. და აი ამას მე აქამდის ვერ მივახწიე, მისთვის კი არა რომ ფულს ვერა ვწოულობდი, არა, ფულს კი ეწოულობდი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შევაგროვე იმდენი, რამდენიც საჭირო იყო; ათასი შემთხვევა მეძლეოდა და ფული ხელში მიწყალდებოდა: დავინახავდი ვისმე გაჭირვებულსა, შემეცოდებოდა იგი, გული კენესას დამიწყებდა და მივყოფდი ხელს ფულის ფლანგვასა. თუ საითმე ერთბაშად ჩამივარდება საკმაო ფული, მაშინ აუცილებლივ თავს გავანებებდი მასხარობას და გადავიდოდი დარბაისლობის ხარისხზედა,—გროში-გროშზე დადება და ასე შეგროვება ფულისა კი მე არ შემძლიან. რად დამბადა ესრე ღმერთმა? თუ, ვფიქრობდი, უფალი უხვის ხელით მომცემს შემწეობას,—მაშინ სხვა იქნება,—მაშინ შევეუდგები ზომიერე-

ბას და ისე კარგად ვიცხოვრებ, როგორც სხვები, რომლებსაც პატივს სცემენ ყველანი და რომლებიც მოელიან დამკვიდრებას სასუფეველსა შინა ზეცათასა.

იცო რა! წარმოიდგინე, ერთხელ სწორედ იმ ნაირი შემთხვევა მომეცა, რომელსაც მე ვნატობდი და რომლის განხორციელების იმედი მე სრულიადაც არა მქონდა. კარგა დამიგდე მე ყური და შეუბრალებლივ განმსაჯე მე.

აი ეს საკვირველი შემთხვევა.

დამასკში ერთი უნამუსო ქალია, სახელად აზელა. უნდა გითხრა, რომ აზელა თუმცა ახალგაზდა აღარ არის, მაგრამ ფუნჩულო და ძალიან ლამაზია და იმის სილამაზე თითქოს დაუქნობელია. აზელა სიმშვენიერითაც და ჭკუითაც აქ ყველასა სჯობია. ერთ ღამეს ამ ქალმა დამიძახა სტუმრების შესაქცევად. სტუმრები ბლომად შეკრებილიყვნენ და სულ უცხო ხალხი იყო, ზოგი რომაელები და ზოგიც მკვებარა მდიდრები კორინთიდან. დიდ ქეიფში იყვნენ შესული, ღვინოს ღუპავდნენ მრავალსა და განუწყვეტლივ ხან მათამაშებდნენ, ხან მამღერებდნენ. ერთნი მიბრძანებდნენ გამეცინებინა მე ისინი, მეორენი მამთხოვდნენ სხვა იმათ სასიამოვნო შექცევასა. მეც ვცდილობდი ყველას სურვილი შემესრულებინა. საშინლად მოვიღალე, მაგრამ უწყალო სტუმრები ჩემ დაღალვას არაფრად არ აგდებდნენ, — ზოგი მანჯღრევდა, ზოგი დამცინოდა, ზოგი ძალად მასმევდა ღვინოსა, რომელშიაც ჯერ რალასაც ურევდნენ; ბევრიც თავზე მასხამდნენ სასმელებსა. ჩემმა საცოდავმა აკრამაც ბევრი სასჯელი მიიღო იმ ღამესა: უწყალოდ გლეჯდნენ უკანა ფეხებსა, პირში აფურთხებდნენ და როდესაც დაიწყებდა ღრენასა, სცემდნენ საწყალოსა და ზოგი ექადებოდა მოკვლასაცა. ვიყავი დიდ გაჭირვებაში და სუყველა ეს შეურაცხყოფა ავიტანე... ამიტომ რომ ვფიქრობდი, ეგები ბლომად ვიშოვნო რამე-მეთქი. გამოგიტყდები, ვაპირობდი ერთი და-

ჭრილის ჯარის კაცის გასტუმრებას თავის სამშობლო ქვეყანაში. აზელლა ხედავდა რა შევიწროებულ მდგომარეობაშიაც ვიყავი მე, და ამითი ქვეიანურად ისარგებლა იმანა: აიხადა მხრებიდან მანდილი, დაუარა ყველას და მოაგროვა ჩემთვის ფული. სტუმრები მთვრალები იყვნენ და ერთი მეორეზე უფრო ბლომად ჰყრიდა ფულსა მანდილში. მეტადრე ერთმა კორინთელთაგანმა გამოიჩინა დიდი სიუხვე. ის იყო ფრიად მდიდარი, ამპარტავანი და ისე დასქელებულიყო, რომ კისერი ჩასძვრენოდა მხრებში.

— აზელლა, — უთხრა მაღალის ხმით ამ კორინთელმა, — აბა მიჩვენე, რამდენი ოქრო შეგიგროვებია.

აზელლამ უჩვენა.

კორინთელმა დახედა, სახე შეიღმიჯა და დაცინვით გადაათვარიელა რომაელნიცა და თავის მეზობლებიცა.

— იცი რა გითხრა, აზელლა, ეხლავ დაითხოვე ეგ შენი სტუმრები და ჩემს მოსამსახურეს გამოართვი მასხარასათვის ათი იმდენი, რაც მაგათ გამოუმეტებიათ პამფალონისთვისა.

აზელლა მიუბრუნდა სტუმრებსა.

— ჩემო გონიერო სტუმრებო! თქვენ კარგად იცით, რომ ბედი ხშირად არ ეწვევა ხოლმე კაცსა და რაც პამფალონს შეეხება, ამ საწყალს თავის დღეში ბედი ჯერ არსად არ შეხვედრია. დაუთმეთ თქვენი ალაგი კორინთელსა, წადით აქედან და თავი მიეცით ძილსა.

უკმაყოფილოდ დარჩნენ სტუმრები, მაგრამ, რა გაეწყობოდა, გავიდნენ სახლიდან; ცოტა ხნის შემდეგ მეც გამისტუმრა აზელლამ და იმოდენა ფული მომცა, რომ თვალები ამება. დილაზე გადავთვალე და შესდგა სულ ორას ოცდაათი ოქრო... მე დიდად გამეხარდა, მაგრამ ამასთანვე ძალიან შევშინდი.

— აი ეხლა კი უნდა გაეანებო თავი სამასხარო შექცევის მსახურებსა. სწორედ უფალმა მისმინა მე, — შემისრულა გულის

წადილი. თავის დღეში ამოდენა ფული არა მქონია ერთადა. საკმარისია ჩემი შეურაცხყოფა და სასაცილოდ აგდება,—მეყოფა ესენი. ეხლა მე გამოვედი სიღარიბიდან. მართალია, ამ ფულისთვის ბევრი შეწუხება ავიტანე, მაგრამ ეს უკანასკნელი-ლა იქნება ჩემს ცხოვრებაში. საუკუნოდ გათავდა ჩემი შეუსაფერო ხელობა! მოვძებნი სადმე პატარა მინდორს, სადაც ჩამოჩნრიალებდეს ანკარა წყარო და სადაც ამომცენარებდეს თავგადაშლილი ბზა. შევისყიდი იმ მინდორსა და დავიწყებ იმ გვარ ცხოვრებას, რომელიც შეჭფერის მართებულ კაცსა და მაშინ ჩემი გაცნობა აღარავის სირცხვილად აღარ მიჩნევა.

გამიტაცა სხვა-და-სხვა ტუბილმა აზრებმა, ვესაყვარლებოდი ჩემს თავსა: ვფიქრობდი როგორ ღირსეულად ვიცხოვრებ—ავდგები დილით ადრე, ეხალანდელსავით კი არა,—ეხლა დილითა ვწვები დასაძინებლად; სტვენის მაგივრად, დავიწყებ ფსალმუნების გალობას; დღისით ვიმუშავებ ჩემს ვენახში, საღამოობით დავჯდები წყაროსთან თავ გაფოთლილ ბზის ქვეშა. დავიწყებ ფიქრს ჩემს სულზედა; თვალს დაკვირვებით ვადევნებ გზასა,—მომცემს მე ღმერთი იმ დღეს სტუმარსა თუ არა. დავინახავ თუ არა მოგზაურს, ავდგები და მივეგებები, შევიწვევ სახლში, მოვასვენებ, პურს მივართმევ და მერე მყუდროებაში ვარსკვლავებით მოჭედულ ცის ქვეშ დავუწყებ ბაასა ღმერთზედა. სრულიად შეიცვლება ჩემი ცხოვრება საუკეთესოდ და მოხუცების დროს, როდესაც შემიმცირდება ძალონე, აღარ ვიქნები იძულებული მასხარობით ლუკმის შოვნისა. და რომ ეს ჩემი გადაწყვეტა დაურღვეველი იყოს და სისუსტე ჩემის ხასიათისა არსაიდან არ შემომეპაროს, შევკარ თავი ჩემი განუწყვეტელის ჯაკეთთა, ესე იგი, წარმოვთქვი აღთქმა წინაშე უფლისა... მე ის ვქმენ, რასაც შენ მირჩევდი და აღუთქვი გარდავიქცე სულ სხვა კაცად და უწინდელი ცხოვრების კვა-



ლიც კი აღმოვფხრა მაგრამ, ყური დამიგდე, რა მოხდა შემდეგ და რა მიზეზით ველარ შევიმაგრე თავი და გავტყეხე ესრეთი ჩემი აღთქმა...

ზ. ს.

(შემდეგი იქნება)

ოპერ-ფაშა სამეგრელოში

მოგონებანი კ. ა. ბოროზდინისა

II*)

შემოსევა ოპერ-ფაშის ჯარისა და დახვეწა სამეგრელოსა

მდ. ინგურის ახლო მდებარე ადგილი.—ოპერ-ფაშის ჯარის გამოჩენა 25 ოქტომბერს.—თავ. ივ. მუხრან-ბატონი მტრის ჯარს წინ ეღობება და ინგურში არ უშვებს.—ბრძოლა კახათსა და კოკთან.—პოლკოვნიკები ზვანბაია, იოსელიანი, მაიორი ივინი და კაპიტანი კობლევი—ერთი-მეორეს შემდეგ უფროსებად იყენენ 11 ლინეის ბატალიონისა და ყველანი ბრძოლის ველზე დაჭრილ იქმნენ და დაიხოცნენ, გარდა ივინისა, რომელიც რამდენისამე კვირის უკან გადაჰყვა ქრილობას.—ოპერ-ფაშა ინგურში გავიდა; რუსის ჯარი ხეთაში მიდის.—რუსის ჯარი ცხენის-წყალში გავიდა და იმერეთისაკენ დაიხია.—სამეგრელო ოპერ-ფაშის ხელშია.—გორდში დედოფლის სასახლეში მომხდარი ამბავი—თავ. ივ. მუხრან-ბატონის მეუღლე.—დედოფლის მზადება ტფილისში წასასვლელად.—გორდში კონსტანტინე დადიანისა და სხვა თავადების მისვლა.—ესენი დედოფალს და მისს შვილებს ტფილისში არ უშვებენ და ურჩევენ ლეჩხუმში წასვლას—ოპერ-ფაშის პირველი წერილი, დედოფალთან მიწერილი.—ამ წერილის პასუხის შედგენა ნ. კოლიუბაკინის მიერ.—ლეჩხუმში და იქ გადასვლა დედოფლის შვილებისა.—თვითონ დედოფლის მისვლა.—ოპერ-ფაშის მეორე წერილი დედოფალთან.—ცნობანი ოსმალთა გენერალისიმუსის მოქმედებათა შესახებ სამეგრელოში.—თავ. ჩიჩუა; როზმურდუკი.—მითქმა-მოთქმა მეგრელთა შორის და მითქმა-მოთქმა დედოფლის შესახებ ქუთაისში.—თავადი ბებუთოვი დედოფალსა სთხოვს სამეგრელოდან წამოსვლას.—ყარსის აღება 22 ნოემბერს.—მარტოდ წასვლა დედოფლისა ლეჩხუმიდან გორდში.—ისკანდერ-ფაშის წერილი.

სამურზაყანოსა და სამეგრელოს შორის მიმდინარეობს ინგური. წყალდიდობას და გაზაფხულ-ზამთრის დიდ წვიმების

*) იხ. „მოამბე“ № IV.



ვერა ჰბედადნენ. დრო მიდიოდა და ეს უძრავი ქალარა გვა-
მები ხმა გაკმენდილი ისხდნენ და საიქიოდან მოსულებს ჰგვან-
დნენ. ბოლოს მეფეს თითქო ღრმა ძილიდან გამოეღვიძაო,
შუბლზე ხელი გადისვა და სთქვა:

— თქვენ იცით ეხლანდელი მდგომარეობა და ისიც, რის-
თვისაც მოგიწვიეთ. აბა ითათბირეთ! — ამის შემდეგ მეფე გაჩუმ-
და და თავისი თვალეზი ძირს დააშტერა. მეფის ამ მოჭრილმა
მოკლე სიტყვამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა იქ მყოფებზედ,
რადგანაც ყველა გაჩუმებული იყო, თითქო ღრმა ფიქრში
არჩანო. ნამდვილადკი თვითეულმა მათგანმა დიდხანია იცო-
და, რაც უნდა ეთქვა; მაგრამ მაღალი პირებისათვის დასამდა-
ლებელი რჩევის მიცემა იმდენად უსიამოვნო იყო, რომ ყვე-
ლას უნდოდა ეს მოვალეობა თავიდან აეშორებინა. მეფემ ყვე-
ლას თვალი გადაავლო; მის სახეს გულჩათხრობა დაეტყო.
ბოლოს, მეფის თვალეზი სამხედრო მინისტრს, პიანელს, მია-
ჩერდნენ, რომელიც მეფის მარჯვენა იჯდა; მინისტრმა ამ
უსიტყვო ბრძანების აუსრულებლობა ვერ გაჰბედა და შუუხა-
რებით თავ-ჩაკიდებული წამოდგა.

— მეფეო, — დაიწყო მან: — მე მხვდა მძიმე მოვალეობის
ასრულება. მაგრამ ჩემი თქვენდამი ერთგულება ქვეშაობების
დამალვის ნებას არ მძღვეს. ჩემის აზრით ჯარი იმნაირ მდგო-
მარეობაშია, რომ საღერნოს დაცვა სრულებით შეუძლებელია.
ეს მდიდარი ქალაქი თავისი საწყობებიანა და სამზადისიანა
რაც შეიძლება ჩქარა უნდა დავუტევოთ; კალდარელის ია-
რალის დაყრა და, შეიძლება, ღალატიც იქ დარჩენილი ჯარის
შემწეობით საღერნოს დაცვას შეუძლებლად ჰხდის. მეშველი
ჯარის გაგზავნას ველარ მოვასწრებთ, იმის იქ მისვლამდის
მტერი უკვე იქ იქნება; ამითი ჩვენ უფრო მძიმე დამარცხებას
მივიღებთ, ვიდრე აქამდინ. თუ ეს ჯარი ნეაპოლისკენ დაიხვეს
და ქალაქის ცხენოსან ჯარს შეუერთდება, მაშინ იქნება კიდევ
შესძლოს თავხელი მემამოხეს შეჩერება.

მეფემ თავი დააქნია — თანხმობის ნიშნად კი არა, არამედ
იმის ნიშნად, რომ თავის მინისტრს მოუსმინა, და თვალეზი

მის მეზობელს მიაპყრო. ეს იყო გენერალი ბოსკო; თუმცა ის მილატოსთან დამარცხდა, მაგრამ მაინც გენერლობა მისცეს, იმიტომ რომ იარაღის დაყრას დიდ-ხანს უარობდა. აი, ეს გახლდათ მართებლობის სამხედრო ძლიერების თვალის ჩინი! ეხლა მას უნდოდა, თავისი სიმამაცე და გამბედაობა კიდევ გამოეჩინა, და სთქვა:

— თქვენო დიდებულებავ, მინისტრის აზრს მე სრულიად ვეთანხმები და ჩემდა თავად მგონია, რომ გარიბალდის ნეაპოლთან დამარცხება არამც თუ შესაძლებელია, ცხადი საქმეა. პატარ-პატარა გამარჯვებებით წაქეზებულმა თავისი ჯარი რეჯიოდან საპრამდინ გააგძელა და ნეაპოლთან მოსვლის დროს აღბად უფროც ვაჭიმავეს. ამიტომ ჩვენ მხოლოდ იმის მეთაურ ჯართან გვექნება საქმე.

ლაპარაკის ჯერი კუტროფიანოსი იყო.

— მეფეო,— დაიწყო მან:— მე ჩემი პატივცემული ამხანაგის მოსაზრების ყველა სარგებლობა მესმის და ძალიანაც მინდა მათი თანამოაზრე ვიყო, მაგრამ ჩემს თავს ნებას მივცემ და ვკითხვავ: მოიფიქრეს იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ჩვენთვის საბოლოო ბრძოლის გაწევა, რომელზედაც დამოკიდებულია მთელი სამეფოს ბედ-იღბალი, რადგანაც ზურგს უკან ნეაპოლია? ვინ არის მისი თავმდები, რომ ის სხვა ქალაქებსავე არ აჯანყდება და ჩვენ ბრძოლის დროს უკანიდან არ დავვიშენს? ასე არ იყო აღებული პალერმოც და შემდეგ რეჯიოც? უფრო მეტს ვიტყვი: განა შესაძლებელია, რომ ქალაქში, საცა ნახევარი მილიონი მცხოვრებია, რადენიმე ათი ათასი გარიბალდის მომხრე არ აღმოჩნდეს, როდესაც მთავრობა და სამინისტროს ყველა წევრნი, გარდა აქ მყოფი ორი პატიოსანი ადამიანებისა, მათი მფარველნი არიან!

— მაშ რას მიჩვენო? დავაგდო სრულიად სატახტო ქალაქი და ჩემს უფლებებზე ხელი ავიღო?— მწუხარებით დაუმატა ფრანჩესკომ.

— დიად, დაუტევეთ სატახტო ქალაქი, მაგრამ მხოლოდ უფლების შერჩენის გულისათვის, ჯარი თქვენი ერთგულია,



მეფეო! თქვენ შეგიძლიათ, მას მიენდოთ; წაუძებით წინ, წაბრძანდით ჩრდილოეთისკენ, იქ შეებრძოლეთ მტერს და ამითი გადასწყვეტეთ სამეფოს ბედ-იღბალი. იქ ყველა თქვენ მხარეს იქნება. აქ კი ყველა თქვენი წინააღმდეგია. ეს გახლავთ ჩემი რჩევა.

— მაგრამ თუ მეფე სატახტო ქალაქს დაუტევებს, ის ამითი ტახტზედ ხელს იღებს!— წამოიძახა ბოსკომ:— ის მაშინ მხოლოდ ტახტის მძიებლად ხდება, მეფედ კი ექტორ-ემანუილი. ესეც რომ არ იყოს, გარიბალდი ნეაპოლის დაპყრობით თავის ჯარს ერთი-ხუთად გააძლიერებს და ნამდვილ ჯარსაც დაიწესებს. ამისათვის მას დრო არ ეყოფა; მან ჩქარა უნდა გაათავოს სამხედრო საქმეები, რომ სხვის ჩარევას ხელი შეუშალოს; მისი მდგომარეობა უფრო გასაჭირი იქნება აქ, ვიდრე პალერმოს იყო... ბოსკოს კიდევ უნდოდა რალაცის თქმა, მაგრამ მეფემ ნიშნით გააჩერა, მიუბრუნდა მარტინოს და უთხრა:

— ჩვენ ჯერ არ გაგვიგონია, ჩვენი დედის მეგობარი რას ფიქრობს. მოვისმინოთ მისი აზრიც.

დე-მარტინო, მართლაც მარიამ-ქრისტინეს მეგობარი იყო; ის იყო ფრანჩესკოს აღმზრდელი და, რაც ყმაწვილ მეფეში კარგი თვისება მოიპოყებოდა, სულ ამ მასწავლებლის ბრალი იყო. ფრანჩესკო II-ის მეფობის პირველ წელიწადს დე-მარტინოს სასახლეში დიდი გავლენა ჰქონდა. მაგრამ მალე ის მარიამ-ტერეზიას დასმა გაანაპირა და სამეფო საქმეების საწარმოებლად სამეფოს დალუპვის რავდენიმე დღის წინედ მოიწვიეს.

— მეფეო!— წარმოსთქვა ზეზე ამდგარმა დე-მარტინომ— ჩემი აზრის მოსმენა თქვენთვის და აქ მყოფთათვის სასიამოვნო არ იქნება და ამიტომ ნება მიბოძეთ, არ წარმოვსთქვა.

— სთქვით, — მკმუნვარედ უთხრა მეფემ:— მე იმდენჯერ შემხვედრია სიცრუის მოსმენა, რომ ეხლა სიმართლეს, თუნდა მეტად უსიამოვნოც იყოს, დიდის სიხარულით მოვისმენ.

— იყავნ ნება თქვენი! სამეფოს გადარჩენა იმ ღონისძიებით, რომლებსაც ბევრი გირჩევს, მე არა მწამს. ამის შესახებ აღრე უნდა მოგეფიქრებიათ. თუ გარიბალდის დამარცხება ასე

ადელია, აქამდინ სად იყავით? რატომ აღრევე არ დაამარცხეთ ის? თავის მომხრეების ერთი მუჟა მთელ ლაშქრად რისთვის გადააქცევით? ოთხი თვეა, რაც ეს სამარცხვინო ომი ატყდა; იმის მოსასპობად საკმარისი დრო იყო; უფრო მეტი დრო გქონდათ, მისი გადმოხდომისათვის ხელი შეგეშალათ. დე-მარტინოს სიტყვები იქ მყოფთა შორის ყუმბარასავით დაეცა. რავდენადაც აქამდის თათბირი უღიმღამო იყო, იმდენად ეხლა გამწვავდა. ყველამ ერთად დაიწყო ლაპარაკი. ბოსკო სალცანოს ამტყუნებდა, პიანელი კუტროფიანოს, კუტროფიანო ყველას ერთად: საზოგადო გახურებულ კამათობაში ვერაფერს ვერ გააჩვენდით. ასე გასინჯეთ, მეფის იქ ყოფნამაც კი ვერ შეაჩერა მრავალი წლის განმავლობაში დანაგროვები ერთმანეთისადმი შურის, სიძულვილის და სიბრაზის მოვარდნილი ნაკადული. ერთბაშად ზარის ხანგრძლივი წკარუნი მოისმა, ეს კრებას დებეშის მოსვლას ატყობინებდა, რადგანაც ნეპოლის ჩვეულებით, რაც უნდა მომხდარიყო, არავის არ ჰქონდა იმ ოთახში შესვლის ნება, სადაც მეფისა და მის მოთათბირების საიდუმლო სხდომა იყო. ყველამ ხმა გაკმინდა. ფრანჩესკომ ანიშნა პიანელის, ვაეგო, რა ამბავი იყო. შექველია, არაჩვეულებრივი რამ უნდა მომხდარიყო, თორემ მეფის თათბირის დარღვევას ვერაინ გაჰხედავდა.

ერთი წამის შემდეგ სამხედრო მინისტრი გაფითრებულნი მობრუნდა და აკანკალებულ ხელში დებეშა ეკავა; მეფემ საჩქაროდ გამოართვა, გადაიკითხა და ღონე-მიხდილმა ხელები ჩამოყარა. ამ დებეშით გენერალი კოლონა ატყობინებდა, სალერნოში სრული აჯანყება არისო, მეფის ჯარი გამორეკვს და ქალაქში გარიბალდიელების წინა ჯარი შემოიჭრაო.

დარბაზში სამარის სიჩუმე დადგა.

როდესაც სასოწარკვეთილების პირველმა წამმა გაიარა, მეფე საშინლად განრისხდა:

— არა! კმარა ამდენი სირცხვილი! დალუბვა სჯობია ქვეყნის სასაცლოდ გახდომას! ვილაც ავაზაკის ერთი მუჟა ნაყარ-ნუყარმა ჯარმა წინაპრების ტახტიდან უნდა ჩამომავდოს!

მაშ ჩემი ჯარი რაღა ყოფილა? რისი მაქნისი ყოფლიან ჩემი სარდლები? მე თვითონ გავუძღვები ჩემს ჯარს და პირდაპირ მტრისკენ გავსწევ. ბატონებო, წადით და მთელ ჩვენ ერთგულ ჯარს ჩვენი გარდაწყვეტილება შეატყობინეთ!

არავინ არ ინძრეოდა; არავის ხმა არ ამოუღია; მეფემ ყველას თვალი გადააელო და ყოველისფერს მიხვდა; ჩავარდა სავარძელში და ხელებით პირისახე დაიფარა.

— რა გაეწყობა, — წარმოსთქვა ბოლოს მან აკანკალე-ბულის ხმით: — ნება ღვთისა აღსრულდეს! პიანელო, ჯარს უბრძანეთ, ვოლტურნისკენ დაიძრას! — ხელის მოძრაობით მეფემ თათბირის დაშლა ანიშნა. ამ დროს მეფის კოშკის საათმა დარქვა. ფრანჩესკოს სურვილისამებრ გამკეთებელმა საათში მუსიკა მოაწყო, რომელიც „Miserere“-ს უკრავდა. მეფის თათბირი ამ სამგლოვიარო ჰანგის ხმით იშლებოდა და ასე გეგონებოდათ, ბურბონის მთავრობის დამარხვაზე ესწრებაო.

მეორე დღეს დილით მეფემ ეროვნული ჯარის უფროსები მიიხმო და უთხრა:

— რადგანაც, თქვენი მეგობარი ან უკეთ, ჩვენი საერთო მეგობარი ბატონი პეპე (შემცირებული ჯუზეპე) ახლოვდება, ჩემი სამსახური თავდება და თქვენი იწყება; ქალაქის მყუდროება დაიცევით. ნეაპოლს დარჩენილ ჯარებს იარაღის დაყრა ვუბრძანე. ერთი საათის შემდეგ მთელი თავისი ოჯახობით მეფე ზღვით გაეტას გამეზავრა.

—

გავარდა თუ არა ქალაქში მეფის წასვლის ხმა, მთელი ნეაპოლი აღუწერელ სიხარულს მიეცა. შექნეს მუსიკით და წითელი დროშებით სეირობა; ქალაქს გარს უვლიდნენ და მამულისშვილურ სიმღერებს მღეროდნენ. სრულიად უცნობი პირნი შეხვედრის დროს მხიარულ ამბავს ერთმანერთს ახარებდნენ, ერთმანერთს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ. ამ დღესვე ლიბორიო რომანომ სამინისტრო თათბირი მოახდინა, რომელზედაც მხოლოდ პიანელი და დე-მარტინო არ დაესწრნენ. აქ ერთხმად გადასწყვეტეს გარიბალდისთან ქალაქის გასაღებით

და მისალოცავი წერილით წარმომადგენლები გაეგზავნათ. წარმომადგენლებმა გარბალდის სალერნოს მიუსწრეს; მიიღო თუ არა გარბალდის ისინი, ლიბორიო რომანოს შემდეგი დეპეშა მოსწერა.

„იტალია და ვიქტორ-ემანუილი.

ნეპოლის მკვიდრთ.

„მოვა თუ არა აქ ქალაქ ნეპოლის სინდიკი, მე მაშინათვე თქვენთან მოვდივარ.

„ამისთანა სიხარულის წამს, გაუციებთ, სიმშვიდე და სრული წესიერება იქონიეთ, როგორც შეჭფერის ხალხს, რომელიც, ბოლოსაც არის, თავისუფლებას ეღიბსა.

„სალერნო 7-ს ენკენისთვის, დილის ექვს საათს.

ორივე სიცილიის დიქტატორი

ჯუზებე გარბალდი“.

ლიბორიო რომანომ უპასუხა:

„ორივე სიცილიის დიქტატორს, უძლეველ გენერალ გარბალდის!

„შინაგან საქმეთა მინისტრი, ლიბორიო რომანო.

ნეპოლი დიდის სულწასულობით ელის თქვენს მოსვლას, რომ მამულის განმათავისუფლებელს მიესალამოს და ყველა საზოგადო უფლება და თვისი ბედ-იღბალი თქვენ ჩაგაბაროთ.

თქვენს მოსვლამდე შვიდობიანობასა და წეს-რიგს გაეუძღვებო. თქვენი სიტყვები, რომლებიც ხალხს უკვე შევატყობინე, ჩემი მოწადინების აღსრულების უკეთესი თავმდებია.

თქვენს ბრძანებას ველი და დავშაები თქვენი უსაზღვროდ ერთგული

„ლიბორიო რომანო“.



დილის თერთმეტის ნახევარზე გარიბალდი რამდენიმე აფრტ-რით ვიეტრის სადგურზე მატარებელში ჩაჯდა და თორმეტ საათზე ნეაპოლს მოვიდა.

ქალაქის წარმომადგენლები და ხალხის ურიცხვი გროვა რკინის გზის პარმალზე დახვდა. კალამი ვერ აღწერს, რა აღფრთოვანებითაც შეეგება მას ხალხი. გარიბალდი თავახდილ ეტლში ჩაჯდა და თავშიშველი ნელა-ნელა წავიდა, ხალხი მისი ეტლის გარშემო მირბოდა; ბევრი საფეხურზე ხტებოდა და მის ხელებსა და ტანისამოსს ჰკოცნიდა. ის ზოგს ეხვეოდა, ხელს ართმევდა ყველას და ჰკოცნიდა ყმაწვილებს; რომლებსაც დედები მას აწვდიდნენ. ბევრი სიხარულისაგან ტიროდა; მოხუცები წინ ეტანებოდნენ, რომ თავის სიცოცხლის სხივმიღეულობაზე კიდევ ეხილათ თვისი განმათავისუფლებელი, გმირი და მამულის შვილი *).

ასე მოვიდა გარიბალდი საგარეო საქმეთა სამინისტროს სასახლემდინ, სადაც დაბინავდა. მთელი ნეაპოლი ევებერთელა მოედანზედ შეგროვდა, სახლის წინ. გარიბალდი აივანზედ გაზოვიდა და ხალხს მოკლე სიტყვით მიმართა. სალამოს ქალაქი გაჩირაღდებული იყო. მთელი ღამე ქუჩებში მუსიკა და

*) იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ უყვარდა ხალხს თავისი შვილი, მოვიყვან ერთ მცირე, მაგრამ დამახასიათებელ შემთხვევას, რომელიც ნეაპოლში მეთევზემ მიაშობ: მეორე დღეს დილიდან მოკიდებული ხალხი გარიბალდის სახლის ფანჯრებთან იკრიბებოდა და განუწყვეტლივ „Eviva“-ს იძახდა. გროვა-გროვაზე აწყდებოდა, ასე რომ ყვირილი ერთ წამსაც არ შეწყვეტილა. ჩქარი სიარულისა და უძილო ღამის გამო გარიბალდის ნასადილევს მოსვენება უნდოდა; ამიტომ ხალხს თანაშემწე გაუგზავნა და სთხოვა, ცოტა ხანს დაწყნარებულიყვნენ, ყველამ მაშინათვე სული განაბა; მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ფანჯრებთან ვინც იდგნენ, იმათ გარიბალდის თხოვნა სხვებს შეატყობინეს, სხვებმა კიდევ თავის მუზობლებს: ამ გვარად ამ ამბავმა მთელი ქალაქი შემოიბრინა, და მთელს ქალაქში სამარისებური სიჩუმე დადგა; მეორე და მესამე დღესაც ნასადილევს ქალაქში იმგვარივე „სიჩუმე იყო, ერთი-მეორეს ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ. თუ ვისმე დაავიწყდებოდა და ხმას აუმაღლებდა, სულ ქალაქის განაპირასაც რომ ყოფილიყო, ამ სიტყვით ჩააჩუმებდნენ—*duorme*: სძინავსო.

სიმღერები არ შეწყვეტილა, თითქოს აღდგომა ყოფილიყოს. ხალხი სამხრეთის ბუნების მგრძობიარე აღფრთოვანებით თავის განმათავისუფლებელის მობრძანებას უქმობდა და იმ წარმტაც შვება-სიხარულს მისცემოდა, რომელიც მონობისა და მტარვალობისაგან განთავისუფლებული, თავისუფლების ნაკადულს დაწაფებული ერი ლიტანიოაზს.

ნეპოლის აღებით საქმე ჯერ კიდევ არ თავდებოდა. ქალაქის ჩრდილოეთით ბანაკად იდგნენ 50,000 მეფის საუკეთესო ჯარის-კაცები, მშვენიერი მეზარბაზნე და ცხენოსანი ჯარი: მაშინ როდესაც გარბაღდის თოთხმეტი ათასი უწინდებურად ცუდად შეიარაღებული კაცი ახლდა..

XVIII

უკანასკნელი დონასიება

ლამით 31 მარიამობისთვის ვოლტურნოს ნაპირად ცეცხლის გარშემო რამდენიმე ყმაწვილი კაცი იჯდა; მათ შორის ორი ჩვენი ძველი ნაცნობიც იყო: რობერტო და მისი განუშორებელი ვალენტინო, რომლებიც ამდენ ორონ-ტრიალში კიდევ მიგვაღიწყდა. გარშემო რამდენიმე ამისთანავე ცეცხლი ენთო. ლაპარაკის ხმაურობა ისმოდა; ცხენები ჭიხვინებდნენ. მდინარის მეორე მხარეს მოპირდაპირეთა ცეცხლი ბეჭუტავდა. კახერტის კოშკზედ ორმა საათმა დაჰკრა და წკრიალა ზარის ხმა ჯერ კიდევ ჰაერში თრთოდა.

მოვისმინოთ ამ ცეცხლის გარშემო მჯდომთა ბაასი.

—... ისინი სახლში შემოცვიდნენ, — განაგრძობდა თავის ამბავს ოც და ხუთი წლის ყმაწვილი კაცი, — მე სახლში არ ვიყავი, მაგრამ ცოლი ძუძუ-მწოვარი ყმაწვილით და ბებერი მამა შინ წიყვნენ. ხელი სტაცეს მამა-ჩემს, გამოათრიეს ეზოში და იქ ამ პირშავმა ჩვენმა მღვდელმა, დონ-პიეტრომ დაუყვირა:



— სად არის შენი შვილი? სად არის ის უღმერთო, რომელსაც მაცხოვრისა და ღვთის-მშობლის ქანდაკების დაწვა ჰსურს; იმას უნდა, ძალის-ძალათი გენუის კერპზე*) გვალოცოს! მამა-ჩემმა იცოდა, რომ მე მახლობელ სოფელში ვიყავი წასული, გაეტანო გრასსისთან, სადაც რავდენიმე კაცი მოგროვდა მოსალაპარაკებლად; გვინდოდა გვეშოვნა იარაღი, რომ გარიბალდისთან ხელცარიელი არ მივსულეყავით. მაგრამ მამა-ჩემს არაფრის თქმა არ უნდოდა; მაშინ მათ დასცეს მოხუცი ძირს და ცემა დაუწყეს; როდესაც ამითიც ვერას გახდნენ, ერთმა მათგანმა ცუღს დაავლო ხელი...“ აქ მოლაპარაკეს ხმა შესწყდა, რადგანაც მას ტირილი აუფარდა.

— მეორემ საბრალო მოხუცის ხელი დარეს მიაკრა.“ — განაგრძო მან: — მღვდელმა კიდევ დაიყვირა:

— „თქვი, ბებერო ძაღლო, თორემ მოგკლავთ“

მამა-ჩემმა თავი გააქნია. მაშინ... მაშინ... ცუღით ხელი მოსჭრეს..... შემდეგი მეორე!..“

საბრალოს გაგრძელება აღარ შეეძლო, რადგანაც თვალთაგან ნაკადულსავეთ წამოსკდა ცრემლები.

— „ცოლი ოთახიდან გამოვარდა პატარა ყმაწვილით ხელში და, ეს რომ დაინახა, ყვირილი და ლანძღვა შეჰქნა.

მაშინ ეცნენ მას, გამოჰგლიჯეს ბავშვი ხელიდან და ბერნადო ბუცციმ, რომელიც ავაზაკი და ცხენის ქურდი იყო, სტაცა ფეხში ხელი და თავი ქვას უხალა ამ სიტყვებით: „მათი დაწყევლილი ნაშობი ძირიანად უნდა აღმოვეხებრათია!“

„შემდეგ დონ-პიეტროს ბრძანებით გაატიტულეს ყმაწვილი დედა, მიაკრეს ბოძზე და ჯოხებით ცემა დაუწყეს, მოხუცს კი ცუღით თავი გაუბეს!“

*) ეს მაძინის შესახებ არის ნათქვამი. რესპუბლიკელები მაძინის Santo Maestro-ს ეძახდნენ. კლერიკალებმა ზოგიერთა მივარდნილი ალაგების მცხოვრებლების უგანურობისა გამო ხმა გაავრცელეს, ლიბერალებს უნდათ ქრისტეს თაყვანის ცემა მოსპონ და მის ნაცვლად მაძინზე ალოცონ ხალხია.

ის გაჩუმდა, ხელები პირზე მიიფარა და თავი მუხლებზე დააყრდნო. ეს იყო ერთი ლიბერალთაგანი, გადარჩენილი საშინელ ამოუღელტას, რომელიც თავის ეპისკოპოსის წაქეზებით აველინოსა და არიანოს მცხოვრებლებმა მოახდინეს.

საბრალო პეტრუჩელის (ასე ეძახდნენ ამ ყმაწვილ კაცს) მოთხოვრებამ ყველა საშინლად ააღელვა. რადენსამე ხანს ხმა აღარავის ამოუღია.

— ოხ, ეს სულ მათი საქმეა!—წამოიძახა ახალგაზდა ნეაპოლემა, ჯიოვანი რიჩჩიმ, და მისმა თვალებმა სიმძულვარით დაიბრიალეს. ამ სიტყვებით მან ბურბონების ცეცხლისკენ გააშვირა ხელი.

— ნეტა ჩქარა მივახლოვდებოდეთ მათ!—შენიშნა რობერტომ და ამითი საზოგადო სურვილი გამოსთქვა. ისინი კურდღლებივით გვიფრთხიან და ჯავრის ამოყრა მხოლოდ უიარაღოზე და უძლურზედ იციან.

— დაგვაცათ, გაყურებინებთ სეირს! ერთი თქვენამდის მოვიდეთ!—ხმა მისცა მას მაღალმა კალაბრიელმა და თავისი თოჯი დააქნია. ამ დროს ბაასში ჩაერია ერთი რომაელი, რომელიც აქამდინ ხმას არ იღებდა.

— არა, ჭირის ძირი იქ კი არ არის, არამედ სხვა ალაგას.—სთქვა მან ღიდის დარწმუნებით.

— სად არის?—ჭკითხა ვალენტინომ.

— იქ, სადაც მამულის განთავისუფლება არა ჰსურთ, ჩემს უბედურ ქვეყანაში—რომში,—სთქვა მან.

ამ შენიშვნამ ბაასი სხვა საგანზედ გადაიტანა; ყველამ იმის შესახებ დაიწყო ლაპარაკი—რომზედ ლაშქრობა იქნება თუ არაო. ეს ლაშქრობა ყველას ჰსურდა, მაგრამ ზოგიერთს ესათუებოდა.

— როგორც ამბობენ, პიემონტის ეშმაკმა ნეაპოლი თავისი მომხრეებით გაავსო.

— ამბობენ, პიემონტის ჯარი გემებში ჩაჯდა გენუაში და გენერალი ჩილდინი მოსაზღვრე ხმელეთის ჯარის უფროსად არის დანიშნულიო.

— რა ვუყოთ, ალბად ომი იქნება გამოცხადებული და ვის წინააღმდეგ, თუ არ რომის პაპისა?!—სთქვა ლომბარდიელმა კარანგერამ;—სულ ერთი არ არის, ვინც დაიპყრობს რომს: ჩვენ თუ ვიქტორ-ემანუილის ჯარი?!

— რასაკვირველია, რასაკვირველია!—სთქვა რამდენიმე კაცმა.

— მაგრამ გარჩევა იმაშია, რომ კავურს რომის დაპყრობა არ უნდა.—სთქვა რომაელმა.

— რატომ?

— იმიტომ რომ იქ საფრანგეთის ჯარი დგას. კავურს ნაპოლეონის გაჯავრებისა ეშინიან, რადგანაც მაშინ შეიძლება, ნეპოლიტანის სამეფო ხელში ადვილად ვეღარ იგდოს.

— მაგრამ კავურს როგორ შეუძლია, გარიბალდის თავის გულის წადილის აღსრულება დაუშალოს?

— არ შეეძლო, მაგრამ გარიბალდის შეაძლებინა; გარიბალდის წინდაწინვე მეფედ ვიქტორ-ემანუილი აღიარა, ამიტომ ყველამ კარგად იცის, რომ ადრე თუ გვიან კავურს უნდა დაჰმორჩილდეს. რასაკვირველია, ვინც პირველი გამოხტება, მას უკეთესი ლუკმა ერგება. კავური ნეპოლში ისე მოქმედობს, როგორც თავის ტურინში და გარიბალდის ყველა მოქმედებას აბათილებს.

— მაშ ეს რითი უნდა აეცილებინა?

— „Santo Maestro“-მ დიდხანია სთქვა, რომ თავიდანვე დამოუკიდებელ სამეფოდ უნდა აღეარებინაო. ხალხმა ამის მხარე ორჯერ დაიჭირა და გარიბალდის წაქეზებით ამას ისე ერთხმად მოახდენდა, როგორც აროდეს; მოძრაობას თავში გამბედავი და უშიშარი პირები დაუდგებოდნენ და პიემონტის ეშმაკს ხმა არ უნდა გაეკმინდა?

ამ სიტყვებმა ჯარის-კაეცზე სხვა-და-სხვა შთაბეჭდილება მოახდინა. რობერტო ჩაფიქრდა; ნეპოლელი ჭაბუკი თანხმობის ნიშნად თავს აქნევდა; ვალენტინო კი, რომელიც თავის ბელადის შეუცთომელობაში სრულებით დარწმუნებული იყო, მიუბრუნდა რობერტოს და ჩასჩურჩულა:

— ამისთანა ჭკუის კოლოფები საშინლად მეჯავრუნა! არაფრის კმაყოფილი არ არიან! მათთვის ყოველისფერი უბრალო საქმეა!

ამ დროს თბრილში, რომელიც ბანაკის ჩამოსწვრივ იყო, რაღაც საექვო შრიალი მოისმა. კალაბრიელი მიწას გაეკრა და გასაოცარის სისწრაფით გაცურდა ჩირგვებს შუა ისე ფრთხილად, რომ ტოტების თავებიც კი არ ირყეოდნენ. ყველამ სული განაბა და მოლოდინად გადაიქცა. ერთბაშად თოფის ხმა მოისმა. ყველა ფეხზე წამოიჭრა. ამ დროს კალაბრიელმა მოიბრინა.

— მტერია! — დაიძახა მან: — ისინი თბრილით გვეპარებოდნენ. უნდოდათ, მოულოდნელად დაგესხმოდნენ თავს.

მთელმა გროვამ ამხანაგების შესატყობინებლად თოფები დასცალეს. თენდებოდა და დილის ბურუსში მოჩანდა, როგორ შეიშმუშნენ წითელი ხალათები. უკანასკნელმა ბრძოლამ მოაწია.

ვოლტურნო, რომლის ნაპირზედაც ნეპოლიტანის სამეფოს ბედ-იღბალი უნდა გარდაწყვეტილიყო, გამოდის ბიფენის მთებიდან, რომლებიც აპენინის მთების ნაწილს შეადგენენ. ეს მდინარე ჯერ კუნძულს ჩაუყვება, შემდეგ მარჯვნივ უხვევს და ტირენის ზღვას ერთვის. თითქმის ნეპოლისა და გაეტას შუა გზაზე. იმის ამ მეორე ნაწილზე გარიბალდიელებისა და როიალისტების უკანასკნელი ბრძოლის ასპარეზი იყო მოთავსებული. მარჯვენა ნაპირი ბურბონებს ეჭირათ; მარცხენა — გარიბალდიელებს. როიალისტების ასპარეზის ცენტროდ ახალი კაპუა იყო. ეს ქალაქი ძალიან გამაგრებული იყო და მომზადებული მტრის მოსაგერებლად. მტრის მარჯვენა მხარე სოფელ სანკლემენტეს უერთდებოდა, მარცხენა — სოფელ კოიაკოს. გარიბალდიელები ვაჭიმული იყვნენ სანტა-მარიადან მარცხნივ სანტანჯელოს მთამდინ, სადაც დაბანაკებული იყო მათი მარჯვენა მხარე. მათ შუაში იყო რაედენიმე სიმაგრეებით დაცული კაზერტა. ამ გვარი სამხედრო მდებარეობა მეტად უნერხული იყო, რაც შემდეგში აღმოჩნდა. თოთხმეტი ათასი კაცი, რომ-



ლის წინააღმდეგ ორმოცდახუთი ათასი კაცი გამოდიოდა, მეტად დიდ ალაგზე იყო მოთავსებული. ამის გამო ამ ალაგის ყოველგან დაცვა მეტად ძნელი იყო. გარიბალდის ეს კარგად ესმოდა, მაგრამ ის მოიქცა ასე სანტა-მარიას მცხოვრებლების თხოვნით; ყველა გარშემო ქალაქებ შორის მხოლოდ მათ გამოაცხადეს თვისი თავი გარიბალდის მომხრეებად და როიალისტებისაგან საშინელ შურის ძიებას მოელოდნენ, თუ მათ ქალაქს გარიბალდიელები არ დაიჭერდნენ. კიდევ ერთი უხერხულობა იმაში მდგომარეობდა, რომ ამოდენა ადგილის დარაჯობა ძნელი იყო. ამითი აიხსნება ის, რომ როიალისტები კინალამ არ მოეპარნენ გარიბალდიელებს თხრილით. ვოლტურნოს ბრძოლა როიალისტების მოულოდნელი თავს დასხმით დაიწყო. ჩვენ ამ ბრძოლას არ ავწერთ, არამედ მოვიყვანთ თვით გარიბალდის სიტყვებს, რადგანაც ეს სიტყვები უფრო კარგად და ნათლად ასურათებენ ამ ბრძოლას იმ სახით, როგორც ის თვით თავგამოდებულ გმირს ეჩვენა.

„პირველ ღვინობისთვის რავდენიმე კაცით მატარებლით კახერტს მოვედი. ბევრი ნიშნეულობით საბოლოო ბრძოლის სიახლოვეს ვგრძნობდი და ამიტომ ვოლტურნოს ბანაკს ხშირად ვათვალიერებდი. მე ეტლში ჩავჯექი, რომ სანტ-ანჟელოს მთაზე ავსულიყავი: იქიდან მტრის ბანაკი მშვენიერად მოჩანდა. ერთ-ბაშად თოფის ხმა მომესმა მარცხენა მხრიდან. გენერალი მილბიცი, რომელიც ამ მხრის უფროსი იყო, ჩემთან მოიჭრა და მითხრა: „სანტა-მარიას მხრიდან იერიშით მოგვადგნენ; წავალ, იქაურობას დავხედავო“. მეეტლეს ვუბრძანე ცხენები ჩქარა გაერეკა. სროლა თან და თან ხშირდებოდა და მალე მთელ ჯარს მოედვა სანტ-ანჟელოს მთამდინ. მზის ამოსვლაზედ ჩვენ მთის მწვერვალს მივატანეთ. სადაც, ორივე მხრიდან სროლა ატყდა და ჩვენ მტერმა ტყვია დაგვიშინა.“

მეეტლე მომიკლეს. მე და ჩემმა მხლებლებმა ხმაღს გავიკარით ხელი. მაგრამ ამ დროს მაიორი მოსტოს გენუელი მსროლელების გროვა და პოლკოვნიკი სიმონეის ლომბარდიელი ჯარის-კაცები შემოგვეხვიენ და ჩვენ აღარ გაგვსარჯეს,

რადგანაც მამაცმა მეომრებმა ჩვენი განსაცდელის დანახვად ხიშტებით მიმართეს მტერს, გარეკეს შორს და სანტაჟელოს მწვერვალამდინ გზა გაგვიწმინდეს.

„გამოვედით თუ არა ხელჩართულ ბრძოლიდან, მე ჩემი მხლებლებით სანტაჟელისკენ გავსწიეთ, რადგანაც ასე მეგონა, თუ ბურბონები მარტო ჩვენ მარცხენა მხარეს დაეცნენ. მაგრამ მოვტყუვდი: რამდენისამე თოფის ხმამ მარჯვნივ დამარწმუნა, რომ მტერი ამ მხრიდანაც მომდგარიყო. საქმე არეული იყო. ჩვენ ქვეითად მივდიოდით, რადგანაც ცხენები უკან დაგვრჩნენ. ბრძანების გაგზავნა ძნელი იყო; ჩვენი ჯარის ყველა ნაწილი თავისხედ მძლავრ მტერს თავდავიწყებული ებრძოდა და არავითარი მეშველი ჯარი ჩვენ ხელთ არ გვყავდა. აქ ჩვენ გვიშველა არეულობამ, რომელიც გამოუცდელ ჯარის-კაცებს თვისებადა აქვთ. როცა სანტაჟელოსკენ მივდიოდით, მე დავინახე გზაზე ჩვენი ჯარის-კაცები, რომლებიც მთელს მინდორზე გაფანტულიყვნენ. მე მათგან შევადგინე პატარა ჯარი და გავგზავნე მტერზე. რომელმაც ამ დროს ჩვენს უკან მალლობები დაიჭირა. შემდეგ მე შევხვდი მამაც მილანელებს და მაშინათვე გავგზავნე მტრის თავის მოსაველეად.

„მალე მოვიდა გენერალი საკის ჯარი; ასე რომ ამ მხრიდან ეხლა აღარა გვიჭირდა-რა. ეხლა შემეძლო სანტაჟელოს მწვერვალზე ავსულობიყავი და ბრძოლის მინდორი სულ მთლად დამეთვალეირებინა. აქ შევნიშნე, რომ საქმე სახუმარო აღარ იყო.

„როიალისტებმა, რომლებიც საბოლოო ბრძოლას კაი ხანია ელოდებოდნენ და ამისათვის ემზადებოდნენ, მთელი თავისი ძალ-ღონე კაპუასთან მოაგროვეს. ორივე სიმაგრემ კაპუამ და გაეტამ თვის ჯარს გარდა ყოველივე საჭირო იარაღი და სამხედრო სამზადისიც აქ გამოგზავნეს; ასე რომ ჩვენი შუაგულისა და მარცხენა მხრისკენ გამოწეული ჯარები მეტად მძლავრი იყვნენ.

„ორივე მხრით ბრძოლა თან და თან მწეავდებოდა, რადგანაც სანტა-მარიასა და სანტა-ანჟელოს შუა მთელი მანძილის



დაქერა არ შეგვეძლო, ამიტომ ორივე ალაგას შუა სრულიად დაუცველად დავტოვეთ მინდორი; ამითი ისარგებლეს როიალისტებმა და იქ ბავარელი ჯარის-კაცები გაგზავნეს. ისინი თან და თან გვიახლოვდებოდნენ და მათ წინააღმდეგ მე რა ეშმაკი უნდა გამეგზავნა?

„ჰოი- მამულო, ამდენ გმირთა შორის, რომლებმაც თვისი ერთგულება სისხლით დაგიმტკიცეს, ძმების ბრონცენტების სახელს ნუ დაივიწყებ! ერთი მათგანი ავსტრიელებთან ბრძოლის დროს სერიატასთან დაიღუპა;—მეორემ ვალტურნოს ბრძოლაში გმირი მოწამის დაუვიწყარი დიდება მოიხვეჭა. სამასი კაცით ის ოთხი ათას მოწინააღმდეგეებს დაუხვდა და რამდენჯერმე გარეკა უკან! როიალისტების წინამძღოლი, გენერალი კოლონა, ამ ჭაბუკების სიმამაცით განცვიფრებული ტყუილად ურჩევდა დაგვენებით და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ თავზედ ერთი ბეწვიც კი არ გაგიბრუნდოთო.

— დაგვენებით! მობრძანდით და სინჯეთ!—ეუბნებოდნენ ისინ და შეგჯუფულად ეწინააღმდეგებოდნენ.

ათჯერ იერიშით მივიდნენ; შემდეგ მათი რიცხვი შემცირდა და უმეტესი ნაწილი ბრძოლის ველზე დარჩა მკვდარი ან სასიკვდილოდ დაჭრილი. მაგრამ, ვინც დარჩნენ, ისინი ნახევრად დანგრეულ კოშკში გამაგრდნენ და დაემზადდნენ, მტერს შეჰკდომოდნენ.

— დაგვენებით, ყმაწვილებო!—უყვიროდნენ მათ ამ უწყვერო ჭაბუკების უშიშროებით გულ-მობრუნებული მტრის აფიცრები.

მათ თოფებით უპასუხეს; ტყვია-წამალი სულ დახარჯეს და უკანასკნელ იერიშს ცივი იარაღით დაუხვდნენ. ყველა დაიღუპა, მხოლოდ რაედენიმე დაჭრილი კაცი შემდეგ კაპუის სააედამყოფოში გადიტანეს. ეს ზღაპრული ამბავი არ არის, არამედ სრული ჭეშმარიტებაა; ყოველივე ეს ჩემი თვალის წინ მოხდა და თავი მექებება, რომ ამისთანა გმირების ბელადი ვიყავი.

ბურბონებმა შუაგული მინდორი დაიკავეს და ამგვარად ორივე ჩვენი მხარი ერთმანეთს ჩამოაშორეს; მაგრამ ჩვენ რომ

შუაზე გავეყავით, სანტ-ანჟელოს მალღობები უნდა აედროთ. ეს იყო ჩვენი ერთად ერთი იმედი. ბურბონის გენერლები მიხვდნენ ამას და მთელი თავისი ძალ-ღონე აქეთ მომართეს. მეფის ცხენოსანმა ჯარმა ამ მალღობების აღება რამდენჯერმე მოინდომა; ზარბაზნები რამდენჯერმე წაგვართვა; მაგრამ მედიჩის ჯარის კაცები გრიგალსავით დაეცემოდნენ ხოლმე და უკან აბრუნებდნენ.

ნაშუადღევს ერთი საათი იქნებოდა, როდესაც ბრძოლის ველი შემადრწუნებელმა ამბავმა დაირბინა: ტყვია-წამალი გამოილიაო!

საშინელ მდგომარეობაში ჩაეცვივდით. მტერი ჩვენზე მოდიოდა და მოდიოდა. წინიდან თავს დასხმის გარდა, იმათ სცადეს, მარჯვენა მხრიდან დაგვსხმოდნენ, რომ ჩვენთვის უკუქცევა შეუძლებელი გაეხადათ, მაგრამ მედიჩი მიხვდა თავის მნიშვნელობას და მცირე ჯარით მტერს თავს დაეცა და გზა შეუკრა.

„ბრძოლა გაორკეცებულის ძალით გაცხარდა. ჩვენები თითქმის თოფს არ ისროდნენ; მათ მტერი ას ნაბიჯამდე მოუშვებს და შემდეგ ხიშტებით გამხეცებულსავით ეცნენ; წინ ველარაინ ველარ გაუჩერდათ.

„სამ საათზე ჩვენები ისე დაილაღნენ, რომ არაქათი აღარა ჰქონდათ. დილიდან მოკიდებული თითქმის ჯარის ყველა ნაწილი იბრძოდა; ბევრმა შეიღჯერაც მიიტანა იერიში, რადგანაც ჩვენზე ბევრად მძლავრი მტერი წამსაც არ გვასვენებდა.

„მაგრამ ბურბონებიც ძალიან დაილაღნენ და ამას გარდა ამდენ უქმი ცდის შემდეგ გამარჯვების იმედი აღარა ჰქონდათ და სასოწარკვეთილებაში შედიოდნენ. ეს იმაში ეტყობოდათ, რომ ისე მამაცად და სისწრაფით ველარ მოქმედებდნენ.

„მე მივხვდი, რომ თუ არ ეხლა, საქმე წამხდარი იყო; ჩემის ანგარიშით მეშველი ჯარი უნდა მომსელოდა; ის კაზერტიდან დავიბარე. მაგრამ იმასთან როგორ მიმეღწია? ბურბონები ჩვენ შუაში რკინის სოლივით იღვნენ და იქით აღარ გამიშვებდნენ. მე ძალიან შორს მოვიარე და იმ დროს მივედი



სანტა-მარისას, როდესაც იქ მეშველი ჯარი მოვიდა. მაგრამ ეს ჯარი იყო! ყოველი მცოდნე მეომარი იმის დანახვაზედ სასო-წარკვეთილებით თავზედ ხელს იტაცებდა. აქ იყვნენ წითელ-პერანგიანები, ნეაპოლის ჯარის კაცები, რომლებიც ჩვენ მხარეს გადმოსულიყვნენ; ყოველგვარი გემების მსახურები, უბრალო მოგზაურები, რომლებიც ბრძოლის ველზე იტალიის განთავისუფლების თანაგრძნობას მოეზიდა. მათ შორის მეტადრე ბევრი იყო ალბიონის სულგრძელი შვილები, რომლებიც არც ერთ გაქირვების წამს არ მომცილებიან. მაგრამ ამ ნარევი-ნურევმა ბრბომ დაამტკიცა, რომ მას ბრძოლის ბედის გადაწყვეტა შეეძლო. როდესაც ისინი კარგა ბლომად მოგროვდნენ, მტრისგან დაქერილ შუაგულისკენ მივუთითე და ვუთხარი: „ხედავთ აი იმ ჩირგვებს იქით მტერს? წადით და თოფ გაუსროლელად ხიშხებით იფრინეთ“. გენერალმა ებერმა ამ მეშველი ჯარით და ერთი მუქა უშიშარი უნგრელებით წინ გასწია; მტერმა მას თოფი დაუშინა, მაგრამ ის წინ მიდიოდა და თოფს არ ისროდა. ბურბონებს თავხარი დაეცათ და გაიქცნენ.

თითქმის ამავე დროს ჩემის ბრძანებით მედიჩმა და ავე-ცანამ, რომლებიც მარჯვენა მხარის ბელადები იყვნენ, ტურმა და მილბიცმა, მარცხენა მხარის ბელადებმა, შეაგროვეს თავისი დანარჩენი ჯარის-კაცები და უკანასკნელ ბრძოლაზე წაიყვანეს ბურბონები ყოველის მხრიდან გაიქცნენ; ჩვენ მათ კაპუამდინ ედით.

„სალამოს ხუთ საათზე მე ნეაპოლში დებეშას ვწერდი:
„ყველა ალაგებზე გავიმარჯვეთ“.

ამ სახელოვანი ბრძოლის შესახებ თვით უმთავრესი მოქმედი პირი ასეთის სინამდვილით და სიმარტივით მოგვიანხრობს. ამ მოთხრობაში თავისუფლების ყველა მებრძოლთა საზოგადოდ და კერძოდ ცალკე ბელადების სიმამაცის შესახებ ბევრია ნათქვამი, მაგრამ თვით ბელადთა ბელადზე კი ძალიან ცოტა.

გარიბალდი შესანიშნავი იყო ბრძოლამდინ, ბრძოლის დროს და მის შემდეგ, იმის არწივის თვალებს არაფერი არ გამოეპარებოდა ამოდენ ბრძოლის მინდორის გაყოლებახედ, რო-

მელიც 48 კილომეტრს უდრიდა. უმაჯრესი მიზნის გონებიდან განუშორებლად ის ატყობს სად და როდის უნდა თავს დასხმა, იერიში; სად და როდის საკმარისია მხოლოდ მოგერება ან კიდევ უკან დახვევა. ყოველ საშიშ ალაგას თითონ არის; იბადება იქ, სადაც სრულიად არ მოვლიან; ასე რომ ბურბონებს ყოველი წითელ პერანგა გარიბალდი ევონათ. სანტ-ანტელოსთან მან თავისი ხასიათის მთელი ძალა და თავისი აღმაფრთოვნების უზომო გავლენა, გამოიჩინა. გარიბალდის იქ მისვლის დროს, საქმეები მეტად სამწუხარო მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ მტრის გამარჯვებას ის არც ერთ წამს არ შეუფრთხია. იმის გამარჯვების რწმუნებას ვერაფერი ვერ არყევს. როდესაც ბურბონები წვიმა-სეტყვასავით აყრიან ტყვიას, ის სრულიად დამშვიდებული ხმით და სახით ისეთის გამბედაობით არწმუნებს მათ გამარჯვებაში, რომ მსმენელს ძალა-უნებურად უნდა დაეჯერებია. როიალისტების ყოველ იერიშს ახალის იერიშით უხვდება ყოველგან, სადაც კი თორმეტოდეკაცს შემოიკრებს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ატყობს, რომ მედიჩის მეშველი ჯარი მეტად დაიქანცა ამ ათი საათის ჰაპანწყვეტაში და მალბიცას ჯარებიც დაღალულობისაგან ფეხზედ ძლივს დგანან, მხოლოდ მაშინ ის მიჰმართავს თავის უკანასკნელ ჯარს და მარტო მიჰყავს საშიშ გზებით, თითქმის მტრის შუაგულში. ამ ჯარს თავისი განუწყვეტელის სიმამაცით ამხნევებს, გამარჯვების სიახლოვეს უქადის, ბრძოლის ბედის გარდაწყვეტის სახელს ჰპირდება; მათთან ერთად ტყვიის ქვეშ მისდის, დაესხმის მტერს; მტერი გაურბის ამ მცირეოდენს გროვას და გარიბალდიელების ჯარის წინააღმდეგ გამოსვლას ველარ ჰბედავს!

მეორე დღეს, ორ ღვინობისთვის მან მთელი თავისი ძალღონე შეაგროვა, რომ მტრის უკანასკნელ ძალას თავს ელვასავით დასხმოდა და სრულიად მოესპო.

ასეთი იყო გარიბალდი, ასეთი იყო მისი ჯარი სანახოვრო 1860 წლის ღვინობისთვის პირველსა და მეორე დღეს.



მაგრამ ჩვენი მოთხოვნის გმირები რას შეგებოდნენ ამ დროს?

როგორც ერთი გადატყორცნილი კენჭი იკარგება დაზღვევებულ ქვიშაში, ისე ისინი ამ აწერილ მორევში დაიმაღლნენ. აბა ისინი ერთ წამს დავძებნოთ და დავინახოთ, როგორ დაზოლოვდა მათთვის ეს მრისხანე და სახელოვანი დღე.

მაგრამ ვაი ამ დღეს: ზოგიერთ მათგანს მზის ჩასვლამდინაც არ უცოცხლია.

პირველ სროლაზედვე რობერტოს მეგობარი, კეთილი და ერთგული ვალენტინო, დაეცა; იმას ტყვიამ გული გაუხვრიტა, მხოლოდ თავის მეგობრის ხელის ჩამორთმევა და ამისი თქმა მოასწრო: „ჩემს მოხუცს ნუ დააგდებო!“ და განუტევა სული. რობერტო მისკენ დაიხარა და შუბლზედ ხელი დაადვა; შუბლი ყინვასავით ცივი იყო. გული კიდევ უცემდა, მაგრამ ერთი წამის შემდეგ ისიც გაცვივდა. სუსტ არსებას მწუხარება სულის სიმზნეს უკარგავს, მძლავრ არსებას კი სულის სიმზნეს უფრო უღონიერებს. რობერტო თავისი მცარე ჯარისკაცებით მცესავით ეცა მტერს. მის გარშემო ტყვიას ზუზუნი გაჰქონდა, მაგრამ ის თავის ამხანაგებით სულ წინ მიდიოდა! მტერი იმასა და იმის ამხანაგებს ლუქა-ლუქა აქცევდა, რომ ამ დროს თავს არ დასხმოდნენ გენუის მსროლელები, რომლებიც ჩასაფრებული იყვნენ და მოულოდნელ სროლაზედ ფეხზე წამოცვივდნენ.

რობერტო ბრძოლის დროს ყოველთვის ყველაზედ წინ იყო. მას ახსოვდა თავისი ვალენტინო და სისხლ-აუღებელი მეგობრის სახე თვალ-წინ ედგა და მტრის ზარბაზნების ლულებს და ხიშტებს უჩინარ-ჰყოფდა.

ამ გვარმა თავგამომეტებულმა მოქმედებამ იმას უხიფათოდ არ ჩაუარა: ორი ქრილობა მიიღო—ერთი ბეჭში და მეორე ხელში, მაგრამ ომის გათავებამდინ ბრძოლის ველი მაინც არ დაუტოვებია.

ებლა ორიოდ სიტყვა სხვების შესახებაც მოვისმინოთ.

ჩვენ წინ სამხედრო ცხოვრების სამწუხარო სურათია: დიდი ოთახი ერთმანეთზე მიტყუბებული ლოგინებით მკრთა-

ლად არის განათებული. ლოგინებზედ ფერმკრთალი შეწუხებული სახეები გამოიყურებიან. ზოგი მათგანი სულთ მობრძანია. ეს არის კაზერტაში ხელდახელ გაკეთებული სამხედრო საავადმყოფო. დრო-გამოშვებით დაჭრილების საშინელი კვნესა გამოისმის. ესენი თითქმის ყველა ყმაწვილი კაცები არიან, მაგრამ უმეტესი ნაწილისათვის სიცოცხლე უკვე მოშხამულია: თუ აქედან გამოვიდნენ, სამუდამოდ მახინჯი დარჩებიან, ვერაერთარ მუშაობას ვეღარ შესძლებენ და იძულებული იქნებიან, სხვისი მოწყალებით თავი ირჩინონ. განაპირა ლოგინზედ წევს ერთი ყმაწვილი კაცი. იმის შავ თმაში ჯერ ერთი თეთრი ბეწვიც არ გამოჩნდება, მაგრამ სახით მოხუცს დამგვანებია. ლოცვები ჩავარდნია, შავი დიდრონი თვალები სილოურჯეს მოუცავს; ტუჩებზე სისხლი აქვს შემხმარი: ავადმყოფი მარჯვენა ფილტვშია დაჭრილი და სისხლი სასაში ამოსდის. მისი სიცოცხლის წამები დათვლილია; მძიმედ სუნთქავს; დრო-გამოშვებით იმის გულიდან საშინელი ხროტინი მოისმის, მაგრამ სიცოცხლეს ჯერ კიდევ არ დაუტოვებია: თვალები გაშტერებული აქვს და გამოუთქმელის მწუხარებით და სინაზით მისჩერებიან მის თავით მჯდომ ქალის სახეს. ეს ვაჟ-კაცი—გრათი ერნესტოა ***.

ზალერმოს ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ის ისევ თავის ჯარში დაბრუნდა. ამდენმა თავგადასავალმა მას გულის ტკივილი დაუბამა, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ მარციას ერთი შეხვედრა გულს ხელახლად აუტკივებდა, ამიტომ გადასწყვიტა, ის არაოდეს აღარ ენახა. ერნესტო ადვილად გაიგებდა, მარცია სად იქნებოდა, რადგანაც უკანასკნელმა თავისი გმირობით სახელი გაითქვა და ყველა იმის შესახებ ლაპარაკობდა; ამის გამო ერნესტოსათვის ძნელი არ იყო საქმის ისე მოწყობა, რომ მასთან ერთსა და იმავე ჯარში არ ყოფილიყო. როდესაც გარბალდის მთელი ლაშქარი ხმელეთზე გადავიდა, ამის აღსრულება უფრო გაადვილდა, რადგანაც ჩქარი მოძრაობის გამო ჯარი მთელ კალაბრიას გაება. მაგრამ ვოლტურნოს ბრძოლის დროს გარბალდის მთელი თავისი ძალა ერთად შეაგროვა. გენერალი ავეცანოს ნაწილი, სადაც მარცია იყო,



და მედიჩის, სადაც ერნესტო იყო, გვერდი-გვერდ დააყენეს. ორივე ნაწილის ბოლოები ერთმანერთში აირივნენ. ერნესტომ იცნო მარცია, უკანასკნელმა კი ვერ იცნო პირველი, რადგანაც ერნესტოს ქული შუბლზე ჰქონდა ჩამოფარებული და ნაბადი ესხა. ყმაწვილი კაცი მას თვალს აღარ აშორებდა; ის მრისხანე თავგამომეტებამ გაიტაცა. მისჩერებოდა ამ ახოვან ქალს, როდესაც ის ბრძოლის ველზე კვამლში გამოანათებდა და იმაზე მაღალი და კეთილშობილი აღარავინ ეგონა. ამასთანავე გრძნობდა, რომ თვალის მოშორება არ შეეძლო, რომ მისი ხილვით სცოცხლობდა და როცა ის აღარ იქნებოდა, მისთვის ყოველივე წყვილადში შთაინთქებოდა. მაშ მისი სიცოცხლე რაღა იქნებოდა? მას უნდოდა სიკვდილი, მაგრამ სიკვდილი ერიდებოდა, მის გარშემო ამხანაგები ერთი მეორეზედ იღუპებოდნენ; ტყვის ზუზუნი ყურებს უქედავდა, მაგრამ ერთიც არ ეკარებოდა. მას თავში გასაოცარი განზრახვა მოუვიდა. წარმოუდგა სიკვდილი რაღაც ცოცხალ არსებად, რომელსაც მისი თხოვნის ასრულება არ უნდოდა. ერნესტომ მოინდომა მისი მოტყუება. ბრძოლა თავდებოდა. ვარიბალდიელები უკან იხევდნენ, მაგრამ ნელა-ნელა; ყოველ ჩირგვთან ჩერდებოდნენ, ყოველ ქვასთან მტერს თოფებით პასუხს აძლევდნენ.

ერნესტო თავის ამხანაგებს ჩამორჩა და უკან მისდევდა მარციას, რომელიც ბრძოლას გაეტაცა და ერნესტოს ვერ ამჩნევდა. ბურბონების მსროლელები თან და თან წინ იწევდნენ. ოთხი კაცი ჩამოშორებოდა მთელ ჯარს და ერნესტოსა და მარციადან ორმოც და ათი ნაბიჯის სიშორეზედ იყვნენ. ერნესტო მათ სახეებსაც კი არჩევდა. ერთბაშად შენიშნა, რომ ერთმა მსროლელმა, მაღალმა წითელ-წვერა გერმანელმა, თოფი მხარზე მიიღო და მარციას დაუმიშნა.

ყმაწვილ-კაცს გული აუტოკდა. „აი, აი ეხლა თუ, თორემ არასოდეს!“

წაიბუტბუტა იმან და სწრაფის გადახტომით მარციასა და გერმანელის შუა დაიბადა, რაღაცამ იეღვა. ერნესტომ იგრძნო, რომ გულში მაგრად რაღაცა მოხვდა, თავში სიცივე აუფარდა

და პირქვე დაეცა: მარციაზედ დამიზნებული თოფი გავარდა; ერნესტომ თვისი წადილი აისრულა: სიკვდილი მოატყუა! ყმაწვილი ქალი წაქცეულ ამხანაგისკენ დაიხარა და ეხლა კი იცნო ის. სწრაფად გადააძრო ნაბადი და გულზედ დაუნახა განიერი ქრილობა, საიდანაც სისხლი ამოჩუხჩუხებდა.

მარციას ბევრი დაქრილი ენახა და ეხლა ადვილად მიხვდა, რომ ეს ქრილობა სასიკვდილო იყო.

— ერნესტო, ერნესტო, — სასოწარკვეთილებით წამოიძახა მან: — ეს რა ჰქენით?!

მაგრამ ყმაწვილი კაცი ხმას არ იღებდა, რადგანაც გრძობა დაკარგული ჰქონდა.

მეშველი ჯარი რომ მოვიდა და გარიბალდიელებმა ხელახლად მტრისკენ მიიწიეს, მარციამ ამხანაგების შემწეობით ერნესტო ავადმყოფების მოსავლელ ადგილას გადაიტანა. ბრძოლის გათაფებისას ის საავადმყოფოში გადაიტანეს; მარციაც იქ დარჩა, რომ ერნესტოსათვის მოევლო, რადგანაც მტრის სრულიად დამარცხების შემდეგ დროებით მშვიდობიანობა ჩამოვარდა.

აი ამგვარად მარცია და ერნესტო ერთად იყვნენ ეხლა.

დაქრილმა ხელით ანიშნა, რომ რალაცის თქმა უნდოდა. ქალი იმის თავისკენ დაიხარა და მას მწუხარე თვალები მიაპყრო.

— მარცია, — ძლივს წაიჩურჩულა მომაკვდავმა: — რამდენიმე წუთის სიცოცხლე-ღა დამრჩენია; მითხარი...

ერნესტომ ველარ დაამთავრა, რადგანაც პირიდან სისხლმა იჩქეფა.

— საყვარელო! — წამოიძახა თავდავიწყებულმა ქალმა და იმის ხელებს კოცნა დაუწყო: — მიყვარხარ! ეიცო, რომ შენ სწორედ ამის გაგონება გინდოდა! დიად, დიად, მიყვარხარ, თუმცა მეგონა, რომ ამ საიდუმლოს თან ჩავიტანდი საფლავში.

ერნესტომ თვალები დახუჭა, რომ ბედნიერებისათვის პირდაპირ არ ეყურებია. ეს მის მისუსტებულ მხედველობას თვალს მეტად სჭრიდა. შემდეგ ოდნად ხელი მოუჭირა თავის ხელში მდებარე ქალის ხელს.



— მომითმინე, ერთი გონს მოვიდე!—წაიჩურჩულა მარცია გაჩუმებული იყო და ავადმყოფს მწუხარედ მისჩერებოდა.

— რა ვუთხარი ეს!—ფიქრობდა ის თავის გულში!—ახლა ამას სიცოცხლე ათას წილად ძვირფასი ეჩვენება და სიკვდილი კი საშიში!

დაჭრილი შეინძრა; სახეზედ რაღაც ჩრდილმა გადურბინა, თვალეში საყვედური გამოიხატებოდა.

რაღაც საიდუმლო გრძნობიერობით, რომელიც მხოლოდ მომაკვდავს სჩვეია, ის თითქოს ქალის ფიქრს მიხედა.

— ნანობ, რომ გამომიტყდი?—უთხა მან.

მარციამ არა უპასუხა-რა.

— ნუ ნანობ,—წარმოსთქვა ავადმყოფმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ:—მთელი სიცოცხლე არ მომცემდა იმ ბედნიერებას, რაც შენმა სიტყვებმა მომანიჭეს!—მარცია მის ლოგინს დაეკრა და მღუღარედ ქვითინი დაიწყო.

ერნესტომ დიდის გაჭირვებით აიღო ხელი და ქალს მშვენიერ თავზე დაადვა. ორივე გაჩუმებული იყვნენ. ანკი ერთმანერთისათვის რა უნდა ეთქვათ! მარცია მთელი ღამე მომაკვდავთან იჯდა, რომ მისი წვალება არ გაეორკეცებინა. მარცია ცდილობდა თავისი გულის წუხილი და აღშფოთება დაემალა და ამიტომ ერნესტოს უღიმოდა, მაგრამ როცა იქით გაბრუნდებოდა, ჩუმად იწმენდა ცრემლებს, რომლებიც თვალეებზე უნებურად მოსდიოდნენ. დილაზედ დაჭრილს ცოტა წაეძინა. მაგრამ მალე წამოიძახა:

— მარცია!

ქალი მასთან მიიქრა

— მშვიდობით, ეკვდები!—წარმოსთქვა მან.

მარცია იმის გაციებულ ტუჩებს დაეკრა და რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ტირილისაგან სული ეგუბდებოდა. მომაკვდავმა შფოთვა დაიწყო. მარცია იმის ლოგინთან ფერმიხდილი იდგა და მწუხარებისაგან დამუნჯებული სულთმობრძაობის ტანჯვით დამანქულ სახეს დაჰყურებდა.

ამ დროს ოთახში მკურნალი და ერთი ყმაწვილი კაცი შემოვიდნენ. ეს იყო რობერტო. ის მივიდა მარციასთან და რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ რა დაინახა სულთ მობრძვი ერნესტო, გაჩერდა და მომაკვდავს მიაჩერდა. ბრძოლის ველზე სიკვდილი ბევრჯერ უნახავს, მაგრამ მას ამგვარი ამაზრზენი შთაბეჭდილება მასზედ აროდეს არ მოუხდენია.

დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებიათ; რამდენისამე წამის განმავლობაში ერნესტომ სული განუტევა.

მკურნალმა გულზე ხელი დაადო და წარმოსთქვა:

— მოკვდა!

მარცია წაბარბაცდა; ეს სიტყვა, რომელსაც ის ყოველ წამს მოელოდა, მეხივით მოხვდა.

რობერტომ შეიმაგრა საბრალო ქალი და მწუხარედ უთხრა:

— ამ კაცის სიკვდილს მარტო თქვენ არ იგლოვთ! ეს ჩემი უკეთესი მეგობარიც იყო.

რობერტოს მზისგან დამწვარ სახეზე ცრემლები მოგორავდნენ.

— თქვენი მწუხარება გულწრფელია, — განაგრძო რობერტომ; — მაგრამ იქნება ახლობელთა თანაგრძნობამ შეგისუბუქოთ. მე მოვედი თქვენთან თქვენი ბიძის, სახელოვანი მამულის შვილის ლიბორიო რომანოს, თხოვნით, რომელსაც შესანიშნავის ძმისწულის თავის სახლში დანახვა სწყურის.

მარციამ არაფერი უპასუხა, თითქო რობერტოს სიტყვები ვერც კა გაიგონა! ის გაქვავებულსავეით იდგა, არ სტიროდა, ხელებს არ იმტვრევდა, მხოლოდ უძრავად იდგა, როგორც ქანდაკება, და თავის საყვარლის უსულო გეამს დასჩერებოდა.

— წავიდეთ! — უთხრა რობერტომ, რომელიც მიხვდა, რომ საბრალო ქალს როგორც ყმაწვილს, ისე უნდა მოჰპყრობოდა. ნახევარ საათის შემდეგ მარცია თავის ბიძის სახლში იყო.

დასასრული საფასხე კეანსთან

დავანებოთ ეხლა თავი ბრძოლის და სიკვდილის შემზარავ სურათებს. გადვიდეთ ლომბარდის იმ ალაგებში, სადაც



ჩვენი მოთხოვნა დაიწყო. იმავე ოთახში, სადაც ამ რამდენიმე თვის წინედ დალიამ გრაფის ქალს ემილიას თავის რობერტოს წერილი პირველად წაუკითხა, ზიან ეხლა ისევ ისინი და რობერტოს წერილსა კითხულობენ. რამდენი ცვლილება მოხდა ამ ცოტა ხანში! ემილიას თავის ნათესავზე შავები აცვია. მისი კმაყოფილი და მხიარული სახე ეხლა მწუხარებით არის მოცული, რადგანაც გულკეთილ მოხუცს თავისი ერთად-ერთი ნათესავი ღვიძლ შვილსავით უყვარდა. მის გვერდით უბრალო ტანისამოსით დალია ზის და ხელში პატარა წერილი უჭირავს. ის ძალიან გამოცვლილა ამ პატარა ხანში. სახეზედ სიღინჯე ეტყობა; გონებრივადაც განვითარდა, რადგანაც იძულებული იყო, ბევრი ეფიქრა იმ საგნებზე, რომლებიც წინედ თავში სრულიადაც არ მოსვლია. ის მოხუც გრაფის ქალსაც სხვა ნაირად ეპყრობოდა ეხლა; რასაკვირველია, ორ ადამიანს ერთმანერთთან არაფერი არ აახლოვებს ისე, როგორც ერთად მოქირვებული წვალემა, შფოთი და იმედები. ემილიას და ახალგაზდა მკერვალ ქალს თავისი უსაყვარლესი პირები ერთსა და იმავე ღროშის ქვეშ ეგულებოდათ. ერთი და იგივე შიში აფრთხოდა და ორივეს და გასაკვირველიც არ არის, რომ ერთი მეორის გულში სრულ ცხარ თანაგრძნობას პოულობდნენ. ამ გვარად ისინი ერთმანეთს ძალიან დაახლოვებით დაუმეგობრდნენ. ემილიას ახალგაზდა მეგობარი თან და თან უფრო უყვარდებოდა და მასში თან და თან ახალ-ახალ ღირსებებს ჰპოულობდა, რომლებიც აქამდინ არ შეუმჩნევია. იქნება ეს ღირსებები ყმაწვილ ქალს სრულიადაც არა ჰქონდა და ისინი მხოლოდ გრაფის ქალის სიყვარულმა შექმნა, იმ სიყვარულმა, რომელიც უდიდესი და თითქმის ერთად-ერთი შემომქმედია ქვეყნიერობაზედ, რადგანაც მხოლოდ მას შეუძლია არარაისაგან რისამე შექმნა. ემილია ნათესავის სიკვდილის ამბავმა საშინლად შეაწუხა; ეხლა მისთვის დაიღუპა ყოველივე, რაც მას სიცოცხლესთან კიდევ აკავშირებდა. ერნესტო იყო მისი ერთად-ერთი ახლობელი ნათესავი, მისი ერთად-ერთი ნუგეში; ის მოკვდა; მაგრამ ცოცხალ ადამიანს არ შეუძლია ისე იცხოვროს, რომ არავის

დაუმეგობრდეს. ამბობენ, რომ ტყვეები, რომლებსაც მარტო
დამწყვედევა აქეთ გარდაწყვეტილი, ეჩვევიან და უმეგობრდე-
ბიან კატებს, ძალღებს და ასე გასინჯეთ, თავის ოთახის ობო-
ბებსაც კი. ამის შემდეგ გასაკვიველი ის არის, რომ საბრალო
მოხუცი, ძვირფასი კაცის დაკარგვის შემდეგ დალიას უფრო
მეტად მიეკედლა. ის გრძნობდა, რომ მისი სიბერე დალიას მო-
შორებით მეტად აუტანელი და გასაჭირი იქნებოდა; როცა ის
დალიას უყურებდა, თავის საბრალო უგზო-უკვლოდ დაკარ-
გულ ქალს იგონებდა და არა ერთხელ უფიქრნია, იქნება და-
ლიამ ქალიშვილის მაგივრობა გამიწიოსო. ამ დროს ის კიდევ
იგრძნობდა ხოლმე ახალგაზდა მკერვალი ქალისადმი რაღაც
ნამდვილ დედაშვილურ სიყვარულს, რომელიც მას უკვე ოცი
წელიწადი არ გამოუცდია.

ამ გვარ გრძნობაში იყო ეხლაც ემილია.

რობერტოს წერილმა იმას მაშინათვე თავისი საყვარელი
ერნესტო მოაგონა, რომლისგანაც ერთ დროს იმასაც მოსდი-
ოდა წერილი. თავისი მარტოობის მოფიქრება უფრო კარგად
აგრძნობინებდა ხოლმე ემილიას, რადენად ძვირფასი იყო მის-
თვის დალია. იღბლად, რობერტოს წერილმა იმდენად გაახარა
ახალგაზდა ქალი, რომ გულკეთილმა მოხუცმა თავისი მწუხარე-
ბა დაივიწყა, რომ მისი სიხარულით დამტკბარიყო.

„საყვარელო დალია,—სწერდა რობერტო:—ბოლოსაც
არის შემძლია შეგატყობინო, რომ ომი გათავდა და, როგორც
მომირჩება ქრილობები, მაშინათვე მილანს გამოვფრინდები
შენთან, ჩემო... (აქ დალიამ გამოსტოვა რაღაცა). ომი გათავდა,—
განაგრძო დალიამ კითხვა:—გუშინ ვიქტორ ემანუილი და გა-
რიბალდი ერთ ეტლში ნეაპოლში შებრძანდნენ. ჩვენი დანიშ-
ნულება გათავდა, თუმცა, მართალი გითხრა, ჩვენი ლაშქრო-
ბის დაბოლოებით კმაყოფილი არა ვარ; რომი და ვენეცია,—
იტალიის საუკეთესო ნაწილები, ისევ ავსტრიის კირთებისა და
ხელმწიფის მტარვალობის ქვეშ დარჩნენ. ჩვენ კი თავთავის
სახლში უნდა დავბრუნდეთ! მაგრამ მეტი გზა არ იყო. უკე-
თეს დროს უნდა ვუცადოთ. მე, თუ მკითხავ, შენთან მოცდა



არ გამიძნელდება... (აქაც კიდევ გამოსტოვა დალიამ). ერთი კვირის შემდეგ განთავისუფლებას მპირდება. ბევრს მოგწერდი, მაგრამ, რადგანაც მალე გნახავ, ამიტომ მაშინდლისათვის ვიზოგავ“.

რობერტომ თავისი სიტყვა ასრულა. ერთი კვირის შემდეგ დალიამ მისგან ღებუშა მიიღო, რომელშიაც მხოლოდ ოთხი სიტყვა ეწერა:

“ხეალ დილის რვა საათზედ“.

შვიდის ნახევარზე დალია უკვე სადგურზე იყო და რვაზე მთლად გაწითლებული რობერტოს კისერზე ჩამოეკიდა. მაშინათვე ორივემ ემილიასთან გასწიეს. უკანასკნელმა რობერტო ნათესაესავით მიიღო. დალიასაგან რობერტოს შესახებ იმას იმდენი რამ ჰქონდა გაგონილი, რომ რობერტო ეხლა თავისიანად მიაჩნდა. რობერტოს ემილიას ბრძანებით ერთი სხვადა სხვა იარაღებით მორთული ოთახი მოუშადაც მალლა სართულში. მეორე ღღეს ემილიამ რობერტოს სიტყვა ჩამოუგდო იმის „მომავლ განზრახვაზე“, ესე იგი სხვა სიტყვით, როდის აპირობდა დალიაზე ჯვარის დაწერას. რობერტომ უბასუხა, შხავარ ეხლავე ჯვარი დავიწერო, მაგრამ ქონებრივად იმდენად, შევიწროებული ვარ, რომ ოჯახს ჯერ ვერ შევინახავო. მოგება წინედაც არა მქონია-რა და სიცოცხლის ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებამ ხომ სულ გამაღარიბაო:

— ნუ თუ რავდენისამე ასი ფრანკის გულისათვის ბედნიერებაზე უარს იტყვით?—უთხრა ემილიამ.

— არა, უარს კი არ ვიტყვი,—მიუგო რობერტომ:—მაგრამ დროებით გადავდებ; შეიძლება წლით ან ორი წლით, სანამ ცოტა არ მოვლონიერდები.

— ერთი წლით! ორი წლით!—წამოიძახა ემილიამ:—საუკეთესო დრო უნდა დაკარგოთ! ოხ, სიყმაწვილე, სიყმაწვილე; რა ცოტა ფასს სდებს მას, რაც სიცოცხლეში საუკეთესოდ არის ჩასათელელი! ყური მიგდეთ, რობერტო! დალია ღვიძლ შვილსავით მიყვარს; ქვეყანაზე ჩემი ძვირფასი ერნესტოს სიკვდილის შემდეგ აღარავინ დამრჩენია. თუ გინდა, მე ყოველ წლივ

სიკვდილამდინ სამიათას ფრანკს გაგიჩენთ, და სიკვდილის შემდეგ ერთ ჩემ მამულს ანდერძით დაგიმტკიცებთ.

რობერტომ მოხუცს პატივისცემით ხელზედ აკოცა.

— გულით გმადლობთ, მაგრამ თქვენი საჩუქრის მიღება კი არ შემიძლია; მე ჯანსალი ვარ, ყმაწვილი და ამიტომ უფლება არა მაქვს, სხვისი ჯიბით ვიცხოვრო საპყარივით. ვერავინ ვერასოდეს ვერ იტყვის, გარბაზდღის აფიცერი მოწყალებით ცხოვრებსო.

ემილია ბევრს არწმუნებდა რობერტოს, ეჩიჩინებოდა, მაგრამ რობერტო თავისაზე იდგა.

ბოლოს, მოხუცმა ეშმაკობა იხმარა, რის გამოც რობერტოს კეთილშობილური თევზოყვარეობის შეუბღალავად მათი ჯვარის დაწერა მოახდინა; იმან რობერტოს უთხრა:

— თქვენ ჩემი ფულების აღება არ გინდათ, მაგრამ უარს ხომ არ იტყვით სამსახურზედ, რომელიც პატიოსნად ლუკმის შოვნას შევაძლებინებთ?

— რასაკვირველია, არ ვიტყვი, თუ კი ჩემ ცოდნას შეესაბამება! — მიუგო რობერტომ.

— ძალიან კარგი! ვეცდები, მოგიხერხოთ. გარბაზდღის აფიცერი ულუკმა-პუროდ არ უნდა დარჩეს.

რამდენისამე დღის შემდეგ ემილია მილანიდან გახარებული დაბრუნდა. მან უმოვნა რობერტოს მშვენიერ ხელოვნებათ მუზეუმში ზედამხედველის ადგილი. ეს მუზეუმი იმყოფებოდა ბრერას წიგნთ-საცავთან, რომელიც ლომბარდიის სატახტო ქალაქის ერთ-ერთ მშვენიერებად ითვლებოდა. ეს ალაგი ახალგაზდა მხატვრის გემოვნებას და მისწრაფებას ძალიან შეჰფეროდა. რადგანაც ნებას აძლევდა, თავის ხელობა გაეგრძელებია და აგრეთვე ოჯახიც რიგიანად შეენახა. რობერტომ მაშინათვე მიიღო ეს ალაგი; ჯვარის საწერად მათ ხელს აღარაფერი უშლიდა; ქორწილი ერთი თვის შემდეგ დანიშნეს.

ჯვარის-წერის რამდენისამე დღის წინად, რობერტო თავის ძველ ქალაღებს სჩხრეკავდა; ეს ქალაღები დალიამ გადმოიტანა იქიდან, სადაც ისინი ლაშქრობაში წასვლამდინ ერთად



ცხოვრობდნენ. ერთბაშად მისი ყურადღება შავი ზორნით შეკრულმა გამტვერიანებულმა ძველმა ქალაღღებმა მიიქცია.

— ნეტა რა უნდა იყოს?!—იფიქრა მან, გახსნა და რამდენიმე ძველი წერიღღები ნახა ლურჯ ქალაღღზე, რომელსაც ოცი წლის წინედ ხმარობდნენ; კიღღევ რაღღაც ანგარიში, თითქოს ძიღღისგან, რაღღგანაც იქ აღღნიშნული იყო სახვევეები, პერანგები, საბნები და ბავშვის სხვა-ღღა-სხვა ნიღღთები.

— ამას აქ რა უნდა?—ეკითხებოღღა ის თავის თავს:—უთუღღოდ ღღაღღიწყღღა ვისმეს.

რაღღგანაც ამ ქალაღღღებს არაღღვისთვის განსაკუღღრებითი მნიშვნეღღობა არს ჰქონღღა, ბუხრის თავზე შეაღღღო რობერტომ ღღა უეჭვეღღია, მეორე ღღღეს ცეცხლში შეაღღღებღღა. მაგრამ ამ ღღღროს ოთახში გაბრწყინებული ღღღლია შემოღღვიღღა, მას მოსღღღეღღა ემიღღღლიაღღც.

ორიღღვე მომავალი მეოჯახეობის საჭიროების მოსაღღღაპარაკებღღად მოვიღღღნენ. რობერტომ ყოვეღღღიღღე თავის ცოღღღს ღღა ემიღღღიას მიანღღღო; ამიტომ მასთან მოსაღღღაპარაკებელი აღღღრა იყოღღრა. მხოლოდ ღღღლიას თავისი საქმროს ნახეღღა უნღღღოღღა. რობერტო ამას მიხვღღა ღღა გაუბა მუსაიღღღი; იღღღის სიტყვებს თითქმის ყურს არცკი უღღღღებღღა ღღა მისი ღღღამაში ტუჩების მოღღღრობით სტკებოღღა. გრადღღის ქალი გვერღღღით იღღღღა, იღღღიმებოღღა ღღა ღღღრო-გამოშვებით თანხმობის ნიშნად თავს აქნეღღღა.

ერთბაშად ემიღღღიას სახე აენთო; თვალები ერთ მხარეს მიაბყრო ღღა ხეღღღებიღღც იქით მიაშვიღღრა.

— რა ღღღგემართათ?—ჰკითხეს რობერტომ ღღა ღღღლიამ.

— ეს ვინ მოგცათ?—აკანკაღღღებუღღღის ხმით იკითხა მან.

— რა ვინ მოგვცა?

— ეს წერიღღღები?

— ჰო, წერიღღღები, —უბასუხა რობერტომ:—სწორედ არ ვიცი. ღღღარჩებოღღა ვისმე. შენ ხომ არ იცი, ღღღლია?

ღღღლია წამოღღღა ღღა წერიღღღები ჩამოიღღღო; ემიღღღიამ მაშინათვე გამოჰღღღიღღა ღღა აკანკაღღღებუღღღის ხეღღღებით სწრაფად ფურცღღღა ღღაუწყო.

— ეს თქვენსა საიდან გაჩნდა?—აღელვებით ჰკითხა მან ორივეს.

— ეგ დედა-ჩემს ჰქონდა!—უთხრა დალიამ.

— დედა-შენს? საიდან იცი?—ჰკითხა გაფითრებულმა ემილიამ, რადგანაც დალიას სიტყვებს სრულიად სხვა მნიშვნელობა მისცა.

ეს წერილები და ანგარიშები ემილიას საკუთრება იყო; ის სწერდა მათ თავის ქალის ძიძას, და ეხლაც ერთი და მეორეც მშვენივრად გაიგო.

— მე ეს ბიძა-ჩემმა, კაპიტანმა ბერნარდომ მითხრა. დედ-ჩემის სიკვდილის შემდეგ პატარა ყუთი დარჩა ქალღმერთით; ბიძა-ჩემი ამ ყუთს თვალის ჩინისავეთ უფრთხილდებოდა და ხშირად გადაიკითხავდა ხოლმე... თქვენ რაღა დაგემაართათ, ბატონო?

გრაფის ქალს ხელები პირზედ მიეფარებინა და სტიროდა. ყოველივე ეჭვი გაქრა; მის წინ მისი ღვიძლი ქალიშვილი იდგა; ბერნარდო მისი მამა იყო და მას კიდევაც უცვნია ის თავის ქალიშვილად. ბერნარდოს და, რომელიც დალიას დედად აცხადებდა თავის თავს, არც ბერნარდოს და ყოფილა, არც დალიას დედა; ის იყო ერთი მათხოვარი, რომლის ხელშიაც შემდეგ პატარა ქალი ჩავარდნილიყო.

ემილიას სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა; ის ეცა დალიას და დაუწყო კოცნა თვალებში, ლოყებზე, შუბლზე, ტუჩებში და თან სტიროდა. ის დიდხანს გონს ვერ მოსულიყო.

დალია და რობერტო ყოველ გვარ საშუალებას ხმარობდნენ მის დასამშვიდებლად, მაგრამ ეს მათთვის ძნელი იყო, რადგანაც მათ სრულიად არ ესმოდათ ემილიას ასე მოულოდნელი ზედ მეტი მგრძობიერება. და ვერც გაიგეს, რადგანაც ემილიამ თვისი საიდუმლო საფლავში ჩაიტანა. და მათ კი არა გაუმედაფნა-რა. ამის შემდეგ ხუთმა წელიწადმა გაირბინა. ემილია გარდაიცვალა; როდესაც მისი ანდრეძი ნახეს, ყველა მისი ნათესავი კინალამ გულს შემოასკდა; მთელი თავისი მამული ეანდერძებინა დალიასათვის ***, რომელიც წინედ მკერვალი

იყო და ეხლა კი ბრერის მუზეუმის სამხატვრო განყოფილების ზედამხედველის ცოლი.

ამ ანდერძმა ყველაზე უფრო დალია და რობერტო განცვიფრა. რობერტო აუარებელ სიმდიდრის პატრონი გახდა, მაგრამ თავისი ძველი ჩველები არ დავიწყებია. მთელ თავის შემოსავალს თავის ამხანაგ გარიბალდიელებს ახმარს, რომლებიც იტალიის განთავისუფლებისათვის ომმა დაამახინჯა. მოულოდნელმა სიმდიდრემ მხოლოდ ის ცვლილება შეიტანა მის ცხოვრებაში, რომ მხატვრობის სიყვარულის გარდა მას მეურნეობის სიყვარულიც აღეძრა. ყოველ ზაფხულს ის მიდიოდა მილანიდან კომოს ტბის ნაპირს, პატარა აგარაკში, რომელიც სოფელ ალბეზედან რამდენიმე კილომეტრის სიშორეზედ არის. ეს ის სოფელია, სადაც გახლავთ სამიკიტნო თავის წმიდა ეპისკოპოსი კარლოს ბორომეოთი.

რობერტომ აქ ვენახი გააშენა, ყვავილები დათესა და დარგო, გააკეთა ხეივნები—ერთის სიტყვით, განახორციელა ის ოცნებები, რომლებითაც თავს იქცევდა რამდენისამე წლის წინედ, როდესაც სამიკიტნოს სარკმელიდან ამ აგარაკს გაჰყურებდა. ერთად-ერთი განსხვავება მაშინდელი ოცნებისა და ეხლანდელი სინამდვილეს შუა იმაში მდგომარეობდა, რომ იმისი ბაღის ყვავილებში და ამწვანებულ ვენახში ორი პატარა ყმაწვილი დაცქრილობდა—ესენი მისი ვაჟიშვილები იყვნენ. უფროსს ერნესტო ერქვა და უმცროსს—ვალენტინო.

სიკვდილი მშობრისა

ცის ქუხილივით გაისმა
სოფლად სიკვდილი გმირისა,
რომ ვერ უშველა ექიმმა,
ზის და ჩუმადა ტირისა.
ვერც მკითხაგებმა უშველეს
ვედრებამ იმათ ზირისა.
შიზეზს რად ეძებთ სხვა-დასხვას —
დღე — წერს იყო იმისა.
«აფსუს რა ჯონგა წაიქცა!»
უგელა ამისა ჩივისა.
ცრემლი აწვიმა მთაზედა
ტურთამ ცისკარმა დილისა...
კუბოს ფიცრებიც ითლება
მისრიათ ქალის შვილისა.
დრო ჩამოუგღო მტრის ტუფიამ
გაუდგომარის ძილისა.
ურჯულს გაუნარდება,
ლაშქარში ვეღარ ივლისა.
თავს რომ დაატეო — ვკვდებიო,
ჯალათ ანიშნა ხელითა,
რომ გაეფანათ კარზედა
ანჯარ-ანჯარით მთელითა.
სულის დაღევა გარეთა
წესია ძველის-ძველითა.
ჯერ თავად წამოიწია,

იღუპებს იღვამს სვეტადა.
 სიკვდილსაც არა ჰხებდებო:
 კერზობა ჰქონდა წესადა.
 უნდა ხმლითა სცას მტარვალსა,
 თუ კი მოუვა ხელადა;
 უჩინარია, ვის ებრძვის?..
 სული ამოჴდა ეელადა.
 თავის მომრევი ვაჟკაცსა
 არეინ ეგონა ქვეუნადა:
 უკვირს, რომ ძალმა უჩინმა
 დაჴაბნა მეტის-მეტადა;
 მტერი სცემს, ზასუხს ვერ აძლევს,
 მონას რასმე ჰგავ ქლესასა.
 მტრის ჴაფრს არა სჭამს მხოლოდ მით,
 არ გაავრნებს კვნესასა.

—
 მამა ამკაცრებს როსტია,
 გული წაჴსვლია დედასა.
 ეურჩა შვილი მოხუცსა,
 მამას არ აძლევს ნებასა:
 ვერ იტანს ვაჟკაცის ფიქრი
 გულზე ხელების კრეფასა.
 სიკვდილო, კარგის მოკვლისთვის
 ნეტავ, ვინ გატევის ქებასა!?.
 ბერიძის დისა ტირილი
 სანთლად დაწითა ზეტასა.
 აედო მთელი მთა-ბარი
 ქალთაშინს მოთქმა-კვნესასა.
 დაიჭრა თმები გიშრისა
 ათეულის ჰგავ კრებასა.
 ცოლის გულსაც ჰხვდა ლახვარი,
 თუმც ტირილს ვერა ჰბედავსა.
 ნუშად იტირებს ბეჩავი,

როცა არავინ ჰხედავს.
ხალხთ ხეულებს დიდა:
დევს ჰგავ რეინის მკვნიტავს!..

დერეფანში წევს ბერიძე,
თვალ-დახუჭული, მკვდარია.
მშობელი ქვეუნი დაჯი
მკვდა და აღარ არია.
ზირ-ნათლად მივა სულეთსა,
სადც იმის წინაშარნია,
რომ არ უმტეუნა, ასრულა
გმირმა გმირული ვადა.
მკვრდზე დაწევეს იმისი
თათუი, ფარი და ხმალია,
თავით დაუდექს ხანჯარი,
ხმალ-შეუვალი რვალია.
ფეხთით უდგის ლურჯაი
ერთ უზერავ ღაგმის ტარია.
ტოტს უცემს, ელის ხატრონსა,
დაუგვიანდა მგზავრია.
დედ-მამას ანდერძს უწირავს:
«მანშეს მიეცით ხმალია,
სხვის ხელში ნუმც მკვულება,
ღირსი სხვა არავინ არია.
ხანჯარი - ფუნჩაიშვილსა,
ის კარგი მეომარია.
ფარი და ჯაჭვი - ლეგასა,
ჯერ ომში შავუვალია.
ვინაც ზირველად მიუხდეს
ხატრონს თარაქამასა,
ვინაც კი ამოაშხამებს
თათარს ცოდვების ქამასა,
ხემ ცხენი იმასა ჰეუანდეს,



ხელ იმან უსვას გავასა.
 ალალი არი იმაზე,
 ხურც თქვენ დაუწყებთ დავასა.
 თოფი — ელაზბარს, ჭრილობით
 მე მკონაფ იუფს ავადა.
 ვინც ჩემს იარაღს იხმარებს
 ერთგულად, დაუმტდარადა,
 ცოცხალიც ვამბობ, მკვდარიცა:
 დიერთმა ახმაროს ალლადა.
 უველას შრომამც იქნება
 მშობელი ქვეყნის წამლადა.
 ეს სთქვა და გაქრა, როგორაც
 შანდალში ნამწვი სანთლისა.
 ვენაცვლე იმის ბიჭობას,
 ჭირივე იმის გამდლისა!..
 საგძალი მისდევს შვეეთსა
 აქ მონვეჭილის მადლისა.
 შაჭირვებულა სოფელი,
 ძებნა სჭირდება ბადლისა.
 ვაი, რომ ცუდი ბევრია,
 ზოგნა ძნელია კარგისა!

გაუბ-ფშაველა



დაბუნებულნი

რომანი ბოლშაჩოვის ცხოვრებიდან

ივ. გაზროვისა

XV

მოულოდნელი შესვლა

ოგნიანოვი ჩრდილოეთის მხარეს წავიდა, ბალკანის ხეობისაკენ. უკვე დაღამდა. ველს ბნელი ზეწარი გადაეფარა. ოგნიანოვი მონასტერს უკან მოუარა, ავიდა ხშირ-ტოტიან კაკლებით დაფარულ სერზე, გასცდა აქაურობასაც, გავიდა უშველებელ ლოდებ ქვეშ ხტუნვით მომდინარე პატარა წყალზე და, ბოლოს, ბალკანის ხეობაში შეჰყო თავი, საიდანაც თვით ეს წყალი გამოდიოდა.

ოგნიანოვი ფათურით დაადგა ალაგ-ალაგ გაფუჭებულ საცალფეხო ბილიკს, რომელზედაც მარტო დღისით თუ შეეძლო კაცს უხიფათოდ ევლო. მოაგონდა, რომ ამ ნახევარ წლის წინად ამავე ბილიკით დავეშვი მთიდან და ბაი მარკოს სახლში მივიპარეო. სიბნელებს სულ დაფარა ხეობა და ოგნიანოვი უჩინარ შეიქმნა. დიდის წვალეებით მიბობლავდა გზაზე ამართულ ქვებზე. ვისმე რომ ენახა ამ დროს ოგნიანოვი ამ უდაბურს ალაგს, იტყოდა, ამ საშიშ კლდე-ღრეში, უეჭველია, მხეცი თუ იქმნება, თორემ აღამიანს აქ რა უნდოდაო. ერთბაშად ხმაუ-

*) იხ. „მოამბე“ 1899 წ. № IV.



რობა მოესმა ოგნიანოვს; ეს ხმა წისქვილისა იყო. მაშინ უფრო თამამად და გულმაგრად გასწია იქითკენ, საითკენაც ეს ხმა მოდიოდა. მალე, სიბნელით მოცულ ხეობაში ოგნიანოვმა პაპა სტოიანის წისქვილის სახურავი გაარჩია და ერთს წუთს უკან მის გვერდით იდგა კიდევცა.

პაპა სტოიანი ჭიშკართან მოეგება.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა აჩქარებით და შეშინებულის სახით ოგნიანოვმა.

— მადლობა ღმერთს. არა უშავს-რა.

ამ პასუხმა ერთბაშად დაამშვიდა ოგნიანოვი. იმას ეშინოდა, აღზად როგორმე მიაგნეს ორ ოსმალოს მკვლევლების კვალსა და პაპა სტოიანმაც იმიტომ მიხმო ასე გვიანაო.

— არაფერი, მაპატივე, ბატონო მასწავლებელო, რომ შეგაწუხებ და აქ მოგიხმე, მაგრამ რა მექნა, სხვაფრივ არ შეიძლებოდა.

ამის თქმაზე პაპა სტოიანმა ხმას დაუდაბლა და დასძინა:

— მინდოდა ჩვენის ბიკენტისათვის დამეძახნა, მაგრამ ახლა იმას აცივებს და ავადაა. ამის ფიქრში რომ ვიყავი, ისე ხრისტიუმ, ჩვენმა ყმაწვილმა, შენი მითხრა, მონასტრის ახლო დავინახეო, — ეთქვი, მოდი, მასწავლებელს მოვიხმობ, ეს უკეთესი იქმნება-მეთქი. მაპატივე, მასწავლებელო.

ოგნიანოვი მოუთმენლად ელოდდა, რას მეტყვის ეს კაციო.

— კარგი და, არ მეტყვი, რა საქმე გაქვს? — ჰკითხა მესამეჯერ ყმაწვილმა კაცმა.

— მაშ იმ ყმაწვილს არაფერი ჰკითხე?

— არა.

— ჰოო, მე კი მეგონა, ჰკითხე-მეთქი! ფუი, შეარცხვინა ღმერთმა, მე აკი დავარიგე, თუ რამე გკითხავს, ყურში ჩუმიდ უჩურჩულე-მეთქი. აი, რა საქმე გახლავთ, მასწავლებელო. — მოხუცმა სულ დაუდაბლა ხმას.

— მეგობარი მოვიდა.

— ვინ მეგობარი?

— ჩვენი კაცია.

— ჩვენი კაცი?

— ჰო, ხალხის მოკეთე.

— ვინ არის, რა გვარია?

— არ ვიცნობ. მთიდან დაეშვა და პირდაპირ ჩემთან მოვიდა. პირველად შემეშინდა: ყაჩაღი არ იყოს-მეთქი, ვიფიქრე... უნდა გენახა, რასა ჰგავდა საცოდავი! ფეხები სულ გაჰფიჩხებოდა... მერე მითხრა, ხალხის მოკეთე ვარო.

— ხომ არ უთქვამს, ვინ არის ან სადაურია?—ჰკითხა საშინლად გაოცებულმა ოგნიანოვმა.

— ვკითხე, მაგრამ ის-ლა მითხრა, ოსმალებს გამოვექეცი და ბალკანზე დავეშვიო.

— ხომ არაფერი გთხოვა?

— მთხოვა, როგორ არა. ერთი ნაჭერი პური მთხოვა, ოთხი დღეა, პირში ნაწილი არ ჩამიშვიაო. გარდა ამისა, ისა მთხოვა, ვინმე ხალხის მოკეთე მოიხმე, მინდა ვუთხრა რამეო. მაშინათვე ის ვიფიქრე, დიაკვანს მოვიხმობ-მეთქი. მაგრამ მომაგონდა, რომ იმას აციეებდა და გადავსწყვიტე შენთან გამომეგზავნა კაცი, ბატონო.

— ძალიან კარგად გიქნია, პაპა სტოიანო.

— მაპატივე, რომ ასე უდროვო დროს შეგაწუხე.

— რას ამბობ, პირიქით მაღლობელი ვარ შენი. აბა, მაჩვენე შენი სტუმარი.

— ფარდულში მყავს დამალული, გამომყევი და გაჩვენებ. და პაპა სტოიანმა ოგნიანოვი წისქვილში წაიყვანა.

ბნელოდა.

ანთო ლამპა, ბოიჩო ჯერ კედელსა და წისქვილის ქვას შუა გაატარა, შემდეგ ორ ბელელს შუა და გაჩერდა ერთ პატარა კარის წინ. ამ კარის თავი დაფარული იყო ახლად გახეულის ობობას ქსელით, რაიცა ჰმოწმობდა, რომ ეს კარი დიდხანს უნდა ყოფილიყო დაკეტილი.

— როგორ, ის აქ არის დამალული?

— რას გაიკვირე? თუ რძის ქურჭელს თავი კარგად აქვს დაფარებული, კატა რძეს ვერ ამოსვლევას... ასეა, განა, მასწავლებლო?



ეს რომ სთქვა, პაპა სტოიანმა კარი დააკაკუნა და დაუ-
ძახა:

— ბატონო, გამობრძანდი!

კარი გაიღო და იქიდან კაცი გამოვიდა.

უცნობი დაბალი ტანის ყმაწვილი კაცი იყო, ხმელ-ხმელი, ქერა, მეტად გამხდარი სახისა, წვერი დიდხნის მოუპარსავი ჰქონდა, თვალეში სიცოცხლე ეტყობოდა. ოგნიანოვს ელდა ეცა, ასე საცოდავად მიქნავებული და დასუსტებული კაცი რომ დაინახა. მგზავრს თეთრი ტილოს ტანისამოსი აკანკალებულ ტანზე მიჰკროდა და ისე შემოჰგლეჯოდა, რომ ხორცი უჩანდა.

შეხედა თუ არა, ოგნიანოვმა, მაშინათვე იცნო და გო-
ცებით წამოიძახა:

— მურატლიისკი!

— კრალიჩი!

ორმავე მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და მხურ-
ვალედ გადაჰკოცნეს.

— როგორ, შენა ხარ? საიდან?—ჰკითხა ოგნიანოვმა თავის წრის ამხანაგს მურატლიისკის.

— მე? მაგრამ შენ ვიღასა გხედავ? მართლა კრალიჩი ხარ? კრალიჩი მობრუნდა, მიიხედ-მოიხედა და სტოიანს უთხრა, რომელიც უნძრეელად იდგა მათ წინაშე და ლამპარი ეჭირა:

— პაპა სტოიან, ლამპარი გააქრე და ქიშკარი მიხურე. მაგრამ არა: აქედან გავიდეთ. წყლის ხუილისაგან ერთმანეთის ნათქვამი არ გვესმის.

პაპა სტოიანი წავიდა წინ, ქიშკარი მიჰკეტა და უთხრა:

— თქვენ ილაპარაკეთ და მე კი დაგწვები. როცა თქვენც მოგინდეთ, ძილი, შემოდით და, როგორც მოახერხოთ, ისე დაწვეით.

ხეობა სულ სიბნელეში იყო გახვეული, მაგრამ კლდე, პირიქით, მთვარისაგან კარგად იყო განათებული. ოგნიანოვმა და მისმა ამხანაგმა სულ ბნელი ადგილი აირჩიეს და ერთ დიდ ქვის ქვეშ დასხდნენ, დაკლოანილ და ჩუმად მოდუდუნე წყლის მახლობლად.

— მოდი, ძმაო, კიდევ გადავეხვიოთ ერთმანეთს, — უთხრა გრძნობით ოგნიანოვმა.

— მითხარ მალე, კრალიჩ, აქ რამ მოგიყვანა? მე ისევ დიარბეჭირის სამოთხეში მეგულებოდი!

— შენა, შენ კი ჯერ არ ასულხხარ სახრჩობელაზე? — სიცილით ჰკითხა კრალიჩმა.

შინაურულად დაუწყეს ერთმანერთს ლაპარაკი... ერთნაირი ბედი და ტანჯვა-წვალება ადამიანს ადამიანთან ახლოვებს, თუნდაც ძალიან უცნობნი და შორეულნი იყვნენ ესენი ერთმანერთისთვისა. ხოლო ბოიჩო და მურატლიისკი ერთმანერთის ძმები იყვნენ ხმლითა და აზრითა.

— აბა, სთქვი, — განაგრძო მურატლიისკიმ. — შენ უფრო შორეული ადგილებიდანა ხარ მოსული, პირველად შენი ჯერია. დიარბეჭირიდან როდის დაბრუნდი?

— შენ გინდა გაიგო, როდის გამოიქეცი?

— როგორ? გამოიქეცი?

— მისშივე.

— მერე ისე როგორ მოახერხე, რომ გზაში ხიფათს არაფერს წააწყდი? რომელ გზით მოხვედი?

დიარბეჭირიდან ფეხით რუსეთის სომხეთამდე მიველ, იქიდან კავკასიაზე გავიარე, კავკასიიდან — რუსეთში, ქალაქ ოდესაში ჩამოვედი, — აქ რუსები მიწყობდნენ ხელს. ოდესიდან გემით ვარნაში მოვედი. იქიდან მთა-მთა ტროიანოს სოფლებში ჩამოვედი; და, ბოლოს, სტარაია-გორაზე გავიარე და ბელაია-ცურკოვში მოვედი.

— კარგი და, რაღა ბელაია-ცურკოვი აგირჩევია?

— საცა არავის ვიცნობდი, იქ წასვლისა მეშინოდა. ხოლო საცა ნაცნობები მყვანდნენ, არ ვიცოდი, რა დაემართათ, ცოცხლები იყვნენ, თუ არა. სწორედ ამ დროს მომაგონდა, რომ ბელაია-ცურკოვში მამა-ჩემის საუკეთესო მეგობარი და მეტად პატიოსანი კაცი სცხოვრობდა. თან, დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ ამ კაცის მეტი არაფერს მიცნობდა; თვითონ ის კაციც ვერ მიცნობდა, მე რომ არ გამოვცნაურებოდი.

— რა კარგია, რომ მაშინათვე გიცანი! აქა რჩები?

— ჰო, აქა ვრჩები. მამა-ჩემის მეგობარმაც მიშველა და მასწავლებლობა მაშოვნინა, და ჯერ, მადლობა ღმერთს, შიში არაფრისა მაქვს.

— მაშ შენ მასწავლებელი გახდი, კრალინ?

— ოფიციალურად—მასწავლებელი ვარ, ჩუმად კი ჩემს ძეგლს საქმეს ვაკეთებ.

— ჰმოციქულობ, არა?

— ჰო, ხალხს ასაჯანყებლად ვამზადებ...

— თქვენი საქმეები როგორ-ღაა? ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ.

— ახლა კარგადაა. ხალხი მეტის-მეტადაა ატეხილი, ნია-დაგი მეტად მკვიდრია: ბელაია-ცერკოვი ლევსკის ერთი ბუდე-თაგანი იყო.

— ეს კარგი. თქვენი გეგმა მოქმედებისა როგორი-ღაა?

— გეგმა ჯერ არ შეგვიმუშავებია. ჯერ თეორიულად ვემზადებით, მერე თვითონ დრო გვაჩვენებს, როგორ მოვიქცეთ. ხალხის მღელვარება დღითი-დღე იზრდება აქაცა და ახლო-მახლო სოფლებშიაც: ადრე თუ გვიან, ხალხი აჯანყდება, თავს მაღლა აიღებს.

— ეაშა, კრალინ! ყოჩალი ხარ!

— ახლა შენი თავგადასავალისა მიამბე!

— რა გიამბო, აკი იცი ყველაფერი... სტარაია-ზაგორაში ისე დაემარცხდით, რომ გერცხვენია აღამიანს პირდაპირ თვალში შეეხედოთ...

— არა, არა, თავიდან დაიწყე; იმ დროიდან მოჰყევი, როცა ჩვენი წრე დაიქსაქსა და ჩვენ ერთმანერთს გავშორდით. რვა წლის განმავლობაში, რაც ხანი დიარბეჟირში ვიყავ და-მწყვდეული, არა გამიგია-რა არც შენი და არც სხვებისა.

მურატლისკი ქვაზე გაიშხლართა, ხელები თავ ქვეშ ამოი-დო და, ასეთს მოსვენებულს მდგომარეობაში მყოფი, დიდ ხანს ამობდა თავისს თავგადასავალსა. მის ნათქვამიდან კრა-ლიჩმა გაიგო, რომ ის მონაწილეობას იღებდა სოფლის შეთქმუ-ლობაში და მაშინ დიმიტრი ობშჩის სახელით დადიოდა. მერე

ორხანის ფოსტის გაძარცვის საქმეში ისიც ერია. იმის შემდეგ სატუსაღოში ამოჰყო თავი და მხოლოდ რაღაც სასწაულ-მოქმედებით დააღწია თავი დიარბეჭირსა ან სახრჩობელას. აქედან რუმინიაში გაიქცა, წელიწადნახევარი დაძრწოდა და შიმშილსა და წყურვილს ებრძოდა; რუმინიიდან ისევ შემოვიდა ბოლგარეთში სარევოლიუციო წრის ერთის მიდნობილობის ასასრულებლად, ისევ ჩააგდო თავი განსაცდელში და მისი ბენი, როგორც, საზოგადოდ, ყოველ აგიტატორის და „საქვეყნო საქმისათვის თავდადებულისა“, უფრო ხშირად ბეწვზე კიდებულა. ამ გაზაფხულზე ძველს-ზავორაში ამოუყვია თავი და გატაცებით შესდგომია ხალხის მომზადებას ასაჯანყებლად. ამ დროს აჯანყება მოხდა კიდეცა. მაგრამ საქმე სამწუხაროდ გათავდა. თვითონ მურატლიისკიც მსუბუქად დასჭრეს ოსმალებმა ელხოვოსთან მომხდარს შეტაკებაში. ისიც, ოსმალების მეძიებელთა და თვით ბოლგარელ გლეხთა მიერ დევნილი, სტარაია-გორაზე ავიდა, აქ ბოლგარებს თავის სარევოლიუციო ტანისამოსის*) ნაცვლად გლეხურ სამოსელსა და პურსა სთხოვდა, მაგრამ ყველა უარს ეუბნებოდა. ამნაირად ათის დღის განმავლობაში დაძრწოდა ბალკანებში და თავის თავს ათასგვარ განსაცდელში აგდებდა. საშინელმა შიმშილმა მოუჭირა და იძულებულ შეიქმნა მთიდან ძირს ჩამოსულიყო და პირველ შეხვედრილ ცოცხალ ადამიანისათვის საქმელი პური ეთხოვნა. მისდა ბედად, ეს კაცი პაპა სტოიანი გამოდგა: მურატლიისკიმ აღელვებულის ხმით უამბო თავის ამხანაგს, მეწისქვილე მეტად კარგად დამიხვდა, ეს იყო პირველი ადამიანი, რომელიც ძმურად მომექცა მას შემდეგ, რაც მე ბალკანებში დავიწყე იქიან-აქეთ წოწიალიო.

მურატლიისკი გააჩუმდა. მდინარე მის ფეხებთან მიმხუთდა. მაგრამ გარშემო იღუმალეობა იყო გამეფებული, ჩამი-ჩუმი არსაიდან ისმოდა. მეორე ნაპირას ბუმბერაზი სალი კლდეები, მთვარით განათებულები, უტყე მოწმებსავით იდგნენ. მხოლოდ

*) აჯანყების დროს ბოლგარელებს სხვანაირი ტანისამოსი ეცვათ.

ლამის ნიაფი იღუმალებით სავსე სახით აწრიალებდა მათს ზე-
 ვიდან ამოსულ ჯაგნარსა და შამბსა.

ოგნიანოვი აღზნებით ისმენდა თავის ამხანაგის თავგადა-
 სავალსა. მასთან ერთად იმანაც გამოსცადა ყოველი შიში,
 ტანჯვა, მწუხარება, გაცრუება იმედისა... და გულს უკლავდა
 ისა, რომ რევოლიუციონერების დამარცხებაზე ხალხმა სულ-
 მდაბლობა გამოიჩინა და სათანადო თანაგრძნობა არ გამოუც-
 ხადა თავის მოკეთებესა. კრალიჩს რცხვენოდა ამ ხალხის მა-
 გიერ, სინიდისი სტანჯავდა. ახლა ძმურად თანაუგრძნობდა
 მურატლიისკსა და უნდოდა როგორმე ეშველნა მისთვის, დახ-
 მარებოდა, ტანჯვა შეემსუბუქებინა.

— ახლა რასა ფიქრობ, რა უნდა გააკეთო?—ჰკითხა
 ბოიჩომ.

— ისევ რუმინიაში წავალ, მხოლოდ შენ ტანისამოსი და
 პასპორტი მიშოვნე სადმე.

ოგნიანოვი დაფიქრდა.

— იქ რა უნდა გააკეთო?

— დავიციდი ცოტას... მერე ისევ სარევოლიუციო მზა-
 დებას შევეუდგები... ხომ იცი... ჩვეულებაა...

— ჯერ თავი დაანებე; ვერა ხედავ, ძლივასა სუნთქავ,
 ჯერ უნდა მოკეთდე, სული მოითქვა. აქ დარჩი.

— დასამალავად?.. თოკით რომ დამაბა, არ დავიციდი! ნე-
 ბა-ყოფლობითი დამწყვდევა არ მინდა.

— დამალვა საჭირო არ არის!—უთხრა ოგნიანოვმა ცო-
 ტა ხნის ფიქრის შემდეგ.

— როგორ?

— ქალაქში ივლი ჩემსავით თავისუფლად და ჩემთან ერთად
 იმუშავებ.

— დიდის სიხარულით... მაგრამ ხომ არ გადარეულხარ,
 კრალიჩ? პირველსავე დღეს სატუსალოში ამომაცოფინებენ თავსა.
 ფანრებით დამეძებენ.

— ისინი მხოლოდ მეამბოხეთა და ბოლგარებს დაეძებენ.

— მე კი ვინდა ვარ?—ჰკითხა მურატლიისკიმ და გაიცინა.

— ფოტოგრაფის ხელობა დაიწყე. ფოტოგრაფი მშვიდობის მოყვარე კაცად არის ცნობილი. თან, ვიტყვი, აესტრიელიაო.

— არ მესმის, რას მეუბნები.

ოგნიანოვმა გაიღიმა, სიბნელეში ჩაუკვირდა მურატლისკის სახეს და განაგრძო:

— მაიმუნს დასგზავსებიხარ, ისე გაგზარდია წვერ-ულვაში, ხვალ საღამოს ჩემთან წაგიყვან და გაგპარსავე. მხოლოდ ნიკაპ-თან დაგიტოვებ ცოტას. ხომ თანხმა იქმნები?

— თანხმა ვარ, მერე?

— მერე ულვაშებსაც გაგპარსავთ.

— ულვაშებსაც შენი ჭირი წაუღია, — უთხრა ღიმილით მურატლისკიმ.

— მერე გაგავერობილებთ: გუშინ რუმინიდან ერთი მეგობარი მოვიდა და იმას თავისს ძველს ნემეცტურს ტანისამოსს გამოვართმევ შენთვის; რკინის გზის კონდუქტორის ქუდიცა მაქვს, სირმა შემოვლებული, იმას თავზე დაიხურავ და მაშინ: „გუტ მორგენ, მაინ ჰერ!“*)

— რა გაეწყობა, აესტრიელი გავხდები, მაგრამ ფოტოგრაფად როგორ გამხდვი?

— როგორა და ფოტოგრაფიული მანქანა ვექმნება. ამ სამის წლის წინად აქა სცხოვრობდა სააგიტატორო აზრით ფოტოგრაფი ან—ი. როცა აქედან მიდიოდა, თავისი გაფუქებული ფოტოგრაფიული აპარატი ჩემს კარგს მეგობარს, ნეტკოვიჩს, დაუტოვა. როგორც იქმნება, მანქანას შევაკეთებთ, რაც საჭირო იარაღია, ვიყიდით და ჩვენს პატიოსანს ბელოცერკოველების სახეებს ვადილებ.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ფოტოგრაფობა სიზმრადაც რომ არ მინახავს!

— ისწავლი. შეიძლება, ვისმე თვალები გაუფუქო, ცხვირი უფრო დიდი გამოუყვანო, ვიდრე აქვს, პირი მოუღრიცო,

*) გერმანულია: „გამარჯობა, ბატონო“.

სახე სულ დაუმახინჯო, მაგრამ, ბოლოს, ხელობასაც ინწავლიდა ოსტატი გახდები.

— ეს კი იცოდე, პირველად შენზე ვცდი.

— ბატონი ბრძანდები.

— ბოლგარულიც უნდა დავიფიწყო, განა?

— თავი ისე უნდა მოიკატუნო, ვითომ არც კი იცოდე შენს დღეში ბოლგარული... მხოლოდ გერმანულად ან ჩეხურად უნდა ილაპარაკო; ჩეხური ენა ჩვენს ენას უფრო მოჭგავს და შენს ნათქვამს ათში ერთს მაინც გაიგებს მუშტარი; ცოტახანი რომ გაივლის, ზოგიერთ ბოლგარულ სიტყვებს დამახინჯებულად ისწავლი. ჩეხური ხომ არ დაგვიწყნია?

— შენს შემდეგ ერთი წელიწადი ვცხოვრობდი ქ. პისეკაში...

— ეს უკეთესია, ამიტომ რომ ის ავსტრიელი პასპორტი, რომელიც ჩვენა გვაქვს, ჩეხის, ვილაც იაროსლავ ბრზობეგუნიოკის სახელობაზეა გამოტანილი.

— როგორ? იაროსლავ ბრზობეგუნიოკი?

— ჰო, მშვენიერი სახელია ჩეხურად. შენზე ზედგამოჭრილია ეს სახელი, ამიტომ რომ შენ მართლა რომ ბრზობეგუნიოკი*) ხარ: ფეხით შემოიარე მთელი ნახევარი ბალკანეთის ნახევარ კანძულისა. ასე და ამ გვარად, დობრი მურატლიისკი ამიერიდან და უკუნისამდე იწოდებოდეს იაროსლავ ბრზობეგუნიოკად, ავსტრიელ ჩეხად, რომელსაც ზურგზე მოკიდებული ჰქონდა ვითომ და ექნება ფოტოგრაფიული აპარატი!

ეს რომ უთხრა, ოგნიანოვმა ქული მოიხადა და დაიძახა:

— ცტენი პანე იაროსლავე, პროსიმ ვას აბისტე ფოტოგრაფოვალი მნე? **)

— ველმი დობეე, პანე იანე! ***) — უპასუხა იმავე ხუმრობითი კილოთი მურატლიისკიმ.

*) „ბრზობეგუნიოკ“ ჩეხურად მწვევარს და, საზოგადოდ, მსწრაფლ-მავალსა ჰქვია.

**) ეს ფრაზა ჩეხურია, ნიშნავს: „პატივცემულო ბატონო იაროსლავ, გთხოვთ ჩემი ფოტოგრაფიული სურათი გადაიღოთ“.

***) „ძალიან კარგი, ბატონო იან (ივანე!).“

— ჩუმაღ! მე ახლა ივან კრალიჩი არა ვარ; აქ ბოინო-
ოგნიანოვის სახელით მიცნობენ. ეს კარგად დაიხსოვამე!

— შენ მაინც მოგებულნი ხარ... შენ ჩემსავით ხამად
არა გრძნობ თავსა. აჰ, პანე იანე, პანე იანე...

— პანე ბოიჩო! ახლა არ გითხარი ჩემი სახელი? — შეა-
წყვეტინა ლაპარაკი ოგნიანოვმა, — შენ, როცა იქმნება, და-
მლუპავ შენის გულმავიწყობითა... კარგად გახსოვდეს შენი
როლი, პანე იაროსლავე.

XVI

მკვდრები აღაპარაკდნენ

მეორე დღეს, ინათა თუ არა, ოგნიანოვი ქალაქში წაეი-
და. გასცილდა ბალკანის ხეობას და მონასტერს ჩაუარა. მო-
ნასტერის წინ მინდორზე წინამძღვარი დასეირნობდა თავში-
შველა. ამ ადგილის დილის სიმშენიერიოთა სტკებოდა ბერი
და თან იყნოსავდა სუფთა ცხოველმყოფელს ჰაერს ბალკანისას.
შემოდგომაზე აქ ბუნება განსაკუთრებულად მშენიერია, მშენ-
იერია ხეების დაოქრვილი ფოთლები, ხავერდის მსგავსი ფერ-
დები ბალკანისა, რომელიც ნაზად ფერმკრთალისა და სევდიან-
ის სახით სანეტაროდ გამოიცქირება.

ოგნიანოვი და წინამძღვარი ერთმანერთს მიესალმნენ.

— ჭეშმარიტად მშენიერი ადგილებია, მამაო, აქ, — უთხ-
რა ოგნიანოვმა, — თქვენ ბედნიერი ხართ, რომ ასეთს ბუნება-
ში სცხოვრობთ და თავისუფლად შეგიძლიათ მისის ღვთაებრი-
ვის სიმშენიერიოთ დასტკბეთ. თუ როდისმე ბერად შედგომა
განვიზრახე, მარტო ამ მარად მშენიერ ბუნების გულისათვის
შეედგები ბერად.

— ფრთხილად იყავ, ოგნიანოვო, მოციქულობიდან*) ბე-
რობაზე არ გადახვიდე: მაშინ რამდენისამე საფეხურით დამ-

*) ოსმალეთის მონობისაგან განსათავისუფლებელ აზრების მქადაგებ-
ლებს ბოლგარიაში „მოციქულებს“ ეძახდნენ.



დაბლდები. ისევ შენს საქმეს უერთგულე. გარდა ამისა, მე არც კი მივიღებ ჩემს მონასტერში; შენ ურწმუნო ხარ და თვით მამა იეროთესაც ხელს აღლებინებდი სარწმუნოებაზე; — ხუმრობითის კილოთი დასძინა წინამძღვარმა.

— ეს მოხუცი ვილა არის? — იკითხა ერბაშად ოგნიანოვმა.

— მეტად კეთილმორწმუნე და პატივსაცემი ბერია, ძალიანა ჰგავს ღმერთს საბაოთს, მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს: ფულებს მიწაში ჰმარხავს და უღებება... რამდენჯერ გვითქვამს, ღირსო ძმაო, რამე საზოგადო საქმეს შესწირე ეს ფულებიო, მაგრამ ყოველთვის თავს ისე დაიჭერს, ვითომ არც კი ესმის ჩვენი ნათქვამი... ასე რომ ახლა როცა გვინდა ვისიმე გაუგებრობა აღვნიშნოთ, ვიტყვით: გაუგებარია, როგორც მამა იეროთეო... მაგრამ შენ ეს მითხარ, ასე აღრე სადა ყოფილხარ?

— ჰაჰა სტოიანის წისქვილში გავათიე ღამე.

წინამძღვარმა გაოცებულად შეხედა.

— ქალაქში დარჩენისა ხომ არ გეშინოდა?

— არა, წისქვილში მე ერთი ამხანაგი მომსვლოდა და იმან დამიბარა.

და ოგნიანოვი მურატლიისკის შეხვედრის ამბავს მოუყვა.

— კარგი და რატომ მონასტერში არ მოხვედით ორივე? — უსაყვედურა წინამძღვარმა: — შექველია, ხორბლით საესე ტომრებზე დაიძინებდით.

— ჩვენ, როგორც რევოლიუციონერები, ყველაფერს შევეჩვიეთ.

— ღმერთმა გაკურთხოთ!... შექველია, იმასაც მონათლავდით; რა სახელი დაარქვით?

— იაროსლავ ბრზობეგუნეევ.

მამა ნაფანაილმა გაიცინა.

— თქვენ, მოციქულები, მეტად კადნიერი ხალხი ხართ! უფრთხილდით იმ ადგილს, კოკა წყალს ყოველთვის ვერა ჰზიდავს, ერთხელაც იქმნება, გატყდება.

— თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, ღმერთი ჩვენცა გვწყალობს, ხელს არ ალებს აგრეთვე აბრაგებსაც, — უთხრა მრავალმნიშვნელოვანის სახით და ღიმილით ბოიჩომ. — ბიქოს, შენ ყარაბინის თოფიც მოგიტანია თანა? — წამოიძახა ოგნიანოვმა, როცა ხეზე მიყუდებული თოფი დაინახა.

— ამ დილას რომ ავდექი, ვთქვი, მოდი ერთი ვცდი, როგორ ისვრის-მეთქი... დიდ ხანია, არ მისვრია... შენ ხალხი გამირყვინი და მთელი დღე თოფის სროლა გაქვს გამართული მონასტრის წინ... მგონი, მკვდრებსაც კი მოანდომოთ თოფის სროლა, არამცთუ მე, ძველს ცოდვილს...

— არც ცუდსა შერები, მამაო წინამძღვარო, რომ ისევ მოგინდომებია თოფის სროლა.

ამ ლაპარაკში რომ იყენენ, ორივე იმ წისქვილს მიუახლოვდა, სადაც ორი ოსმალო იქმნა მოკლული. ოგნიანოვს ისევ მოაგონდა ის საშინელი და დაუფიწყარი ღამე.

ამ წისქვილის ნახვამ სახე საშინლად დაუმანჭა ოგნიანოვს.

წისქვილი თავმინებებული იყო, მთლად შამბს დაეფარა. გარშემო შემოკრულს მშვენიერს ბუნებას სრულებით არ ეხამებოდა მისი მოლუშული სახე და უფრო საფლავს აგონებდა ადამიანსა.

ამ დროს ქურდულად მოუახლოვდა მუნჩო, გაჩერდა და თავისი ბრიყვეული თვალეზი ოგნიანოვს დააშტერა. უაზრო და იდიოტურ სახეზე რაღაც უცნაური ღიმილი შეუთამაშდა. მის თვალეზში შიშის იხატებოდა, მეგობრობაც და გაოცებაცა. ყველა ეს გრძნობები, ბოიჩოს რომ უყურებდა, მაშინ ებადებოდა. შარშან მუნჩომ ერთის ოსმალოს ჟანდარმის წინაშე წაჰმადს შეაგინა, ჟანდარმმაც იმდენი სცემა, რომ კინაღამ სული არ ამოართვა. მას შემდეგ მისს შერყეულს ჰკუა-გონებაში მხოლოდ ერთი გრძნობა, ერთი აზრი დარჩა — საშინელი სიძულვილი ოსმალთადმი. ამიტომ, როცა შემთხვევით დაინახა, რომ ოგნიანოვმა ორი ოსმალო მოჰკლა და იქვე თბრილში ჩაჰფლა, გაუკვირდა მისი ვაჟაკობა, თანაც შეეშინდა და გულში პატივი და სიყვარული ჩაენერგა ამ ყმაწვილისა. თით-

ქმის სარწმუნოებად გადაექცა. ოგნიანოვს „რუსსიანს“ ეძახდა, — თვითონაც არ იცოდა, რად დაარქვა ეს სახელი. პირველად იმ ლამეს რომ დაინახა, ოგნიანოვისა შეეშინდა, მაგრამ შემდეგ, რაკი ხშირად ხელავდა მონასტერში, შეეჩვია. რომ დაინახავდა, თვალს არ აშორებდა და თავისს მფარველად მიაჩნდა. როცა მონასტრის მუშათაგანი ვინმე აწყენინებდა, „რუსსიანის“ სახელით დაემუქრებოდა: „ღამაცა, ყველაფერს რუსსიანს ვეტყვი და თქვენ ყველას დაგხოცაეთო“. მაგრამ ვერავინ მიხვდებოდა, მუნჩო ვიზე ამბობდა. კიდევ კარგი, რომ არავინ იცოდა მისის „რუსსიანის“ ვიანობა, თორემ დაჭლუბავდა თავისს მფარველს: ამ სახელს ქალაქშიაც იმეორებდა ხოლმე. წინამძღვარმა და ბოიჩომ ყურადღება არ მიაქციეს მუნჩოს. ისიც იდგა, თავს ატრიალებდა ჯარასავით და მეგობრულად იღიმებოდა.

— აი, უფროსი ჟანდარმი ძოდის! — სთქვა წინამძღვარმა.

მართლაც, ჟანდარმს ხელში თოფი დაექირა, ჩანთა მხარზე გადაეკიდნა და მათკენ მოდიოდა. სანადიროდ წამოსულიყო.

გასიებულისა და ჩაყვითლებულის სახის ჟანდარმი ასე ჰნ წლისა თუ იქნებოდა. დიდი, წინ-გამოწეული შუბლი და პატარა, ნაცრისფერი თვალები ჰქონდა. სახეზე უძილობა და სიზანტე ეტყობოდა. რომ შეგეხედნათ, იტყოდით, ეს კაცი, ალბად, ოპიუმს ეწყობაო. ჟანდარმი მიესალმა, ნადირობის შესახებ ორიოდ სიტყვა სთქვა და წინამძღვარს კარაბინი გამოართვა. გულდადებით გასინჯა, როგორც ყველა ნადირობის მოყვარემ იცის ხოლმე, და უთხრა:

— მამაო, შენი კარაბინი ძალიან კარგი ყოფილა, რა არის, სასროლად ხომ არ მოდიხარ?

— მე თვითონ არ ვიცი, შერაფ-ალა... ერთი წელიწადი მეტია, ხელში არ ამიღია, ვიფიქრე, მოდი, ტყუილად მაინც დავცლი-მეთქი.

— აბა, ნიშანში რა ამოიღე? — ჰკითხა ჟანდარმმა და თავისი თოფი გადმოიღო, — უნდოდა ეჩვენებინა, მეც კარგად ვიხერი თოფსაო.



— ა იმ სერს უნდა ვესროლო, — უთხრა წინამძღვარმა; — იქ, ხომ ხედავ, ძირხვენას ფოთოლია, ქუდის მსგავსი, ნათხარ თიხის გვერდით.

ქანდარმმა გაოცებულად შეხედა:

— ეს ხომ ძალიან შორს არის!

ეს რომ სთქვა, დაიჩოქა და მთელის ათის წამის განმავლობაში უმიზნებდა.

თოფი გავარდა; ტყვია რამდენისამე ნაბიჯით განზე ასცდა ნიშანს.

შერიფ-ალას ერთბაშად წამოქარხლებულ სახეზე ოდნავ წყენა დაეტყო.

— ერთხელ კიდევ! — სთქვა ქანდარმმა და ახლა კი მთელი ერთი წუთი უმიზნებდა. როცა თოფი გავარდა, ქანდარმი ზეზე წამოხტა და თვალები ძირხვენას დააშტერა. მაგრამ ტყვია ბეჭობს მიხვდა, მიზანი უფრო განზე დასტოვა.

— დასწყევლა ღმერთმა! — წამოიძახა გულმოსულმა ქანდარმმა, — მამაო, ძალიან შორსაა, ასე შორს ნიშანში ამოღება ვის გაუგონია! აბა ახლა შენ ესროლე! მხოლოდ წინდაწინვე გეუბნები, ტყვია ტყუილად დაიკარგება... ეცადე, ბეჭობს მაინც მოახვედრე, — დაუმატა დაცინვის კილოთი.

წინამძღვარმა თოფი მოიმარჯვა, ამოიღო ნიშანში და ესროლა.

ძირხვენა შეირხა.

— ვერა ხედავ, თოფი კიდევ მემორჩილება! — სთქვა წინამძღვარმა.

— ალაღბელზე მოხვდა! — წამოიძახა ქანდარმმა; — აბა ხელ-ახლა ესროლე...

წინამძღვარმა ისევ დაუმიზნა და ესროლა. ტყვია ისევ მოხვდა ნიშანსა. ქანდარმი გაფითრდა. ბრახმორევით დაიბუზლუნა:

— შენ, მამაო, თვალი გიქრის, მხოლოდ ის კი არა მჯერა, რომ ვითომც წელიწადი მეტი იყოს, რაც არ გისროლნია თოფია... თამამად შეგეძლო თქვენებურ ყმაწვილებისათვის

აი აქ ყოველდღე რომ თოფს ისვრიან, თოფის სროლა გესწავ-
 ლებინა...

მერე გესლიანად დასძინა:

— მეტისმეტად აიშვეს თავი. რაღაცა უდევთ გულში...
 მაგრამ, საცა იქნება, ფეხს წაატეხენ...

ქანდარმმა ზიზლით სავსე თვალები ახლა ოგნიანოვს მია-
 შტერა.

მუნჩო აქამდე კარგა მოშორებით იდგა, განზე, მაგრამ
 ახლა უნდა გენახათ, როგორ გამოიცივალა! რაღაც უსაზღვრო
 შიშმა და მხეცურმა სიბრაზემ საშინლად დაუმანქა სახის ნაკვ-
 თები. ქანდარმს მუქარით უყურებდა, პირდაღებული და ხელ
 გაშლილი, მსგავსად იმ ადამიანისა, რომელიც ემზადება ვისმე
 ეძგეროს. ქანდარმი მაშინაღურად მოპრუნდა? მისკენ და ზიზლ-
 მორევით შეხედა. სულელ მუნჩოს უფრო უარესი სიშმაგე გა-
 მოეხატა თვალებში და დაიბღავლა:

— რუსეიანი შენც ჩაგადრძობს!—და შეაგინა. ქანდარმს
 ბოლგარული ცოტა ესმოდა, მაგრამ მუნჩოს ბურტყუნს ვერც
 თავი გაუგო და ვერც ბოლო.

— ეს პირუტყვი რასა ბლავის?—ჰკითხა მან წინამძღვარს.

— ნუ გეწყინება, ბატონო, განა შენ თითონ ვერა ხედავ-
 ვინც არის?

— ვერ უყურებ, როგორ გაშმაგდა მუნჩო? ოოცა ქალაქ-
 შია, უფრო ჰკვიანად უჭირავს ხოლმე თავი,—შენიშნა ბოი-
 ჩომ.

— განა არ იცი? ყველა ძაღლს თავის ეზოში აქვს დიდი
 გული!

ამ დროს შორიდან ერთი მშვენიერი მეძებარი გამოჩნდა,
 ზურგზე შავი წინწკლები ასხდა, ტყავის საყელო ჰქონდა, რომ-
 ელზედაც გაწყვეტილი თოკი ეკიდა; პირდაპირ იქითკენ მირ-
 ბოდა, სადაც წისქვილი იდგა.

ყველამ ყურადღება მიაქციეს.

— გზა დაჰკარგვია; ალბად მონადირენი სადმე ახლოს
 არიან,—სთქვა წინამძღვარმა.

ოგნიანოვს მისდა უნებურად გააჟრჟოლა.

ძალმა წისკვილთან მიიღობინა, უსუნა ზღურბლს და ფეხით ფხაჭუნი დაუწყო, თან საცოდავის ხმით ყმუილს მოჰყვა. ოგნიანოვს უარესმა ჟრუანტელმა დაუღობინა.

— ახ, ემექსით ფეხლივანის, რომ მოჰკლეს, იმის ძალღია! — დაიძახა ჟანდარმმა.

ოგნიანოვმა მაშინათვე იცნო ეს ძალღი. წისკვილს გარშემო უღბენდა, მიწასა სთხრიდა და ყმუოდა. მერე, თავისი სველი ტუჩი მალლა აიშვირა, თითქმის იქ მყოფთა სთხოვდა, შემომხედეთო, და ბრაზიანად ყეფას მოჰყვა. მისი ყეფის ხმა ოგნიანოვს გულში ლახვარივით ესობოდა. წინამძღვარი გაშრა, როცა ოგნიანოვს შეხედა. ჟანდარმი მთელს ამ სურათს გაშტერებული უყურებდა.

ძალღი თან იმათ უყურებდა და თანაც ჰყეფდა და ყმუოდა. ერთბაშად ოგნიანოვს ეძგერა. ყმაწვილი კაცი გაფითრდა და უკან გადახტა, ამიტომ რომ ძალღი მგელსავით გააღმასდა.

მაშინათვე სატევარი იძრო და იმით დაიწყო მოგერება გახელბულის პირუტყვისა. წინამძღვარი ამაოდ ცდილობდა ბოიჩოსათვის ძალღი მოეშორებინა.

ჟანდარმი ხმას არ იღებდა და ისე უყურებდა ამ სცენას. რალაც იჭვიანისა და ბორბოტის თვალით უცქეროდა ოგნიანოვსა და მის სატევარს. მაგრამ როცა დაინახა, ოგნიანოვმა შეიძლება მოჰკლას ძალღიო, ჩაერია და პირუტყვი მოაშორა. მერე მოუბრუნდა ოგნიანოვს, მთლად გაჭარხლებული და ქშენით უთხრა:

— ბატონო, ძალღმა რატომ აგრე შემოგიტიათ?

— ერთხელ, არ მახსოვს სად, ქვა დაეარტყი, — უპასუხა ვითომ და გულგრილად ოგნიანოვმა.

ჟანდარმმა უნდოდ შეხედა, თითქო რისამე შეტყობა უნდა კიდევო. აშკარა იყო, რომ ოგნიანოვის პასუხმა ვერ დააკმაყოფილა.

რალაც დიდი იჭვი შეუვიდა. მაგრამ გადასწყვიტა, ამის შესახებ მერე ეიფიქრობო. თავი ისე აჩვენა, ვითომ ოგნიანოვის პასუხი საფუძვლიანად სცნო და უთხრა:



— დიად, ამ ჯიშის ძაღლები მეტად გულისგარძლიანები არიან.

მერე გამოემშვიდობა წინამძღვარს და ბალკანის ხეობაში მიიმალა.

ძაღლმა კული აიშვირა და თავის ახალს პატრონს გამოუღვა.

— განა არ მოგიკლავთ ეს წყეული?—გაოცებითა ჰკითხა წინამძღვარმა.

— ცოცხალ-მკვდარი იყო, რომ ღარში ჩაეაგდე, აქ ჩაიღრჩობა-მეთქი, მაგრამ, საუბედუროდ როგორცა ხედავთ, გაცოცხლებულა!—წაიდუღუნა ოგნიანოვმა.—სტოიანს ტყუილი კი არ უთქვამს ჩემთვის, სხვა ძაღლებთან ერთად უნდა დაგვემარხნა ესეცაო. ნეტავ ვიცოდე, რა ეშმაკმა მოიყვანა ეს ოხერი შერიფი აქ! უბედურება სწორედ მაშინ უნდა დაატყდეს კაცსა, როცა არც კი ფიქრობს ამაზე.

— სხვები მაინც ხომ მოჰკალი კარგად? ძაღლსავით კი არ გაცოცხლდეს რომელიმე მათგანი?—ჰკითხა საყვედურის კილოთი წინამძღვარმა.—როცა ადამიანი ასეთს საქმეს ჰკიდებს ხელსა, მანამდე არ უნდა დაანებო თავი, სანამ ბოლომდე არ მიხვალ... ნეტავი არ იქნება, ღმერთმა ხიფათს აგვაცდინოს!... ოსმალებმა ჩვენი გავრცელებული ხმა დაიჯერეს, ახლა კი ვნახოთ, რა იქნება...

სანამ წინამძღვარი ამას ეუბნებოდა, ოგნიანოვმა თვალი იმ ადგილს მიაშტერა, სადაც ოსმალები იყვნენ დამარხულნი. ახლა ამ ალაგს ქვების ბეჭობი გაკეთებულა. გაუკვირდა და თავის გაკვირვების მიზეზი წინამძღვარსაც გაუზიარა. წინამძღვარმა დააშოშმინა: იქნება. სულ უბრალო მიზეზით გაჩნდა აქ ეს ქვებიო. არც ერთმა არ იცოდა, რომ მუნჩო აქ ყოველდღე მოდიოდა, თან იწყევლებოდა და თანაც ქვებს აყრიდა ოსმალების საფლავსა; ამ ნაირად, ბოლოს, მთელი ბეჭობი აღიმართა.

ოგნიანოვმა ხელი გაუწოდა.

— სად მიდიხარ?

— მშვიდობით, მეჩქარება, წარმოდგენის გამართვაზე ვუ-
რევივარ და აუარებელი საქმე მაქვს. ამ წყეულმა ძაღლმა, ლა-
მის არის, ჩემი როლი დამაფიწყოს.

— შენ ვისი როლია გაქვს?

— გრაფისა.

— გრაფისა? მერე და შენი საგრაფო სადღაა?—გაეხუმრა
ბერი.

— დიარბეჭირის ციხე, და ვისაც უნდა, იმისთვის მიჩუ-
ქებია...

ესა სთქვა და ოგნიანოვი ბერს მოშორდა.

XVII

წ ა რ მ ა დ გ ე ნ ა

დრამა „მრავალტანჯული გენოვიევა“, რომელიც საღამოს
უნდა ეთამაშნათ სავაჟო სკოლაში, ბევრ ახალგაზდა მკითხვე-
ლებს არც კი წაუკითხავთ. ოც და ათის წლის წინად კი ამ
დრამასა და მასთან ერთად „ალექსანდრიას“ „თვალთმაქც ბერ-
ტოლდის“ და „მიხაილს“ ხშირად სდგამდნენ სცენაზე და აღ-
ტაცებაში მოჰყავდათ მაშინდელი თაობა. ამ დრამის შინაარსი
მოკლედ ასეთია. ერთი გერმანელი გრაფი სიგფვრიდი მავრების
წინააღმდეგ საომრად წავიდა ისპანიაში. ცოლი კი, ახალგაზ-
და გენოვევა, მეტად მწუხარე და სასოწარკვეთილი დასტოვა.
გრაფი წავიდა თუ არა, მოვიდა მისი მოურავი გოლოსი და
გრაფის მეუღლეს ქმრის ღალატი სთხოვა. ცოლმა საშინლად
იწყინა ასეთი წინადადება და მოურავს ზიზლით უარი უთხრა.
გული მოუვიდა გოლოსს, ადგა და მოჰკლა გენოვევის ერთგუ-
ლი მოსამსახურე ღრაკი, თითონ გრაფის ცოლი ბნელეთში
ჩააგდო და გრაფს კი წერილი მისწერა, ღრაკსა და შენს ცოლს
ერთად მოვასწარიო. ამ ამბით გაშმაგებულმა გრაფმა უბრძანა
მოურავს, ჩემი მოღალატე ცოლი სიცოცხლეს გამოასალმეო.
მაგრამ გენოვევის მოსაკლავად გოლოსისაგან გამოგზავნილ კა-

ცებს შეეცოდათ გრაფის ცოლი და მთაში წაიყვანეს; იქ ერთ გამოქვაბულში დასტოვეს ღვთის სინაბარად და გოლოსს კი ამბავი მოუტანეს, გრაფის ცოლი, შენის ბრძანებისამებრ, მოვკალითო. განვლო შვიდმა წელიწადმა. გრაფმა ომი ვერ მოიგო და შინ დაბრუნდა. გენოვევას სასახლეში ერთი წერილი დაეტოვებია, რომელიც ქმარს ჩაუვარდა ხელში და ამ წერილიდან ვაიგო, რომ ჩემი ცოლი უდანაშაულო ყოფილია და ტირილი დაიწყო, რად დავლუბე ასე უდროვოდ საწყალი ქალიო. გოლოსს მაშინათვე ხუნდები გაუყარა ხელფეხში, და ისიც სინიდისის მხილებისაგან ჭკუაზე შესცდა. მერე, გულიდან დარდი გადავიყაროვო და გრაფი მთებში წავიდა სანადიროდ. აქ შემთხვევით წააწყდა თავის ცოლს და მის ვაჟს, რომელსაც მშველი ძუძუს აწოვებდა. ორმავე ერთმანეთი იცნეს, გაიხარეს და სასახლეში დაბრუნდნენ.

ეს გულბრყვილო და გულის ამაჩუყებელი სცენები საშინლად მოსწონდათ ქალაქში ყველა მოხუცსა და ახალგაზდა ქალებს ზღვრულად ახსოვთ გენოვევის შესახებ დარჩენილი ლეგენდა. ზოგმა კი მთელი ღრამა ზეპირად იცოდა.

აი ეს იყო მაზეზი იმისა, რომ ამ წარმოდგენას მოუთმენლად მოელოდა საზოგადოება. ამ წარმოდგენას უნდა გაემხიარულებინა ნირ-შეუცვლელი ცხოვრება ბელო-ცერკველებისა.

ყველას უნდოდა წარმოდგენას დასწრებოდა. დიდ ტუზის ქალები მდიდრულს ტანისამოსს იმზადებდნენ, ლარიბი ქალები კი ნაქსოვებსა ჰყიდდნენ და ბილეთებსა ჰყიდულობდნენ, რომ მერე ის ფული მარილისა ან საპონის სასყიდლოდ არ დაეხარჯნათ. ყველას სალაპარაკო საგნად წარმოდგენა გახდომოდა და დროებით ქორებსაც კი დაანებეს თავი. ბებრები ერთმანეთს ეკითხებოდნენ ეკკლესიაში: „გენო, სადამოზე „გენოვევას“ საყურებლად ხომ წახვალ“? და ყველანი ემზადებოდნენ, გენოვევის ტანჯვას რომ გაიგონებდნენ, ეტირნათ. სახლებში დიდის სიამოვნებით ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, ვინ რა როლს ითამაშებსო, და ერთმანეთს სიამოვნებით უამბობდნენ, გრაფის როლს ოგნიანოვი ითამაშებსო. ცბიერისა და მერე გა-

გიეებულის გოლოსის როლი ფრატიუმ აიღო, რომელსაც სა-
 'შინლად უყვარდა სხვა-და-სხვა თავგადასავლიანი როლები (უფ-
 რო დიდი შთაბეჭდილება მოვახდინო მაყურებლებზედაო და
 ერთი თვე მეტი თმა გაუკრეჭავი დაჰქონდა). ილია ლიუბო-
 პიტნიმ მოსამსახურე დრაკის როლი აიღო და დღეში ოცჯერ
 მაინც იმეორებდა იმ ადგილს, საცა გოლოსი ხმლითა ჰკლავს.
 მერე გრაფის ძაღლის როლი უნდა ეთამაშნა და რამდენი ეწვა-
 ლა, ყვეა ესწავლა კარვად. გენოვევის როლი ჯერ დიაკონ
 ბიკენტისათვის უნდა მიეცათ, რომელსაც დიდი თმა და ნაზი
 ფერი ჰქონდა, მაგრამ რომ გაიგეს, სცენაზე სასულიერო პირს
 გამოსვლა არ შეუძლიაო, ამ როლისათვის სხვა იშოვეს. ახალს
 მსახიობს უღვაშები რაღაც თეთრის სითხით გაუგლისეს. მეო-
 რე ხარისხოვანი როლებიც სხვა მოთამაშეთა შორის გაანაწი-
 ლეს.

რის ვაიფაგლახით მოაწყვეს დეკორაცია, ამიტომ რომ
 ზოგი სად გაუხდათ საშოვნელი და ზოგი სადა. ყველაზე მე-
 ტად ფარდის შოვნა გაუჭირდათ და, ბოლოს, რომ ვერსად
 რას გახდნენ, აღისფერ ჩითისაგან შეჰკერეს; სთქვეს, რამე ნა-
 ხატი უნდა იყოს ზედაო და ერთს სოფლის მხატვარს ჩანგი
 დაახატინეს. თივის მისაწოდებელ ორთითის მსგავსი რაღაც
 გამოიყვანა მხატვარმა. გრაფის სასახლის დასამშვენებლად, ქა-
 ლაქში რაც რამ საუკეთესო ავეჯი იყო, ყველაფერს თავი მოუ-
 ყარეს.

ტანისამოსი იგივე იყო, რაც სამის წლის წინად „კნენა
 რაინას“ წარმოდგენის დროსა ჰქონდათ მოთამაშეებს. გრაფმა
 სვიატოსლავის სამოსელი მოისხა, ხოლო გენოვევამ—რაინისა.
 გოლოსმა რაღაც სამხრულები დაიკერა და ფეხზედაც სამოგვის
 პაიჭები ჩაიცვა. განჩო პოპოვმა, რომელსაც განოვევას ერთ-
 ერთ მკვლელის როლი უნდა ეთამაშნა, სარეგოლიუციოდ ნა-
 ყიდი სატევარი ჩამოიკონწიალა. დრაკის როლის მოთამაშემ
 მიხალაკი ალაფრანკის დაქექილი ცილინდრი ჩამოიფხატა
 თავზე. ზოიჩომ ეს შიდჭრელი და უგვანი ჩაცმულობა რომ
 დაინახა მოთამაშეთა, ჰკუაში არ დაუჯდა და ბევრი იძახა,



არ ვარგაო, მაგრამ ყური არავინ უგდო. მსახიობთ აიხიროს სცენა, რაც შეიძლება, ეფექტური გამოვიდესო, და ბოიჩომაც თავი დაანება, რაც გინდათ, ისა ქენითო.

მზე ჩავიდა თუ არა, თეატრში ხალხმა იწყო დენა. წინა სკამებზე დასხდნენ მოხუცნი და ბეი, რომელსაც ცალკე გაუგზავნეს მოსაპატიჟებელი ბარათი. მას გვერდით მოუსვენს გრიგოლი დემიანჩო, რომ როგორმე გაერთო. დანარჩენ სკამებზე შეიძქრელი საზოგადოება დალაგდა და ფარდის ახდის მოლოდინში ხმაურობა დაიწყო. ქალებში ყველაზე მეტად გინკა ხმაურობდა. ამან მთელი დრამა ზეპირად იცოდა და მარჯვნივ და მარცხნივ ყველას უამბობდა, გრაფმა პირველად ესა და ეს სიტყვები უნდა სთქვასო. ჰაჯი სმიონი მეორე სკამზე იჯდა და მეზობლებს მოუთხრობდა, თუ რამდენით დიდი იყო ბუქარესტის თეატრი აქაურ თეატრზე, ან ფარდაზე დახატული ორთითები რასა ნიშნავდა. ორკესტრი ადგილობრივ მაწანწალა ბავშვებისაგან შესდგებოდა. უკვე დაწყებული ჰქონდათ რომელიღაც ავსტრიული მარში, ალბად გრაფის ცოლის პატივსაცემლად.

ბოლოს, წარმოდგენის წამიც დადგა. ავსტრიული მარში შესწყდა, აიხადა დანაოქებულის სახის ფარდა. პირველად გრაფი გამოჩნდა სცენაზე. მთელს თეატრში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, თითქო ძეხორციელი არავინ იყო შიგაო. გრაფმა ლაპარაკი დაიწყო, ხოლო სკამზე დამჯდარი გინკა უკარნახებდა. როცა გრაფი რომელსამე სიტყვას გამოსტოვებდა ან გადაასხნაფერებდა, მოკარნახე დაუყვირებდა: „შეგცდა!“ გაისმა საყვირის ხმა, შემოდინ კარლოს დიდის გამოგზავნილი კაცები და სთხოვენ, მავრების წინააღმდეგ საბრძოლველად იწვევენ. გრაფი ეთხოვება თავის მეუღლეს გენოვიევას და მიდის; ცოლს გული უწყუხდება. მოსულიერებული გენოვევა გრაფს რომ ვერ დაინახავს, სტირის. მის ტირილზე ყველას ეცინება. მოკარნახე გინკა ისევ უყვირის; „უფრო ძლიერად იტირე! ნუ თუ არ იცი, როგორ უნდა ტირილი“? გრაფის მეუღლე უარესად ღრიალებს და მაცურებლები უარესად ხარ-

ხარებდნენ. ყველაზე ხმამაღლა გინკა იცინის; იძახის: „მე რომ იქ ვიყუცე, გაჩვენებდით, როგორ უნდოდა ტირილი!“ ჰაჯი სმიონი დამსწრეთ ეუბნება, სიცილსა და ტირილს დიდი ცოდნა უნდაო, რუმინიაში მიცვალებულების სატირლად განგებ ქირაობენ მომტირალ ქალებსაო. ვილამაც ანიშნა, გაჩუმიო და იმანაც სხვებს ანიშნა, გაჩუმიდითო... სცენაზე გოლოსი გამოჩნდი და ყველაფერი გამოიკვალა. გოლოსი ცდილობს გენოვევა შეაცდინოს და ქმრისათვის აღალატებინოს. მაგრამ გრაფის ცოლი ზიზლით უარსა ჰყოფს მის წინადადებას და უძახის დრაკსა, რომ ქმართან გაგზავნოს და წერილით ყველაფერი შეუთვალოს. შემოდის დრაკი; მის ცილინდრს რომ დაინახავენ, ყველას სიცილი აუტყდება; დრაკს შერცხვა. გინკა უყვირის: „დრაკო, ეს ფრანგული ქოთანი რომ გხურამს, გადააგდე, თავშიშველა იყავ!“ დრაკმაც დაუჯერა და ცილინდრი გადააგდო. საზოგადოება ისევ ხარხარებს. მაგრამ სცენას თან-და-თან ტრაგიკული ხასიათი ეძლევა. გოლოსმა სატევარი იშიშველა, რომ დრაკს გულში გაუტაროს, მაგრამ სანამ გოლოსი ამას იზამდეს, დრაკი, მოცელილ ბალახსავით, ძირს ეცემა უძრავი და მკედარი. საზოგადოება კმაყოფილი არ არის, ასე სულელურად სიკვდილი ვის გაუგონიაო და ზოგნი ეძახიან დრაკსა, გაინძერო. შემოდიან მსახურნი და მის მცხედარს ფეხით გარეთ გაათრევენ, თავი კი მიწაზე მისთრევენ. მაგრამ დრაკი გამირულად ითმენს ყოველსავე და თავს ისე იკატუნებს, თითქო მკვდარიაო. გრაფის ცოლს სატუსალოში აგდებენ.

ერთი მოქმედება გათავდა. ავსტრიული მარში ისევ გაისმა ღარბაზში. ყველანი წუნსა სდებენ მოთამაშეებსა და იცინიან. ქალებს არ მოეწონათ გენოვევა, მისმა თამაშობამ გული არ აუჩუყათ, პირიქით, ყველას ეცინებოდა. გოლოსმა თავისი უმაღური როლი გვარიანად ჩაატარა და ზოგიერთ ხანში შესულ ქალების სიძულვილი დაიმსახურა. ერთი მათგანი მის დედასთან მივიდა და უთხრა: „ცუდად მოიქცა, ტანო, თქვენი ფრატით, საწყალმა დედაკაცმა რა დაუშავა ისეთი?“

პირველ სკამზე დამიანი გრიგორი იჯდა და ბეის დაწვრილებით უხსნიდა პირველ მოქმედების შინაარსს. თავისმა მკერმეტყველებამ ისე გაიტაცა, რომ უამბო ერთის ფრანგების ელჩის ამბავი, რომელმაც თავისს ცოლს ლალატისათვის თავი დაანება. ბეი გულმოდგინედ უგდებდა ყურს და, ბოლოს, იფიქრა, მოთამაშე გრაფი—ფრანგების ელჩიაო და წარმოდგენის გათავებამდე ელჩადა სთელიდა.

— ეს ელჩი დიდი ბრიყვი ვინმე ყოფილა,—სთქვა ბეიმ მრისხანედ;—აბა სად გაგონილა, კაცი ასე მოქცეულიყოს! ჯერ კარგად უნდა გამოეკითხნა ცოლისათვის ყველაფერი და მერე მოეკლა. მე თვითონ ქუჩიდან აყვანილს ლოთს სატუსალოში მანამდე არ ჩავაგდებ, სანამ პოლიციელ მიხალსათვის არ ჩავაორთქლიანებ და არ გავიგებ, რომ მართლა მთერალია.

— ბატონო ბეი,—მოახსენა დამიანმა,—ეს იმისთვის არის ასე დაწერილი, რომ უფრო სახალისო გამოსულიყო.

— დამწერიც ბრიყვია და ელჩი უარესი ბრიყვი ყოფილა.

მათს შორიახლო სტეფნოვი იჯდა და გრაფის საქციელს წუნსა სდებდა.

— ოგნიანოვს,—სთქვა მან მედიდურისა და ავტორიტეტულის კილოთი,—თავის დღეში არ უნახავს თეატრი.

— რაღა გგონიათ? ურიგოდ არ თამაშობს,—ჩაერია ჰაჯი სმიონი.

— მაიმუნსავითა თამაშობს, საზოგადოების რიდი და პატივისცემა არა აქვს!

— მართალსა ბრძანებთ, მეც შევნიშნე, საზოგადოების პატივისცემა არა აქვს... ხომ ხედავდით, რა სახით იჯდა ბანჩოლუს დივანზე? თითქო თავადის კუზის ძმა იყოვო.—უბასუხა ჰაჯი სმიონმა მკაცრად.

— საზოგადოებამ უნდა უსტინოს.—სთქვა ბრაზ-მორევით სტეფნოვმა.

— საჭიროა, საჭიროა,—კვერი დაჰკრა ჰაჯი სმიონმა.



— ვინ უნდა უსტვინოს? — წამოიძახა ვილამაც ამავე სკამზე. თანამოსაუბრეებმა მოიხედეს და დაინახეს კაბლეშკოვი.

კაბლეშკოვი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო რევოლუციონერი. ბელაია-ცერკოვში ერთ ნათესავთან მოვიდა სტუმრად და შემთხვევითა დაესწრო წარმოდგენას.

მომავალ მოციქულის გაცეცხლებული სახე რომ დაინახა, ჰაჯი სმიონს შიშისაგან ფერი ეცვალა; ცოტა განზე გადაიხარა, რომ კაბლეშკოვს დამნაშავე სტეფნოვი დაენახა.

— თქვენ რა გინდათ? — ჰკითხა სტეფნოვმა.

— არა, ვის უნდა სტვენა?

— მე! — უპასუხა ჯიუტურად კირიაკმა.

— შეგიძლიათ, ბატონო, მაგრამ წინასწარ ქუჩაში უნდა გაბრძანდეთ.

— მერე თქვენ ვინა გკითხავთ?

ეს წარმოდგენა საქველმოქმედო აზრით არის გამართული და სცენის მოყვარენი თამაშობენ. თუ თქვენ უკეთესად შეგიძლიათ ითამაშოთ, აბრძანდით სცენაზე, — გაცხარებით უთხრა კაბლეშკოვმა.

— მე აქ ფულს ვიხდი და არ მინდა ვინმე დარიგებას მიძღვედეს, — უპასუხა სტეფნოვმა.

კაბლეშკომა თოჯინის წამალსავით იფეთქა. ერთი ბეწო რომ დასცლოდათ, ჩხუბი გაიშართებოდა. მაგრამ ამ დროს მათს ლაპარაკში მიჩნო ბეზადეიტო ჩაერია:

— კირიაკ, როგორ ეკადრება თქვენისთანა ჰკუიანს კაცს... ტოდოროჩო, დამშვიდდი...

ამ დროს ავსტრიული მარში შესწყდა. ფარდა აიხადა.

სცენა წარმოდგენს საკანს, პატარა ლამპარით განათებულს. გენოვევას ხელში ბავშვი უჭირავს. ეს ბავშვი საკანში შეეძინა. სტირის და ვიწვიშებს. ახლა უფრო მეტი ბუნებრივობა ეტყობა მისს თამაშს. შუალამეა; საკანის სიბნელე, უბედურისა და უმწეო დედის ოხვრა მაყურებლებს გულს უჩუყებს. ზოგიერთ ქალს ცრემლები გამოაჩნდა სახეზე. სიცილსავით, ცრემლებიც გადამდებია. მოტირალთა რიცხვი გამრავლდა,

როცა გრაფის ცოლმა თავისს ქმართან წერილის წერა დაიწყო, თვით მამაკაცთაც კი აუჩვილდათ გული და ცრემლები გადმოსცვივდათ. თვით კაბლეშკოვსაც აუჩუყდა გული და ერთს პატეტიულ ალაგას ტაში დაჰკრა. მაგრამ მთელს დარბაზში ბანი არაინ მისცა. ბევრმა შეუბღვირა ამ მოუსვენარ ყმაწვილკაცს, — საუკეთესო ალაგას ხმაურობსო. ივანე სელიამლიზმა, რომელიც თვალცრემლიანი სლოუსლოუკებდა, საშინელის თვალებით შეხედა. გენოვევა მთებში მიჰყავთ მოსაკლავად. ფარდა ეშვება. კაბლეშკოვი ხელახლა უკრავს ტაშს, მაგრამ არც ახლა გამოჩნდა მიმბაძველი. წარმოდგენის დროს ტაშის კვრა იმ ხანებში ჯერ კიდევ არა ჰქონდათ ჩვეულებად ბელია-ცერკოვში.

— ძალიან ოხერი ხალხი კი ყოფილა ამ საქმეში გარეული, — ყურში უჩურჩულა ბეიმ დამიანს: — სადა ხდებოდა ეს ამბავი?

— გერმანელების ქვეყანაში.

— გერმანელების ქვეყანაში? ეს გიაურები*) ჯერ არ მინახავს.

— რასა ბრძანებთ, ბატონო ბეი, ერთი გერმანელი აკი ჩვენცა გვყავს!

— უღვაშ მოპარსულს ხომ არ ამბობ, ორი წყვილი თვალი რომ აქვს, ლურჯ სათვალეებიანი?

— სწორედ ის გახლავთ, ფოტოგრაფი.

— ესა? ჰო, კარგი გიაურჯიკია... როცა შემხვდებო, სუყოველთვის ევროპიულად მომიხდის ხოლმე თავსა... მე კი მგონია, ფრანგია-მეთქი...

— არა, ნამდვილი გერმანელი გახლავთ, დრანდაბურელი...

დაიწყეს მესამე მოქმედება. სცენა ისევ სასახლეს წარმოშობადგენს. გრაფი უკვე დაბრუნდა ლაშქრიდან, პირქუში და დლონებული, ცოლის დაუხვედრელობა გულს უკლავს. მოსამსახურე იმ წერილს აძლევს, რომელიც მისმა ცოლმა დასწერა

*) ოსმალები ყველა უცხო ქვეყნის ხალხს გიაურებს ეძახიან.

საკანში მოსაკლავად წაყვანის წინ. გრაფი წერილსა ხსნის. ცოლი სწერდა, გოლოსის ბოროტების მსხვერპლი ვარ, უღანაშაულო ვარ და ყველაფერი მიპატიებია შენთვისაო. გრაფი ხმა-მალლა კითხულობს ამ წერილს და თან სლუჟსლუჟებს, სტირის, სასო ეკვეთება. მაყურებლებიც მისი ცოდვით იწვიან და მასთან ერთად ისინიცა სტირიან, ზოგი ღრიალებს კიდეცა, ბეის ეხლა არა სჭირია გრიგორის ახსნა-განმარტება და ისიც კი სტირის. ხალხის მოღელვარებამ უფრო იმატა, როცა გრაფმა ბრძანა, ცბიერი გოლოსი—მიზეზი ჩემის უბედურებისა აქ მომიყვანეთო. გოლოსი თმა-აბურძგნული შემოდის, ადამიანს გულს შეწარავს მისი შეხედვა, ეტყობა, სინიღისს დაუტანჯავს საშინლად, ფეხებში ხუნდები აქვს გაყრილი. ხალხი წყევა-კრულვით მიეგება. ყველანი გაშმაგებით უყურებენ. გრაფი წერილს უკითხავს. ამ წერილში გრაფის ცოლი სწერს, გოლოსისათვისაც მიპატივებია მისი დანაშაულიო. გრაფი ისევა სტირის, თმას იგლეჯს თავზე, გულზე მჯიღს იცემს. საზოგადოებამ ისევე ქვითინი ამოუშვა. თვით გინკამაც გადმოყარა ცრემლები, მაგრამ ცდილობს სხვები დაამშვიდოს.

— ნუ სტირით, გენოვევა ცოცხალია!

რამდენმამე დედაბერმა პიესის შინაარსი არ იცოდნენ და გაოცებულნი უკან მოიხედეს:

— გინკა, მართლა ცოცხალია? მაშ ვეტყვი იმის უბედურს ქმარს, არ იტიროს, — სთქვა დედაბერმა ნეტგოვიცისამ, ხოლო დედაბერმა ჰაჯი პავლიუვიცისამ სლუჟსლუჟით გრაფს დაუძახა:

— ნუ სტირი, შეილო, ნუ, შენი ცოლი ცოცხალია!

ამასობაში გოლოსი ჭკუაზე შესცდება. საშინელი სახე აქვს, თვალები გადმოუკარკლავს, თმა-აწეწილი ხელებს იქნევს, იმანქება, კბილებს აღჭრიალებს. სინიღისი საშინლად ჰქენჯნის; მისს ტანჯვას რომ უყურებს, საზოგადოებას გულს ეფონება. ყველა გახარებულია და ნიშნს უგებს გოლოსს. „ასე უნდა მაგას“, იძახიან ქალები. გენოვევას უსაყვედურებენ კიდეცა, ამისთანა ავაზაკს თავისს წერილში რად აპატივაო. ფრატიუს დედა

საშინლადა სწუხდა, როცა უყურებდა, რომ მისს შვილს ხუნდების სიმძიძე აწუხებდა და საზოგადოებაც მართლა დამნაშავესავით სწყევლიდა.

— დასტანჯეს ჩემი შვილი, შეარცხვინეს! — ამბობდა დედა და თან სცენისაკენ იწევდა, უნდა წავიყვანო ჩემი შვილიო, მაგრამ სხეები არ უშვებდნენ.

ეს მოქმედება მეტისმეტად მოეწონა ხალხს. თვით შექსპირის ოფელიასაც არ აუტირებია ამდენი ხალხი ერთს საღამოს.

უკანასკნელი მოქმედება მთებში სწარმოებს. გამოქვამულის შესავალთან გამოჩნდება გენოვევა, ნადირის ტყავებით შემოსილი, და მისი შვილი. თხა, რომელსაც ნორჩი ფურცელი აჭამეს, არ გაიქცესო, წარმოადგენს მშველს, რომელიც თავის ძუძუთი ჰკვებავს გამოქვამულში შეფარებულ დედა-შვილს. გენოვევა თავისს შვილს დაჰყურებს, და საცოდავად მოსთქვამს და მამის ამბავს ეუბნება; მეძებრის ყეფა რომ გაიგონა, გამოქვამულში იმალება და რქით თხაც მიჰყავს თან. ყეფა უფროდა-უფრო გაისმის. იღია ლიუბობიტი ასრულებდა ძაღლის როლს და საზოგადოებას ძალიან მოეწონა, მშვენივრად ჰყეფსო. მერე ისე გულმოდგინედ გააბა ყეფა, რომ ქუჩიდან რამდენმამე ძაღლმა ბანი მისცეს. აჰა, გრაფიც მოახლოვდა, სანადირო ტანისამოსში მორთული, თან მისდევს ამაღა. მაყურებლების სულთქმაც არ ისმის: ყველა მოუთმენლად მოელის, აბა ვნახო, გრაფი როგორ მიეგებება თავისს ცოლსაო. დედაბერ ივანიცას ეშინიან, ვაი თუ გვერდთ აუაროს და ცოლი ვერ დაინახოსო, ამიტომ გრაფს ანიშნებს იმ ადგილს, სადაც გენოვევა არის. მაგრამ გრაფმა დაინახა. მიისწრაფვის გამოქვამულისაკენ და ყირის:

— ვინ ხარ, ადამიანი ხარ, თუ მხეცი, გამოდი გამოქვამულიდან!

მაგრამ გამოქვამულის მაგივრად დარბაზიდან აძლევენ ჰასუხს. გაისმა ნელი სტვენა.

ყველანი მობრუნდნენ და გაცებით სტეფნოვს შეხედეს. ამდენი ხალხი რომ დააცქერდა, სტეფნოვი მთლად აენტოა.

— ვინ იყო, რომ დაისტვინა?—გაბრაზებით დაიყვირა სელიამლიზმა.

მთელს თეატრში ჩოჩქოლი შეიქმნა.

ოგნიანოვი თვალით დაეძებდა მსტვენავსა. მისკენ მიჩერებული კადნიერი სახე რომ დაინახა სტეფნოვისა, ჩუმად უთხრა.

— მაგ გრძელ ყურებს დაგაგლეჯავ!

ხელახლა უფრო მძლავრად გაისმა სტვინვა. ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა.

— აქ მოიყვათ ეგ წუწუკი, სარკმლიდან გადავადლო, — დაიღრიალა მკაცრად ანგელ იოვკოვმა, ერთის მხარის სიმაღლე გოლიათმა. ყველა მხრიდან ყვირილი გაისმა.

— გააგდეთ მსტვინავი! — სტეფნოვ, გარედ გაეთრიე, — ჩვენ აქ სტვენისა და ტაშის კვრის საყურებლად კი არ მოვსულვართ, — დაიყვირა სელიამლიზმა, რომელმაც კარგად ვერ გაიგო, თუ რა აზრით უკრავდა ტაშს კაბლეშკოვი.

— კირიაკი აქ შემოსაშვები არ არის! — დაიძახა გულმოსულად გინკამაც, რომელსაც გვერდთ უდგა თვალცრემლიანი რაღა.

ჰაჯი სმიონა ყურში უჩურჩულა სტეფნოვს:

— თუ ღმერთი გწამს, კირიაკ, ნუ უსტვენ... აკი გითხარ, არ ვარგა-მეთქი!.. აქ უბრალო ხალხია, განა შენ თვითონ ვერა ხედავ?

— ეს კაცი რად უსტვენს? — ჰკითხა ბეიმ დამიანჩოს.

დამიანჩომ მხრები შეიშმუშნა. ბეიმ რაღაც წასჩურჩულა პოლიციელს და ისიც სტეფნოვისაკენ გაემართა.

— კირიაკ, — უთხრა ჩუმად პოლიციელმა სტეფნოვს, — ბეიმ გიბრძანა, ქუჩაში გადი და თუთუნი მოსწიე, თუ დარდი გაწუხებს რამეო.



სტეფანოვი დარბაზიდან გავიდა ამაყად, ტუჩებზე დაცინვის ღიმი უკრთოდა. თანაც უხაროდა, ოგნიანოვის თამაშობისა ხომ არაფერი გავაგებხენე ხალხსა, კარგი იყო, თუ ცუდიო!

ის გავიდა და დარბაზში ყველანი დამშვიდდნენ. თამაშობა ისევ განაგრძეს, გრაფმა თავისი დაკარგული ცოლი იპოვნა. გაიმართა ხვევნა, კოცნა, აფრქვიეს ცრემლები. მაყურებლებს ისევ აუჩუყდათ გული... სათნოება გამარჯვებული რჩება... გრაფი და იმისი ცოლი ერთმანერთს თავიანთის მწუხარებისა და სიხარულის ამბავს უზიარებენ. დედაბერი პეტკოვიცა ორსავე უძახის:

— წადით, შვილებო, სახლში და იქ ილაპარაკეთ, იმ დაწყველილ გოლოსს კი ნუ დაუჯერებთ...

— შენ თვითონა ხარ დაწყველილი, — ყურში ჩასისინებს ფრატიუს დედა.

დედაბერ პეტკოვიცის რჩევა-დარიგება ბეიმაც გაიმეორა, მხოლოდ დაბალის ხმით. ყველას უხარიან, ყველა კმაყოფილია. გრაფს ყველანი თანაგრძნობით უყურებენ. წარმოდგენა სიმღერითა თავდება. სიმღერას გრაფი, იმისი ცოლი და ამაღლა იწყებენ: „გრაფო სიგფრიდ, აწ გაიხარე!

მაგრამ სასიხარულო სიმღერის ორი ტაევი არც კი გაე-თავებინათ, ისე სცენაზე სარეგოლიუციო სიმღერა გაისმა:

სიყვარულო, აღგზნებულო, გავვითბე გული,
და ამ გულით ოსმალებს წინ დავუდგებით!

ეს სიმღერა ჯერ ერთმა დააწყო, მერე მოთამაშეთა ერთმა ნაწილმა ბანი მისცა, შემდეგ ყველა მოთამაშეებმა შემოსძახეს, ბოლოს, მაყურებლებიც აჰყვნენ მოთამაშეთა ხმას. ყველანი ერთბაშად პატრიოტულმა გრძობამ აღიტაცა. გამირულმა და ვაჟაკურმა კილომ ამ სიმღერისამ, მსგავსად უხილავის ტალღისა, აიტაცა მთელი დარბაზი, მოეფინა ყველგან იგი ხმა. გუგუნით გავიდა ეზოში და შორს, სიბნელეში სწყდებოდა... სიმ-

ღერის ხმით გაიქენთა ჰაერი, ყველას გულს უხურებდა, თავ-
 ბრუს ახვევდა. ამ მძლავრმა ჰანგებმა დამსწრეთა გულში ახალი
 სიმი ააქდერა. ვინც კი იცოდა, ქალი და კაცი ყველა მღერო-
 და. ყველანი ერთ არსებად იქცნენ, სცენა და დარბაზი ერთად
 შეერთდა, შეკავშირდა.

— იმღერეთ, შვილებო, იმღერეთ, თქვენის დღეგრძელო-
 ბისა იყოს! — იძახდა აღტაცებული მიჩო.

მხოლოდ ზოგიერთნი მოხუცნი ჩუმად ბუზღუნებდნენ, ნუ
 სულელობთ, რა დროს ამ სიმღერის თქმა არისო!

თვით ბეიკ კი, რომელმაც ამ სიმღერისა ვერა გაიგო-რაა,
 სიამოვნებით ყურს უგდებდა. დამიან გრიგორსა სთხოვა, ყვე-
 ლა ტაეზის შინარსი გადამითარგმნეო. სხვა უმაგისო თავ-ტანს
 დაჰკარგავდა და ვერაფერს მოახერხებდა. მაგრამ დამიანი იმათ-
 განი არ გახლდათ, ვისაც მძიმე კითხვაზე პასუხის მიცემა უჭირ-
 დებოთ ხოლმე, და იმანაც თავის ჭკუის ძალა გამოიჩინა. ბეი
 სულ აღვილად გააცურა; ამ სიმღერაში გრაფი თავის ცოლს
 ეუბნება — გაგიყვებით მიყვარხარ, ახლა ასჯერ უფრო მიყვარხარ
 წინანდელზედაო. ამაზე ცოლი ეუბნება: ათასჯერ უფრო მი-
 ყვარხარო... ქმარი ეუბნება: გამოქვაბულის ადგილას ეკლეს-
 სიას ავაშენებო. ამაზე ცოლი პასუხს აძლევს: რაც რამ თვალ-
 მარგალიტი მბადია, ყველაფერი უნდა გავყიდო, ფული ლა-
 რიბებს უნდა დაეურიგო და ას მარმარილოს შადრევანებს გა-
 ვაკეთებო“...

— ამდენი შადრევნები რაღად უნდა, რაკი მაგეთი გულ-
 კეთილი და სათნო ხასიათისაა, არა სჯობია ხიდები გააკეთოს, —
 სიტყვა გააწყვეტინა დამიანს ბეიმი.

— შადრევნები იმიტომ არის საჭირო, რომ გერმანეთში წყა-
 ლი ცოტაა და ხალხი მეტად ბევრ ლუდსა სვამს, — აუხსნა და
 მიანმა.

ბეიმ მოწონების ნიშნად თავი დააქნია.

— გოლოსი სადღაა? — ჰკითხა ბეიმ და ფრატიუს მსახიობთა
 შორის დაუწყო თვალღერება.

— ის ახლა აქ არ უნდა იყოს.

— შენ მართალს ამბობ... ეს ვაჟბატონი ჩამოხრჩობის ღირსი იყო. თუ კიდევ ითამაშეს, ელჩს უთხარი, ცოცხალი არ გაუშვას. ასე ემჯობინება.

მართლაც და, ფრატიუ სცენაზე არ იყო. საშიშო სიმღერა დაიწყო თუ არა, ის მაშინათვე წავიდა, არც კი უნდოდა ხალხის გვირგვინებისათვის დაეცაღნა.

სიმღერა გათავდა და „ვაშს“ ძახილით ფარდა დაეშვა. ავსტრიული მარში ისევ დაუკრეს. ხალხი ნელ-ნელა გამო-ლაგდა გარედ და დარბაზი დაცარიელდა.

აქტიორები ფარდის უკან ტანისამოსს იცვლიდნენ და მხიარულად ელაპარაკებოდნენ მეგობრებს, რომლებიც მისა-ლოცავად მოვიდნენ.

— კაბლეშკოვ, ე რა სისულელე ჩაიდინე? ერთბაშად დამთხვეულივით სცენაზე ამოიჭერი, ზურგს უკან ამომეფარე და საყვირივით ღრიალი მორთე!.. როგორ არა გრცხვენიან, — უთხრა ოგნიანოვმა და თან სვიატოსლავის ჩექმებს იხდიდა.

— ევლარ მოვითმინე, ძმაო, გული გამიწვრილა შენმა ცრემლებმა და წუწუნმა. ხალხი რითიმე უნდა გამოვაფხიზლო-მეთქი. და აჰა, სცენაზე ამოსვლა გადავსწყვიტე... ხომ ნახე, ხალხი რა გუნებაზე დადგა!..

— მე სულ იმას ვუყურებდი, აცა, რომელიმე პოლიციე-ლი მოვა და ხელს დამავლებს-მეთქი, — გაიცინა ოგნიანოვმა.

— ფიქრი ნუ გაქვს, სტეფჩოვი აღრე წავიდა, — უთხრა სოკოლოვმა.

— ბეიმ გააგლო გარედ, — დაუმატა ფრანგოვმა.

— მაგრამ თვითონ ბეი კი დარჩა, — უთხრა ვილამაც. — მე ვუყურებდი, რა გულმოდგინეთ ყურს უგდებდა... ჯერ, ვინ იცის, რა გადაგვხდება თავს...

— ბეისა ნურა გეფიქრებათ. დამიანჩო გრიგორი განა ტყუილად იჯდა მის გვერდით? მიხვდა, როგორ უნდა მოე-ტყუებინა. მაშ დიპლომატის დიპლომი ტყუილად მივეციო!..

— მე განგებ მოვიყვანე და გვერდთ მოვუსვი ბეის, რომელსაც ლაყბობა უყვარს. ნუ გეშინიანთ, ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის, — დააშოშმინა ყველა ნიკოლაი ნეტკოვიჩმა და ტანიდან თხელი ანაფორა გაიხადა მღვდელ დიმიტრისი. ამ ანაფორით შემოსილი გენოვევას მამის როლსა თამაშობდა.

მაგრამ შესცდნენ. მეორე დღეს ოგნიანოვი კონაკში იხმეს.

ოგნიანოვი მიუყვანეს ბეის, რომელსაც მეტად მოღუშული სახე ჰქონდა.

— ბატონო კონსულო, გუშინ საღამოს თქვენ სარევიოლიუციო სიმღერასა მღეროდითო. მართალია თუ არა?

ოგნიანოვმა ცივი უარი უთხრა.

— მე ჟანდარმმა მითხრა ეს ამბავი.

— ტყუილი მოუხსენებია.

ბეიმ ჟანდარმს დაუძახა.

— შერიფ-ალა, სარევიოლიუციო სიმღერას როდის ამბობდნენ, ჩემს დროს, თუ ჩემს შემდეგ?

— თქვენ იქა ბრძანდებოდით, ბატონო ბეი, როცა აღკრძალულ სიმღერას ამბობდნენ. ბატონმა კირიაკმა ტყუილი არ იცის...

ბეიმ მრისხანედ შეხედა. საქმე მის თავმოყვარეობას ეხებოდა.

— რას მიჰქარავ? იქ კირიაკი იყო, თუ მე? განა მე ჩემის ყურით არ მესმოდა? განა პატივცემული დამიანჩო სიტყვა-სიტყვით არ მითარგმნიდა ყველაფერს? მერე პატივცემულ მარკოსაც ველაპარაკებოდი ამის შესახებ და იმასაც ძალიან მოეწონა სიმღერის კილო... ასეთი უწესოება მეორეჯერ არ ჩაიდინოთ! — წაიბურღლუნა ბეიმ გაჯავრებით; მერე მოუბრუნდა ოგნიანოვს და უთხრა; — გვაპატივეთ, ელჩო, შეესცდით. მართლა, იმ ხუნდებ გაყრილს რა ერქვა?

— გოლოსი.

— ჰო, გოლოსი. კარგი იქნებოდა მისი ჩამოხრჩობა გებრძანებინა... ქალის ჭკუას როდი უნდა აჰყვე... ყველაფერი



კარგად იყო, მაგრამ სიმღერა ყველასა სჯობდა, — უთხრა ბეიმ
ლა მძიმედ წამოღვა.

ოგნიანოვმა თავი დაუკრა და გავიდა.

— მაღე სხვა სიმღერასაც გაიგონებ და იმ სიმღერას კი
დამიანის დაუხმარებლად გაიგებ, — ჩურჩულით წარმოსთქვა ოგ-
ნიანოვმა, ქიშკარში რომ გადიოდა.

მაგრამ ოგნიანოვი ვერა ხედავდა, რა მრისხანედ და გეს-
ლიანად უყურებდა ამ დროს ჟანდარმი.

(შემდეგი იქნება)





მასხარა პამფლეტი

ძველებური მოთხრობა

ნ. ს. ლესკოვისა

(თარგმანი)

— *

ოცნებისაგან გამოირკვა პირველად პამფლეტი.

შენიშნა, რომ ერმიას სრულიად არავითარი ბარგი არა ჰქონდა.

— სად არის შენი კალათა და გოგრა?

— მე არა მაქვს-რა, — უპასუხა მეუღაბნოემ.

— მაშ, ვმადლობ, ღმერთსა, რომ ამდამ ცოტა რამ ვახ-
შამი მაქვს.

— მე არა მინდა-რა, — უთხრა მოხუცმა. — მე აქ საკმელოდ
არ მოვსულვარ. მე მინდა გავიგო, რითი ასიამოვნებ შენ
ღმერთსა?

— რას ბრძანებ, რას ბრძანებ, მამაო! ჩემგან რა სიამოვნება
უნდა ნახოს ღმერთმა! მე ეს აზრადაც არ შემეძლიან გავი-
ტარო გულში.

— რატომ არ შეგიძლიან? ყველა ვალდებულია ფიქრობ-
დეს თავის სულისათვის. კაცისათვის ისეთი ძვირფასი არა იქნე-
ბა-რა, როგორც სულის ცხონება. ცხონება კი შესაძლებელი
არ არის, თუ კაცი არა ცდილობს ღვთის სიამოვნებას.

პამფლეტმა ჩაიცინა და უპასუხა:

*) იხ. „მოკაბე“ № IV, 1899 წ.



— ოჰ, მამაო, მამაო! მომიტევე, სისწორით უნდა გითხრა, რომ ჩემთვის სასაცილოა შენი ლაპარაკის ყურის გდება. გეტყობა, მართლადაც, რომ დიდი ხანია დაგიტოვებია ქვეყნიერობა.

— ჰო, დიდი ხანია; ოც და ათი წელიწადია რაც მე ხალხში აღარა ვყოფილვარ, მაინც და მაინც, რასაც გეუბნები, არის ჭეშმარიტი და თანხმა სარწმუნოებისა.

— მე მაგაზედ არ აგიხირდები, — უპასუხა პამფალონმა: — მაგრამ უნდა გითხრა, რომ მე დაუდგარი ცხოვრების კაცი ვარ — ხელობითა ვარ მასხარა და ღვთის მსახურებაზედ არა ვფიქრობ. მე დავხტი, ვთამაშობ, ციბრუტივით ვტრიალებ და არ ვიცი რას არ ჩავდივარ, რომ ცოტა რამ ვიშოვნო. აბა მიტხარი, ამ გვარ ცხოვრებაში მე შემიძლიან კიდევ-ღა ვფიქრობდე ღვთის სიამოვნებაზედა?

— მაშ გაანებე თავი მაგ ნაირ ცხოვრებას, დაიწყე საუკეთესო ცხოვრება.

— ოჰ, მე ბევრჯელა ვცადე ეგა.

— მერე?

— ეტყობა, ბედი არა მქონია მაგაში, მამაო!

— კიდევ სცადე.

— ეხლა გამოცდა ტყუილი-ღა იქნება.

— რაღა?

— აი ამ ცოტას ხანში მე ისეთი კარგი შემთხვევა მქონდა ცხოვრების გასასწორებლად, რომ იმაზე უკეთესი აღარ შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევითაც კი ვერ ვისარგებლე.

— რითი იცი? შენის აზრით იმ შემთხვევაზე უკეთესი აღარ შეიძლება, მაგრამ ღმერთს ყველა შეუძლიან.

— არა, არა! მაგაზე ნულარას მეტყვი. მე ვეღარ გამოეცდი უფალსა, რადგანაც ვერ ვისარგებლე იმის მოწყალებით. მე დავტოვე ჩემი თავი ჯურღმულში და დეე ვგრე დავრჩე.

— მაშა, სჩანს, იმედ-გადაწყვეტილი ხარ შენა?

— არა, იმედ-გადაწყვეტილი კი არა, მე ვარ უზრუნველი და მხიარული კაცი.

ერმიამ თავი გაიქნ-გამოიქნია და უთხრა:

— მაშ რაში მდგომარეობს შენი რწმენა, მხიარულო და უზრუნველო კაცო?

— მე მრწამს, რომ მე ჩემით ვერ მოვახერხებ ჩემს გაუკეთესობას, და თუ გამჩენი-ღმერთი მაქცევს შემდეგში უკეთესად, მე არ ვიცი. ეს იმის საქმეა.

— რატომ შენ თითონ არ ზრუნავ შენი თავისათვის.

— მე მაგისტვინ არა მცალიან.

— როგორ თუ არა გცალიან?

— აი ესე, მამაო! მე მაქვს დაუდგრომელი ცხოვრება, და როდესაც მე შევეუდგები ხოლმე ჩემს სულზე ზრუნვას, მაშინათვე რალაც წუხილი დამაწვება გულზე და უფრო ცუდი იბადება აქედან.

— შენ უცნაურს ლაპარაკობ.

— არა, მე მართალს ვამბობ. ჩემი სუსტი ხასიათი რომ ვიცი, მე თითონ თავს ვანებებ სულზე ზრუნვას და ისევ დავმყარდები ხოლმე ჩემს სამასხარო ხარისხზე.

— მაშ შენ დაკარგული კაცი ყოფილხარ.

— არ ვიცი.

— მე ეგონებ, შენ სრულიადაც არ უნდა იყო ის ზამფალონი, რომელიც ჩემთვის საქიროა.

— მე მაგის პასუხს ვერ მოგცემ, — უთხრა მასხარამ: — მე მგონი, რომ, ეხლა კი, როდესაც მე მაქვს ბედნიერება შენი მასპინძლობისა, იქნება სწორედ ის ზამფალონი ვიყო, რომელიც შენთვის საქიროა და რაც შემდეგს შეეხება იმას, ხვალ გავიგებთ. ეხლა კი დაგბან ფეხებსა, მერე პური მიირთვი და დაიძინე. მე კი უნდა წავიდე სამასხაროდ.

— შენთან დიდად საქირო მოსალაპარაკებელი მაქვს.

— ჩემთანა! — გაკვირვებითა სთქვა ზამფალონმა.

— დიად, ჩემთვის საჭიროა შენთან საუბრობა და არას გზით მე შენ არ მოგეშვები.

პამფალონი გაშტერებით შესცქეროდა მოხუცსა და შემდეგ უცბად გულიანად ჩაირახრახა.

— რა ნახე ჩემს სიტყვებში ეგრეთი სასაცილო? — ჰკითხა ერმიამ.

პამფალონი უპასუხა:

— მომიტევე ჩემი უგუნურება. ეგ ჩვეულებით მომივიდა — მე ძალიან ხშირად ვიციანი. გარდა ამისა, არ დაგიძალავ, როცა სთქვი, მე შენ არ მოგეშვებიო, მაშინათვე გულში გავიფლეთ, რომ კარგი იქნება ჩემთან ვატარო ეს მეუღაბნოე; მთელი დამასკი ზედ დაგვედება და ბლომად საშოვარი შემომივამეთქი. ეხლა კი მრცხვენთან, რომ მე ეს გავიფიქრე; მაგრამ შენთვისაც კი სირცხვილია ჩემი სასაცილოდ აგდება.

— მე სასაცილოდ არავის არ ვიგდებ, პამფალონი!

— მაშ რისთვისა სთქვი, რომ ჩემი ბაასი გსურს, ვითომ რამე შეისწავლო ჩემგან? მე ვარ ერთი საძაგელი მასხარა და განა მოსაფიქრებელია შეისწავლო ჩემგან რაიმე ღვთის სათნო? არა, მოხუცო! მხოლოდ შენ მოგეპოება მყუდრო და წმინდა უღაბნოში მოკრებილი ძალა სჯისა ღმერთზედაც და კაცზედაც. უფალს აგრეც არ მოუკლია ჩემთვის გონება, რომ ვერა ვხედავდე, რა დიდი მთები დევს მე და შენ შუა. ნულარ დამციანი; ნება მომეცი დაგბანო ფეხები და განისვენე ჩემს ლოგინში.

— კარგი, — უთხრა ერმიამ: — შენა ხარ სახლის უფალი და ჰქმენ, რაიცა გწადიან.

პამფალონი მოიტანა ტაშტით სუფთა წყალი და განბანა თავის სტუმარს ფეხები. შემდეგ ვახშამი მიართვა და ჩააწვინა ლოგინში.

— ხვალ კიდევ ვილაპარაკოთ მე და შენა, — უთხრა პამფალონი. — ეხლა კი გთხოვ გემრიელად მოისვენო. არ შეგეშინდეს თუ ან კარი დაარახუნოს ვინმე, ან კედელს ესროლოს

რამე. იცოდე ჩემს დამძახებლად იქმნებიან და შენ სრულიად არას გავენებენ.

— მაშ მიდიხარ შენა?

— დიად.

— ნუ თუ სუყველგან შედიხარ?

— რასაკვირველია, სუყველგან: მე მასხარა ვარ და არჩევანში ვერ შევალ, რომელ სახლში შევიდე და რომელში არა.

— საწყალობელო, ჰამფალონ!

— მაშ რა ვქნა, მამაო! ბრძენნი და ფილოსოფოსები ჩემს ხელობას არ საჭიროებენ, მე მხოლოდ უქმობის მოყვარენი მიმიწვევენ. სად გინდა ჩემს ხელობას არ ეიჩენ—ქუჩებში, მოედანზე და ცხენით-სარბიელთან; ხან ლხინის დროს შევაქცევ მოქეიფეთ, ხან ვოინბაზობ ქალაქ გარედ მწვანეზე ტყეში, სადაც დროს ატარებენ ახალგაზდა მდიდრები. მაგრამ ღამით ჩემი ბინა უფრო ხშირად არის ხოლმე უნამუსო ქალებთან.

ამ უკანასკნელმა სიტყვება დიდად შეაწუხა ერმია, თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა და წამოიძახა:

— საწყალობელო, ჰამფალონ!

— რა ვუყო,—უპასუხა მასხარამ:—მე ვარ მუცლად დებული ცოდვაში და ცოდვილებთანვე გაზრდილი. ოინბაზობის მეტი მე არა მისწავლია-რა, და ამ ქვეყნიერობაზე უნდა ეცხოვრობდე, ამისათვის რომ აქ სცხოვრობდა დედა-ჩემი, რომელმაც ცოდვაში დამბადა მე. მე ვერ ავიტანდი, რომ დედა-ჩემს სხვისთვის ხელი წეეშვირა ლუკმა პურისათვის და ვასაზრდოებდი მე იმისა ჩემის მასხარობით.

— სად არის ეხლა დედა-შენი?

— მე მრწამს, რომ ეხლა ის არის უფალთან. აი მაგ ლოგინში გარდაიცვალა ისა.

— დამასკში უყვარხართ შენა?

— დიად, უყვარვარ. ფულსაც მაწოდებენ ჩემის მასხარობისათვის და სუფრიდანაც არ მიშორებენ. მე მივირთმევე კარგ სადილ-ვახშამს, ვსვამ ძვირფას ღვინოებს და ამაში სხვა არა მეხარჯება-რა გარდა ჩემის ხუმრობისა.

— ღვინოსაცა სევამ?

— დიად, ბატონო. ღვინოსაც გიახლები და მე რომ კარგი სასმელების მოყვარული ვარ, ამაში ეჭვი არ არის. როცა მოქეიფე ხალხთანა ხარ, უამისობა სრულიად არ შეიძლება.

— ვინ შეგაჩვია შენ მაგვარ ხალხსა?

— შემთხვევამ. დედა-ჩემი ახალგაზდობას ლამაზი და მხიარული იყო და მამა-ჩემი დიდებული კაცი. მამა-ჩემმა მე განმიტოვა; დარბაისელმა ვინმემ ხელი არ წაშკიდა. პატრონობა გამიწია ისევ ჩემსავით მასხარამ. მართალია, მცემდა ხოლმე, მაგრამ—მადლობა უნდა შევწირო მე იმასა—თავის ხელობა მასწავლა. ეხლა ჩემზე ხერხიანად ვერავინ ვერც გრგოლებს ისერის მალა, ვერც უსტვენს, ვერც ითამაშებს და ტანში დაიგრისება.

— და არ მოგზიზღდა შენ ეგ ხელობა?

— როგორ არა, ხანდიხან მე თითონ არ მომწონს, მეტადრე მაშინ, როდესაც დიდებულნი გარყვნილ ქალებში ატარებენ დროსა და სადღა სცალიანთ საკეთილო იფიქრონ რამე ხალხისათვის. მაშინაც მბეზრდება ჩემი ხელობა, როდესაც ვხედავ, რომ ნორჩი ახალგაზდები ღუბავენ თავის სიყმაწვილეს ამ გვარ ქალებში, მაგრამ მე ამაში ვარ აღზრდილი, და ამითი უნდა ვჭამო ქვეყანაზე ლუკმა-პური.

— საწყალობელო, საწყალომელო პამფალონ! აბა დაიხედე თავზედა, თმა გაგთეთრებია და აქამდის წაწყმენდილ და ნამუს გაწყვეტილ ქალებში მასხარაობ. შენც იმათთანვე დაიღუბები.

პამფალონმა უპასუხა:

— ნუ გებრალები მე. რა ვუყო, დავბტივარ, დავტრიალებ, ვოინბაზობ. რა თქმა უნდა, უნამუსო ქალები ცოდვილები არიან, მაგრამ ჩემისთანა საწყალი კაცისა დიდი შებრალება აქვთ. როდესაც იმათი სტუმრები შევლენ ხოლმე ქეიფში და დაითრობიან, ეს ქალები თითონვე ჩამოუვლიან ხოლმე და



გვიგროვებენ ფულსა. რომ ბლომად შეგვიგროვონ, ისინი არ იშურებენ არც მიფერებას და არც ალერსსა.

განდევილმა პირი იქით მიიღო და შეუქცია გვერდი; ჰამფალონმა ხელი გადასდო მხარზედ და ალერსით უთხრა:

— მერწმუნე მე, პატივსაცემელო მოხუცო, რომ ცხოველი ცხოვლად დარჩების, და იმ ქალებს, რომლების ხსენებაც კი შენ აგრე გაწუხებს, ძალიან ხშირად უძგერით მშენიერი და ყოვლად კეთილი გული. უფრო შესაწუხარია, როდესაც ჩვენა ვართ ხოლმე მდიდარ ბატონებთან, ესენი არიან უზომო ამპარტაენები და ზეაობით სავსენი. თითქო მხიარულება უნდათ, მაგრამ თავისუფალ სიცილს და ხუმრობას კი განდევნიან ხოლმე. იქ ეს დიდებულნი მოითხოვენ იმ გვარს რამეს, რაიცა შესარცხვენია კაცობრიობის ბუნებისათვის. იქ ისინი გექადებიან ცემასა და დაწყლულებასა. შებრალებას მათ გულში ადგილი არა აქვს. ხან ფრთებს უწყალოდ აგლეჯენ ჩემს ზოიას, ხან ტუჩში აფურთხებენ ჩემს აკრას. იქ არაფრად არ მიაჩნიათ იმათ თავიანთზე დაბალის დაჩაგვრა და შეურაცხყოფა, დილით კი... სხვის დასანახვებლად მიეჩქარებიან ლოცვაზე...

— ვაიმე, ვაიმე! — ჩაიბუტბუტა გულში ერმიამ: — გეტყობა, საწყალობელო, ჯერ სრულიადაც მიხვედრილი არა ხარ, რაშია დანთქმული შენი ზნეობა; შენი აზრები და ბუნება კი, შესაძლებელია, კეთილნი იყვნენ... იქნება იმისთვის ვიყო წარმოგზავნილი, რომ მე ჯეროვან გზაზედ გამოვიყვანო ამ მარტივი კაცის სული.

და უთხრა გრძნობით:

— თაეი გაანებე შენ საძაგელს ხელობას, ჰამფალონ.

იმან მშვიდად უპასუხა:

— არ შემეძლიან.

— წარმოსთქვი სიტყვა წინაშე ღვთისა და ის გიშველის შენ.

ჰამფალონი შეკრთა და მოდუნებული ხმით უთხრა:



— რაღა კითხულობ ჩემს გულში იმას, რაც მე შინდა დავიწყებას მივცე!

— შენ გქონდა რაიმე აღთქმა და დაარღვიე ისა?

— დიად. მე მქონდა მიცემული აღთქმა და დავარღვიე იგი. ნუ თუ სუსტს და უძლოურ კაცს შეუძლიან წარმოსთქვას აღთქმა წინაშე ყოველად შემძლებელისა, რომელმაც ყველა კაცს თავისი მხვედრი დაუნიშნა და დააყენა ერთს ან მეორე გზაზედა. ნება არა აქვს მეჭურჭლეს გამოიყვანოს თიხიდან ისა, რაიცა სურს? იცოდე, მოხუცო, მე მქონდა შემთხვევა, რომ დესაც შემედლო დამეტოვებინა ჩემი ხელობა, მაგრამ არ დამშტამე.

— რატომ არ დაუტევე?

— არ შემედლო.

— ეგ რა პასუხია: სულ გაიძახი „არ შემედლო!“ და რისთვის არ შეგედლო?

— არ შემედლო და არც შემიძლიან, ამისათვის, რომ... მე არ შემიძლიან ჩემ თავზე ზრუნვა მაშინ, როდესაც სხვას ვხედავ გაჭირვებულს და როდესაც სხვა მოითხოვს შემწეობას.

მოხუცი წამოჯდა ლოგინში, ჩააბჯირა თვალები მასხარასა და უთხრა:

— რა სთქვი ეგ შენა? შენ სრულებით არაფრად არა სთვლი შენი თავის დაღუპვას უკუნითი უკუნისამდე, ოღონც კი რაიმე შემწეობა გაუწიო ამ წუთის სოფელში სხვას! მიხვედრილი ხარ თუ არა, რა არის განუწყვეტელი და აღგზნებული ცეცხლი ჯოჯოხეთისა და უღრმესი ღამე საუკუნოობისა? მასხარამ გაიცინა და უთხრა:

— არა, მე მაგაზე არა ვიცი-რა. და როგორ შემიძლიან მე ვიცოდე რამე მკვდრებზედა, მაშინ როდესაც ბევრჯელ ცოცხლებისაც არა გამეგება-რა? შენ კი რცი რამე ქვესკნელზე, მოხუცო?

— რასაკვირველია, ვიცი.

— ვხედავ, რომ შენ არა გცოდნია ბევრი რამ, რაც ღმერთს
დამიწაზნა. მე ეს მაკვირვებს. მე გეუბნები, რომ ვარ უვარგისი
კაცი, შენ კი არ მერწმუნები მე. მეც არ დაგერწმუნები, ვი-
თომ შენ იცოდე რამე მკვდრებზე.

— უბედურო! გაქვს კი შენ რაიმე წარმოდგენა თვით
ღვთაებაზედა?

— ცოტა რამ, მაგრამ ბევრი კი არაფერი და არა მგო-
ნია ღიდად გავიკიცხო, ამისათვის რომ მე არა ვარ აღზრდილი
კეთილშობილ ოჯახში და ამასთან არა მისწავლია. რა ვიხან-
ტიაში ღვთის-მეტყველ ფილოსოფოსებთან.

— ღვთის ცნობა და სამსახური ყველას შეუძლიან. ამისა-
თვის საჭირო არ არის მეცნიერების შესწავლა ფილოსოფო-
სებთან.

— მე თანახმა ვარ შენი და ყოველთვის ვფიქრობ: გამ-
ჩენო ჩემო, ღმერთო, ჩემი გონება შენ ვერ მოგწვდება, მე არ
მინდა ვიყო ზარმაცი მონა და ვიკვლევდე რად მოითხოვ ჩემ-
გან ერთსა და მიკრძალავ მეორესა! მე ვარ შენი მორჩილი და
იმის გაგებას არ გამოვუდგები რას ფიქრობ შენა, უფალო. მე
შევასრულებ იმას, რაც შენ აღბეჭდე ჩემს გულში! და თუ კარ-
გად ვერ შევასრულებ, მომიტყევე, ამისათვის რომ შენ მე შემ-
ქმენ უძლურ კაცად და მომანიჭე სუსტი გული. და ამ გული-
თა ვცხოვრობ მე.

— და შენ იმედი გაქვს მაგითი თავი იმართლო!

— ოჰ, მე არაფრის იმედი არა მაქვს, და არც არაფრისა
მეშინიან. მე მიყვარს მხოლოდ გამჩენი ჩემი.

— უკეთესი იქნება, რომ თრთოდე წინაშე მისა.

— რისთვის. განა შენ თითონა თრთი?

— ვთრთი.

— და ეხლა კი მოიღალე?

— მე ის აღარა ვარ ეხლა, რაც ოდესმე ვიყავი.

— აუცილებელია შენ გაუ წვდებოდე?

— არ ვიცი.

— ეგ კარგად სთქვი. იცის მხოლოდ იმან, ვინც შორიდან უყრებს და არა იმან, ვინცა მოქმედობს. თავის მოქმედებას კაცი თითონ ვერა ხედავს.

— როდესმე გრძნობდი შენს თავს კარგს მდგომარეობაში?

პამფალონი გაჩუმდა.

— გევედრები—განიმეორა ერშიამ:—მითხარი, გრძნობდი თუ არა ოდესმე შენს კარგს მდგომარეობას?

— დიად,—უპასუხა მასხარამ:—ვეგრძნობდი...

— როდის იყო ეგა?

— იმ დროს, როდესაც მე განვაშორე ჩემი თავი უფალსა...

— ღმერთო, რას ამბობს ეს უგუნური!

— მე ვამბობ ნამდვილ ქეშმარიტებას. აკეთე საქმე, მარტო კი ნუ შესტრფიალებ!

— რითი ან როგორ განაშორე შენი თავი უფალსა?

— მე ვქმენ ეს ერთად ერთი ამოოხვრისათვის.

— მიპასუხე, რა ვქმენ შენა?

პამფალონს უნდოდა პასუხის გება და თქმა თავის თავგადასავლისა, მაგრამ უცბად კარის ჭილობი გადასწიეს ორმა შეეგვრემანმა გოგომ. ზარივით ხმა გაისმა, ერთმანერთს აღარ აცდიდნენ და ორთავემ ერთად დაიძახეს:

— პამფალონ, პამფალონ! ადექ, ადექ მალე და ჩვენსა წამოდი. ამ ბნელაში დაუსვენებლივ მოვრბივართ. გეძახის ჩვენი უფროსი... მალე, მალე, ჩვენსა ბევრი სტუმრებია დღესა კორინთიდან. სავსეა მთელი ბაღი და ხეივნები. წამოიღე გრგოლებიცა და სიმებიც. წამოიყვანე აკრა და ზოიაც. ამაღამ ბევრს იშოვნი შენა და ცოტაც არი შეგისუბუქდება ის დიდი ზარალი, რომელიც ეხლახანს შენ მოგეცა.

ერშიამ შემოხედა ამ ქალებსა. მაჯებზე ვქონდათ სამკლავენი; ლოყები ულაპლაპებდათ, თვალები ამღვრეოდათ და მათ

თბილისის
უნივერსიტეტი

შუბლზე არ გამოიხატებოდა არავითარი აზრი. ჰეშენავდნენ საგრძობლად და იყვნენ აღელვებულნი სამრტუმოდ. თითქოს ისმოდა როგორა სჩქედდა სისხლი მათ ძარღვებში... და იმათ ტანს ასლიოდა გრძობის აღმაშფოთებელი სუნი. ერმიას თავბრუ დაეხვა, გაეხვია ლოგინში და კედლისაკენ აქცია პირი.

ჰამფალონმა თავი მიიხარა ერმიასკენ და წასჩურჩულა:

— აბა მოხუცო, ხედავ? განა მე დროდა მაქვს ვფიქრობდე უმაღლეს და მიუწოდებელ საგნებზედა! მსწრაფლ ხმა შეიცვალა, მალდა და მხიარულად უთხრა ქალებსა:

— ემ წუთში, ემ წუთში, ჩემო ნილის გველებო!

ჰამფალონმა დაუსტენა აკრას, ჩამოიყვანა თავის ჯოხით და კრკალითა ზოია, წამოავლო ხელი ზოგიერთს სამასხარო იარაღებს, გააქრო ლამპარი და გაჰყვა გოგოებსა.

ერმია მარტოკა დარჩა ცარიელ სახლში.

XI

ერმიას დიდი ხანი არ დაეძინა—სხვა-და-სხვა ფიქრებმა გაიტაცა იგი. რა ვქნა, როგორ უნდა შევათანხმო ჩემს გონებაში ისა, რისთვისაც მე აქ წამოვედი და ის, რასაც მე აქ ვხედავო. აუცილებელია და აშკარადაც სჩანს, რომ მასხარა კეთილი გულის კაცია, მაგრამ მსუბუქი გონებისა: ის მისდევს ოინბაზობას და სხვა ურიგო შექცევებსა; სრულებითაც არა აქვს სურვილი გაანებოს თავი იმ ეშმაკურ დროს-გატარებასა. და ისეა გაქსუებული, რომ, მართლდაც, ძნელიდაა ის მოშორდეს ამ გვარ უწესო ცხოვრებასა. აი მაგალითი, კარგა ხანია რაც გაიტაცეს ურცხვმა გოგოებმა და სად არის აქამდინ ისა?..

თუ მაწვევარი ქალები ასეთი ღირფები იყვნენ, ადვილად წარმოსადგენია როგორი უნდა იყოს მათი უფროსი, მათი წინამძღოლი დედაკაცი!.. და რა ზნეობა უნდა მეფობდეს იმის გარყენილ სახლში!...

განდევილი შეერთა.

ერმია დიდ სინანულს მიეცა; ოცდა-ათის წლის ფეხზე დგომის შემდეგ, რად გავანებე თავი ჩემს კლდესა, რაზე ამოვიწყვიტე სული და გული გაქირვებულ მოგზაურობაში, თუ კი დამასკში შევხვდებოდი ისევ იმ საძრწუნველ და აღელვებულ ცოდვებს, რომელთაც მე გამოვექეცე ვიზანტიიდანაო?! „არა, ანგელოზმა უფლისამა კი არ გამოგზავნა აქა — ბოროტმა სულმა მაცდინა და შემიყვანა ამ განსაცდელ ში. ბევრი ფიქრი საჭირო აღარ არის, უნდა ეხლავე ავდგე და გაეიქცე აქედან.“

ძნელი იყო მოხუცისათვის, საშინლად ძნელი, წამოდგომა, ფეხები მოლალულ-მოკვეთილი და დაწყლულებული ჰქონდა, გზა წინ ედო დიდი, მიყრუებული, ცხელი და საშიშარი, მაგრამ ის არ დაუშონავდა თავის უძლოურ სხეულსა... წამოდგა; ბნელაში დაბურბუტებს. შემოუარა დამასკის ქუჩებს, გარბის და თან მისდევს სიმღერა, ლოთების ხარხარი, ღვინის ჯამების მტკრევა და ურცხვი ქალების აღელვებული ქშინვა. ერმიას მიეცა საკვირველი სიმხნე და ძალა ფეხებში; გარბის უწყალოდ და ბოლოს, წარმოიდგინეთ იმის ბედნიერება, — მიადგება თავის გამოქვამულ კლდეს, ეპოტინება აქა-იქ გამოშვებულ კლდის წვერებსა, ცდილობს როგორმე აძვრეს თავის გამოქვამულში, მაგრამ ამ დროს საშინელი ძლიერი ხელი სწვდება იმას ფეხებში, ჩამოაგლეჯს კლდესა და დააყენებს დედამიწაზე, და გაისმის მრისხანე ხმა:

— შევედრე პამფალონს, რომ მან გიამბოს შენა თავისი მშვენიერი საქმე შესახებ სულის დასხნისა.

ერმიას მოედო რაღაც ქარიშხალი, სულს ველარ იბრუნებდა საწყალობელი, ისე უკუ მოაქროლებდა იმას დამასკისაკენ. ოფლში გაწურულმა გაახილა თეალები, ხედავს... გათენებულა და ისევ პამფალონის სახლში იმყოფება და ეს მასხარაც იქვეა გაწოლილი შიშველ იატაკზე და სძინავს. აკრაცა და ზოიაც სთვლემენ...

ერმიას თავით უდგია ორი თიხის ქურქელი—ერთი სუფთა წყლით სავსე და მეორე რძითა, ამასთან ფოთლებში გახვეული ახალი ყველი და მშვენიერი ხილი.

წუხელი ესენი აქ არ ყოფილა...

სიხანს, მეუღაბნოვს ღრმად სძინებია. როდესაც ღამე ნატეხი და მოქანცული იმის მასპინძელი დაბრუნებულა სახლში, ეტყობა მაშინვე კი არ დაწოლილა დასაძინებლად, —ჯერ უზრუნვია თავის სტუმრისათვისა.

მასხარას მოემზადებინა რისაც 'მოენა' შესძლებოდა. ადგება დილით ჩემი სტუმარი, საუზმე მზადა ჰქონდეს, რომ პატარა ღონეზე მოვიდესო...

არც ყველი, არც ხილი არ მოეპოვებოდა პამფლეტისა და, აშკარაა, ამაებს იქ მისცემდნენ, სადაც წუხელი შეაქცევდა უნამუსოების სტუმრებსა.

ესენი გამოურთმევია გარყვნილ ქალისათვის, რომ მიართვას თავის სტუმარსა.

— გასაშტერებელი კაცია ჩემი მასპინძელი! — ჰფიქრობდა ერმიას; წამოდგა ლოგინიდან და მივიდა პამფლეტთან, დახედა სახეზე და თვალს ველარ აშორებდა. წუხელი პირველად ლამპარის სინათლეზედა ნახა ერმიამ პამფლეტისი მაშინ, როდესაც ის განმზადებული იყო სამასხარო წარმოდგენისათვის; თმა დახუჭუჭებული ჰქონდა და პირისახე დახატული წამლებითა. ეხლა კი ეძინა პამფლეტის პირდაბანილი და თავ დავარცხნილი; შუბლიდანაც მოესხნა სამასხარო სალტა, წყნარი და მშვენიერი სახე ჰქონდა ეხლა მასხარასა—თითქო კაცს კი არა, სწორედ ზეციდან ჩამოსულ ანგელოზს წააგვანდა ისა.

— იქნება—სთქვა ერმიამ:—მე არა ვარ მოტყუებული და შემცდარი! შესაძლებელია ეს სწორედ ის პამფლეტისი იყოს, რომელიც ჩემზე უფსრულესია და რომლისაგანაც მე რაღაცა უნდა შევისწავლო. ღმერთო! როგორ უნდა გავიგო მე ესა? როგორ უნდა განვმარტო ჩემი იქნეულება?



და მოხუცმა დაიწყო ტირილი. დაიჩოქა წინაშე ზამთალონისა, გულში ჩაიკრა იმის თავი და ცრემლის ღვრით უწოდებდა მას.

ზამთალონს გამოეღვიძა და ჰკითხა:

— რა გნებავს, მამაო ჩემო?

და როდესაც დაინახა, რომ მოხუცი სტირის, გულ-გახეთქილი წამოვიარდა:

— რაღა ვხედავ მე შენს მოხუც სახეზე ცრემლებსა? ხომ არავინ არა გაწყენინა-რა შენა?

ერმიაშ უპასუხა:

— არა, არავის უწყეინებია შენს გარდა, ამისათვის რომ მე ვარ წამოსული უდაბნოდან და მოველოდი გამეგო რამე შენსგან სასარგებლო ჩემთვისა და შენ კი მიმაღავ: რითი ასიამოვნებ შენ ღმერთსა? მე კი მოვლინებული მაქვს, რომ შენ სათნო ხარ უფლისა.

ზამთალონი ჩაფიქრდა და შემდეგა სთქვა:

— შერწმუნე, მოხუცო, ჩემს ცხოვრებაში არა მოიპოვებარა იმისთანა, რაიცა საქებური იყოს,—სიბილწე კი მრავალ არს ჩემშია.

— იქნება შენ თითონ არ იცი, რა მადლი მიგიძღვის?

— აბა როგორ შესაძლებელია, რომ არ ვიცოდე? მე ზედმიწევნით ვიცი, როგორც შენ თითონვე ხედავ, რომ დაუდგრომლად ვცხოვრობ და ამასთან მაქვს ისეთი საძაგელი გული, რომელიც ნებას არ მაძლევს გაუკეთესობისას.

— მხოლოდ ეს მაინც მითხარი: რა გავნო შენ შენმა გულმა და არ გაძლევს ნებას რითი დასდგე სხვა ხარისხზე? მიამბე, როგორ იყო, როდისა გრძნობდი შენ თავს კარგად და როდის ჰქმენი ცული?

— კარგი! ბატონი ბრძანდები,—უთხრა ზამთალონმა:—რაკი შენ ეგრე აუცილებლივ მოითხოვ, მე გიამბობ ერთ შემთხვევას, მაგრამ, იცოდე, შემდეგ ჩემის მოთხრობისა შენ აღარ მოინ-

დომებ ჩემთან დაბრუნებას! კარგი, აედგეთ და გავიდეთ ქალაქ გარედ, მინდორში და იქ გიამბობ შენ ერთს ჩემს თავგადასავალს, რომელმაც მე მომიწყვიტა იმედი ჩემის ოდესმე გაუმჯობესობისა.

— წავიდეთ ღვთის გულისათვის, წავიდეთ ჩქარა, — უბასუხა ერმიამ და მსწრაფლ გადაიცვა თავის ძონძი ტყავი.

გავიდნენ ორივენი ქალაქ გარედ და ამოირჩიეს ერთი მყუდრო ალაგი გადმონგრეულ კლდის ძირში; ფეხთით წამოუწვათ აკრა, და ჰამფალონი მოჰყვა მოთხრობასა.

XX

მე არას დროს არ გიამბობდი ჩემს თავგადასავალს, დაიწყო ჰამფალონმა, მაგრამ უნდა შევასრულო შენი თხოვნა, რადგანაც შენ ბეჯითად მთელი მე კარგ კაცად. მე კი ეს მიმაჩნია სირცხვილად, ამისთვის რომ არა ვარ ღირსი მაგ გვარი აზრისა, და მე უფრო შემფერის ვითვლებოდე საზიზღარ კაცად.

მე ვარ ყოვლად ცოდვილი და გაქსუებული ადამიანი, ეს კილევ არაფერი, მე ვარ მაცდური და მატყუარა და ამაზე უარესიცა: მე მოვატყუე ღმერთი, მე გავტეხე აღთქმა წინაშე მისა და გავტეხე როდის?? მაშინ, როდესაც მოულოდნელად მომეცა შემთხვევა და შემეძლო დაუყოვნებლივ შემეხსრულებინა ჩემი აღთქმა. გვედრები, ყური დამიგდე და მიუფერებლივ განმსაჯე მე. მე მსურს, მოხუცო, შენს სამართლიან განსჯაში კაფიათად დავინახო ის წყლული, რომელიც ჩემს დასასჯელად დაემსახურე ჩემის შეუსაფერო ცხოვრებითა.

შენ აშკარადა ნახე ჩემი სამასხარო ცხოვრება, დანარჩენ ჩემს უბედურებას შენ აღვილად წარმოიდგენ. მე ვარ ყოვლად ჩირქიანი და საძაგელი. მე ქეშმარიტად გითხარ შენა, რომ ვარ

გაუჩორკნელი ბრიყვი, უსწავლელი და სრულიადაც არ შემიძლიან სჯა ღვთაებაზე და მის განგებაზე. შენ შორს მხედველი ხარ, მოხუცო, მართალია, ხანდისხან მოხდებოდა ხოლმე, რომ მეცა ვფიქრობდი ჩემს სულზე. დავეხეტები მთელი ღამე ლოთების შესაქცევრად, და როდესაც განთიადზე დავბრუნდები სახლში, ვფიქრობ: რისთვისა ვცხოვრობ მე ქვეყანაზე? ეცოდავ იმისთვის, რომ ლუკმა ვიშოვნო და ლუკმას ეშოულობ იმისათვის, რომ ცოდვასვე მივეცე. აი, ესრე ტრიალებს ჩემი უგზო-უკვლო ცხოვრება. მაგრამ, მამაო, კაცი ცბიერია და ყველა თავის მდგომარეობაში ეძიებს ლელენარში ფოთლებსა, რომ მითი დაიფაროს თავის სიშიშვლე და სიბილწე. მეც სწორედ ეგრეთი გახლავარ: რამდენჯერ ვფიქრობდი—მე ვარ შთანთქმული ცოდვაში სიღარიბით და რასაც ვშოვულობ, იმითი ძლიესლა ვსაზრდობ; აი, თუ როდისმე მომეცემა შემთხვევა იმოდენა ფულის შოვნისა, რომ პატარა მამულის ყიდვა შევიძლო, მაშინ გავანებებ თავს მასხარობის ხელობასა, დავიწყებ მუშაობას და ისეთ მიმართულებით ვიცხოვრებ, როგორც ეკადრება დარბაისელ და მართებულ კაცსა. და აი ამას მე აქამდის ვერ მივახწიე, მისთვის კი არა რომ ფულს ვერა ვშოვულობდი, არა, ფულს კი ვშოვულობდი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შევავროვე იმდენი, რამდენიც საჭირო იყო; ათასი შემთხვევა შეძლოდა და ფული ხელში მიწყალდებოდა: დავინახავდი ვისმე გაჭირვებულსა, შემეცოდებოდა იგი, გული კენესას დამიწყებდა და მივყოფდი ხელს ფულის ფლანგვასა. თუ საითმე ერთბაშად ჩამივარდებდა საკმაო ფული, მაშინ აუცილებლივ თავს გავანებებდი მასხარობას და გადავიდოდი დარბაისლობის ხარისხზედა,—გროში-გროშზე დადება და ასე შეგროვება ფულისა კი მე არ შემიძლიან. რად დამბადა ესრე ღმერთმა? თუ, ვფიქრობდი, უფალი უხვის ხელით მომცემს შემწეობას,—მაშინ სხვა იქნება,—მაშინ შევუდგები ზომიერ-

ბას და ისე კარგად ვიცხოვრებ, როგორც სხვები, რომლებსაც
პატივსაცემად ყველანი და რომლებიც მოვლიან დამკვიდრე-
ბას სასუფეველსა შინა ზეცათასა.

იკო რა! წარმოიდგინე, ერთხელ სწორედ იმ ნაირი შე-
მთხვევა მომეცა, რომელსაც მე ვნატრობდი და რომლის გან-
ხორციელების იმედი მე სრულიადაც არა მქონდა. კარგა და-
მიგდებ მე ყური და შეუბრალებლივ განმსაჯე მე.

აი ეს საკვირველი შემთხვევა.

დამასკოში ერთი უნამუსო ქალია, სახელად აზელლა. უნდა
გითხრა, რომ აზელლა თუმცა ახალგაზდა აღარ არის, მაგრამ
ფუნჩულა და ძალიან ლამაზია და იმის სილამაზე თითქოს
დაუქნობელია. აზელლა სიმშვენიერი თაყვანისცემი და ქუჩითაც აქ
ყველასა სჯობია. ერთ ღამეს ამ ქალმა დამიძახა სტუმრების
შესაქცევად. სტუმრები ბლომად შეკრებილიყვნენ და სულ
უცხო ხალხი იყო, ზოგი რომაელები და ზოგიც მკეცხარა
მდიდრები კორინთიდან. დიდ ქეიფში იყვნენ შესული, ღვინოს
ლუპავდნენ მრავალსა და განუწყვეტლივ ხან მათამაშებდნენ,
ხან მამღერებდნენ. ერთნი მიბრძანებდნენ გამეცინებინა მე
ისინი, მეორენი მამთხოვდნენ სხვა იმათ სასიამოვნო შექცევასა.
შეც ვცდილობდი ყველას სურვილი შემესრულებინა. საშინ-
ლად მოვიღალე, მაგრამ უწყალო სტუმრები ჩემ დაღალეას
არაფრად არ აგდებდნენ, — ზოგი მანჯღრევდა, ზოგი დამცინოდა,
ზოგი ძალად მისმევდა ღვინოსა, რომელშიაც ჯერ რაღასაც
ურევდნენ; ბევრიც თავზე მასხამდნენ სასმელებსა. ჩემმა საცო-
დადებმა აკრამაც ბევრი სასჯელი მიიღო იმ ღამესა: უწყალოდ
გლეჯდნენ უკანა ფეხებსა, პირში აფურთხებდნენ და როდესაც
დაიწყებდა ღრენასა, სცემდნენ საწყალსა და ზოგი ექადებოდა
მოკვლასაცა. ვიყავი დიდ გაჭირვებაში და სუყველა ეს შეუ-
რაცხყოფა ავიტანე... ამიტომ რომ ვფიქრობდი, ეგები ბლომად
ვიშოვნო რამე-მეთქი. გამოგიტყდები, ვაპრობდი ერთი და-

ქრილის ჯარის კაცის გასტუმრებას თავის სამშობლო ქვეყანაში. აზელლა ხედავდა რა შევიწროებულ მდგომარეობაშია ცვიყავი მე, და ამითი ქვეიანურად ისარგებლა იმანა: აიხადა მხრებიდან მანდილი, დაუარა ყველას და მოაგროვა ჩემთვის ფული. სტუმრები მთვრალეები იყვენენ და ერთი მეორეზე უფრო ბლომად ჰყრიდა ფულსა მანდილში. მეტადრე ერთმა კორინთელთაგანმა გამოიჩინა დიდი სიუხვე. ის იყო ფრიად მდიდარი, ამპარტავანი და ისე დასქელებულიყო, რომ კისერი ჩასძვრენოდა მხრებში.

— აზელლა, — უთხრა მაღალის ხმით ამ კორინთელმა, — აბა მიჩვენე, რამდენი ოქრო შეგიგროვებია.

აზელლამ უჩვენა.

კორინთელმა დახედა, სახე შეიღმიჯა და დაცინვით გადაათვარიელა რომაელნიცა და თავის მეზობლებიცა.

— იცი რა გითხრა, აზელლა, ეხლავ დაითხოვე ეგ შენი სტუმრები და ჩემს მოსამსახურეს გამოართვი მასხარასათვის ათი იმდენი, რაც მაგათ გამოუმეტებიათ ჰამფალონისთვისა.

აზელლა მიუბრუნდა სტუმრებსა.

— ჩემო გონიერო სტუმრებო! თქვენ კარგად იცით, რომ ბედი ხშირად არ ეწვევა ხოლმე კაცსა და რაც ჰამფალონს შეეხება, ამ საწყალს თავის ღლეში ბედი ჯერ არსად არ შეხვედრია. დაუთმეთ თქვენი ალაგი კორინთელსა, წადით აქედან და თავი მიეცით ძილსა.

უკმაყოფილოდ დარჩნენ სტუმრები, მაგრამ, რა გაეწყობოდა, გავიდნენ სახლიდან; ცოტა ხნის შემდეგ მეც გამისტუმრა აზელლამ და იმოდენა ფული მომცა, რომ თვალები ამება. დილაზე გადავთვალე და შესდგა სულ ორას ოცდაათი ოქრო... მე დიდად გამეხარდა, მაგრამ ამასთანვე ძალიან შევშინდი.

— აი ეხლა კი უნდა გავანებო თავი სამასხარო შექცევის მსახურებასა. სწორედ უფალმა მისმინა მე, — შემისრულა გულის

წადილი. თავის დღეში ამოდენა ფული არა მქონია ერთადა. საკმარისია ჩემი შეურაცხყოფა და სასაცილოდ ავღება,—შეყოფა ესენი. ეხლა მე გამოვედი სიღარიბიდან. მართალია, ამ ფულისთვის ბევრი შეწუხება ავიტანე, მაგრამ ეს უკანასკნელი-ღა იქნება ჩემს ცხოვრებაში. საუკუნოდ გათავდა ჩემი შეუსაფერო ხელობა! მოვძებნი საღმე პატარა მინდორს, სადაც ჩამოჩხრიალებდეს ანკარა წყარო და სადაც ამომცენარებდეს თავგადაშლილი ბზა. შევისყიდი იმ მინდორსა და დაეწყებ იმ გვარ ცხოვრებას, რომელიც შეპფერის მართებულ კაცსა და მაშინ ჩემი გაცნობა აღარავის სირცხვილად აღარ მიეჩნევა.

გამიტაცა სხვა-და-სხვა ტკბილმა აზრებმა, ვესაყვარლებოდი ჩემს თავსა: ვფიქრობდი როგორ ღირსეულად ვიცხოვრებ—ავღებები დილით ადრე, ეხლანდელსავით კი არა,—ეხლა დილითა ვწვეები დასაძინებლად; სტვენის მაგივრად, დაეწყებ ფსალმუნების გალობას; დღისით ვიმუშავებ ჩემს ვენახში, საღამოობით დავედები წყაროსთან თავ გაფოთლილ ბზის ქვეშა. დაეწყებ ფიქრს ჩემს სულზედა; თვალს დაკვირვებით ვადევნებ გზასა,—მომცემს მე ღმერთი იმ დღეს სტუმარსა თუ არა. დავინახავ თუ არა მოგზაურს, ავღებები და მივეგებები, შევიწვევ სახლში, მოვასვენებ, ჰურს მივართმევ და მერე მყუდროებაში ვარსკვლავებით მოჭედდელ ცის ქვეშ დაუწყებ ბაასა ღმერთზედა. სრულიად შეიცვლება ჩემი ცხოვრება საუკეთესოდ და მოხუცების დროს, როდესაც შემიმცირდება ძალღონე, აღარ ვიქნები იძულებული მასხარობით ლუკმის შოვნისა. და რომ ეს ჩემი გადაწყვეტა დაურღვეველი იყოს და სისუსტე ჩემის ხასიათისა არსაიდან არ შემომებაროს, შევკარ თავი ჩემი განუწყვეტელის ჯაჭვითა, ესე იგი, წარმოვთქვი აღთქმა წინაშე უფლისა... მე ის ვქმენ, რასაც შენ მირჩევდი და აღფუთქვი გარდავიქცე სულ სხვა კაცად და უწინდელი ცხოვრების კვა-



ლიც კი აღმოვეფხრა მაგრამ, ყური დამიგდე, რა მოხდა შემდეგ და რა მიზეზით ვეღარ შევიმაგრე თავი და გავტეხე ესრეთი ჩემი ალექსია...

წ. ს.

(შემდეგი იქნება)



ომერ-ფაშა სამეგრელოში

მოგონებანი კ. ა. ბოროზდინისა

II *)

შემოსევა ომერ-ფაშის ჯარისა და დახურება სამეგრელოსი

მდ. ინგურის ახლო მდებარე ადგილი.— ომერ-ფაშის ჯარის გამოჩენა 25 ოქტომბერს.— თავ. ივ. მუხრან-ბატონი მტრის ჯარს წინ ელობება და ინგურში არ უშვებს.— ბრძოლა კახათსა და კოკთან.— პოლკოვნიკები ზვანბაია, იოსელიანი, მაიორი ივინი და კაპიტანი კობეღევი— ერთი-მეორეს შემდეგ უფროსებად იყვნენ 11 ლიხვის ბატალიონისა და ყველანი ბრძოლის ველზე დაჭრილ იქმნენ და დაიხოცნენ, გარდა ივინისა, რომელიც რამდენისამე კვირის უკან გადაჰყვა ჭრილობას.— ომერ-ფაშა ინგურში გავიდა; რუსის ჯარი ხეთაში მიდის.— რუსის ჯარი ცხენის-წყალში გავიდა და იმერეთისაკენ დაიხია.— სამეგრელო ომერ-ფაშის ხელშია.— გორდში დედოფლის სასახლეში მომხდარი ამბავი.— თავ. ივ. მუხრან-ბატონის მეუღლე.— დედოფლის მზადება ტფილისში წასასვლელად.— გორდში კონსტანტინე დადიანისა და სხვა თავადების მისვლა.— ესენი დედოფალს და მისს შვილებს ტფილისში არ უშვებენ და ურჩევენ ლეჩხუმში წასვლას.— ომერ-ფაშის პირველი წერილი, დედოფალთან მიწერილი.— ამ წერილის პასუხის შედგენა ნ. კალიუბაკინის მიერ.— ლეჩხუმში და იქ გადასვლა დედოფლის შვილებისა.— თვითონ დედოფლის მისვლა.— ომერ-ფაშის მეორე წერილი დედოფალთან.— ცნობანი ოსმალთა გენერალისიმუსის მოქმედებათა შესახებ სამეგრელოში.— თავ. ჩიჩუა; როზმურდუკი.— მითქმა-მოთქმა მეგრელთა შორის და მითქმა-მოთქმა დედოფლის შესახებ ქუთაისში.— თავადი ბებუთოვი დედოფალს სთხოვს სამეგრელოდან წამოსვლას.— ყარსის აღება 22 ნოემბერს.— მარტოდ წასვლა დედოფლისა ლეჩხუმიდან გორდში.— ისკანდერ-ფაშის წერილი.

სამურზაყანოსა და სამეგრელოს შორის მიმდინარეობს ინგური. წყალდიდობას და გაზაფხულ-ზამთრის დიდ წვიმების

*) იხ. „მოამბე“ № IV.

დროს, როგორც ყველა მთის მდინარენი, ინგურიც მალე აღიდგება და მისის წყალობით ყოველივე მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია ხოლმე; მაგრამ ზაფხულობით და გვალვის დროს ეს მდინარე ისე გამეჩხარდება, რომ მცხოვრებნი ფონში აღვილად გადიან. 1855 წლის შემოდგომა მეტად გვალვიანი იყო, გამუდმებული ტაროსი იდგა და ამიტომ ინგური დაპატარავდა და ორს ალაგას შეეძლო კაცს ფონში ვასვლა: რუხის ძველის ციხის ახლო და კოკის და კახათის მახლობლად. ამ ორ ფონის შუა თოთხმეტის ვერსის მანძილია.

25 ოქტომბერს ომერ-ფაშა თავისის ჯარით ინგურს მოადგა. მუხრან-ბატონმა მტერი პირის-პირ დაინახა, მაგრამ არც კი უფიქრია წინააღმდეგობა გაეწია და ინგურში არ გამოეშვა; მხოლოდ თავისი ჯარი ორად გაჰყო და ერთიმეორეს კარგა მანძილზე დაშორა. მუხრან-ბატონს ეჩვენა, ომერ-ფაშას ჯარის უმეტესი ნაწილი რუხისაკენ მოდისო და ამიტომ თვითონ რუხთან დარჩა და უფრო დიდი ნაწილი ჯარისა თავისთან დასტოვა, ხოლო უმცირესობა კოკ-კახათისაკენ გაგზავნა. მაგრამ ომერ-ფაშამ მტერი მოატყუა და ჯარის უმრავლესობა კოკ-კახათის*) ფონისაკენ წაიყვანა, ასე რომ ოსმალოს ჯარს ორი ბატალიონი-ღა გაუშკლავდა. რუსის ჯარში 2,000 კაციც არ ითვლებოდა, ხოლო მტერი ათჯერ მეტი იყო. რუსის ჯარის-კაცებს ჯერ ისევ კაჟიანი თოფები ჰქონდათ, ხოლო ომერ-ფაშის ჯარი მინიეს სისტემის თოფებით იყო შეიარაღებული.

კოკთან ბრძოლა ასტყდა ნაშუადღევის სამს საათზე და მზის ჩასვლამდე გასტანა, ესე იგი მთელი ოთხი საათი მეტი. რუსის ჯარი თავგამოდებით იბრძოდა. ბრძოლა პირველად მდინარის კალაპოტში ასტყდა და მტერმა სამჯერ აჩვენა რუსის ჯარს ზურგი. 11 ლინეის ბატალიონის კამანდირს, პოლკოვნიკს ზვანბაიას შტუცერის ტყვია მარჯვენა ყურში მიხვდა და მარცხენაში გაუარა. იმის სიკვდილის შემდეგ უფროსად პოლ-

*) სოფ. კახათში ნარმანიას გვარის გლეხები სცხოვრობენ და ამიტომ ამ ადგილს სხანაშანიოტე ჰქვია.

კონიკი იოსელიანი ჩადგა. შტუცერის ტყვია იოსელიანს გულში მოხვდა და მეორე მხარეს გავიდა, მაგრამ დგომელა საჩქაროზე თვითონვე შეიხვია ქრილობა და ჯარის ხელმძღვანელობა განაგრძო, სანამ ღონემ სრულებით არ უმტყუნა და სალდათებს ხელზე არ დაესვენა. ქრილობის შესახებვედ რომ მიჰყავდათ, მეორე ტყვია თავში მოხვდა და ბოლო მოუღო. იმის მაგიერ კურინის პოლკის ბატალიონის კომანდირი, მაიორი ივინი ჩადგა, მაგრამ დიდხანს არც იმას დასცალეზია: შტუცერის ტყვიამ მუხლისთაფი დაუშსხვრია და რაზმიდან გაიტანეს. ამ გმირულ რაზმის უკანასკნელ კომანდირად იყო კაპიტანი კობელევი. კომანდრობა კობელევმა ისეთს წუთს იკისრა, როცა მტრის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველად შეუძლებელი შეიქმნა. ზარბაზნებს თავები დაუცო და ერთი მუჭა ჯარი ბრძოლის ველიდან გაიყენა. ამ დროს რუხიდან მუხრან-ბატონი მოიჭრა თავისის ჯარით და უბრძანა, ისევ ბრძოლა ასტეხეთო. ჯარის-კაცები ისევ გამწკრივდნენ და ლომებსავით ეკვეთნენ მტერსა, მაგრამ გვიანდა იყო. ოსმალთ ჯარის უმეტესობა ინგურში გამოვიდა. რუსის ჯარს ცოტაც რომ დაყოვნებოდა, მტერი გარშემო შემოერკალებოდა და ტყვედ წასახამდა ყველას. ამიტომ მუხრან-ბატონის ბრძანებით რუსის ჯარმა უკან დაიხია. კაპიტანი კობელევი მოკლულ იქმნა.

ღამის ათს საათზე ჯარი მწყობრად ინგურს მოშორდა. ბნელი ღამე იყო, დაჭრილები და ავადმყოფები ბევრი ჰყავდა რუსის ჯარსა, თან, ერთბაშად მოუხდა უკან დახვეა, ასე რომ ძალიან უჭირდა საქმე, მაგრამ 26 ოქტომბერს დილით ყველანი, ვინც კი ინგურის ბრძოლას გადარჩნენ, ხეთაში იყვნენ დაბანაკებულნი.

დიდძალი სისხლი დაიღვარა კოკსა და კახათთან ბრძოლის დროს; რუსის ჯარს ბევრი ხალხი დაეხოცა, მაგრამ ოსმალოს ჯარი სამი იმდენი დაეკარგა; აქაურ მცხოვრებთ დღემდე ახსოვთ მინდორი, სადაც ათასზე მეტი მკვდარი ეყარა და ამდენივე წყალმა წაიღო... ჩვენ უკვე დავასახელეთ ამ ბრძოლის გმირნი: ზვანბაია, იოსელიანი, ივინი და კობელევი. ამათ-



გან მხოლოდ ივინი გაიყვანეს ბრძოლის ველიდან კოცხლად ამის შემდეგ მთელი ექვსი კვირა იტანჯა ქუთაისში ნ. კოლუბაიკინის სახლში და ჭრილობისაგან სული განუტევა, ხოლო სხეებმა ბრძოლის ველზე დასდევს თავი. მაგრამ უსამართლობა იქმნებოდა, რომ არ გვეხსენებინა ცხენოსან რაზმის უფროსი პოლკოვნიკი თავადი დიმიტრი შარვაშიძე*), რომელმაც უკვე დასახელებულ გმირებსავით ისახელა თავი; ბრძოლიდან უვნებელი გამოვიდა, თუმცა გაცხარებულ ბრძოლის დროს თავის რაზმს თავში უღდა. ზვანბაია და შერვაშიძე აფხაზები იყვნენ, ხოლო იოსელიანი—მეგრელი; სამსავე დიდი პატივისცემა და ნდობა ჰქონდათ როგორც თვის თანამემამულეთა, ისე თანამოსამსახურეთა, და რუსებისათვის თავდადებულნი იყვნენ. ზვანბაია, გარდა ამისა, დიდად ნაკითხი და განვითარებული კაცი იყო, კარგად ჰქონდა შესწავლილი თავისი სამშობლო და თვისთა თანამემამულეთა ზნე-ჩვეულებანი; მთელი რიგი საინტერესო წერილები დაბეჭდა „საგეოგრაფიო კრებულში“ და გაზეთ „კავკასში“ და კავკასიის შესახებ მწერლობაშიაც დასტოვა თავისი კვალი.

ჩვენ ზევითა ვთქვით, რომ თავადს ივ. მუხრან-ბატონს ფიქრადაც არ მოსვლია ომერ-ფაშისათვის ინგურში გასვლის დროს წინააღმდეგობა გაეწიაო. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ძალა არ შესწევდა. თუნდაც მთელი თავისი ჯარი სანარმანიოში დაეყენებინა, მაინც ვერ გააჩერებდა მტერს ინგურს გაღმა, რადგან ომერ-ფაშას 30,000 კაცი ჰყავდა და მუხრან-ბატონის ჯარი კი 5,000 კაცს არ აღემატებოდა. ინგურზე ადგილმდებარეობა მტერთან საბრძოლველად მეტად უხერხული იყო, მით უფრო რომ ეს მტერი ექვსჯერ ძლიერი იყო, ვიდრე რუსის ჯარი. მაგრამ ეს ალაგი სამეგრელოს კარის ზღურბლად ითვლებოდა და ბრძოლა მაინც უნდა ატეხილიყო. ყოველად შეუძლებელი იყო რუსის ჯარს გაემარჯვნა ხეთაში, ან მდ. ცივზე (ახალ-სენაკთან), ამიტომ რომ მტერი ყველგან

*) მამა ტფილისის გუბერნატორად ყოფილის თავ. გიორგი შერვაშიძისა. თ. ს.

სძლევდა, რუსის ჯარი იძულებული გახდებოდა ორივე ადგილიდან აყრილიყო და უბრძოლველად მტრისათვის ჩაეტოვებინა ხელში; თუ სადმე შეიძლებოდა ბრძოლა, ისევ ინგურზე. აქაც რომ არ გამკლავებოდა მტერს მუხრან-ბატონი, მტერი უომრად შემოვიდოდა სამეგრელოში. რაკი თოფის დაუცლელად შემოვიდოდა მტერი ამ ქვეყანაში, მაშინ, თუნდაც კარგად წასულიყო რუსის ჯარის საქმე, მეგრელების იმედი არ უნდა ჰქონოდა მუხრან-ბატონს, ოსმალების წინააღმდეგ ვერაფრის გულისათვის ვერ ააღებინებდა იარაღს.

ასე იყო, თუ ისე, ინგურზე რუსის ჯარის დამარცხებამ, მუხრან-ბატონის წასვლამ ხეთისაკენ და ოსმალთაგან ზუგდიდის დაპყრობამ შიშის ზარი დასცა სამეგრელოს მკვიდრთ. მცხოვრებთ თავტანი დაჰკარგეს და ყოველი გულადობა გაუქრათ, როცა რიცხვმრავალი ჯარი დაინახეს ომერ-ფაშისა. თავადი მუხრან-ბატონი ხეთაში გამაგრდა და სამს დღეს ელოდებოდა აქ მტერს. მაგრამ ამ დროს სამწუხარო ამბავი მოვიდა. მეგრელებისაგან შემდგარმა მილიციამ, რომელიც თ. გრიგოლ დადიანის მეთაურობით სოფელ აბასთუმნის მახლობლად იდგა ზემო-სამეგრელოს გზის დასაცველად, თავის უფროსის სურვილის წინააღმდეგ, ამ ადგილს თავი დაანება და თავ-თავის სახლებს მიაშურაო. მუხრან-ბატონს შეეშინდა, აქ რომ გავჩერდე, შეიძლება, მტერი ყველა-მხრით შემომერთყასო, და ხეთიდან დაიძრა. ქართლ-კახეთიდან ჯარს ელოდდა, მაგრამ ამ ჯარისა დღემდე ჩამი-ჩუმბი არ ესმოდა. ხელთ ჰყავდა რიცხვმცირე ჯარი, არც ადგილობრივნი მკვიდრი იჩენდნენ დახმარების სურვილს, ასე რომ სამეგრელოში დარჩენა მუხრან-ბატონისათვის ყოვლად შეუძლებელი იყო, ამიტომ ცხენის-წყალს გავიდა და იმერეთში გადაიყვანა თავისი ჯარი.

მთელი სამეგრელო ომერ-ფაშის ხელში დარჩა.

ახლა ვიკითხოთ, ამ დროს რა ამბავი იყო გორდში, სადაც დედოფალი სცხოვრობდა? ბრძოლის წინააღმდეგ დედოფალი ეკატერინე გორდიდან ქვაშხორში წამოვიდა და აქ დაუწყა ამბავს ლოდინი. რუსის ჯარის დამარცხებისა და ომერ-



ფაშას შემოსვლის ამბავი ყველაფერი დაწერილებით მოუვიდა და ისიც გაეშურა გორდში შეილებთან. ამ დროს დედობრივის გრძნობის გარდა სხვა ყველა გრძნობანი დაავიწყდა. მტერმა ჩემს ქვეყანაში ფეხი შემოსდგა და მეც ჩემს ოჯახს უნდა ეუ-
ზატრონოვო.

დედოფალთან ამ დროს სტუმრად იყო ივ. მუხრან-ბატონის მეუღლე ნინო. ინგურთან დამარცხებას მთლად მუხრან-ბატონს აბრალებდნენ, ამიტომ კნენია ნინო ჰფიქრობდა, ყველანი მე მაყვედრიან ჩემის ქმრის დამარცხებასაო. დედოფალი მეტად შეწუხებული და აღელვებული იყო; ნინოც არა ნაკლებ სწუხდა. სწუხდა თავის ძმისწულებისათვის, ბოლოს, სწუხდა თავის რძლისათვის. 28 ოქტომბერს, ღამით, როცა ყველამ დაიძინა, კნენია ნინოს ქმრისაგან წერილი მოუვიდა. წაიკითხა თუ არა, დედოფლის საწოლ ოთახში შეიქრა, საჩქაროზე გააღვიძა და უთხრა: „ჩქარა წადი აქედან; მეგრელები გაფანტულან; გამომართვი ეს წერილი და წაიკითხე.“ ივანე მუხრან ბატონი, მართლაც, ცოლსა სწერდა, დედოფალს უთხარი, დაუყოვნებლივ წამოიყვანოს შეილები გორდიდან, გავიდეს იმერეთში და ხონში ჩემს მოსელას ელოდოსო. ამ ქამად დედოფლისა და მისის შეილების ყოფნა სამეგრელოში საშიშოაო, რადგან მეგრელების იმედი არა მაქვსო. ბოლოს, მეგრელთა მილიციის გაფანტვას ატყობინებდა.

რა თქმა უნდა, დედოფალმა ეს მოისმინა თუ არა, მუხრან-ბატონის ნათქვამის ასრულებას შეუდგა და დილის ცხრა საათისათვის წასასვლელად მთელი სახლობა მზად იყო; ერთი ათიოდე წუთიც რომ დაჰყოვნებოდა, დედოფალი გზას დაადგებოდა. მაგრამ ამ დროს გორდის მთაზე თავადი კონსტანტინე დადიანი, განსვენებულის მთაერის ძმა, ამოვიდა. თან ახლდა აუარებელი თავადაზნაურობა. რომ გაიგეს, დედოფალი იმერეთში მიბრძანდებოა, ყველა ერთხმად წინ აღუდგა დედოფლის გადაწყვეტილებას.

მეტად ცხოველსა და საინტერესო სანახავს წამოადგენდნენ ესენი ამ წუთას. მშვენიერი და დიდებულის სახის მო-



ხუცნი მოწიწებით გამოვიდნენ წინ და დიდის კრძალვით, გარნა ენერგიულად მოახსენეს თავიანთს დედოფალს.

„მართალია, თავადი მუხრან-ბატონი დამარცხდა. რა ეუცოთ მერე! ვინ არ დამარცხებულა? მაგრამ საქმე ის არის, რომ იმას არ უნდა ხელმეორედ შეეხება მტერს სამეგრელოში და ეჩქარება სამეგრელოდან იმერეთში გადავიდეს. ამით პირად ჩვენ გვაყენებს შეურაცყოფას. იმისთვის ვილასაც უთქვამს, რომ მილიცია დაიქსაქსაო,—მაგრამ ეს ცილისწამებაა; შეიძლება, რომდენიმე კაცი გაიქცა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვითომც ყველანი ჩვენ-ჩვენს სახლებში დავმალულიყვეთ! ჩვენ გვიომნია, ვომობთ და ვიომებთ რუსის მეფისათვის; რუსები და ჩვენ ერთ-მორწმუნენი ვართ, თურქთა სარწმუნოება ქირიფითა გეძულს და არც გვინდა ბატონად ოსმალეთი გეყავდეს; კარგად გვახსოვს სიტკბო-სიმწარე. სანამ სული გვიდგას, შევიძლებთ მხარი მიესცეთ და ოსმალთაგან დავიჯუროთ ჩვენი მთავარი და საქმით დავუმტკიცოთ ქვეყანას, რომ ტყუილადა გვწამებდნენ მუხნანათობას. შენა და მთავარი იმერეთში არ უნდა წახვიდეთ. ჩვენ ყველანი გთხოვთ, ეს არა ჰქნა და რაც მოგივა, ჩვენი ბრალი იყოს.“

აი მოკლე შინაარსი იმ სიტყვებისა, რომლებიც დედოფალს თვისთა ქვეშევრდომთა მოახსენეს.

მაგრამ ყველაზე უფრო რიხიანი სიტყვა უთხრა თავადმა ფარნაოზ გელოვანმა, ლეჩხუმის მცხოვრებმა, წამოსადეგმა და დარბაისელმა მოხუცმა.

„დედოფალო, ნუ თუ დაგავიწყდა ჩვენი მთები?—უთხრა გელოვანმა დედოფალს.—ისე დავმაღაე ამ მთებში შენს შვილს, რომ ვერც ერთი თურქი ვერ მოაგნებს. რასა ჩქარობ? ისე შეშინებულხარ, რომ ყველანი დავგიწყებვივართ. მუხრან-ბატონმა თავი გაგვენება; შენ კიდევ მთავარს გვაშორებ; მაშინ რაღა ექნათ ჩვენ? მუხრან-ბატონის დაჭერა არ შეგვეძლო, მაგრამ მთავარს კი არსად გაეუშვებთ“.

ლაპარაკი რომ გაათავა, გელოვანმა მოატანინა ჯვარი და სახარება და მცირე წლოვან მთავარს და მის დედას შეჰფიცა,



ოლონდ თქვენ დაგიფაროთ და ჩემს სიცოცხლესაც აღუდგინოთ შურებო. გელოვანს სხვებიც მიჰყვენ და ყველამ სათითაო შეჰფიცეს ერთგულება.

დედოფალს არ შეეძლო გულგრილად მოესმინა მათი ნათქვამი; მის საცოდავს ხალხს, საშინელს გაჭირვებაში ჩავარდნილს, მოღალატეს ეძახდნენ, — არც ეს შეეძლო მოეთმინა. მართალია, მუხრანბატონმა მომწერა, მეგრელები ილტვენო, მუხანათურად მოიქცენო, მაგრამ იმავე მეგრელების საუკეთესო წარმომადგენლებმა ახლა არ შემომფიცეს, თქვენ ის შვილისათვის თავს დავდებთო! არა, აქ აღგილი არა აქვს შიშს, მეცა და ჩემი შვილიც უზრუნველყოფილნი ვართ! — გადასწყვიტა დედოფალმა. მუხრანბატონი ერთსა სთხოვდა, ხალხის წარმომადგენელნი — სულ სხვას ეუბნებოდნენ, მაგრამ დედოფალი ერთ წამსაც არ დაყოყმებულა, გადასწყვიტა აქ დარჩენა ზე აქედან ლეჩხუმში წასვლა. სანამ გამოაწყობდნენ ბარგ-ბარხანასა, სამი დღე გავიდა. მუხრან-ბატონი ამ დროს ხონში იყო და დედოფალს ხელახლა შემოუთვალა სამეგრელოდან გამოდიო. ეს წერილი, ცოტა არ იყოს, მკაცრის კილოთი იყო მოწერილი. მაგრამ დედოფალი პირველ გადაწყვეტილებას დაადგა და შეუთვალა, ამ დღეებში ლეჩხუმს მიმყავს ბავშვებიო. ამავე დროს, წერილი მისწერა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელს თავადს ვასილ ბებუთოვს და რჩევა-დარიგება სთხოვა, როგორ მოვიქცეო.

ამ გვარად, დედოფალსა და მუხრან-ბატონს შუა თანხმობითი განწყობილება დაირღვა. მუხრან-ბატონს მეგრელები ამ ტყუენებდნენ, ვითომ ჩვენ მუხანათები დავვიძახაო. მაგრამ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, იმას ასეთი დანაშაული ამ მხრის ხალხისათვის არ დაუწამებია. აი შინაარსი იმ წერილისა, რომელიც თავადმა მთავარმართებელს მიართვა: „თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მეგრელები გულიგულში რუსების მომხრენი არიან და თურქები ეჯავრებათ, მაგრამ ამ მხრის ხალხი ორმოც წელიწადზე მეტია, რაც მშვიდობიანადა სცხოვრობს, და წინანდელი მეომრული თვისება თითქმის დაეკარგა. ახლა

რაკი ამდენი ჯარი შემოესია მტრისა, შიშისაგან თავტანი დაე-
კარგა, და ზოგიერთებს გარდა, არა გვშველიან და მხარში არ
გვიდგანან. ეს ამბავი სრული ჭეშმარიტებაა. ამას ისიც დაუ-
მატეთ, რომ გურულთა რაზმს საჭირო რეზერვი სწორედ იმ
დროს წაართვა გენერალმა მურავიოვმა, როცა ყველაზე მეტად
ეჭირებოდა მუხრან-ბატონს ძალა. მთელი ჯარი მურავიოვმა
ყარსში წაასხა, ასე რომ მუხრან-ბატონისათვის ყოვლად შეუ-
ძლებელი იყო ცოტა ჯარის იმედით სამეგრელოში გამაგრება.
მეგრელებმა არ იცოდნენ, რად მოიქცა ასე მუხრან-ბატონი.
ალბად, შეეშინდა და იმიტომ გაიქცა აქედან, ჩვენ კი ღვთის
ანაბარა დაგვყარაო. ამიტომ, ძალიან გულმოსულები იყვნენ
მუხრან-ბატონზე. ამ საერთო აურზაურის დროს ვერც მუხრან-
ბატონს, ვერც დედოფალს და ვერც მეგრელებს მოსთხოვდა
კაცი სრულს გულის სიმშვიდეს, მიუყერძველადა და შეუმცდა-
რად სჯა-ბაასს და საქმის ვითარებაში ჩაკვირვებას.

გორდიდან არც კი გასულიყო დედოფალი, ზუგდიდის
სასახლის მოურავმა თავადმა ნიკო დგებუაძემ შემდეგი წერი-
ლი მოართვა ომერ-ფაშისა.

ზუგდიდი 30 ოქტომბერს (11 ნოემბერს) 1855 წ.

„თქვენო ბრწყინვალეზავ!

„შემოველ რა იმ ქვეყანაში, რომელსაც თქვენის შვილის სახელით
თქვენი ბრწყინვალეობა ჰმართავს, ჩემს მოვალეობადა ვრაცხ გაუწყობთ გან-
ზრახვანი ჩემის უავგუსტაესის მბრძანებელის სულთანისა და დიდთა სახელ-
მწიფოთა, მისთა მოკავშირეთა.

„აწინდელი ომი, როგორც თქვენმა ბრწყინვალეობამ უწყის, დაწყე-
ბულია იმ სამართლიანის განზრახვით, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ და
ბოლო მოვუღოთ რუსეთის იმპერატორის სურვილს სხვა-და-სხვა ქვეყნების
დაპყრობისას.

„აი სწორედ ამ აზრით გახლავართ აქ; თანა მაყვს იმდენი ჯარი, რომ
მელნიც, შეწვევითა ღვთისათა და იმის წყალობით, რომ საქმე, რომლი-
სათვისაც ვიბრძვი, წმინდაა, სრულიად საკმაო იქნება განვდევნოთ მტერი

ამ ქვეყნიდან, სადაც თქვენი ბრწყინვალეობა მეფობს; მაგრამ, სამეგრელოში თუ არა, მონდობილი მაქვს დავარწმუნო თქვენი ბრწყინვალეობა, რომ ჩემს უავგოსტოესს ხელმწიფეს და მის მოკავშირე დიდ სახელმწიფოებს სრულებით არა სურთ შეეხნენ სამეგრელოს მართვა-გამგეობას ან რამე უფლება მოიპოვონ ამ ქვეყანაში.

„ამათ მხოლოდ ისა სურთ, რომ სამეგრელო და მისი მეზობელი ქვეყნები რუსეთისა და აგრეთვე სხვა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი იყვნენ და რომ თავიანთი საკუთარნი მთავრობანი თავისუფლად ჰმართავდნენ.

„ჩემი ჯარი სამეგრელოში რომ შემოვიდა, დაინახა, რომ აქაურ მკვიდრთა ერთს ნაწილს ხელში იარაღი აუღია, სხვები გაქცეულან და თავი გაუნებებიათ თავის სახლკარისა და ქონებისათვის, რომელიც თანახმად საერთაშორისო კანონებისა, ნადავლად უნდა ჩაითვალოს.

„ძალიან მეწყინა, როცა დავინახე, რომ ჯარს სხვა, სამეზობლო ქვეყნების, მკვიდრნი გაჰყვნენ, და მკვიდრთ რბევა დაუწყეს და აგრძნობინეს, თუ რა საშინელებაა ომიანობა.

„მე მწადია, რამდენადაც კი შეიძლება, ტანჯვა შევუმცირო ამ საწყალ ხალხს, ამიტომ ვიღონისძიე ეს უცხოელი თავთავიანთს ქვეყნებში გამეგზავნა, ხოლო ჩემი ჯარის-კაცები სასტიკად დავსაჯე და ამით დაფუშალე მკვიდრთა რბევა-დაწიოკება. ერთი ნაწილი მკვიდრთა, რაკი გული დააჯერეს, არაფერი დაგვემართებოა, უკვე დაუბრუნდა თავის სახლის კერას. მაგრამ ამ კაცთმოყვარულის საქმის დასასრულებლად, ვთხოვ თქვენს ბრწყინვალეობას დაბრუნდეს თავის სასახლეში, განაგრძოს თავის ქვეყნის მართვა-გამგეობა, და, ამ გვარად, დაამშვიდოს თავისნი ქვეშევრდომნი და ჩააგონოს, თუ რა სწადია ჩემს ხელმწიფეს. აუხსნას ისიცა, თუ რა აზრით არის აქ მოსული ჯარი. სახელდობრ უთხრას ისა, რომ ჯარი აქ რუსებს უნდა ებრძოდოს, და აღადგინოს სრული დამოუკიდებლობა სამეგრელოსი და დაუბრუნოს ძველებური მართვა-გამგეობა.

„სანამ თქვენი ბრწყინვალეობა მობრძანდებოდეს, თქვენს მაგივრად სამეგრელოს მმართველად გამომიცხადებია ბატონი შვილი ნიკო, რომელიც ზუგდიდში გამოგზავნეთ; მაგრამ გთხოვთ, თუ თქვენის შვილისა და თქვენთა ქვეშევრდომთა სიკეთე გსურთ, როგორც კი მოიცალოთ, მობრძანდეთ თქვენს სასახლეში ზუგდიდს, რომ თქვენ თითონ ჩაიბაროთ სამეგრელოს მართვა-გამგეობა.

დავთები თქვენის უბრწყინვალესობის უაღრესი პატივის მცემელი, ოსმალეთის ჯარის მთავარ-სარდალი ომერი“.



ამ გვარად, როცა, ერთის მხრით, მუხრან-ბატონი სწორად და დედოფალს სამეგრელო დასტოვეთო, მეორეს მხრით, ხალხის წარმომადგენელი სულ სხვას ეუბნებოდნენ დედოფალს, და როცა დედოფალი უკანასკნელთა რჩევას დაჰყვა, გამოჩნდა მესამე პირი, და ეს პირი სამეგრელოში იმ წუთას ყველაზე ძლიერი იყო. ომერ-ფაშას ეგონა, რასაც ვთხოვ დედოფალს, ყველაფერში მართალი ვარ, ჩემი თხოვნა კანონიერიაო. მაგრამ იმის თხოვნის ასრულება ყოველად შეუძლებელი იყო.

ყოველსავე შემთხვევაში, დედოფალს კარგად უნდა ეფიქრნა—ამ წერილზე პასუხი უნდა გაეცა, თუ არა. რაკი თითონ ვერაფერი გადასწყვიტა, ეკატერინემ ომერ-ფაშის წერილი ტფილისში თავადს ბებუთოვს გაუგზავნა, ხოლო ამ წერილის პირი ქუთაისში გაუგზავნა თავის ძველს მეგობარს, პოლკოვნიკს ნ. პ. კოლიუბაკინს, გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს. ბებუთოვს დარიგებასა სთხოვდა ეკატერინე, ხოლო კოლიუბაკინს—რჩევას. მეორე დღეს კოლიუბაკინისაგან დედოფალს წერილი მოუვიდა. წერილთან ერთად პოლკოვნიკი უგზავნიდა პასუხის პროექტს და ურჩევდა—ომერ ფაშას გაუგზავნეო. აი, ის პროექტიცა:

„თქვენო აღმატებულესობაე!

„ზრდილობა მავალებს გიპასუხით იმ წერილზე, რომლის გამოგზავნა ჩემთან საჭიროდ დაგინახავთ.

„ვეცდები იმდენად მოკლედ და ნათლად გამოვხატო ჩემი აზრი, რამდენადაც ამას გარემოება მოითხოვს.

„თქვენ, გენერალო, სამეგრელოში იმ განზრახვით მობრძანებულხართ, რომ ეს მხარე რუსეთისაგან განათავისუფლოთ; მე კი, სწორე მოგახსენოთ, სულ სხვა მსურს, და, ჩემის აზრით, ჩემს ქვეყანასაც სულ სხვა სჭირია.

„გარდა ამისა, სამეგრელოს თუ ვინმე მფარველი არა ჰყავს. ისე თავისთავად არსებობა არ შეუძლია. ამის მიზეზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და, უეჭველია, ეს მიზეზები არც თქვენ გამოგეპარებოდათ; რაკი დაპოუჯიდებელი ვიქნებოდი, აუცილებლად საჭირო გახდებოდა ჩემთვის

მფარველობა მეთხოვნა სამ სახელმწიფოთაგანში ერთ-ერთისათვის. ახლა მოგახსენებთ, რისთვის არა მსურს არც ერთის მფარველობა.

„ოსმალეთი ფიქრადაც კი ვერ გაიტარებს სხვა დაიფაროს, ამიტომ რომ თითონ მას სხვა ჰპატრონობს, და უნდა გამოგიტყდეთ, არც სახარბიელო პატრონი ჰყავს.

„ბა რა ანგარიშია, საფრანგეთსა სთხოვოს კაცმა მიპტრონეო, როცა თითონ საფრანგეთი შემთხვევით სახელმწიფოა და, დღეს არა, ხვალ ბოლო მოეღება.

„თქვენ თითონ არ მიჩნევდით, გენერალო, ინგლისისათვის მეთხოვნა მფარველობა, რადგან თქვენ თითონ კარგად მოგეხსენებათ, რომ ყველა ხალხნი, ვისაც კი ინგლისი გამოუჩნდა მზრუნველად: ინდოელნი, ჩინელები, იონიელები—ან მონებად იქცენ, ან დამახინჯდნენ გონებითა, ან გაჩენის დღის მაწყევარნი არიან.

„ბოლოს, არც იმას მოგახსენებთ, რომ სამისავე სახელმწიფოს მფარველობა ერთად მიწოდდეს, რათა საბუთი არ მოგცეთ დაცივისა.

„დასასრულ, გენერალო, გთხოვთ მიიღოთ რწმუნება იმ გრძნობათა, რომელნიც თქვენ შეგფერით“.

მართალია, წერილი მახვილგონიერად, მოკლედ და რიხიანად იყო დაწერილი, მაგრამ დედოფალი მაინც ვერა ჰბედავდა მისს გაგზავნას. ეშინოდა, ვაი თუ გავაბრაზო ომერფაშა, უფროსი მტრის ჯარისაო. ჩემის ქვეყნის ბატონი ამ დროებით მაინც ის არისო; ამ წერილის გაგზავნას სიხუმე არჩია და მეორე დღეს ბავშვები ლეჩხუმში გაგზავნა. თვითონ კი რამდენისამე დღით გორდში დარჩა, რათა საქირო განკარგულებანი მოეხდინა ხაზინისა და ძვირფას ნივთიულობის გაგზავნის შესახებ გორდშივე.

გელოვანი მართალი იყო: ლეჩხუმში ისე შეიძლება თავის დამალვა, რომ არავის შესძლება დახვადამალულისა. ეს მთა-ადგილი მეტად ველურისა და მიუღდგომელის ხასიათისაა. გზების წილ ვიწრო საცალფეხო ბილიკებია ხრამებისა და ღრანტეების თავზე, ყოველს ნაბიჯზე მთის ნაკადულებია. ეს ნაკადულები გზა-გზა ჩახრიალებად იქცევა; ხიდების მაგივრად ჰაერში დაკიდული ვაზის ბონდებია; ბონდების ქვეშ აქაფებუ-

ლი და გაალმასებული მდინარენი მიაგორებენ თვის ტალღებსა, და გამვლელი, ასეთს ალაგას დაკიდულ ბონდზე შემდგარი, სიკვდილ-სიცოცხლეს ებრძვის. გორდიდან ორის საათის სიარულის შემდეგ კუთხის მთიდან ცხენის-წყლის ხეობის დაღმარაი იწყება: აქ მხოლოდ კლდეში გამოქრილი ვიწრო ბილიკია, სადაც მხოლოდ თითო კაცს შეუძლიან გავლა და ისიც დიდის გაჭირვებით. ამ ნაირი ბეწვის-ხიდი, სულ უკანასკნელი, სამასის მხარის მანძილზე იქმნება. მაგრამ მთიელთა ცხენები და, განსაკუთრებით, ჯორები ამ საშინელ დაღმართშიაც სძლებენ თავიანთი მხედარი უწებლად გაიყვანონ; მხოლოდ ეს არის, ცხენი იქმნება, თუ ჯორი, თავის ნებაზე უნდა მიუშვათ, ხოლო თვითონ ლეჩხუმელები, მათთან მისულ მგზავრის გზის წაჩვენებლნი, ყოველს ნაბიჯზე თავიანთის საქონლის მომხმარენი არიან ხოლმე.

მეორე დღეს საღამო ხანზე, მეტად გაჭირვებულის მგზავრობის შემდეგ, დედოფლის შვილები მურში მივიდნენ. აქედან გორდამდე ორმოცი ვერსი კიდევ რჩებოდა და, მაშასადამე, ადვილად მიხედება კაცი, თუ რა ნელა მიდიოდა ქარავანი. მური სწორედ იმ ვიწრო ხეობაშია, რომელშიაც ცხენის-წყალი სვანეთიდან გამოდის. მთის კალთაზე ხის სახლია გაშენებული, სადაც მთავარი თავისის ოჯახობით მხოლოდ ზაფხულის თვეებში სცხოვრობს. სახლს წინ კარგა მოზრდილი მინდორი უძევს. ამ მინდვრის თავზე, მაღალ კლდეზე, ძველებური კოშკი დგას, რომელშიაც ოთხი-ხუთი ზარბაზანი და საკმაო რიცხვი ზამბულაკებისა აწყვია. საკვირველი ის არის, რომ სხვა ზარბაზნებ შორის აქ ერთი ყველაზე დიდი ზარბაზანია შვედური; საქმე ის არის, აქ საიდან გაჩნდა ეს ზარბაზანი? ცხენის-წყალზე ქვითკირის მკვიდრი ხილია, რადგან ამ ადგილას ეს მდინარე განიერი არ არის. მდინარის მეორე მხარეს, მეოთხედ ვერსის მანძილზე, მონასტერია ცაგერისა. ეს მონასტერი ღარიბულია, ერთი ქვითკირის ეკლესია სდგას და ეკლესიასთან ორი-სამი სახლია აგებული ხისა, სადაც წინამძღვარი და სამი ბერი სცხოვრობენ.



აი, ლეჩხუმის ამ კუთხეში გაიხიზნენ დედოფალი და მისი შვილები. ბავშვები ცაგერის მონასტერში წაიყვანეს და წინამძღვრის სადგომის ორს ოთახში დააბინავეს, რადგან ეს ოთახები უფრო მოწყობილი იყო საზამთრო საცხოვრებლად, თუმცა სარკმელებში შუშის მაგივრად ქალღიღინი იყო გაკრული, ხოლო დედოფლისათვის მურის ფიცრულს სახლს ამზადებდნენ. მართალია, მური მეტად მიყრუებულ ადგილას იყო, აქ მცხოვრებს ბევრი რამ ნაკლებულემა უნდა გამოეცადნა, მაგრამ დარი საუცხოვო იდგა და ეს გარემოება ადამიანს ყველაფერს ავიწყებინებდა. გარდა ამისა, სანუგეშო ისიც იყო, რომ მურიდან რაჭაზე, თუმცა დიდის გაჭირებით, მინც შეიძლებოდა ქუთაისში ჩასელა, ხოლო რამდენისამე საათის სავალზე ებრაელების დაბა ლაილაში იყო, საიდანაც ზოგი რამ საქირო საქონლისა სურსათის მოტანა შეიძლებოდა.

ერთის კვირის უკან მურში თვით დედოფალიც მობრძანდა. წინა დღეების ფაცა-ფუცისაგან დაღლილს იმედი ჰქონდა, რომ ამ შორეულ კუთხეში მინც არავინ შემაწყუბებო, მაგრამ სცდებოდა, — დედოფალი არ ავიწყდებოდა ოსმალების მთავარ-სარდალს, და სამმა დღემ რომ გაიარა აქ დაბინავების შემდეგ, ომერ-ფაშისაგან შემდეგი წერილი მიიღო:

„მთავარი ბანაკი, 9 (21) ნოემბერს 1855 წ.

თქვენო ბრწყინვალეობა!

„მე პატივი მქონდა მეახლებინა თქვენის ბრწყინვალესობისათვის წერილი, 30 ოქტომბრის (11 ნოემბრის) თარიღით დაწერილი, რათა მეუწყებინა თქვენთვის განძრახვანი ჩემის უავგუსტოესის ხელმწიფისა სულთანისა და მის მოკავშირე დიდთა სახელმწიფოთა, რომელთაც ჩემის წინამძღვრობით ჯარი გამოგზავნეს სამეგრელოს პროვინციაში.

„იმ წერილში მე ვარწმუნებდი თქვენს ბრწყინვალესობას, რომ ჩემს ხელმწიფეს და მისთა დიდთა მოკავშირეთა არავითარი პატივმოყვარული აზრი არა აქვთ, მხოლოდ სურთ სამეგრელო და მისი სამეზობლო პროვინციები რუსეთისა და აგრეთვე სხვა სახელმწიფოსაგან სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ და თავიანთი საკუთარი მართვა-გამგეობა ჰქონდეთ-მეთქი.

„ესარგებლობ ამ შემთხვევით, რომ ისევ გაგიმეორათ ჩემი ნათქვამი და იმავე დროს ხელახლა მოგიწვიოთ თქვენი ბრწყინვალეობა თქვენის მემკვიდრე შვილითურთ ზუგდიდში, რათა აქ განაგრძოთ მართვა-გამგეობა თქვენის ქვეყნისა თქვენის შვილის სახელით.

„რაკი ჩემს, 30 ოკტომბერს მოწერილ წერილზე პასუხი არავითარი მაქვს თქვენის ბრწყინვალეობისაგან, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვაუწყო თქვენს ბრწყინვალეობას, თუ რა შედეგი მოჰყვება თქვენს დაგვიანებას და დაუბრუნებლობას თქვენის სამთავროს დედა-ქალაქში.

„სამეგრელოს მკვიდრნი თანდათან მშვიდდებიან, მაგრამ აკლიათ მოთავე, რომელმაც ამ დროს, როცა მთელი მხარე ჩემს ჯარს აქვს დაპყრობილი, ჰმართოს იგი და თავის რჩევა-დარიგებით უწინამძღვროს იმ ამბების დროს, რომელნიც მის გარშემო ხდება.

„თუ თქვენი ბრწყინვალეობა არ დაბრუნდება და ისევ არ ჩაიბარებთ იმ ადგილს. რომელიც თქვენ გეპირათ როგორც სამეგრელოს მმართველს თქვენის შვილის სახელით, თქვენის აქ არ ყოფნით უფრო გაუმწვევებთ ყოფნას თქვენთა ქვეშევრდომთა; ამით თქვენ დაივიწყებთ თქვენის შვილის ინტერესებს და საუკუნოდ დაჰკარგავთ თქვენა და თქვენი შვილი რაიმე უფლება გქონდეთ სამეგრელოს შესახებ, მაშინ ჩემი უავგუსტოესი ხელმწიფე სულთანი, და მისნი მოკავშირენი იძულებულნი გახდებიან, რაიცა მათ სრულიად არა სურთ, სამეგრელოში დააწესონ მკვიდრი და თან არავისაგან დამოუკიდებელი მთავრობა, რომელსაც ამ მხარის და ხალხის ინტერესები უფრო აწუხებდეს იქნება.

„მიიღეთ რწმუნება ჩემის უმაღლესის პატივისცემისა. მთავრსარდალი ოსმალეთის სახელმწიფო მხედრობისა ომერი“.

მეორე წერილის მუქარის კილომ მეტად შეაშინა დედოფალი, მით უფრო, რომ თავად ბებუთოვისაგან ჯერ კიდევ არა ჰქონდა მიღებული წერილი და დარიგება, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. ეს წერილიც მაშინათვე თავადს ბებუთოვს გაუგზავნა დედოფალმა. ამასობაში, ქვემო-სამეგრელოდან მეტად სამწუხარო ამბები მოდიოდა.

სამეგრელოს მოსაზღვრე სამურზაყანო ოსმალების საფაშალიყოლ გადაიქცა და ფაშად დანიშნულ იქმნა რუსეთის მხედრობის გენერალ-ლეიტენანტი კაცი მარღანია, რომელიც ოსმალების მხარეს გადავიდა. კაცი მარღანიას დიდი სახელი



და გავლენა ჰქონდა აფხაზეთში, წებელში და საერთოდ შთი-
ლებს შორის, ამან სამურზაყანოელებს თავი მოუყარა ინ-
გურის ნაპირას, სოფ. კუბურხინჯში, და გამოუცხადა, ამიე-
რიდან ოსმალეთის ქვეშევრდომებად ირიცხებით და ვალდე-
ბულნი ხართ თვითეულმა სოფელმა თითო ძროხა იხადოთ
და ოსმალების ბანაკში მოიყვანოთ ჯარისათვისო. როგორც
სხვა თავადები სამურზაყანოსი, კაცი მარლანია აფხაზეთის
მთავრის გავლენის ქვეშ იყო. ხლო მთავარმა მეგობრული
განწყობილება დაიჭირა ომერ-ფაშასთან, ეს უკანასკნელი სო-
ხუმში მოვიდა თუ არა. აფხაზეთის მთავრის მიხეილ (ჰამუთ-
ბეი) შარვაშიძის მომხრენი გულმოდგინედ ცდილობდნენ სა-
მეგრელოს მკვიდრნი ოსმალეთის მხარეზე გადაეყვანათ. ამასო-
ბაში, ომერ-ფაშის ჯარი ზუგდიდიდან ონტოფოში მივიდა და
ხალხი მეტად შეაწუხა ამ მისმა გაელამ. ჯარს უკან კუდად
მისდევდნენ აფხაზები, წებელდელნი, უბიხები და ყველა ვინ-
გინდა-რა, რომელნიც სოფლებს მოედნენ, დაუწყეს რბევა-
წიოკება მკვიდრთ, ქალები ზე ყმაწვილები ტყვედ მიჰყავდათ;
ამისთანა უბედურება სამეგრელოს ას-ორმოც-და-ათის წლის
წინადა დაატყდა თავზე. მართალია, ომერ-ფაშა, რაც შეეძლო,
ცდილობდა ხალხისათვის ეს უბედურება თავიდან აეცილებინა:
ვისაც რბევაზე მიუსწრებდნენ, უცბად ასამართლებდნენ და
ტყვიით ხვრეტდნენ, ან ტომარაში ჩააგდებდნენ და წყალში
ახრჩობდნენ; მაგრამ ალაგობრივ უფროსი და ხალხის პატრონი
არავინ იყო და ომერ-ფაშასაც არ შეეძლო ყველასათვის თვალ-
ყური ედევნებინა და ამიტომ მთელმა სოფლებმა სახლ-კარს
თავი დაანებეს, ტყესა და მთებში გაიხიზნენ და რაც მოხვდე-
ბოდათ, იმით იკვებებოდნენ.

რბევა-წიოკობის დროს, სხვათა შორის, მოასწორეს ორს
ძმა-აფხაზს თავად გიტა და მაჟარა შარვაშიძეს და ომერ-ფაშას
მიჰკვარეს. მათმა დედამ, კნენიანა კესარიამ, ეს ამბავი გაიგო თუ
არა, მიუხედავად მოხუცებულობისა, ლეჩხუმის ჯოჯოხეთურ
გზებით დედოფალთან მივიდა მურში, ჩაუვარდა ფეხებში და
სთხოვა, ომერ-ფაშას შეაბრალებ ჩემი შვილებიო. დედოფალმა რის



ტანჯვით დააჯერა კესარია, მე ამ შემთხვევაში არაფერი შემძლიაო. და რომ როგორმე ენუგეშებინათ, ომერ-ფაშასთან ფრანგულად თხოვნა დაუწერეს და ურჩიეს თქვენ თითონ წაბრძანდით და პირადად სთხოვეთ ომერ-ფაშას შვილების შებრალებაო. ომერ-ფაშამ კნენია კესარია დიდის პატივით მიიღო, ძვირფასი შალი აჩუქა, შვილებიც ჩააბარა და პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, სანამ ომი არ გათავდებდა, თქვენ არ უნდა მოიშორათ თქვენი შვილებიო.

ომერ-ფაშა ასეთის ქცევით და, საზოგადოდ, თავად-აზნაურობის მოფერებით ცდილობდა მცხოვრებთა გული მოეგო, ბევრს მათგანს რჩევა-დარიგებასა სთხოვდა, მაგრამ მასთან, რა თქმა უნდა, აფხაზეთის მთავრის მომხრეთა გარდა, ვინც მოდიოდა, ყველანი თავისს პირადს ინტერესს ეძიებდნენ და ცდილობდნენ ომერ-ფაშა თავის გემოზე ეტარებინათ. ერთი ამ გვართავანი იყო თავადი გიორგი ჩიჩუა, რომელსაც თავისის წარსულის ცხოვრებით სახელი გატეხილი ჰქონდა. თავადი ჩიჩუა ტფილისში ვეჭილად იყო სამეგრელოს მთავრისა, აქ მეგრელების გუნდი შეადგინა და მთელი ქალაქი ქურდობით აიკლო; მაგრამ პოლიციამ გაუგო, ქურდები დაიჭირა, და თითონ კი იძულებული შეიქნა აქედან გაქცეულიყო; როცა ომერ-ფაშა სოხუმში ამოვიდა, ჩიჩუა მივიდა პირდაპირ, რაღაც მიკიბ-მოკიბა და თავისი თავი წამებულ კაცად დასახა. ომერ-ფაშას მისი ნათქვამი მართალი ეჩვენა და გ. ჩიჩუა, რომელიც წარმოსადგევი ვაჟკაცი იყო, ძალიან მოწყალებდ მიიღო, მეჯიდიეს ორდენი და ბეის ტიტული უბოძა.

ზუგდიდიდან აყრის დროს გ. ჩიჩუამ პირადის მტელობით ომერ-ფაშას ორი რუსის მზვერავი იუნკერი მესხიშვილი და მილიციის პორუჩიკი ზარანოვი დააჭერინა და დაახვრეტინა. მაგრამ თავადს ჩიჩუას დიდხანს არ უღიმოდა ბედი. ომერ-ფაშასთან გრაფჟანტი დე-როზმურდუკის მისვლა და გ. ჩიჩუას გაგდება ერთი იყო. ეს ფრანგი სამეგრელოში სცხოვრობდა და აბრეშუმის სახვევი ქარხანა ჰქონდა ზუგდიდში. ომმა ხელი შეუშალა, თავი-



სი ქარხანა დაჰკეტა და ხუთას თუმნამდე ზარალი მოუვიდა. ომის დაწყებამდე, როგორც სხვა უცხო-ქვეყნელებს, გრაფ როზმურდუქსაც წინადადება მისცეს: ან ომის გათავებამდე სამშობლოში დაბრუნდით, ან, თუ გნებავთ, სამეგრელოში დარჩით რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშე, მაგრამ ომში მონაწილეობა არ მიიღოთო. როზმურდუქი სამეგრელოში დარჩა, ხელწერილი ჩამოართვეს, მაგრამ ომერ-ფაშა შემოვიდა თუ არა, მის ბანაკისაკენ გასწია. რა ოქმა უნდა, ასეთის კაცის ნახვა ომერ-ფაშას ძალიან გაეხარდა, ამიტომ რომ როზმურდუქი მშენივრად იცნობდა ამ მხარეს და მისთა მკვიდრთა, მთავრის ოჯახობიდან მოყოლებული, და მეგრულადაც ლიპარაკობდა. და აი სწორედ როზმურდუქმა აუხილა თვალები ომერ ფაშას თავად გიორგი ჩიჩუას შესახებ. ჩიჩუაც, რასაკვირველია, მაშინათვე დათხოვნილ იქმნა. ტიტულებითა და ორდენებით რამდენიმე თავადიშვილი იყო დაჯილდოვებული, ამათს შორის ყველაზე უფრო ომერ-ფაშა გიორგი ჯაიანს ეფერებოდა, რადგან მისის ქალის შერთვა უნდოდა ცოლად, მაგრამ ამავე დროს ხასა გაიჩინა, რომელიც 3,000 მანეთად იყიდა; ეს ქალი მთელის ლაშქრობის დროს თან დაჰყავდა და შემდეგ ქობულეთის მუდირს მიათხოვა და კარგი მზითვევიც მისცა.

ომერ-ფაშისა და თურქების მოქმედების ამბავი დაწერილებით მოსდიოდა დედოფალს, ამასთან ერთად ყოველ-დღე ახალ-ახალ ქორები ესმოდა. მეტად უხერხული ფერი ედებოდა მისს მდგომარეობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეტად არასასიამოვნო ხმა მოვიდა. აი მითქმა-მოთქმის შინაარსი: „ნეტავ ვიცოდეთ, ომერ-ფაშას თხოვნას რატომ არ ასრულებს დედოფალი და რატომ არ მიდის მასთან; ლეჩხუმში რა დარჩენია? რუსის ჯარი სამეგრელოდან გავიდა და ჩვენის დაცვისათვის არც კი ჰფიქრობს; მაშასადამე, ჩვენსა და რუსებს შორის დადებული პირობა თვითონ რუსებმაც დაარღვიეს. ომერ-ფაშას იმდენი ჰყავს ჯარი, რომ რუსეთი ვერაფერს გაუბედავს და სამეგრელოს თავის დღეში ვერ დაიბრუნებს; სარდალი

გვეუბნება, ახლა უკეთესად იქმნებით, ვიდრე რუსების ხელში იყავითო; ბატონი არავინ გეყოლებათ და ფრანგები და ინგლისელები დაგიფარავენ მტრისაგანაო. აქ ევროპის ვაჭრები დაიწყებენ სიარულს, აქაურს საქონელს გაგვისაღებენ და ბევრს ფულს შემოიტანენ ჩვენს მხარეში. დედოფალს კი რაღაც იმედი აქვს რუსებისა; აბა ახლა რაღა შეუძლიათ რუსებსა; ყარსიც კი ვერ აუღლიათ, რამდენიმე ათასი კაცი შეაკლეს ამ ციხესა. დროა, გონს ჩავარდეს და ზუგდიდში წავიდეს. ჩვენთვისაც უკეთესი იქნებოდა და იმისთვისაც“.

სულ სხვას ამბობდნენ ქუთაისსა და რუსის ბანაკში, და ეს ხმებიც მოდიოდა მურში, საცა დედოფალი იმყოფებოდა. აქ ყველანი დაბეჯითებით ამბობდნენ, დედოფალმა პირდაპირ გამართა მიწერ-მოწერა ომერ-ფაშასთან და მოლაპარაკება აქეთ სამეგრელო რუსეთს ჩამოაცალონო. ამბობდნენ, დედოფლის მდივანბეგი და დაახლოვებულნი მისის სახელით ხალხს ურჩევდნენ ოსმალების მორჩილებასაო; დედოფალი სრულებით დამოუკიდებლად იქცევა, თითქო სამეგრელოში არც კი იყო მტრის ჯარი, რომელიც ყველაფერში ხელს უშარბავსო.

და ყოველსავე ამას სწორედ მაშინ ლაპარაკობდნენ, როცა ომერ-ფაშა ამაოდ ცდილობდა თავისის მუქარით დაეშინებინა დედოფალი და სთხოვდა სამეგრელოში საშინაო წესი და მმართველობა აღმადგენინეო. ვინც უნდა კერძო კაცი მისულიყო სარდალთან, მაშინათვე იტყოდნენ, დედოფლის მიგზავნილია და ჩუმ-ჩუმად რაღასაც ახერხებსო. ამ დროს სამეგრელოში სცხოვრობდა მეორე ცოლი აფხაზეთის მთავრის, თავადის მიხეილ შარვაშიძისა, კნენია მენიკი დადიანის ასული. როგორც კი გაიგო, ომერ-ფაშამ სამეგრელო დაიჭირაო, თავისი ხელით აბრეშუმის ძაფით მოქარგული ბალიში გაუფხავნა საჩუქრად. განზრახვა მარტო ის იყო, რომ ოსმალების სარდალს გაეგო, აი რა დიდი ვინმე გვამი სცხოვრობს სამეგრელოშიო. ამ საქციელსაც კული გამოაბეს და ამბობდნენ, დედოფალმა, როგორც ნათესავმა, ურჩია მენიკს საჩუქრის გაგზავნაო; მაგ-



რამ, ამავე დროს, ავიწყდებოდათ, რომ მურიდან სკურდულაძე, სადაც კნენა შარვაშიძე სცხოვრობდა, თითქმის ასის ვერსის მანძილი იყო და ფიზიკურად შეუძლებელი იყო ერთმანეთი ენახათ ამ დროს დედოფალსა და მენიქს. ყველა ისე აყაყანდა, დედოფალმა რუსეთს უღალატაო, რომ ამ ამბის ავტორმა, რუსის მოხელემ, დედოფალთან მყოფმა, ქუთაისიდან შემდეგი ბართი მიიღო, ფანქარით გერმანულად დაწერილი:

„გერმანულად გწერთ, ამიტომ რომ ვერავინ გაიგებს, რასაც გეტყვით: ყველაფერს თავი დაანებეთ და აქეთ წამოდით. თქვენ არ უნდა დარჩეთ იქ. ამის მეტს არაფერს გეტყვით.“

დედოფალი სულით და გულით რუსის მომხრე იყო და ამ უგვან ცილისწამებას ზიზღით უყურებდა. ძალიან იმაგრებდა გულს და ხანდისხან მაინც წამოადგებოდა თვალებზე სიბრაზის ცრემლები. მაინც თავს ძალას ატანდა, ისმენდა, ითმენდა და თავს ისე აჩვენებდა ყველას, თითქო არაფერი ესმის და ვერაფერს ამჩნევსო. მის ერთადერთს ნუგეშს—შვილები შეადგენდნენ, რომლებიც, საბედნიეროდ, სიმრთელით კარგად იყვნენ და დარდი მათს ჩვილს გულს არ ეკარებოდა.

ოც გიორგობისთვისათვის, იმდენის ხნის მოუთმენლად ლოდინის შემდეგ, როგორც იყო, მოვიდა თავადის ვასილ ბებუთოვის პასუხი. ამ პასუხს იმიტომ დაუგვიანდა, რომ ბებუთოვს არ უნდოდა თვითონ გარეულიყო დედოფლის საქმეთა გადაწყვეტაში და დედოფლის წერილები ყარსში გაუგზავნა ნიკ. მურავიოვს. ამბობენ, რომ როცა მურავიოვმა ომერ-ფაშის პირველი წერილი წაიკითხა და იქიდან გაიგო, რომ მთავრის შვილი ნიკო ზუგდიდშია და ომერ-ფაშა „*gérant à la place de la princesse*“-ს (დედოფლის მაგიერად თავის ქვეყნის მმართველი) ეძახისო, თავზე ხელი იტაცა და წამოიძახა: „ღმერთო ჩემო, რა უქნია ამ ადამიანს? თავისი შვილი ომერ-ფაშასთან გაუგზავნია!“ მურავიოვს ეგონა, რომ ნიკო, რომელსაც ომერ-ფაშა იხსენიებს თავის წერილში, მცირეწლოვანი მთავარია სამეგრელოსიო. ამ ამბავმა

ძალიან აღაშფოთა და სანამდე ბებუთოვისაგან ხელახლა არ მიიღო წერილი და ყველაფერი ნამდვილად არ გაიგო, არ დამ-
შვიდებულა.

ასე იყო, თუ ისე, ბებუთოვმაც იგივე მოსწერა, რაც მუხ-
რან-ბატონმა,— შეილები წამოიყვანეთ სამეგრელოდან და ტფი-
ლისში წამობრძანდითო.

ამის ასრულება ახლა უფრო უძძიმდა დედოფალს. ახლა
მარტო იმერეთით შეეძლო დედოფალს გადასვლა, რადგან თურ-
ქები აქეთკენ ჯერ არ იყვნენ, მაგრამ ჯერ ერთი, გზა მთებზე
გადადიოდა, მეორეც ისა, რომ მთები თოვლით დაიფარა და
უბავშვებოდაც სჭირდა გადასვლა. თავადები უარზე იდგნენ, მცი-
რე წლოვან მთავარს აქედან არ გაუშვებთო: „ჩვენ სრულე-
ბით არ გვინდა ომერ-ფაშის დაყენებული მთავარი“. ხოლო
ომერ-ფაშა გაიკებდა თუ არა, დედოფალი თავის შეილებითურთ
აქედან წავიდაო, მაშინათვე სხვას აღიარებდა სამეგრელოს
მთავრად. ბებუთოვისათვის აღვილი იყო რჩევა მიეცა დედო-
ფალისათვის, მაგრამ, ვიმეორებთ, ამ რჩევის ასრულება იყო
ძნელი.

თუ არა და, მთავარმართებლის სურვილის აუსრულებლო-
ბაც არ შეიძლებოდა. ეს ურჩობა იქნებოდა დედოფლის მხრივ
და იძულებული გახდებოდა პასუხი ეგო. ამ ორჭოფ მდგომარე-
ობაში დიდხანს დარჩენაც არ შეიძლებოდა, მაგრამ საქმე
ის იყო—რომელ გზას დასდგომოდა, რომელი ერჩია? სხვა სხვის
ომში ბრძენიაო, უთქვამს ხალხს. მეტად აღელვებული იყო
დედოფალი, ღონეს, ის-ის იყო, უნდა ემტყუნა... მაგრამ ერთ-
ბაშად ისეთი ამბავი მოვიდა, რომ დედოფალი სამშვიდობოს
გზას დაადგა...

როგორც ახლა მახსოვს, 22 გიორგობისთვეს, მე და ბავ-
შვები ცაგერის მონასტრის წინ ვისხედით და რალსაც ვუამ-
ბობდი. ერთბაშად მურიდან სირბილით მომავალი კაცი დავი-
ნახეთ. პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა და მითხრა: „დედოფალ-
თან წამობრძანდით, რაც შეიძლება, მალე მობრძანდითო.“



მე საჩქაროდ წავედი და სახლის ზღურბლზე ბრწყინებული დედოფალი მომეგება. ხელში გახსნილი წერილი ეჭირა, მაშინათვე გადმომცა და მითხრა; „წაიკითხეთ და გაიხარეთ! ყარსი მთელის თვისის გარნიზონით დაგვენბდა!“ ამ ამბავს ჩვეულებრივის რიხითა და ლაკონიურად იწერებოდა პოლკოვნიკი ნ. პ. კოლიუბაკინი.

ორისავ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ყარსი რაკი აიღო რუსის ჯარმა, ომერ-ფაშას და მის გალაშქრებას, ჩვენის აზრით, ფრთები უნდა შეჰკვეცოდა. ახლა მურავიოვს ხელები განთავისუფლებული ჰქონდა, შეეძლო ომერ-ფაშას ჯარი შეემუსრნა და, თუ საჭირო შეიქმნებოდა, თავისს ჯარს გაათკეცებდა.

დედოფალს ვთხოვე ეს სასიხარულო დღე ვიდღესასწაულოთ და მურის ციხიდან ზარბაზნები დავსცალოთ-მეთქი. მაშინათვე ბრძანება გასცა დედოფალმა—ზარბაზნები დასცალეთო. შეედურმა ზარბაზანმა იქეჟა და ამ ქეჟის ხმამ ყველას შეატყობინა—რალაც სასიხარულო ამბავი მოხდაო.

კოლიუბაკინის წერილის მომტანს მახარობელს უნაგრიანი ცხენი და ასი ოქრო ვაჩუქეთ და საუცხოვოდაც გავუმასპინძლოთ.

ბოლოს, დედოფალი მომიბრუნდა და მითხრა: „ჩემი შვილები თქვენთვის ჩამიბარებია, მე კი ხვალვე ჩვენს ჯართან წავალ და იმათთან დავრჩები“.

მეორე დღეს, მართლაც, დედოფალი მურიდან წავიდა. მე ო ბავშვები აქერთ თვენახევარზე მეტი დავრჩით. საშინელი თოვლი მოვიდა; სამი დღე-ღამე მოდიოდა და გზები ყველგან შეჰკრა. თოვლი იმდენი დასდო, რომ როცა გადაიღო, მსახურნი სანადიროდ წავიდნენ. თოვლს მოულოდნელად მოესწრო ნადირისათვის, ასე რომ მათი დაქერა ადვილი იყო. ცოცხლად მოგვიყვანეს რვა შველი და ერთიც მელა. ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით არამც თუ ომერ ფაშას, არამე მთელს ქვეყანას.

გორდზე გავლის დროს დედოფალმა გაიგო, რომ სასახლე ზუგდიდში ოსმალების ყაზარმად უქცევიათ და შიგ ბატონობდა

ისკანდერ-ფაშა, პოლონელთა მოლაღატე, გრაფი ილინსკი, რომელსაც თავის მოვალეობად დაუსახავს დედოფლისათვის შემდეგი წერილი მიეწერა:

ბანაკი ზუგდიდთან, 22 ნოემბერს (3 დეკემბერს) 1855 წ.

„ზუგდიდში იმდენი ჯარი მოვიყვანე, რომ სამყოფია დავიცვა სი-
ცოცხლე და ქონება აქაურთა მკვიდრთა და აგრეთვე უცხოელთა, რომელ-
ნიც აქ დასახლებას მოისურვებენ. პატივი მაქვს მოვახსენო თქვენს ბრწყინ-
ვალებას, რომ მე იძულებული გავხდი ჯარი თქვენს სასახლეში დამებინა-
ვებინა. რაიცა შეეხება იმ ნივთებს, რომელნიც აქ თქვენს ბრწყინვალებას
დაუტოვებია, ყოველივე ზომა ვიხმარე, არაფერი დაიკარგოს.

„თავადი ნიკო დგებუაძე, თქვენის უბრწყინვალესობის წარმომადგე-
ნელი, და პეტრე მხეიძე იმის მოწამენი არიან, ჩემი აზრი ის გახლავთ,
რომ სამართლიანად მოვეპყრა ამ ქვეყნის მკვიდრთა. სანამ მეგრელები
თოფს არ გვესვრიან, მათ სიცოცხლესა და ავლა-დიდებას ხელს არავინ
ახლებს. მაგრამ, ღმერთმა კი ნუ ჰქნას, და თუ რომელსამე მარტოდ დარ-
ჩენილ ან გზა დაკარგულ ჯარის-კაცის გაძარცვა ან მოკვლა განმეორდა,
იძულებული ვიქნები ყოვლადის უღმობელოებით შური ვიძიო.

„თქვენს ბრწყინვალებასა ვსთხოვ გამოუტხადოს სამეგრელოს მკვიდრთ
დარჩენნ სოფლებში და თავიანთ საქმეებს მოჰკიდონ ხელი, თან ვსარგებ-
ლობ ამ შემთხვევით და თქვენს ბრწყინვალესობას ვუტყვადებ ჩემს ღრმა
პატივისცემას.

დავშთები თქვენის ბრწყინვალეების უმორჩილესი მონა მეჭ-
მედ-ისკანდერ-იბრაჰილ, ოსმალთ მხედართ-მთავარი“.

წერილის კილოზე ეტყობოდა, რომ ჰან ილინსკი მკაც-
რის ხასიათის კაცი იყო და ბევრის ბოდის თაფი არა ჰქონ-
და; მართლაც, სამეგრელოში ყველას ასეთ კაცად ახსოვთ. ყო-
ველ ღამე გაღვილი იყო, რადგან მთავრის მარანი ხელთა
ჰქონდა, და ამ დროს უწყალოდა სჯიდა როგორც თავის ხელ-
ქვეითებს, ისე ადგილობრივ მკვიდრთა.

თავად მხეიძეს, ზუგდიდის მდივანბეგს, ილინსკიმ დასწამა,
რუსების ჯაშუში ხარო, ამიტომ იხმობდა ხოლმე თავისთან,



სტანჯაედა, იქნება, ვათქმევინო რამეო, ხანდისხან აპატონოვ-
და კიდევ, შერე გამოუშვებდა და იმასთან ერთად ლოთობდა.
ზუგდიდში, გრიგოლ დადიანის სახლში, ისკანდერ-ფაშამ ოსმა-
ლების გოსპიტალიც გამართა.

თ. ს.

(დასასრული იქნება)

—•••••—

სალიტერატურო უანიუზნაჲი

(„კვალის“ პუბლიცისტები და ჩვენი საზოგადო საქმეები)

გვინდოდა ბ-ნ გ. წერეთლისათვის თავი დაგვენებებინა და ბ-ნ ჟორდანაის ნაწერების განხილვას შევდგომოდით, მაგრამ საჭიროდ დავინახეთ კიდევ იმ მცხოვან პუბლიცისტს მივუბრუნდეთ.

ჩვენ ვეცადენით დაგვემტკიცებინა, რომ ქუთაისის ბანკი, თუმცა ფეოდალებისა იყო, განსაკუთრებულს მწეობასა და მფარველობას ქალაქის მემამულეთა—ვაჭარ-მრეწველთა უწევდა და რომ საკუთრივ ამ გარემოებამ ბანკს დიდი ზარალი მიაყენა. 1886 წლის ბანკის გამგეობამაც თვალ-ყური ათხოვა ამ ამბავს და აი ამის შესახებ კრებას რა მოახსენა:

„დღეის იქით გამგეობა ბანკისა სახელმძღვანელოდ იმ მოსაზრებას მიიღებს, რომ მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკი სადგილ-მამულო ბანკია და არა საქალაქო საკრედიტო დაწესებულობა; ამიტომაც სესხის გაცემის დროს მეტი ყურადღება სოფლის მამულებს უნდა ეთხოვოს, რადგანაც, როგორც გამოცდილებიდანა სჩანს, ყოვლად შეუძლებელია სოფლის მამულმა იმოდენი ზარალი მიაყენოს ბანკს, რამდენსაც ქალაქის მამული მიაყენებს ხოლმეო.“*) ხოლო იმის იმედი,

*) Вып. изъ отч. ревизора. гл. 46: „Правленіе банка на будущее время главнымъ образомъ будетъ руководствоваться тѣмъ соображеніемъ, что Мих. Дв. Земельный Банкъ есть дѣйствительно земельный, а не городское кредитное учрежденіе и что по этому преимущественное вниманіе при выдачѣ ссудъ будетъ обращено на сельскія имѣнія, а это тѣмъ болѣе рационально, что по опыту дознано, что сельскія имѣнія никогда не могутъ причинить банку такихъ убытковъ, какіе онъ можетъ понести отъ городскихъ имуществъ“.



რომ სოფლის მამული ბანკს ზარალს არ მიაყენებსო, ამის ბ-ნი რევიზორი, გამგეობას არ გაუმართლდაო. მართლაც, 1889 წლიდან მოკიდებული ბანკს დიდი ზარალი სოფლის მამულებისაგან ეძლევა. ამ წლიდან ვიდრე 1894 წლის დამლევამდე სოფლის მამული ბანკს დარჩა 51—სულ 276.389 მან. და 65 კაპ., ხოლო ქალაქის მამული 18—სულ 50.617 მანეთისა და 79 კაპ. ამ მდგომარეობაში იყო საქმე 1895 წლის პირველ იანვრამდე. ამის შემდეგაც თუ მატულობდა ბანკზე დარჩენილ სოფლის მამულების რაოდენობა, თორემ კლებით კი არ უნდა დაეკლო. ამას მომავალი კრება გამოარკვევს და ჩვენ კი დღეს-დღეისობით ამისა პირდაპირი საბუთები ხელთ არა გვაქვს. ერთის სიტყვით, სანამ ბ-ნი ჩიკვაიძე და მისნი მფარველნი გაბატონდნენ ბანკში, ესე იგი 13 წლის განმავლობაში, ბანკს რაც ზარალი თავზე დასტეხია, განსაკუთრებით ქალაქის მამულებისაგან შენამთხვევია. ამ 13 წლის განმავლობაში მთელი შემოსავალი ბანკისა ყოფილა—1,036.083 მან., ხოლო ზარალი—207.357 მან., რაიცა შეადგენს წლიურად თითქმის 16 ათას მანეთს. მას შემდეგ კი, ბ-ნმა ჩიკვაიძემ რომ ჩაიბარა ბანკი, ესე იგი, 9 წლის განმავლობაში ბანკის მთელი შემოსავალი ყოფილა—964.262 მან., ხოლო ზარალი კი—207,771 მანეთისა მისცემია—იმაზე მეტი, რაც პირველის 13-ს წლის განმავლობაში მოსვლია. წლიურად ეგ 207,771 მანეთი შეადგენს 23 ათას მანეთზე მეტსა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბ-ნ ჩიკვაიძის ბატონობასა და პატრონობაში ბანკი წინანდელზე 7 ათას მანეთზე მეტსა ჰკარგავს წლიურად: სად 16 ათ-სი მანეთი და სად 23 ათასი! ეგ ზარალი, რასაკვირველია, თავზე ატყდება ჯერ ბანკს და მერმე თავდაზნაურობის მოზარდის თაობის აღზრდა-განათლების საქმეს.

ყოველივე ესე ბ-ნ გ. წერეთელს რომ სცოდნოდა, რასაკვირველია, არ იტყოდა, რომ ფეოდალებისაგან დაჩაგრულთა ექპარ-მრეწველთა თავანთი კლასის დროშა და სხვა-და-სხვა საჭიროების დაცვა და გაძღოლა ბ. ჩიკვაიძეს ჩააბარესო; ხოლო გასაძრომს შინც იშოვიდა; მოხერხებული მწერალი იმიტომაცა

ბრძანდება, რომ თავისი არ მოიშალოს და სხვისა არ დაიჯე-
როს, მართალიც რომ იყოს. ყოველივე ზემოდ ნათქვამი რომ
სცოდნოდა, შესაძლოა ის ეთქვა, რომ ბ-ნი ჩიკვაიძე გაძლიე-
რებულმა კლასმა ვაქარ-მრეწველებისამ იმიტომ წამოაყენაო,
რომ ფეოდალები სრულიად გაენადგურებინაო, ამ მობერებულ
და უნიხდაგო კლასისთვის თავს ზარი დაეცაო. ტყუილად კი
არ ვამბობდიო, რომ ბ-ნმა ჩიკვაიძემ „მხოლოდ აღლო აილო“,
ესე იგი, სულითა და გულით შეიგნო, რომ ბანკში კლასთა
ბრძოლა სწარმოებსო და სხვ. იქნება ისიც ეთქვა, რომ შემო-
სავლის შემცირების პოლიტიკაც კლასთა ბრძოლის ნაყოფია,
რომ ახალს აღორძინებულს კლასს და მის ბელადს, ბ-ნ ჩიკვაი-
ძეს უნდათ ფეოდალები, თავად-აზნაურობა, სწავლა-განათლე-
ბაშიაც დააქვეითონ. ჩვენ კი, ჩვენის მხრით, ბ-ნს ჩიკვაიძესაც
კი ვერ შევსწამებთ, რომ განზრახ ვისიმე განადგურება, და-
ლუპვა მოენდომოს. მხოლოდ ბანკის წევრთ—ფეოდალებია,
თუ ვაქარ-მრეწველნი, როგორც წინა წერილში მოვიხსენიეთ,
უსაზომო დაუდევრობით, საქმისადმი გულგრილობით და სა-
ქმიანობის უნარის უქონლობით დიდი მტრობა გაუწია,—ისე-
თი მტრობა, რომელმაც ბანკიც დააქვევეითა და ჩვენთა შეილთა
და მომავალთა აღზრდა-განათლებაც შეაფერხა. ბ-ნმა ჩიკვაიძემ
„აღლო აილო“, ბრძანებს კიდევ ბ-ნი გ. წერთელი!

ბ-ნი გ. წერთელი თავისს წერილებში იმასაც შეეხო,—
თუ რომელი პარტია საზოგადო საქმეში რა ზნეობას ადგია-
ქუთაისის ოპოზიციამ, ამ წერილის მოწმობით, იმ დღიდან
მოკიდებული, რა დღესაც ბ-ნმა ჩიკვაიძემ გაიმარჯვა, საზო-
გადოებურის ზნეობითაც ვერ ისახელა თავიო. „თუ მართლა
გამარჯვებულები (ესე იგი ჩიკვაიძას მომხრენი) ამდენი ცუდი
საქმეების ჩამდენნი იყონ, ხოლო მათი მხილებელნი გონება-
ზნეობით და სპეტაკი მოქმედებით ამალლებულნი, ნუ თუ
მართლა საზოგადოებას ამდენი წერით და ქადაგებით ვერ
ჩააგონეს მათი სივერაგე, ბოროტ-მოქმედება, ნუ თუ საზო-
გადოებამ ბოროტ-მოქმედებს აქამდის ზურგი არ შეაქცია?“(*)

*) „კვალი“ № 11.



გვეკითხება ბ-ნი გ. წერეთელი. ასე და ამ გვარად ბ-ნი გ. წერეთელი ოპოზიციას საზოგადოებურს ზნეობასაც უწუნებს. დეე, დაუწუნოს; ხოლო აქვე ის უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე მესვეური კვალისა—ბ-ნი ჟორდანიას თითქო არ ეთანხმება ბ-ნ წერეთელს, თუმცა სრული თანახმა კი უნდა იყოს. „ოპოზიციისა (ეხლანდელისა) მოგვწონს ჩვენ ისა, რომ მას არც ერთი ეს საძრახისი საშუალება (რომლითაც ბ-ნმა ჩიკვაიძემ მიიმხრო ხალხიო, სახელდობრ, არა უანგარო საქმიანობით, არა პირუთვნელი მოღვაწეობით, არამედ ხერხით და დაპირებით და ჯიბის პოლიტიკითაო) არ უხმარიაო.*) „ეხლანდელსაო“, ბრძანებს ბ-ნი ჟორდანიას ფრჩხილებში; ეგ სიტყვა გასაძრომად დაუტოვებია; თითქო არ იცის, რომ წინანდელი ოპოზიცია და ეხლანდელი ერთი და იგივეა, რომ ამ რვა-ცხრა წლის განმავლობაში ბ-ნ ჩიკვაიძეს ერთი და იგივე ოპოზიცია ებრძვის.

რაც შეეხება ბ-ნ კ. ჩიკვაიძის საზოგადოებურს ზნეობას, გ. წერეთელი ბრძანებს—ბ-ნი ჩიკვაიძე ახალს „აღორძინებულს კლასს ჯიბითაც მიეკედლაო“, ***) ქრთამსა ხარჯაე-დაო; ***) ბ-ნი ნ. ჟორდანიას ბრძანებს: „ცხადია მას (ჩიკვაიძეს) მომხრეები ქრთამის დახარჯვითაც მოუპოვებია. კ. ჩიკვაიძის „ჯიბის“ პოლიტიკა და ოპოზიციის უგზო-უკვლობა—აი, ეინ იბრძვის დღეს ქუთაისის საბანკო ასპარეზზე... ჩიკვაიძისა არ მოგვწონს მხოლოდ ისაო, რომ მან ის (ახლად აღორძინებული ხალხი) მიიმხრო არა უანგარო საქმიანობით და პირუთვნელის მოღვაწეობით, არამედ ხერხით და დაპირებითა“. ****) აი, რა სიტყვებით ახასიათებენ „კვალის“ პუბლიცისტები ბ-ნ კ. ჩიკვაიძის მოღვაწეობას. მართალი მოგახსენოთ, არც ერთს წევრს ოპოზიციისას ამ კაცის საბანკო მოღვაწეობა ეგრე აშკარად არ უმხილვებია, ხოლო აღსანიშნავი ის არის, რომ ამ არა ზნეობ-

*) „კვალი“ № 12.

**) „კვალი“ № 12.

***) „კვალი“ № 16.

****) „კვალი“ № 12.

რის საშუალებათა ხმარება ბ-ნ ჩიკვაიძისათვის დიდ ცოდვადანაშაულად არ ჩამოურთმევია არც ბ-ნ ჟორდანიას და არც ბ-ნ გ. წერეთელს. ალბად ცოდვა-დანაშაულად არც იმას ჩამოართმევენ, რომ მსესხებელთ ისე ატრიალებს, როგორც უნდა—ხან წაღმა ახტუნებს, ხან უკუღმა. ვისაც უნდა—მამულს გასასყიდად დაუნიშნავს, ვისაც სწყალობს—იმას ხომ არა უშავს-რა, გადასახადსაც შეაწევს(!) და მამულსაც შეარჩენს(!). ბ-ნი რევიზორი ბძანებს ამის შესახებ, ბანკში ისეთი წესია დამკვიდრებული, რომ გამგეობას შეუძლია დიდი თვითნებობა გამოიჩინოს; ვისაც უნდა, მამულს გასასყიდად დაუნიშნავს და სხვ. გამგეობა უნდა ცდილობდეს—მსესხებლებმა თავის ღროზე შემოიტანონ თავთავიანთი გადასახადი; გამგეობას ნება არა აქვს ისეთი შეღავათი აღმოუჩინოს მსესხებლებს, რომ ბანკს ზარალი მიეცეს და სხვ. მართალია, ბ-ნი რევიზორი მთელს გამგეობაზე ლაპარაკობს, ხოლო ნამდვილად კი მისი ნალაპარაკევი ბ-ნ ჩიკვაიძეს შეეხება და აი, რა მიზეზით.. წინელაც მოვიხსენიეთ, რომ ბ-ნ ჩიკვაიძის ბანკში დამკვიდრებამდე (1890 წ.) სესხი მეტიც ჰქონდა გაცემული ბანკს, ხოლო ედას გადაცილებული გადასახადი მსესხებლებზე ძალია ნაკლები ითვლებოდა. ჩაიბარა თუ არა ბ-ნმა ჩიკვაიძემ ბანკი, ვადაზე გადაცილებულმა გადასახადმა ზრდა და მატება დაიწყო. *)

*) Вып. изъ отч. ревизора, гл. 70 и 71.

„Къ началу 1891 года просроченность платежей сразу возрасла до 80 тысячъ и затѣмъ все увеличивалась, къ концу 1894 года достигла 106 тысячъ.“

„Если и считать даже, что объясненіе это (т. е., что правленіе на-мѣренно оказываетъ снисхожденіе и льготы заемщикамъ во взносѣ платежей въ тѣхъ видахъ, чтобы на выборахъ располагать массой въ свою пользу) внушено отчасти партійной борьбой, то всетаки фактъ увеличенія просроченности за послѣднее пятилѣтіе остается“ и т. д.

„При такомъ порядкѣ, правленіе можетъ дозволять себѣ большой произволъ, назначая въ продажу тѣ или другіе имущества по своему усмотрѣнію“.

„Правленіе Мнх. банка обязано прежде всего принять мѣры къ болѣе исправному поступленію срочныхъ платежей, не позволяя себѣ оказывать за счетъ банка льготы, уставомъ банка не установленныхъ.“

მოქრთამეობა ევროპაშიაც იყო, ბრძანებს ბ-ნი ჟორდანია. მოწინავე პარტია თხოულობდა მხოლოდ იმას, რომ არჩევნების უფლება კიდევ უფრო გაფართოებულიყო, თუშკაც მოქრთამეა ღარიბის კაცის ყოველთვის უფრო ადვილია, ვინემ მდიდრისაო, და რომ მოქრთამეობა კანონით დასჯილი იყო. უფლების შევიწროებას მერმედ შევეხებით, ხოლო ბ-ნ ჟორდანია ნათქვამის მალული აზრი ის არის, რომ ამ მხარეს ბ-ნ ჩიკვაიძის მოღვაწეობისას მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვსო,—ევროპაშიაც ასე იყო; მოქრთამეობის ევოლიუცია ჩვენმა საზოგადოებამაც უნდა განვლოსო მთლიანად თუ არა, იმისმა ღარიბმა ნაწილმა მაინცო. მოქრთამეობა კანონით უნდა დაისაჯოსო. დიდაც მართალია—მექრთამეობა კანონით უნდა დაისაჯოს, ხოლო მწერლობამ რატომ არ უნდა ამხილოს, თუ კი სადმე შეამჩნია, ყოველი საზოგადო მოღვაწე მოქრთამეობის წინააღმდეგ რატომ არ უნდა ამხედრდეს—მწერლობის საშუალებით იქნება, თუ სიტყვით?

ეგეთი ამხედრება ბ-ნ ნიკოლაძისა ბ. ჩიკვაიძეს წინააღმდეგ გ. წერეთელს ძალიანა სწყენია, როგორც სამართლიანად შენიშნა ბ. წულიკიძემ. „ბ-ნმა ნ. ნიკოლაძემ საოცარი დაცილების სტატია დასტამბა ახალ-მიმოხილვაში: „Коль истратилъ пройдешь“. ის ამ სტატიაში ერთი რომ უზატაურად იხსენიებდა ბ-ნ ჩიკვაიძის მომხრეებს და მეორე თვით ჩიკვაიძეს აბრალებდა შავი ხალხის მოსყიდვას.“*) საკვირველი საყვედურია. თუ კი მართლა ბ-ნი ჩიკვაიძე ქრთამებსა ხარჯავდა, რატომ სამხილებელი არ იყო ქრთამის გამღებიცა და ამღებიცა, ბ-ნო გ. წერეთელი? განა პატროსანმა მწერალმა ამისთანაებს კალთა უნდა გადააფაროს? თუ კი მართლა ბ-ნი ჩიკვაიძე ქრთამსა ხარჯავდა, ბ-ნმა ნიკოლაძემ რა ცოდვა ჩაიდინა, რომ სამხილებელი ამხილა? „ამიერიდან (ესე იგი 1890 წლიდან, ჩიკვაიძემ რომ გაიმარჯვა) კ. ჩიკვაიძის მებრძოლ ინტელიგენციას დაერქვა ოპოზიცია, რომელმაც იკისრა გაზეთებში, როგორც კ. ჩიკვაიძის, ისე მისი მომხრეების დამცირება და სახელის წახდენა.

*) „კვალი“. № 12.

თუ რამდენად ბრძოლის ტაქტიკას მოკლებული იყო ასეთი ქცევა ოპოზიციისა, ამას შემდეგ სტატიაში დავინახავთ“, ბრძანებს გ. წერეთელი. მაშ, სხვათა შორის მოქრთამეობის მხილებაც, ქრთამებას მხარჯველის განკიცხვა და დევნა უტაქტიკობაა და სხვა არაფერი, თავდაყირა პუბლიცისტო! რასაკვირველია, არც ბ-ნი გ. წერეთელი და არც ბ-ნი ნ. ჟორდანიას ესოდენ გონება და ზნეობა დახშულნი როგორ იქნებიან, რომ მექრთამეობას საგალობელი უგალობონ და ამისთანა ბიწიერება აქონ და აღიღონ; ხოლო აზრად ის კი აქვთ, რომ ბ-ნს ჩიკვაიძეს, რომელსაც ეგოდენს ცოდვა-დანაშაულის სწამებენ, ეგ ცოდვა-დანაშაული შეუმსუბუქონ. რატომო? იმიტომ, რომ ბ-ნ ჩიკვაიძემ აღლო აილო, ახლად აღორძინებულს კლასს მიეკედლა, ეაქარ-მრეწველთა ხელი გაუწვდინა; ერთის სიტყვით, საზოგადოებას მიუხვდა მაჯის-ცემას, ძარღვის ფეთქას, და მით მხარი მისცა კაპიტალისტურს ევოლიუციას, და ყოველივე ესე ახარებს ხომ გულსა თქვენსასა, ბ-ნო პუბლიცისტებო! მაშასადამე, ბ-ნ ჩიკვაიძეს, თქვენის აზრით, იგი უზნეობა, რომლის ჩადენასაც თქვენ ეგრე აშკარადა სწამებთ, დიდ ცოდვა-დანაშაულობად არ ჩამოერთმევა. აღბად იმიტომაა, რომ ბ-ნ ნიკოლაძის გალაშქრება ქრთამის გამღებსა და ამღებსზე და ოპოზიციის ცდა ბ-ნ ჩიკვაიძეს სახელი წაუხდინოს—ბ-ნ გ. წერეთელს ბრძოლის ტაქტიკას მოკლებული ჰკონია; აღბად იმიტომაა, რომ ბ-ნი ნ. ჟორდანიას ყურში ჩაგვიჩურჩულებს—ეგ ევროპაშიაც ასე იყო, ხოლო მექრთამეობა ეხლა ისტორიას ჩაბარდაო; მოწინავე პარტია ცდილობდა მექრთამეობა კანონით დასჯილიყო. აბა ამის შემდეგ განა დასაჯერებელია, რომ თქვენ, „კვალის“ პუბლიცისტებო, არც ოპოზიციაში ხართ, არც კ. ჩიკვაიძეს მომხრე-მოსარჩლე ბრძანდებით? „...თუ ერთ რომელსამე ინტელიგენტთა ჯგუფს ან მოქმედების წესი დაუწუნე, ან პროგრამის უქონლობა დაუმტკიცე, მაშინვე მამალსავით აიყოჩება და წამოიძახებს: თქვენ აღბად „კალისტრატისტი“ უნდა იყოთ, თუ ოპოზიციას კრიტიკას უკეთებთ, ან ოპოზიციონისტი, თუ „კალისტრატისტებს“

კიცხავთო“, ჩასძახის მკითხველს ყურში ბ-ნი გ. წერეთელი. ოპოზიციაში ხომ არა ბრძანდებით, ეს ნამდვილია; ამ საბრალო ოპოზიცია-ინტელიგენციას მუდამ ფეხითა სთელავთ; არც გზა იცის, არც კვალიო, არც პროგრამა აქვსო, არც დისციპლინაო, არც თავა იცის საქმისა, არც ბოლოო, ჟამს გადასულს კლასს ფეოდალებისას ჩაბლაუჭებიაო, ამ კლასის პრინციპებისა და ინტერესების მცველი და დარაჯი შექმნილაო, და დასასრულ მის საზოგადოებურს ზნეობასაც ჩირქსა სცხებთ. აი, ამ გვარ „კრიტიკას უკეთებთ“ თქვენ ქუთაისის ოპოზიციას-ინტელიგენციას რამდენისამე წლის განმავლობაში, თუ რომ ამას კრიტიკა ეწოდება და არა ჟორი და ცილისწამება. ხოლო ბ-ნი კ. ჩიკვაიძესა და მის მომხრე-მოსარჩლეთა „კრიტიკა თუ გაუკეთეთ“, სწორედ არ გვახსოვს, და თუ იმათი მოღვაწეობა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაგიტარებიათ, გთხოვთ გაგვახსენოთ, გვიჩვენეთ ის თქვენი ნაწერები. ჩიკვაიძის პარტია ცოცხალი და მოძრავია, ჩიკვაიძემ ალლო აილოო და სხ. და სხვ. ამით კი ყურები გამოჭედული გვაქვს. ამისდა მეუხედავად მკითხველს არწმუნებთ—ჩვენ არც იქა ვართ და არც აქაო. ახლა, მოდით, და ნუ დაუჯერებთ ბ.ბ. გ. წერეთელს და ნ. ჟორდანიას, რომ ეს სიტყვები ანკარა წყაროსაებრ გულის სიღრმიდან ამოსჩუხჩუხებთ!?

წინა წერილში აკი მოგახსენეთ, რომ მთელი პუბლიცისტიკა ბ-ნ გ. წერეთლისა ტყუილებზეა დამყარებული და აგებული და ჟორებითა და ცილის-წამებითაა შეზავებული; ახლა ამას ის უნდა დაეფრთოთ, რომ ევ პუბლიცისტიკა თავედან ბოლომდე ბიწიერებით სავსეა, რომ მაგ-დაგვარი მწერლობა საზოგადოებას ხრწნისა და რყენის. მაგრამ ერთი რამ კიდევ გაგვახსენდა ბ-ნ გ. წერეთლის ტყუილების გუდისა.

ბ-ნი გ. წერეთელი „კვალის“ მე-13 ნომერში მოგვითხრობს, რომ „1893 წელს ბანკის კრებებზე, ოპოზიციის მეთაურად შეიქმნა თავ. ს. წერეთელი, გუბერნიის მარშალი... უმაღლესის კანათლების მექონი და დიდი შთამომავლობის კაციო“... ამ წლის კრებაზე მოჰხდა ხელჩართული შეტაკება მოწინააღმდეგე

პარტიისა... ორივე პარტიის წარმომადგენლებმა იძვრეს ხანჯღრე ბი, სცენაზე შეიქმნა ჩოჩქოლი და ცოტა ხანს იქეთ თ. ს. წერეთელი გამოიყვანეს კრებიდან აღკვეთილი. იმას გარს შემოერთებენ ოპოზიციის ინტელიგენტები, რამდენიმე თავადი-შეილობა და ჩინოვნიკობაც. ესენი ყველანი წავიდნენ გუბერნატორთან ასეთი უწყისობის მოსახსენებლადაო“. თითქმის თავიდან ბოლომდე მტენარი ტყუილია; 1893 წელს ამისთანა არა მომხდარა რა. მართალია, უწყისობა ამ წლის კრებაზე მოჰხდს, ხოლო ძალ-მომრეობა არაეის უხმარია.*) მთავრობამ კი, უწყისობა რომ მოსპოს და არ გაერყეოდეს, კრება დაითხოვა. ამ სახით გამარჯვება ბ-ნ ჩიკვაძეს დარჩა. ის ამბავი კი, რომელსაც ბ-ნი გ. წერეთელი მოგვითხრობს, 1893 წელსა კი არა, არამედ 1890 წელს ოქტომბრის 30-სა მოხდა, ხოლო ისე არ გადმოგვცა ბ-ნმა გ. წერეთელმა, როგორც მართლ-მოყვარეობა და პირუთვნელობა მოითხოვს. თავ. ს. წერეთელი აღელვებული გამოიყვანესო, ბრძანებს გ. წერეთელი, თუმცა კარგად უნდა იცოდეს, რომ თ. ს. წერეთელს პირადი შეურაცყოფა მიაყენეს**). ეგეთი ტყუილი იმიტომ დასჭირდა გ. წერეთელს, რომ ცოდვა-დანაშაული ბ-ნ ჩიკვაძის მომხრე-მოსარჩლეთა გადაეფუჩჩებინა, გადაემალა. რომ ეთქვა, პირადი შეურაცყოფა მიაყენესო, მკითხველი, რასაკვირველია, მიხვდებოდა, რომ თავ. ს. წერეთლის შეურაცმყოფნი ბ-ნ ჩიკვაძის მომხრე-მოსარჩლენი უნდა ყოფილიყვნენო და არა ინტელიგენცია-ოპოზიცია. რომ ეთქვა—პირადი შეურაცყოფა მიაყენესო, მკითხველი საზოგადოება ბ-ნს ჩიკვაძეს და მისს

*) Изъ отчета ревизора, гл. 7: „Очередныя собранія 1891 и 1892 года прошли спокойно, но въ 1893 году, когда предстояло выбрать председателя правленія взами́нь выбывающаго по очереди г. Чикваидзе, повторились беспорядки, не дошедшіе, впрочемъ, до насилій. Во избѣжаніе дальнѣйшихъ волненій собраніе было закрыто административной властью.“

**) იქვე, გლ. 7: „Собраніе открылось 30 октября того же 1890 г. Засѣданіе 30-го октября окончилось при общемъ смятеніи всего собранія. Предсѣдатель собранія кн. Церетели подвергся даже личному оскорбленію.“



მომხრე-მოსარჩლეთა ხომ სამართლიანის გულის წყრომით შიგ-
კიდებოდა. რომ ეთქვა — პირადი შეურაცყოფა მიაყენესო, მა-
შინ ხომ თუ ს. წერეთელს და მისს ამაღა ინტელიგენციას,
თავადი შეილობას და ჩინოფნიკობას მეტს საბუთს მისცემდა
გუბერნატორთან წასვლისას სხვა-და-სხვა რისამე მოსახსენებლად.
აი სად უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ გ. წერეთელი ბრძა-
ნებს: თავ. ს. წერეთელი აღელვებული გამოიყვანესო. ხელის
დაფარება სწორედ ვგრე უნდა! ბ-ნ გ. წერეთლის ხერხიანობა,
გაძრომ-გამოძრომის ნიჭი ხომ მოგეხსენებათ: იქნება სთქვას —
თავ. ს. წერეთლის პირადი შეურაცყოფა იმისთვის არ მოვი-
ხსენიეთ, რომ გუბერნიის მარშალი ბრძანდება და ასეთს გა-
დამალვას თავაზი, მართებულობა მოითხოვდაო. მაგრამ რის
თავაზი, რა თავაზი: თავ. ს. წერეთელი ვითარცა „დიდი შთა-
მომაველობის კაცი და უმაღლესის განათლების მექონი“ ხომ
„შემაერთებელი ხილია“ უგზო-უკლო, უპროგრამო, უდისცი-
პლინო, უთავბოლო ინტელიგენტთა და ჟამს-გადასულ, უში-
ნაარსო, უნიადაგო ფეოდალებს შორის! ღმერთო ჩემო! ვინ
მოსთვლის ქვიშას ზღვისასა? რომელი ერთი ტყუილი, რომელი
ერთი ქორი მოგახსენოთ ბ-ნ გ. წერეთლისა! იმისის ტყუი-
ლების და ქორების გულის დაცლა რომ შეგვეძლოს, მაშინ
ხომ თქვენი მონა მორჩილი

„ალაზანსა და იორსა დავეწაფები — ყლავს ვუზამ“.

რამდენიც ტყილი და ქორი რამ ამოაძვრინოთ ბ-ნ გ. წე-
თელის გულიდან, ორსა და სამს იმდენს შეაძვრენს და შეა-
პარებს; ტყუილი და ქორი ისე შეეპაროს, გულსა შიგან ვითა
სიყვარული...

ეხლა ბ-ნ გ. წერეთელს თავი დავუკრათ და ბ-ნ ნ. ჟორ-
დანის ნაწერები განვიხილოთ.

ეგ ახალგაზდა მწერალი, წინა წერილშიაც მოგახსენეთ,
ბ-ნმა გ. წერეთელმა ტყუილებისა და ქორების მორევში შეი-
ყოლია. ქუთაისის ბანკს, ოპოზიციას, ინტელიგენციას და
სხვას ეგ ვაჟბატონიც შეეხო, ხოლო თავისებურობა კი სრუ-

ლიად ვერ გამოიჩინა, ან და გ. წერეთლის ამჟოლს და ჩა-
 შჟოლს რა სიკეთე უნდა მოსვლოდა, —ადვილი წარმოსადგე-
 წია. ამ მწერალმა ვერც საქმის ცოდნა გამოიჩინა, და არც
 სურვილი აქვს და არც უნარი საქმის გაცნობისა. სამაჟიეროდ
 ტყუილები, ჭორები და ცილის წამება ძალიანა ჰყვარებია,
 ამისთანებისა დიდი ოსტატი ბრძანებულა, ასე რომ გ. წერე-
 თელსაც ბევრით არ ჩამორჩება; პირიქით, ამ ცოტახანში უნდა
 აჯობოს კიდევცა... ამ მწერალს სწორედ დიდი ცოდვა-დანაშა-
 ული მიუძღვის მწერლობისა და საზოგადოების წინაშე და არც
 ერთი ცოდვა-დანაშაული შესანდობარი არ არის, —ჯერ-ჯე-
 რობით მაინც. შენდობას შესანდობარისას თავისი საკმაო სა-
 ბუთი და მიზეზი უნდა ჰქონდეს.

„ქუთაისის“ ქეშპარიტი ინტელიგენცია „ამხედრდა ბრბოს
 წინააღმდეგ და მოითხოვა მისი ხელ-ფეხის შებოჟვა“... ინტე-
 ლიგენციამ „ამ აზრით იშუამდგომლა წარმომადგენლობის შე-
 მოღება“... *) ვეროპაშიო „მიუხედავად ამისა (ესე იგი ლარიბ-
 თათვის საარჩევნო უფლების მინიჭებისა) არც ერთი მოწინავე
 პარტია არა თხოულობდა მათ (ლარიბებს) საარჩევნო უფლება
 წაერთვას“, **) ბრძანებს ბ-ნი ნ. ჟორდანი. ინტელიგენცია-
 ოპოზიციამ მთავრობას „ამორჩევითი უფლება შეავიწროვე-
 ბინა, თვით ბანკი დამფუძნებლებისათვის წაართმევინა და მსეს-
 ხებლებისათვის გადააცემინა“, ბრძანებს გ. წერეთელი. აი, ის
 თავი და თავი ცოდვა-დანაშაული, რომელსაც ბ-ნი ნ. ჟორდა-
 ნია და გ. წერეთელი ქუთაისის ბეჩაეს ოპოზიციამ-ინტელიგენ-
 ციას თავზე ახვევენ, აი ის ცოდვა-დანაშაული, რომლისათვი-
 საც საცაა ჯვარს უნდა აცვან საბრალო ქუთაისის ინტელი-
 გენტები, რომელნიც გაკადნიერებულან და ბ-ნ ჩიკვაიძეს ებრ-
 ძვიან. წარმომადგენლობის შემოღება თუ ეგეთი ცოდვა-დანა-
 შაულია, თუ „ამორჩევითი“ უფლება შევიწროებულ იქმნა
 იმის წყალობით, ბ.ბ. ჟორდანი და გ. წერეთელი, იმ გვა-
 რივე საყვედურით რატომ ბ-ნ კ. ჩიკვაიძეს არ მიმართავთ. ისიც

*) „კვალი“ № 10.

**) „კვალი“ № 13.

ხომ ცდილობდა წარმომადგენლობა შემოეღო!.. კ. ჩიკვაიძე არა ბრძანდებოდა, რომ გვარწმუნებდა—განა ჩვენ არ გახლდით წარმომადგენლობის შემოღებას რომა ვცილობდითო: ВСѢМЪ интересующимся вопросомъ о представительствѣ известно, что администрація банка всегда оказывала содѣйствию проведенію проекта о представительствѣ и т. д. (№ 4733 Нов. Обзор. 1997 г.)- აი ერთისა და იმავე ცოდვა-დანაშაულისათვის ოპზიცია-ინტელიგენცია გინდათ ჯვარს აცვათ, ხოლო ბ-ნ ჩუკვაიძეს კი ჩვეულებისამებრ ხელს აფარებთ. აი, ესეც თქვენი სამართალი ბ.ბ. პუბლიცისტებო. მაგრამ ამ თქვენს უსამართლობას თავი დაღანებოთ, ისევე წარმომადგენლობის შემოღებასა და ბანკის წევრთა ამორჩევითი უფლების შემცირებას დაეუბრუნდეთ.

ბ.ბ. ჟორდანიისა და გ. წერეთლის თავი-და-თავი აზრი ამ საგნის შესახებ ის არის, რომ წარმომადგენლობა საქირო არ იყო, ყველას უფლება ჰქონდა პირდაპირი მონაწილეობა მიეღო ბანკის მართვა-გაძღოლაში და ეს წმინდა, ღვთაებრივი უფლება კი ჩამოერთვა ხალხსაო. რასაკვირველია, ამას არა ბრძანებდნენ, საქმის გარემოება რომა სცოდნოდათ. ეგ გარემოება საქმისა კი ასეთი იყო. 1893 წელს ქუთაისის გუბერნიაში 62 ათასზე მეტი თავად-აზნაური ითვლებოდა.*) ამათგან 5—6 კაცში ერთი დამფუძნებელი რომ ვიგულისხმოთ, გამოვა, რომ ბანკის დამფუძნებელი თავადი და აზნაური, სულ ცოტა რომ ვთქვათ, 10 ათასი კაცი ყოფილა. ამ ათი-ათას კაცს უფლება ჰქონდა წესდების ძალით ბანკში მოსულიყო და ამ დაწესებულების მართვა-გამგეობაში მონაწილეობა მიეღო.**)

*) Выш. изъ отчета ревизора, гв. 31. მართალია, „კვალის“ პუბლიცისტები რევიზორის „ოტჩოტს“ ძალიან უფრთხიან, ეგ რა საბუთიაო, „ოტჩოტის“ დამწერი რა პუბლიცისტიცა და სხვ., ბრძანებს ძველი მოკამათე „კვალის“ მე-20 №-ში, მაგრამ ჩვენ ჩვენსას არ დავიშლით, „ოტჩოტის“ დამწერი პუბლიცისტიც რომ არ იყოს და ისევე-და-ისევე რევიზორის „ოტჩოტს“ მივმართავთ, და არა გ. წერეთლისა, ჟორდანიისა და ძველის მოკამათის პუბლიცისტიკურს ნაწერებს.

ა. ნ—ლი

**) § 81 устава банка: „Каждый членъ общества пользуется правомъ присутствовать при обсужденіи разсматриваемыхъ въ общемъ собра-

დაეკითხეთ თქვენს თავსა, ბ.ბ. ჟორდანიას და გ. წერეთელს, თუ თავი თქვენს თქვენ გახლავთ, შესაძლოა, რომ ათი-ათასი კაცი მოსულიყო კრებაში და თუ შესაძლოა, შეუძლიანთ თუა რა ათი-ათასს კაცს, რაც უნდა თავდაქერილნი იყვნენ, გონიერნი და განათლებულნი, საქმეს ისე გაუძღვნენ, როგორც მათი ინტერესი მოითხოვს, საქმეს როგორც შეეფერება?! არც ყოფილა იმისი მაგალითი, რომ ამდენი წევრი შეკრებილიყო ქუთაისის ბანკში. ეს ხომ იმის ნიშანია, რომ ეგეთი უამრავი კრება წარმოსადგენიც არ არის. იმოდენი ხალხი ქუთაისის ბანკში არას დროს არ შეკრებილა, რამდენიც 1890-ს წელს შეიკრიბა, ბ-ნ ჩიკვაძეს რომ ირჩევდნენ. ამ წლის მაისის თვეში ათასამდე ვეჟილობა იქმნა წარმოდგენილი, ხოლო იმავე წლის 30-ს ოქტომბერს ათასზე მატი.*) ეგ ცნობებიც ბატონ რევიზორის ანგარიშიდანა მოგვყავს, რომელსაც ეგრე რიგად უფროხის ბ-ნი ძველი მოკამათე „კვალის“ მე-20 №-ში. ეს იმასა ნიშნავს, რომ კრებაზე დასასწრებლად მოსულა ათასამდე კაცი და ამ ათას კაცს ათასი ვეჟილობა წარმოუდგენია. საქმის გარემოება თუ იცით, ისიც გეცოდინებათ, რომ ეს ათასი ვეჟილობა ათასი კაცისა კი არ იყო, არამედ ოთხი ათასისა, ხუთისა და შესაძლოა მეტისაც კიდევ. ხომ მოგეხსენებით, რომ უფროს ერთს თავად-აზნაურს ქუთაისის გუბერნიისას ორას მანეთზე ნაკლები ჰქონდა ბანკში შეტანილი. არა-სრულცენზიანი თავად-აზნაურნი თავთავიანთს წველილს ერთი-მეორეს უმატებდნენ და ორასი მანეთი თუ შეუდგებოდათ, ერთ-ერთს თავიანთთავანს

ნი в вопросъ, но правомъ голоса пользуются только учредители, внесшіе 200 руб. и болѣе, пока они состоятъ членами (§ 95), и заемщики, получившіе ссуду въ 1000 р. или болѣе. Никто болѣе одного голоса имѣть не можетъ.

Учредители, внесшіе менѣе 200 р. въ основной фондъ и заемщики, получившіе ссуды менѣе 1000 р., могутъ соединиться между собою и, если совокупность учредительскихъ долей составить не менѣе 200 р., а совокупность ссуды не менѣе 1000 р.,—выбирать изъ своей среды повѣреннаго для присутствованія въ общемъ собраніи, съ правомъ на одинъ голосъ.

*) Вып. изъ отчета ревиз. стр. 7 и 33.



ვეკილობას აძლევდნენ; ამიტომაც იყო, რომ ერთს ვეკილობაზე შესაძლო იყო, ხუთს, ექვს ათსა და ოცს კაცს ხელი ჰქონოდა მოწერილი. აი, როგორი იყო ეგ თქვენი დეთაებრივი უფლება პირდაპირის მონაწილეობის მიღებისა ქუთაისის ბანკის გაძლოლაში, ადვილად წარმოსადგენია, რომ ამდენის ვეკილობის შედგენას რამდენი ბოროტ-მოქმედება და სხვა ამისთანები თან დაჰყვება ხოლმე*). ყოვლად შეუძლებელი იყო ამდენის ვეკილობის კანონიერად შედგენა. თუ იმ წესით დაამოწმებდით, რა წესიც ბანკის წესდებაში იყო ნაჩვენები, მაშინ ხომ უფროს ერთი ვეკილობა ამ რიგად დამოწმებული არა კანონიერი იქნებოდა, და თუ პოლიციისა და ნოტარიუსებში ატარებდით ოთხს, ხუთს, ექვს, ათსა და მეტს კაცს, ეს რა იქნებოდა. მაშასადამე, უფლება პირდაპირის მონაწილეობისა ბანკის საქმეთა გაძლოლაში ათში ერთს თვალაზნაურს თუ შეეძლო გამოეყენებინა, თორემ დანარჩენთათვის ხომ ფუჭი სიტყვა იყო, რსიც ყინულზე დაწერილი,

აი, ასეთს წესს, ამ გვარს ყოფას ბანკისას „კვალის“ პუბლიციტები საგალობელს უგალობენ იმისდა მიუხედავად,

*) Отч. ревиз., гз, 33: „Невозможность правильной организации собраний при такомъ количествѣ голосовъ очевидна. Затрудненія уложатся тѣмъ, что огромное большинство лицъ являются въ собраніе не лично за себя, а по довѣренностямъ, удостовѣряемымъ не нотаріусомъ или полицейскою властью, а лишь подписями двухъ свидѣтелей (§ уст. 82). При массѣ учредителей, по нышеприведенному расчѣту до 10 тысячъ, довѣренностей можетъ представляться огромное количество; на общія собранія 1890 года надавалось довѣренностей свыше 1000 штукъ. Проверка права каждаго довѣрителя на участіе въ учредительскомъ капиталѣ и опредѣленіе размѣра его учредительской доли, при полномъ отсутствіи достаточныхъ свидѣній о современномъ составѣ учредителей, фактически невозможно. Можно не безъ основанія предполагать, что довѣренности вовсе и не проверялись, а довѣренныя лица просто таки допускались на собраніе безъ проверки правъ ихъ довѣрителей. Въ 1890 году наблюдательный комитетъ задумалъ было упорядочить общія собранія и въ сихъ видахъ 5 сентября утвердилъ „правила о порядкѣ удостовѣренія въ правахъ на участіе съ правомъ голоса, въ общихъ собраніяхъ банка и о порядкѣ проверки довѣренностей“. Но безпорядки на чрезвычайномъ собраніи въ ноябрѣ того же года, и ичленно по поводу проверки довѣренностей, еще разъ подтвердили, что никакія правила не могутъ, а необходима полная реформа общихъ собраний.“

რომ ეგ წესი მრავალის უწესობის მიხეზი იყო ბანკში და რომ ამ წესით და იმ უწესობით მარჯვედ და ოსტატურად სარგებლობდა ბ-ნი კ. ჩიკვაიძე. ხომ ვექილობების შემწეობით გაიმარჯვა ბ-ნმა ჩიკვაიძემ 1890 წ.,—იმ ვექილობათა შემწეობით, რომელნიც თვითონვე ბანკიდან სამუდამოდ გააქრო; იმავე წელს, ოქტომბრის 30-ს ხომ კიდევ უწესობა მოჰხდა და გამარჯვება ხომ კიდევ ჩიკვაიძეს დარჩა. 1893 წელს ხომ კიდევ უწესობა მოჰხდა და კიდევ და კიდევ გამარჯვება ბ-ნი კ. ჩიკვაიძეს დარჩა. აი, გამარჯვება რასა ჰქვიან?! „*Это значитъ стать во главѣ толпы, это значитъ вдохновлять ее и вдохновитыя ею; побѣдителей не судятъ,*“ იქნება ბრძანონ „კვალის“ პუბლიცისტებმა*).

გეკითხებით დედა-ბოძნო და მესვეურნო კვალისანნო,— შესაძლო და სასურველი იყო თუ არა ბანკის წინდანდელს ყოფაში დატოვება? განა საჭირო არ იყო წარმომადგენლობის შემოღება? თუ მაინც და მაინც თქვენსას არ დაიშლით, მაშ თქვენ ძალ-მოძრეობას გუნდრუკს უკმევთ, ტაშს უკრავთ, ცდილობთ უწესობა დააკანონოთ; მაშ თქვენ იმათ მხარს აძლევთ, ვინც უწესობით, უკანონობით საზრდოობს და სულ-დგმულობს, ვინც უიმისოდ ისე არ ვარგა, როგორც ფრინველი უფრთოდ, თევზი უწყლოდ,—იმათი მწე და მფარველნი შექმნილხართ, იმათი გულის-ნადების, იმათის წადილის ქურუმნი და ქადაგნი ბრძანებულხართ, ვინც საშვილო-შვილო საქმეს ძირს უთხრის, სამარეს უმზადებს. მაშ თქვენ მწერლობასა ბილწავთ, საზოგადოებას ჰზრწნით და ჰრყენით. დეე, მერმისმა თვისი უტყუარი განაჩენი დასდოს მაგ თქვენს საქციელს, მაგ თქვენს მოძღვრებას უმართებულობისას, უწესობისას და ძალ-მოძრეობისას.

ოპოზიციამ მთავრობას წარმომადგენლობა შემოადებინა და მით „ამორჩევითი“ უფლება შეაფიწროებინაო, ბრძანებენ „კვალის“ პუბლიცისტები. დიად, ოპოზიციას უნდოდა წარმომადგენლობა შემოეღო, „მარა“ იმასვე ბ-ნი ჩიკვაიძეცა.

*) № 5219 Нов. Об. 99 г. Письмо г. Н. Жорданія.

ცდილობდა, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ბ.ბ. ნ. ჟორდანი და გ. წერეთელი. დიად, თქვენ მზადა ხართ ჯვარს აცვათ ოპოზიცია-ინტელიგენცია—წარმომადგენლობის შესახებ როგორ გაბედე და ენა დასძარიო, ხოლო ბ-ნ ჩიკვაიძეს კი ხელს აფარებთ. ამას, იქნება, იმიტომ სჩადიხართ, რომ ბ-ნ კ. ჩიკვაიძეს წარმომადგენლობის შემოღებისათვის გული არა სტკიოდა. კიდევ და კიდევ ვიმეორებთ, რომ ოპოზიცია-ინტელიგენცია ცდილობდა წარმომადგენლობა შემოეღო და ამის საბუთი და მიზეზი ჰქონდა, ხოლო კვალელები ტყუილსა ბრძანებენ, როცა გვეუბნებიან — ოპოზიციამ „ამორჩევითი“ უფლება შეავიწროებინაო. ეს რომ ტყუილია, ამის საბუთებსაც მოგახსენებთ, ხოლო კვალელებს კი არა, არამედ მკითხველს; იმათთვის ხომ არც საბუთსა აქვს ძალა, არც ლოლიკას; იმათი კეთილსინიღისიერება ის არის, რომ ერთსაც გაუბრძიან და მეორესაც. ეხლა კი ამ ტყუილს გამოაშკარავენს შეუფუდგეთ, ხოლო ჯერ-ჯერობით საჭიროდ დაინახეთ წარმომადგენლობის პრინციპს გაკვირთ შევეხოთ.

ევროპაში, რომლის მაგალითს ბ-ნი ჟორდანი, უნდა თუ არ უნდა, თვალში გვჩხირავს, რამდენადაც ჩვენც ვუწყით, ყოველს დაწესებულებაში—საპოლიტიკო იქნება, სამოქალაქო თუ საზოგადო—წარმომადგენლობა არსებობს. ეგ წარმომადგენლობა დიდაც იმას კი არ ნიშნავს, რომ იმათი უფლება, ვინც წარმომადგენლებს ირჩევს, უსათუოდ შევიწროებული უნდა იყოს, წარმომადგენლობის ბუნება დიდაც არ უარყოფს „ამორჩევითი“ უფლების გაფართოებას, ესე იგი, ამ უფლების გავრცელებს მეტსა და მეტს ადამიანთა რაოდენობაზე. ამიტომაცაა, რომ ცდილობენ, საქალაქო საქმე იქნება, თუ სხვა რომელიმე საგანი, რომ წარმომადგენელთა არჩევის უფლება თან და თან გაავრცელონ, რაც შეიძლება დიდს რაოდენობას ადამიანთა მიანიჭონ. ასე მოქმედობს ყოველგან მოწინავე დასი, ხოლო იმისი მოწინააღმდეგე კი ცდილობს ამორჩევითი უფლება შეევიწროვოს და სხვ. ოპოზიცია-ინტელიგენციაც იმასა ცდილობდა, რომ ამორჩევითი უფლება, რამდენადაც შესაძლოა

იყო, გავერცელებინა; თავისი გულის წადილი თუ ვერ სრულქმნა, ეს იმისი ცოდვა-დანაშაული არ არის. აი ამის საბუთებიც. ეგ საბუთები ხელთა ჰქონია ბ-ნ ძველს მოკამათეს (კვალი № 20), ხოლო ვერა შეუსმენია-რა; იმიტომ ვერ შეუსმენია, რომ ვითარცა ნამდვილი კვადელი, საბუთს გაურბის, ლოლიკას უფრთხის. ბ-ნს ძველს მოკამათეს ხელთა ჰქონია ჩემი წერილი, რომელშიაც ჩართულია კომისიის წერილ-პროექტი წარმომადგენლობის შესახებ. იმ ჩემის წერილიდანა შემდეგი სჩანს. სამინისტროს შეუდგენია ისეთი პროექტი, რომ ბანკი სულ ერთიანად უნდა ჩამორთმეოდა დამფუძნებელთ—თავად-აზნაურთ და მსესხებლებს უნდა ჩაბარებოდა. ეგ მსესხებლები სამ წყობად უნდა ყოფილიყვნენ განაწილებულნი,—ესე იგი, ბანკშიაც ის წესი უნდა შემოეღოთ, რომელიც წინედ ქალაქში მოქმედებდა. მთელი სესხი, ბანკისაგან გაცემული იმის მიხედვით, ვის რამდენი ფული გაუტანია, სამად თანასწორად უნდა განაწილებულიყო. პირველი წყობა ამრჩეველთა იმათგან უნდა შემდგარიყო, რომელთა სესხები შეადგენდნენ ერთს მესამედს ბანკის მიერ გაცემულის სესხისას, მეორე წყობის სესხებიც ერთი მესამედი უნდა ყოფილიყო და მესამე წყობისაც კიდევ ერთი მესამედი. თითო წყობას უნდა აერჩია 70 კაცი და სამს წყობას ერთად 210 კაცი. ასე და ამ გვარად ბანკის მართვა-გაძღოლაში უპირატესობა ეძლეოდა შეძლებულ მსესხებლებს.*) ეს პროექტი ქუთაისის მთავრობას მოუვიდა განსახილველად და მისის აზრის წარსადგენად. ქუთაისის მთავრობამ კი კომი-

*) № 4305 Нов. Об. 1896 г.: „Въ особенной канцеляріи по кредитной части выработаны проектъ правилъ представительства для Тифл. и Кут. земельныхъ банковъ. Составители проекта и предлагаютъ вовсе усранить отъ участія въ управленіи дѣлами банка дворянъ-учредителей, пожертвовавшихъ необходимыя суммы для составленія основнаго капитала банка“ и т. д. № 4312 Нов. Обоз.: ამ პროექტის ძალით: для выбора уполномоченныхъ „всѣ владѣльцы недвижимыхъ имуществъ, заложенныхъ въ обществѣ, вносятся въ избирательный списокъ въ томъ порядкѣ, въ какомъ они слѣдуютъ по суммѣ полученныхъ изъ общества ссудъ; затѣмъ, всѣ эти лица дѣлятся на три разряда.... Такимъ образомъ, составители записки рекомендуютъ представительство исключительное имуществонное.



სიას გადასცა, რომლის თავმჯდომარედ იქმნა დანტონი გუბერნიის მარშალი, თ. ს. წერეთელი; კომისიის უფროს ერთი წევრი ოპოზიციისა იყო. წევრადვე იყო ბ-ნი კ. ჩიკვაძე. ამ კომისიამ შეადგინა თავისი წერილი და პროექტი და მთავრობას წარუდგინა. ეს წერილ-პროექტი მოწონებულ იქმნა წევრთაგან, ხოლო არ მოიწონა ბ-ნმა ჩიკვაძემ და ზედ-წააწერა: *при себѣмъ мнѣнии*; რა იყო ეს მისი „ოსობოვ მენიე“, დაბეჯითებით დღესაც არ ვიცით.*) კომისია კი ამტკიცებდა, დამფუძნებელთა რომ ბანკი ჩამოერთვას, დიდი უსამართლობა და უკანონობა იქნებაო, კომისია იმასვე ამტკიცებდა, რაიცა წინედ თავად-აზნაურობამ მოახსენა მთავრობას წარმომადგენლობის შემოღების შესახებ **). თავად-აზნაურობა და კომისიაც იმაზე იდგნენ, რომ დამფუძნებელთა უფლება და მსესხებელთა უფლება—ორივე ერთნაირად უნდა იქმნას დაცული, და საძირკვლად უნდა დაედვას პროექტს წარმომადგენლობისას იმისდა მიუხედავად ვის რა წვლილი აქვს ბანკში, ან ვის რაოდენი სესხი გაუტანია. კომისია სწერდა, საჭიროა ბანკს თავად-აზნაურობაც განაგებდეს და წარმომადგენლობა ქონებრივს საფუძველზე დამყარებული ბანკს სიკეთეს ვერ მოუტანსო ***). სამინისტროს პროექტის ძალით ბანკის წმინ-

*) № 4305 Нов. Обоз.

***) Нов. Обзор. № 4305: „Право участія членовъ-учредителей въ управленіи дѣлами банка, какъ и права членовъ заемщиковъ, независимо отъ размѣра учредительскихъ долей и есудь, признано дворянствомъ неприкосновеннымъ и положено въ основаніе правилъ о собраніяхъ уполномоченныхъ.“

***) №4312 Нов. Об. „Составители записки (Особенной канцеляріи) рекомендуютъ представительство исключительно имущественное, несостоятельность котораго блистательное доказана практикой стараго городского положенія, и которое правительство не нашло нужнымъ вводить въ новое городское положеніе. Не говоря о томъ, что интересъ къ общественному дѣлу не долженъ быть измѣряемъ имущественнымъ положеніемъ участвующаго въ управленіи дѣлами общества, ни размѣромъ платежей, которое онъ несетъ въ пользу послѣдняго, мѣра, предлагаемая составителями записки, представляетъ еще то неудобство, что она ставитъ судьбу солиднаго кредитнаго учрежденія въ зависимость отъ желаній одного—двухъ десятковъ избирателей, а бытъ можетъ и того меньше.“

და შემოსავლის დახარჯვის უფლება ამა თუ იმ საგნისათვის გუბერნიის თავად-აზნაურობას უნდა მინიჭებოდა. კომისიამ კი არც ეს აზრი მოიწონა; იგი სწერდა, რომ ეგეც დიდი უსამართლობა იქნება, — იმიტომაც რომ გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება შესდგება არა უმეტეს სამასის კაცისა, ხოლო ბანკის დამფუძნებლებად კი მთელი თავად-აზნაურობა ითვლებაო. *) დასასრულ კომისია ამტკიცებდა, რომ სამართლიანობა და კანონიერება ზოითხოვს ამორჩევითი უფლება მიენიჭოს ყველა თავად-აზნაურს, ვითარცა დამფუძნებელთა ბანკისას, მიუხედავად იმისა, თუ ვის რაოდენი სესხი გაუტანია. წარმომადგენელთა ამრჩევი კრება კი, კომისიის აზრით, მაზრებში უნდა მომხდარიყო და სხვ. **) აი, თუ მართლა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა ოპოზიციის წარმომადგენელი, თ. ს. წერეთელი, და რომელიც შესდგებოდა ამავე ოპოზიციის წევრ-

*) № 4307 Нов. Об. „Что же касается вопроса о предоставлении губернским дворянским собраниям права определять, на какие именно нужды должны быть употребляемы 60% чистой прибыли, то, рѣшая этотъ вопросъ въ положительномъ смыслѣ, составители записки подвергаютъ опасности главную цѣль, которую преслѣдовали дворяне Кут. губернии, учреждая банкъ. Огромное большинство ихъ, какъ мелкопомѣстное и неслужащее, вовсе не участвуетъ въ губернскомъ дворянскомъ собраніи, которое насчитываетъ въ своей средѣ не свыше 300 чел. Чистая прибыль, будучи передаваема въ распоряженіе губ. дгор. собранія, можетъ быть употребляема и на цѣли, предъ смотрѣнными учредителями банка и не въ интересахъ огромнаго большинства ихъ. Поэтому справедливѣе было бы оставить въ рукахъ учредителей право распоряженія суммами на общепользныя нужды.

**) № 4312 „Нов. Об. „На основаніи вышеизложеннаго комиссія приходитъ къ заключенію, что во имя справедливости и законности, а равно и въ интересахъ кредитнаго учрежденія, общія собранія членовъ банка должны быть замѣнены собраніями уполномоченныхъ, какъ изъ членовъ заемщиковъ, такъ и членовъ учредителей безъ различія въ объемѣ правъ ихъ; что учредители и заемщики должны принимать участіе въ избирательныхъ собраніяхъ безъотносительно къ размѣру взносовъ, сдѣланныхъ ими въ складочный капиталъ банка и ссудъ, полученныхъ заемщиками изъ банка; что въ избирательныхъ собранія должны быть допускаемы всѣ учредители-дворяне Кут. губерніи, такъ какъ, какъ сказано выше, всѣми ими сдѣланы взносы въ складочный капиталъ банка и т. д.

თავან (არ ვანგარიშობთ, რასაკვირველია, ბ-ნ კ. ჩიკვაძეს), მთელს თავად-აზნაურობასთან ერთად ამასა ცდილობდა, ნუ თუ ეს იმასა ინიშნავს, რომ ქუთაისის ოპოზიცია-ინტელიგენციამ „ამორჩევითი“ უფლება შეევიწროებინა და სხვა ამისთანანი. მაგრამ რას არ იტყვიეთ? მე თქვენ მოგახსენებთ, საბუთს ვერ გადასთელავთ, ლოდიკას ვერ წაუხვალთ, კეთილსინიღისიერებას არ უმტყუნებთ!! სამინისტროს პროექტი რომ დამტკიცებულყო, ოპოზიციის ბრალი იქნებოდა—საკმაოდ ვერა ცდილაო სახეირო რამ გაეტარებინა სამინისტროშიო; თავად-აზნაურობისა და კომისიისა რომ შეეწყნარებინათ, ესეც ოპოზიციის დანაშაული იქნებოდა, აქაო და თავად-აზნატრობა და მისი მოტრფიალე ოპოზიცია სასიკეთოს რას დასწერდნენ, ფეოდალები თუ არ საკუთარ ინტერესს, სხვისას რას დაგიდევნო და სხვ. არც ერთი იქმნა დამტკიცებული, არც მეორე და მაინც ოპოზიცია-ინტელიგენციაა დანაშაული. რა-ლა სიტყვა გავაგრძელო! თქვენებრ თავბოლოიან მწერალთ, ბბ. გ. წერეთელო, ნ. ჟორდანი და ძველო მოკამათე, რა მოპირავს, ვინ მოპირავს? ყველა გასაძრომი რომ ამოგიქოლონ, ხელ-ფეხი რომ შეგებოქონ, მაინცა და მაინც „მე ვარ მამაც“-ს გაიძახით. ალაღმართალი, უდანაშაულო, ანკარა და სპეტაკი წარმომადგენლობის შემოღების ისტორიაში მხოლოდ და მხოლოდ ბ-ნი კალისტრატე ჩიკვაძე გამოდის, 1897-ს წელსა ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა, როცა ბანკს თ. მაჩაბლის საქმე თავზე დაატყდა, დაადგინა—ბ-ნი ჩიკვაძე პეტერბურგს წასულიყო—წარმომადგენლობის საქმე რა ყოფაშიაო; „ისწრაფე, თუ მუხლი გქონდეს მალეგბიო“, და ბ-ნი ჩიკვაძეც საჩქაროდ გაემგზავრა. ეს სწორედ ის დრო იყო, როცა სამინისტროში სჯა და ბაასი ჰქონდათ ჩვენს ბანკებში წარმომადგენლობის შემოღების შესახებ. რა გააკეთა იქ ბ-მა ჩიკვაძემ იმ საქმის სახეიროდ—არაფინ იცის, არც ზედამხედველმა კომიტეტმა, — „ქვიანიც ვერ მიხვდებიან“. იქნება მართლა არა გაუკეთებია-რა, ხოლო ისიც შესაძლოა, რომ ის „ოსობოე მენეიე“, რომელიც კომისიისთვის უნდა წარედგინა და არ წა-

რუდგინა კი, ქუთაისში რაც ჰქონდა დამალული, იქნება იქ გაამჟღავნა.

ამ წერილსა ვწერდით, როცა „კვალის“ მე-20 №-რი მოგვივიდა, ამიტომ საუბარი, თუ როგორ ეკიდებიან „კვალის“ მწერალნი სხვა ჩვენ საზოგადო საქმეს, 'მემდევისათვის გადაგვიდგია, ეხლა კი ბ-ნ ძველს მოკამათეს მოვახსენოთ ორიოდ სიტყვა:

„კვალმა“ თქვენს მონას მორჩილს ერთი პატარა შენიშვნა უძღვნა და ერთი წერილიცა. ის პატარა წერილი არაფერი სახსენებელია; არაფერი სახსენებელი იქმნებოდა არც იგი წერილი, თუ რომ იმის ავტორს ერთხელ კიდევ არ ეჩვენებინა, თუ რა სამწერლო ზნე-ჩვეულებებისა, რა ლოლიკისა და რა ცოდნის პატრონნი და საჭურჭლენნი ბრძანდებიან „კვალის“ პუბლიცისტები. ეს წერილი ბ-ნ ძველის მოკამათისა ყოფილა, იმ მოკამათისა, რომელმაც ამ რამდენისამე წლის წინად ბ-ნი ა. ნ—ლი თურმე იძულებულჰყო მწერლობას გასცლოდა; ამ მწერალს აღმოუჩენია, რომ უძალდო ქვეყანაში კატას აყეფებდნენო და სხვ. ღიად! „მოეწერა, წავიკითხე მისი წიგნი, ჩემი ქება“, და აზრად ის მომივიდა, რომ ეგ ძველი მოკამათე და ბ-ნ ნ. ჟორდანიცა ერთისა და იმავე ზნისა და ფერისანი ყოფილან, „ტოლნი არიან, სწორნი არიან“. პოლემიკაში ბ-ნი ძველი მოკამათე იმავე საშუალებას ჰხმარობს, რომელიც ამას წინედ ბ-ნმა ნ. ჟორდანიამ ბ-ნ გ. მაიაშვილის წინააღმდეგ იხმარა. სჯობს დაწერილებით გიამბოთ.

ბ-ნი გ. მაიაშვილი, ახასიათებდა რა ბ-ნ კ. ჩიკვაიძის პარტიას, ამბობდა:

„ამ პარტიაში მედუქნესაც შეხვდებით, ხელოსანსაც, წერილსა და მომცრო აზნაურსაც, მოხელესაც, ბრწყინვალე თავადსაც, განათლებულს კაცსაც და გაუნათლებელსაც. უფროსს ერთს კაცს ამ პარტიისას პარტიის მეთაურთან, ანა და „მთავარის შტაბის“ წევრებთან, ასე თუ ისე, დამოკიდებულება აქვს, რომელიც ზოგჯერ პირად საქმეებზეა დამყარებული, ზოგ-

ჯერ ნათესაობაზე და ზოგჯერაც პირადს გრძნობასა და განწყობილებაზე“.*)

ენლა ენახოთ ეგ სიტყვები ბ-ნმა ნ. ჟორდანიამ რა რიგად გადმოგვცა, რა რიგად გადაასხვაფერა და გარყვნა! ბ-ნი მაიაშვილი ბრძანებსო:

„ჩიკვაიძის პარტიაში „მედუქნესაც“ შეხვდებით, „ხელოსანსაც“, „წვრილსა და მომცრო აზნაურს“, მოხელესაც და სხე., სატყვეათ, მთელი ქალაქისა და საფლადს წვრილ-ფეხობა აქ არას. რასაკვირველია, ამ წვრილ-ფეხობაში რამდენიმე ბრწყინვალე თავადიც ურევია,—ისე როგორც მრწყინვალე ოპოზიციისაში რამდენიმე მედუქნე იპოვება.“**)

ამ სახით, ბ-ნმა ნ. ჟორდანიამ ბ-ნს გ. მაიაშვილს სიტყვა იქ გააწყვეტინა, საცა თითონვე საჭიროდ დაინახა,*) სული ამოაცალა და ის გამოაკლო, რაიცა განსაკუთრებულს ფერსა და ხასიათს სდებდა ბ-ნ კ. ჩიკვაიძის პარტიას. განა, მკობხელო, ბ-ნ მაიაშვილის სიტყვები იმ სახით, რა სახითაც ბ-ნ ჟორდანიას მოჰყავს, ეთანხმება ჩვენ მიერ ამოწერილს სიტყვებს იმავე ბ-ნ მაიაშვილისას? ბ-ნი ნ. ჟორდანია თავს რომ მსხვილ-ფეხობის მოსარჩლედ ჰხადიდეს და ბ-ნი მაიაშვილი წვრილ-ფეხობის მოსარჩლედ მიაჩნდეს, მაიაშვილის სიტყვებს ასე გადაასხვა-

*) № 5227 Нов. Об. 1899 г. „Отвѣтъ г-ну Жорданіа:

„Тутъ (въ партіи Чикваидзе) вы встрѣтите и духанщико́въ, и ремесленнико́въ, и мелкихъ дворянъ, и чиновнико́въ, и нотаріусо́въ, и именитыхъ дворянъ, и сѣятельныхъ князей, и людей съ образованіемъ, и людей безъ образованія. И большинство этихъ людей, такъ или иначе связано съ главо́й партіи или членами ея главнаго штаба“—одни личными дѣловыми интересами, другіе —родственными отношеніями, третьи —личными чувствами.“¹⁾

***) № 5231 Нов. Об. Отвѣтъ г-ну Маіашвили:

„Избиратели эти (избиратели К. Чикваидзе) потому же „разъясненію“—состоятъ изъ „духанщико́въ“, „ремесленнико́въ“, „мелкихъ дворянъ“, „чиновнико́въ“ и т. д.—словомъ, тутъ вся городская и сельская „мелкота“. Конечно, нѣсколько сѣятельныхъ князей „должны быть и въ лагерѣ этой „мелкоты“, подобно тому, какъ нѣсколько духанщико́въ и въ лагерѣ сѣятельно-интеллигентной оппозиціи.“

1) კურსივი ყოველგან ჩვენია

ფერებდა; მაიაშვილი ბრძანებსო: ჩიკვაძის პარტიაში განმარტებული კაცსაც შეხვედებით, გაუნათლებულსაც, ბრწყინვალე თავადსაც და სხვ. ერთის სატყვეთ, მთელი მსხვილფეხობა ქალაქისა და სოფლისა იქ არის, — რასაკვირველია, დაურთავდა ბ-ნი ქორდანი, — რამდენიმე მედუქნე, ხელოსანიც უნდა ერიოს, ისე როგორც არა-ბრწყინვალე ინტელიგენციის ოპოზიციაში რამდენიმე მედუქნე და ხელოსანიო. აბა, რა მწერალი იქნებოდა — გაჭირვებას ნახავდა და გაქცევას ვერ მოახერხებდა!!

იგივე ჩაიდინა „კვალის“ მე-20 №-ში ბ-ნმა ძველმა მოკამათემ; ბ-ნ გ. წერეთელს სიტყვა იქ გააწყვეტინა, საცა საჭიროდ დაინახა, სული ამოართვა და სამაგიერო ჩაუყენა. უსაბუთოდ კი არ მოგახსენებდით — „ტოლნი არიან, ძმანნი არიან“ — თქო. აბა, ეგეთი საქციელი რა არის, თუ არ უტყუარი მაჩვენებელი სამწერლო ზნეობის თაღლითობისა, ლოდიკის აბუჩად აგდებისა, თავიან-ბოლოიანად გაცულლუტებისა!

ბ-ნი გ. წერეთელი ამტკიცებდა — გაიხსნა თუ არა ქუთაისის ბანკიო, დიდის გვარის კაცთ ჩაუფარდათ ხელში, დიდის ადგილ-მამულის მეპატრონეთა დაისაკუთრესო; ესენი „განუსაზღვრელად“ განაგებდნენ ამ დაწესებულებას; აგრეთვე იმა-საც ამტკიცებდა, რომ ეს პატრონები და ბატონები ბანკისა სასწორს თავიანთკენა სწევდნენო, მსესხებლებს სთელაედნენ, სჩაგვრიდნენო, შეღავათი „ნედლომკების შეტანაში“ მეტი ჰქონდათო, იმათი მამული მეტად ფასობდაო, ამიტომაც ბანკს დიდი ზარალი მოუვიდაო, „ბანკს ჩარჩა დადანაშაუბას, გელაგნებას, მანაბლებას, ერასთავებას და მრავალი სხვა თავადიშვილების მამულებიო“.

ჩვენ ეგ სიტყვები გ. წერეთლისა ისე გავიგეთ, რომ ბანკისათვის ზარალი თავიდანვე სოფლის მემამულეთა და სოფლის მამულებს მიუყენებია, ჩვენ ეგ აზრი არ შევიწყნარეთ და საბუთებით დავამტკიცეთ, რომ ის დიდი ზარალი ბანკისათვის ქალაქის მამულების მეპატრონეთა მიუყენებიათ, და არა თავად-აზნაურობას, ვითარცა მიწად-მფლობელს წოდებას, — რომ ბანკის გამგენი და მმართველნი მწე და მფარველნი იყვნენ ქალაქის



მემამულეთა და ვაჭარ-მრეწველთა და არა მხაგვრელნი. ამათს ჩვენ რევიზორის ანგარიშიდან ამოკრეფილ ცნობებით ვამტკიცებდით. ძველს მოკამათეს კი ეგ რევიზორის ანგარიში არ მოსწონებია, ან რატომ უნდა მოსწონებოდა, და ბრძანებს:

„ეს ახალი საბუთი გახლავს—რა იცით,—ყურში გეტყვით... რევიზორის ოტჩოტი! დიახ, ბ-ნი ნა—ლი რევიზორის ძალით აქარწყლებს ჩვენში კლასთა ბრძოლას“. შემდეგ განაგრძობს: „ვინ არის მის წინააღმდეგი, რომ ქალაქში მაშინ მეტი სესხი გაიცა, ვინემ სოფელშიო, და განა ეს იმას ამტკიცებს, რომ თავად-აზნაურობამ ნაკლები სესხი მიიღო, ვინემ სხვებმა? ბ-ნ ნა—ლს ეუბნებიან კეთილ-შობილ წოდებას მეტი სესხი გაჰქონდაო, ხოლო ის კი ამას უარყოფს იმითი, რომ ქალაქში მეტი გაიცა სესხი, ვინემ სოფელშიო! ცხადია, ის ურევს სხვა-და-სხვა მცნებას ერთმანეთში; ის თავად-აზნაურობის აღაგას აყენებს სოფელს, ხოლო არა თავად-აზნაურობის აღაგას—ქალაქს; მაშინ როდესაც ყველამ იცის, გარდა ბ-ნ ნა—ლისა, რომ ჩვენი ქალაქები ამ 15—20 წლის წინედ სანახევროდ თავად-აზნაურობის მამულებით შესდგებოდა... როცა აშობენ ქუთაისის ბანკს მეოთხმოცე წლებში ქალაქმა აზარალაო, ხოლო მეოთხმოცე და ათე წლებში სოფლებმაო,—ეს ორივე ერთსა და იმასვე ნიშნავს, სახელდობრ: თავად-აზნაურობის მამულმა აზარალა როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში.“

მაშ, ბ-ნი ძველი მოკამათე ამტკიცებს, ვითომ ბ-ნი გ. წერეთელი იმ დიდის შთამომავლობის კაცებსა გულისხმობდა, რომლებსაც თავიანთი ქალაქის მამულები ჰქონდა ბანკში დაგირავებული, ერთი ესა; მეორეც ისა, რომ იმ თავითვე ბანკს ზარალი კეთილ-შობილმა წოდებამ და არა ახლად აღორძინებულმა კლასსმა მიაცენაო. აი, ცუდლუტობაც სწორედ აგეთი უნდა! ბ-ნი გ. წერეთელი თავად-აზნაურობის შესახებ თუ ლაპარაკობდა, ნიშანში ამოდებული ჰყავდა თავად-აზნაურობა ვითარცა სოფლის მიწად-მფლობელი წოდება—და არა ქალაქისა. გ. წერეთელი რომ ვიმოწმოთ, რასაკვირველია,

პირში ჩაგვიდგება—ჩემის ნათქვამისა რა უჩანსო. ამიტომ ხელ-
 მეორედ მისს წერილს მივმართოთ.

„ამ დროს,—ბრძანებს გ. წერეთელი („კვალი“ № 12),—
 ბანკს ჩარჩა დადიანების, გელოვანების, მაჩაბლების, ერისთავე-
 ბის და მრავალი სხვა თავადი-შვილების მამულები“...

აი, ბ-ნო ძველო მოკამათე, თქვენს წერილში გ. წერეთლის
 სიტყვები რომ მოიყვანეთ, ეგეც ზედ უნდა მიგეყოლებინათ,
 იმისს ნაწერში იქნება სხვა რამე ამოგვეკითხათ, მაგრამ ამას
 რად იზამდით? თქვენს საწინააღმდეგო საბუთს რად ამოსწერ-
 დით. თავ. დადიანების მამულები ბანკს ჩარჩაო; მერწმუნეთ,
 რომ ეს დიდი მამული სოფლის მამულია და არა ქალაქისა,
 თავ. გელოვანების მამული ბანკს ჩარჩაო. ერთი ისა, რომ თავ.
 გელოვანების მამული—არც სოფლისა და არც ქალაქისა ჯერ-
 ჯერობით არა დარჩენია. ხოლო გ. წერეთელი როცა სწერ-
 და—გელოვანების მამული ბანკს დარჩაო, სოფლის მამულს
 გულისხმობდა, სახელდობრ, თავ. გ. ახვლედიანის მამულს;
 ხსოვნამ უღალატა, როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, და
 ახვლედიანის მაგიერ გელოვანები ახსენა,—ალბად იმიტომ რომ
 ახვლედიანებიცა და გელოვანებიც ერთი და იმავე მაზრის,
 სახელდობრ, ლეჩხუმის თავადნი არიან. ერისთავის მამული თუ
 რამ დარჩენია ბანკს, ისიც სოფლისა. მაჩაბლის მამულიო!
 განა არ იცით, რომ ეს ის დიდი სოფლის მამულია, რომლის
 გამო ბ-ნი ჩიკვაიძე ერთს დროს დიდს განსაცდელში ჩაიჭირა.
 თუ ეგ ასე არ არის, უმორჩილესად გთხოვთ პასუხი მომაწო-
 ლოთ.

თქვენი სუვორონისებური მანერა წერისა რომ ვიცი, აქე-
 დანვე გატყობთ, რას მიპასუხებთ. გ. წერეთელს თავისი აზრი
 და შეხედულება აქეს და ჩვენ ჩვენო, რაც უნდა ილაპარაკოს
 გ. წერეთელმა, „ფაქტი ასეთია“, რომ თავად-აზნაურობამ მია-
 ენა ზარალი ბანკსაო როგორც პირველში, ისე შემდეგშიოყ-
 დიალ, არც ამის თქმას შევეუშინდებით, ხოლო აქედანვე მოგა-
 ხსენებთ, რომ ეგეც ტყუილია. მომთხოვთ, საბუთებსაც მოგა-
 ხსენებთ, მამულებსაც დაგისახელებთ; ოღონდ ზომკითხეთ და

მზად გახლავართ—გემსახუროთ. ერთი რამ გამახსენდა. როცა თავად-აზნაურობას იხსენიებენ ხოლმე—განსაკუთრებულად სოფლის მიწად-მფლობელი წოდება ჰყავთ წარმოდგენილი და არა ქალაქისა, და როცა ქალაქის მამულების მებატონეთა იხსენიებენ, წარმოდგენილი ჰყავთ განსაკუთრებით ვაჭარ-მრეწველნი, მოქალაქენი და სხვა და არა თავად-აზნაურობა ვითარცა წოდება, ეს კარგად დაიხსომეთ, ცუდლუტნო!

1883 წ. ბანკის განცხადება რას მოგვითხრობსო: ამ წელს დაგირავებული ყოფილა 49 მამული თავად-აზნაურობისა და 50 კი მოქალაქისა, ვაჭრისა, გლეხისა და სხვ. 49 მამული თავად-აზნაურისა შეიცავდა 17 ათასამდე ოთხ-კუთხს საყენს, ხოლო 50 მამული ვაჭართა, მოქალაქეთა და სხვათა—25 ათასს ოთხ-კუთხს საყენს აჭარბებსო. საქმის ცოდნაც აგეთი უნდა, გაგებაცა ამასა ჰქვიან! განა არ იცით, რომ ქალაქის მამული არა მარტო ოთხკუთხ საყენობით იზომება და აიწონება, არამედ შენობებისა და ადგილის ერთიან ღირებულობით?

„მარტო რევიზორი არა კმარა, საჭიროა ცოტა გაგებაც, ეს რომ ასე არ იყოს, ყველა „ოტჩოტის“ დამწერი უდიდეს პუბლიცისტად იქნებოდა აღსარებულიო“... და სხვ.

ბრძანებს ბ-ნი ძველი მოკამათე. დიად! მარტო ბანკის განცხადება კი არა კმარა, გაგებაცა საჭირო. ეს რომ ასე არ იყოს, ყველა ბანკის განცხადების დამწერი და გადამწერიც კი დიდი პუბლიცისტი იქნებოდა... მაშ, თქვენის წერილიდანა ის-ღა რჩება, რომ „უძალლო ქვეყანაში კაცს აყუფებენო“, ღმერთმა ასეთი სუსტი მოწინააღმდეგე ნუ მომიშალოსო და სხვა ამის-თანანი. გიჯობთ, ეგ სიტყვები შეინახოთ, გამოიზოგოთ, ხელი მოუჭიროთ, თორემ შემოგაკლდებათ და მერმე რაღას იზამთ. ეგ სიტყვებია ხომ თქვენი ლახტი და მუზარადი....

რა აზარალა ბ-ნმა კალისტრატე ჩიკვაიძემ ქუთაისის ბანკს და მის მსესხებლებს?

დიდი ხნის შოლოდინის შემდეგ ქუთაისის საადგილ-მამულ-ლო ბანკი ემზადება ამ დღეებში თავის გამგეობის განახლებას.

ამ ბანკს ორი უმთავრესი მიზანი აქვს: ერთი—მიაწოდოს იაფი სესხი ყველას, ვისაც ის ეჭირვება, რა წოდებისაც უნდა იყენენ ისინი, და მეორე—გაადიდოს თავისი წმინდა შემოსავალი, რომლის დანიშნულებაა—საზოგადო საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

კარგი და სასარგებლო მხოლოდ მაშინ იქნება ამ ბანკის მმართველი, როცა ის ყოველგვარ ღონისძიებას იხმარს ორივე ამ მიზნის გასახორციელებლად, და, პირიქით, ვინც ამ მიზანთა მიღწევას ან უგულოდ ეპყრობა და ან არ არის მომზადებული მათი შესრულებისათვის,—ის ბანკის მმართველად გამოუსადეგარია.

ამ მხრით რომ გავზომოთ ბ-ნი კალისტრატე ჩიკვაიძის ცხრა წლის მოქმედება ჩვენს ბანკში, იმისთანა სამწუხარო შედეგს დავინახავთ, რომელიც სასაწარკვეთილებაში ჩააგდებს საზოგადოების ყოველს უანგარო წევრს და თავის ქვეყნის გულ-შემატკივარ ადამიანს.

ყველამ იცის, რომ ჩვენი ბანკი, როცა სესხს აძლევს მსესხებელს, თითონ სესხულობს ფულს, და ამისთვის გამოსცემს ხოლმე გირაოს ფურცლებს, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენს ბანკის ვექსილებს. გირაოს ფურცლების პირობები და მათი პროცენტების რაოდენობა დამოკიდებულია ბანკის წესდებასა და ფინანსთა სამინისტროს განკარგულებაზე.

1896 წლამდე რუსეთის გრძელვადიანი სესხის ბანკების უმეტესი ნაწილი თვის გირაოს ფურცლებზე წელიწადში 6%-იხდიდა.

სწორედ იმ ხანებში, როცა ჩვენი ბანკის მმართველად ბ-ნი ჩიკვაიძე გახდა, ფინანსთა სამინისტრომ, საადგილ-მამულო ბანკების მსესხებელთა გადასახადი ფულის შესამსუბუქებლად, ნება მისცა ამ ბანკებს, სახელმწიფო ბანკისა და აგრეთვე კომერციულ ბანკების საშუალებით, მოეხდინათ 6%-იანი გირაოს ფურცლების კონვერსია 5%-იანებად, ესე იგი შეეცვალათ 6%-იანი გირაოს ფურცლები 5%-იანებად. *)

ბ-ნი ჩიკვაიძის მეგობრები გულმოდგინედ არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ ჩვენი რწმუნებული, ესე იგი. კალისტრატე ჩიკვაიძე, სამაგალითო ნიჭის პატრონი და შრომის მოყვარე კაციაო, მასთანვე მკვირცხლი და ენერგიით სავსეო, ასე რომ ბანკს დიდ სარგებლობას მოუტანს, სულს ჩაუდგამს, წაღმა დაატრიალებს მის საქმეებსო. ბ-ნი ჩიკვაიძის ცხრა წლის

*) გირაოს ფურცლების კონვერსია ნიშნავს, რომ იმათ პატრონებს წინადადებას აძლევენ: თქვენს გირაოს ფურცლებში მოხსენებულ %₆-ის (მაგალითად 6%-ის) მაგიერ, თუ გნებავთ, მიიღეთ ეს და ეს %₅-იო (მაგალ. 5%).

თუ რომ პატრონები დათანხმდნენ ამ წინადადებაზე, მაშინ პირდაპირ შეუცვლიან ხოლმე 6%-იან ფურცლებს 5%-იანებად. და თუ ისინი არ დათანხმდნენ, მაშინ ბანკმა, რომელიც კონვერსიას კისრულობს, უნდა მიუზღოს გირაოს ფურცლების პატრონებს ამ ფურცელთა საფასი, ესე იგი ნაღდი ფულით გაისტუმროს ისინი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საადგილ-მამულო ბანკებს ეჭირვება სახელმწიფო ან სხვა კომერციულ ბანკების დახმარება, და ეს უკანასკნელი ბანკები იღებენ ხოლმე რაიმე სასყიდელს, რომელიც ამ შემთხვევაში არ აღემატება 1/2%-ს, როგორც მოიქცა, მაგალითად, სახელმწიფო ბანკი.—ამგვარად, გირაოს ფურცლების კონვერსიის წყალობით, ბანკის მსესხებლები უწინდელზე ნაკლებ %₆-ს იხდიან. მაგალითად, თუ რომ 6%-იან ფურცლებით თქვენ წელიწადში 600 მანათს იხდით, 5%-იანებად იმათი გადაცვლა ანუ კონვერსია ასი მანათით შეამკირებს თქვენს წლიურ შესატან %₆-ს, ესე იგი 600 მანეთის მაგიერ შეიტანთ ხოლმე 500 მანათს.



მოქმედებამ ცხადად დაგეანახვა, რამდენადაც უსაფუძვლო და შემცდარი იყო ეს აზრები ბ-ნი ჩიკვაძის შესახებ.

ძნელია წარმოიდგინოთ იმაზედ უფრო სასურველი და ბედნიერი პირობები, როგორშიაც შემთხვევით მოხვდა ბ-ნი კ. ჩიკვაძე ჩვენს ბანკში მმართველად შესვლისათანავე. ის რომ მართლა გულმტკივნეული ყოფილიყო ბანკის მსესხებელთა ინტერესებისათვის; იმას რომ გათვალისწინებული ჰქონოდა იმ დაწესებულების მიზან-მისწრაფებანი, რომელში შესაძრომდაც არავითარ ურიგო საშუალებას არ ზოგადედა; იმას რომ შესძლებოდა საფინანსო და საკრედიტო ფარგალში მუშაობა; იგი რომ მართლა „მკვირცხლი და ენერგიული კაცი“ ყოფილიყო საქმიანობაში, და არა მარტო უსაქმურ დარდიმანდობაში; ერთი სიტყვით, იმას რომ ბანკის მმართველის თანამდებობის ცოტაოდნად მაინც შესაფერი ცოდნა, გინდ ხასიათი, გინდ შრომის-მოყვარეობა, თუნდაც მარტო საქმიანი სინდისიანობა ჰქონოდა, — ეჭვი არ არის, ბანკის მსესხებლებს რაიმე თვალსაჩინო სარგებლობას მოუტანდა, და ამით ის ერთი მხრით სახელს მოიხვეჭდა, მეორე მხრით საფუძვლიანადაც გააქარწყლებდა თავის მოპირდაპირეთა გალაშქრებას მის წინააღმდეგ, და, დასასრულ, ღირსეულად დაიჭერდა საპატიო მდგომარეობას. — ბედი იმას თავისთავად უვარდებოდა კალთაში, მაგრამ ან ვერ დაინახა მან იგი და ან, საკუთარ საქმეებისკენ გაშურებულმა, საზოგადო მედნიერებას გული ვერ მიანდო — და გვერდი შეუარა. რად უნდა გვიკვირდეს, რომ ამისთანა დაუდევარმა ბანკის მმართველმა თავისი საქმიანობის სახელი საუკუნოდ დამარხოს და ბანკის მსესხებელთა გაუზომელი და მასთან გაუსწორებელი ზარალი მისცეს!..

მართლაც, ყოველი სინიღისიერი მშრომელი, ბ-ნი ჩიკვაძის ადგილას, როცა ჩაეწვეთებოდა ყურში ზემოხსენებული კონვერსია, აღტაცებაში მოვიდოდა ფინანსთა მინისტრის ამ განკარგულებით, რომელიც მსესხებელთათვის მეტად საკეთილდღეო და სასარგებლოა, და თვითონ დაუყოვნებლად აღძრავდა საზოგადო კრებაში კითხვას ამის შესახებ. მაგრამ ბ-ნი ჩიკვაძეს აზრადაც არ მოსვლია ეს საქმე არც 1891 წელს და არც

შემდეგ წლებში—1892 და 1893-ს; ის თავის საექილო საქმეებს ჩაჰკირკიტებდა, ან საარჩევანო აკიტაციაში იყო გართული, —ეს არის მისი სპეციალური ხელობა, —ბევრს დაბობდა, ბევრს ცმუტავდა, —ხოლო არსებითს, ბანკისათვის აუცილებლად საჭირო საქმეს კი ყურადღებასაც არ აქცევდა, —როგორც სჩანს, ვერც კი ხედავდა, კონვერსია არსებობდა ქვეყანაზე თუ არა, ან საქმელი იყო ის თუ სასმელი...

ესეც ცოტაა. ბ-ნმა ჩიკვაიძემ არც იმას შემდეგ დაინახა საჭიროდ, გასცნობოდა კონვერსიის საქმეს და ეზრუნა იმის შესახებ, როცა კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძემ 1891 წ. საზოგადო კრებაში აღძრა ეს კითხვა და როცა კრებამ, კირილე ლორთქიფანიძის წინადადების თანახმად, დაავალა გამგეობას, ეშუამდგომლნა ამ საქმისათვის ფინანსთა სამინისტროს წინაშე.

რა გააკეთა ბ-ნმა ბანკის მმართველმა საზოგადო კრების ამ საგულისხმოსა და მეტად საყურადღებო გარდაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად? —1891 წელს იმას არ ეცალა ამ საქმისათვის, აგრეთვე ვერც 1892 წელს უბოვნია მისთვის დრო, ვერც 1893 წელს და ამ გვარად მდგომარე 1899 წლამდე იმას ვერ უხელთებია თავისუფალი დრო, ვერ დაუნახავს საჭიროდ, არ აღძვრია სურვილი — მოეკიდნა ხელი ამისთანა ყოველი მხრით აუცილებელისა და საჩქარო საქმისათვის. მთელი რვა წელიწადია ბ-ნ ჩიკვაიძეს ყუთში ჩაუკეტია მაგრად იმისთანა საქმე, რომელზედაც არის დამოკიდებული ბანკის მსესხებელთა გარდასახადი ფულის შემსუბუქება, და ამ თავისი დაუდევრობით საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მთელს რუსეთის იმპერიაში არ არსებობს დღეს, ჩვენს ბანკს გარდა, არც ერთი გრძელ-ვადიანი კრედიტის ბანკი, 6⁰/₀-იან გირაოს ფურცლების მექანი! რუსეთში ჰნ გრძელ-ვადიანი სესხის ბანკია — და ყველამ მათგანმა ისარგებლა კონვერსიის კეთილი ნაყოფით, ყველამ გადაცვალა თავისი 6⁰/₀-იანი ფურცლები 5⁰/₀-იანებად, ყველამ ისურვა და მოახერხა თავის მსესხებელთა გარდასახადის შემსუბუქება, —და მხოლოდ ქუთაისის ბანკი, გირაოს ფურცლების პატრონთა სასაცილოდ, თავის მოძმეთა შორის შეა-



დგენს რაღაც ახირებულ გამორიცხვას, რომელიც არის მმართველის ან უნიკობისა და ან მიუტყვეველი დაუდევრობის შედეგი.

ნურავინ იფიქრებს, რომ მსესხებელთა ინტერესების შესახებ ამ გვარ დაუდევრობას რაიმე სარგებლობა მოჰქონდეს თვით ბანკისათვის. ბ-ნ ჩიკვაძეს რომ გირაოს ფურცლების კონვერსია მოეხდინა, მსესხებელი წლიურად გატანილ ფულის სარგებლად 6⁰/₀-ის მაგიერ 5⁰/₀-ს გარდაიხდიდა, ესე იგი 1⁰/₀-ით ნაკლებს, სანამ ახლა იხდის, ხოლო ამ პროცენტის მოაკლებას ბანკის მოგებაზე არავითარი გავლენა არ ექნებოდა: ეს ერთი პროცენტი ბანკს კი არ დააკლდებოდა, არამედ გირაოს ფურცლების პატრონებს, რომელნიც გაბნეულნი არიან მთელ რუსეთში.

ახლა ვნახოთ, თუ რა აზარალა ქუთაისის ბანკის მსესხებლებს—და მაშასადამე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებსაც—თავის დაუდევრობითა და უზრუნველობით ჩვენი ბანკის „ენერგიულმა და ნიჭიერმა“ მმართველმა, როგორც უწოდებენ ბ-ნ კ. ჩიკვაძეს მისი გულმოდგინე მეგობრები.

თუ რომ ყოველ-წლიურად, ჩვენი ბანკის ანგარიშებისა და ბალანსების საშუალებით, გამოვიანგარიშებთ იმ ფულს, რომელსაც ამ ბანკის მსესხებლები, კონვერსიის მოუხდენლობის გამო, გარდამეტებით იხდიდნენ, მაშინ დავინახავთ, რომ მსესხებლებს ზედ მეტი გარდაუხდიათ:

1891 წლ.	1893 წლის 1 იანვრამდე	20.800 მ.
	1894 — —	25.000 მ.
	1895 — —	20.300 მ.
	1896 — —	16.800 მ.
	1897 — —	14.100 მ.
	1898 — —	11.600 მ.
	1899 — —	18.100 მ.
<hr/>		
სულ		118.700 მ.

საფიქრებელია, რომ მდგომარე წელსაც არ მოხდება კონვერსია, თუ რომ კრებამ არ მიიღო რაიმე არაჩვეულებრივი



საშუალება; იმ შემთხვევაში მსესხებლები მდგომარე წელსაც გადაიხდიან ზედმეტ სარგებელს არა ნაკლებ 4000 მანათისა.

ამ გვარად კალისტრატე ჩიკვაიძემ, თავის შეუნდობელ დაუდევრობის წყალობით, გადაახდევინა მსესხებლებს ზედმეტი სარგებელი 122.700 მანეთი! ასე დასაჯა ბ-ნმა ჩიკვაიძემ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლები: იმან წაართვა ჩვენ ღარიბ მსესხებლებს 122.700 მანეთი და გაუგზავნა რუსეთისა და სხვა ქვეყნების მდიდარ კაპიტალისტებს, რომელთაც ჩვენი ბანკის გირაოს ფურცლები აქვთ ხელში. მკითხველებისათვის მიგვინდვია, გამოიანგარიშონ, თუ რამდენი კარგი საქმე ვაკეთდებოდა ამ ფულით ჩვენს გუბერნიაში, რამდენ აუცილებელ საქმეებს გაუსტუმრებდა ის ჩვენს ღარიბ მსესხებლებს, ჩვენი გუბერნიის ნივთიერად გაჭირვებულ მცხოვრებლებს!..

ბ-ნი ჩიკვაიძის მეგობრებს თავის გმირის განსაკუთრებით დიდ ღირსებად ის მიაჩნიათ, რომ ბანკის მსესხებლებს ის ხშირად აძლევს გარდასახადი ფულის შეტანაში შეღავათს: მსესხებელთა გაჭირვებულ მდგომარეობაში შედის, არ ავიწროებს, არ ახრჩობს იმათო!

მსესხებლებისადმი ბ-ნი ჩიკვაიძის გულ-შემატკივრობისა და მზრუნველობის დასაფასებლად საქიროა მივიღოთ მხედველობაში—ერთი იმ ჯარიმების რაოდენობა, რომელიც მსესხებლებსვე გადახდათ მათივე „გულ-შემატკივარი ბ-ნი ჩიკვაიძის“ მეოხებით დანიშნულ დროზე გარდასახადი ფულის შეტანლობისათვის,—ეს ფული ბ-ნი ჩიკვაიძის მმართველობაში კაი მოზრდილ ჯამს შეადგენს, სახელდობრ 167.000 (ას-სამოცდა-შვიდი ათას) მანეთზე მეტს; და მეორე—აქვე გაეიხსენოთ ის ჩვენი ქვეყნისთვის ამაოდ დაღუპული ას-ოცდა-ორი ათას-შვიდასი(122.700) მანეთი, რომელიც „ამ გულშემატკივარმა კაცმა“ გამოგლიჯა ხელიდან თავის მსესხებლებს კონვერსიის შეუსრულებლობის გამო და რომელიც ჩვენ ზევით საკმაოდ გამოვარკვიეთ.

შეაერთეთ ეს ორი თანხა და მაშინ ცხადად დაგეხატებათ თვალ-წინ ბ-ნი ჩიკვაიძის მზრუნველობა და გულ-შემატკივრო-



ბა მსესხებლებისადმი. თქვენ დაინახავთ, რომ ბ-ნმა ჩიკვაიძემ, სრულიად უმიზნოდ და მასთანავე უღმობელად, ამოაცალა ჯიბიდან ჩვენს ლარიბ მსესხებლებს, ვადაზე შესატან კანონიერ გარდასახად ფულის გარდა, ზედ-მეტი 290.000 (ორას-ოთხმოც-და-ათი ათასი) მანეთი! აი რამდენად დაუჯდათ ბ-ნი ჩიკვაიძე ჩვენი ბანკის მსესხებლებს! აღარც ეხლა დაუჯერებთ ბ-ნი ჩიკვაიძის მეგობრებს, რომელნიც არწმუნებენ ყველას, ვისიც კი თვალის ახვევა შეიძლება, რომ ბ-ნი კალისტრატე თავ-დადებულება მსესხებლებისათვის, მათ სწირავს თავის სიცოცხლეს და თავის ენერჯიას, დღე და ღამ მათი ინტერესებისათვის ზრუნავსო?!

ახლა გავსინჯოთ ბ-ნი ჩიკვაიძის მოქმედების მეორე მხარე, ვნახოთ როგორ დაეტყო მისი საქმიანობა თვით ბანკის ოპერაციებს და მის წმინდა მოგებას.

როგორც ვიცით, ბანკი თავის სასარგებლოდ ყოველწლიურად იღებს 1⁰/₀-ს იმ თანხიდან, რომელიც მან სესხად გასცა, იმ დრომდე, სანამ ამ სესხს სრულიად არ გადაიხდის მსესხებელი, და 1⁰/₀-ს იმავე თანხის ერთდროებით შესატანი ფულიდან. ეს ორ-გვარი შემოსავალი არის ბანკის მოგების უმთავრესი წყაროები და მხოლოდ ისინი გვიჩვენებენ ბანკის ოპერაციების ხასიათს და რაოდენობას.

აქედან ცხადია, რამდენადაც მეტი სესხი აქვს ბანკს გაცემული, იმდენად მეტი შეუვა ეს 1⁰/₀-იანი ყოველწლიური შემოსავალი; მაგალითად, თუ სესხი 100.000 მანეთს შეადგენს, მაშინ წლიური სარგებელი იქნება 1000 მანეთი, ერთი მილიონი სესხი თუა გაცემული—10.000 მანეთი, თუ ორი მილიონი—20.000 მანეთი და სხვ.

ცხადია, ბანკს რომ კარგი შემოსავალი ექნეს, მისი გამგეობა უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება მეტი საიმედო ადგილ-მამული დაიგირაოს, რაც შეიძლება მეტი სესხი გასცეს, რაც შეიძლება მეტი მსესხებელი იშოვნოს.

როცა მსესხებელს უნდა დააგირაოს ბანკში რამე, ცხადია—ბანკებს შორის იმისთანას აირჩიეს, იმას ამჯობინებს,



რომელაც მას უკეთეს პირობებს მიაწოდებს, მაგალითად სადაც სესხის გაცემისათვის არ არის რთული და საძნელო პირობები და სადაც ვადაზე შესატანი გადასახადი ნაკლები იქნება. თუ რომ ეს პირობები ყველა ბანკში ერთნაირია, მაშინ მსესხებელი უპირატესობას იმ ბანკს აძლევს, რომელიც მანძილით მის მამულთან უფრო ახლო იქნება.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რა მიზეზები უნდა იყოს, რომ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლები ამ უკანასკნელ წლებში თავის უახლოეს ბანკში კი არ აგირავენ ადგილ-მამულს, არამედ უმეტეს ნაწილად უშორეს ბანკში — ტფილისისაში. ცხადია, მსესხებლები ერთი მხრით ვერაფრად ერწმუნებიან თავის ბანკის მმართველებს*), და მეორე მხრით ვერ პოულობენ იქ სესხის გატანისა და ვაჭრობის ისე ადვილ პირობებს, როგორც მეორე ბანკში.

მსესხებელთა ლტოლვა ქუთაისის ბანკიდან ტფილისისაში დაიწყო ბ-ნი ჩიკვაიძის, ამ „გენიოსი კაცის“, თითქმის გამეფებისაჲანავე. არა თუ ძველი მსესხებლები გადავიდნენ ტფილისის ბანკში, არამედ ახალმა მსესხებლებმაც გვერდს შეუარეს თავის ბანკს და ტფილისისაში დააგირავეს თავისი მამულები, თუმცა ტფილისის ბანკის გამგეობას ამისთვის არავითარი მეცადინეობა არ გაუწევია.

თუმცა წესდებით ქუთაისის ბანკს ტფილისის გუბერნიისადაც აქვს სესხის გაცემის ნება, მაგრამ ბ-ნი ჩიკვაიძის მართვლობის დროს მისდამი რწმუნებული ბანკის წარმომადგენელი ტფილისის გუბერნიისაში ვერც კი გამოჩენილან, და ამავე დროს ტფილისის ბანკს ქუთაისის გუბერნიისაში სესხის გაცემაში უსაზღვრო წარმატება გამოუჩენია. მართა ეს გარემოება კმარა ბ-ნი ჩიკვაიძის მმართველობის დასამცირებლად და გასაფასებლად. ნუ თუ მართლა განსაცვიფრებელი არ არის ის გარემოება, რომ ტფილისის ბანკს (როგორც ვეჩვენებს „ხანგრძ-

*) რევიზორის სხვათა შორის, ამ გარემოებაშიც ხედავს იმის მიზეზს, რომ მამულები ტფილისის ბანკში გადადის (იხ. რევიზორის ანგარიში, გვ. 24).

ლივი კრედიტის სტატისტიკა რუსეთში — «Статистика долгосрочного кредита в России») ქუთაისის გუბერნიაში ქალაქის მამულებში ბევრად მეტი სესხი გაუცია, სანამ თვით ქუთაისის ბანკს, სახელდობრ:

1897 წლის 1 იანვრამდე ქუთაისის გუბერნიაში ქალაქის მამულებში სესხი გაუციათ:

ქუთაისის ბანკს — 1.803 ათასი (ერთი მილიონი რუბლს სამი ათასი) მანათის.

ტფილისის ბანკს — 1.984 ათასი (ერთი მილიონი ცხრაას ოთხმოც და ოთხი ათასი) მანათის.

ასე რომ 1897 წლის იანვრამდე ტფილისის ბანკს ქუთაისის გუბერნიაში ას ოთხმოც და ერთი ათასი (181.000) მანეთით მეტი სესხი გაუცია ქალაქის მამულებში ვიდრე თვით ქუთაისის ბანკს!

ყველა მიუდგომელი და კეთილსინილისიერი კაცი უნდა დათანხმდეს, რომ ამაზედ უფრო სასირცხვო საქმე და დამარცხება აღარ შეიძლება! როცა თქვენ თქვენსავე სახლში გცემენ, როცა თქვენ ხელიდან გგლეჯენ თქვენივე გუბერნიის სესხებს, როცა დღითი-დღე გტოვებენ თქვენს გვერდში მყოფი თქვენივე საკუთარი მსესხებლები, — თუ მთლად ბრმა არა ხართ, ან თუ ცოტაოდენი სინილისი გახლავთ, უნდა გატყდეთ, რომ ბანკის მართვა თქვენ არ შეგიძლიათ, რომ თქვენ ვნებას აძლევთ იმ დაწესებულებას, რომლის მართვაც თქვენ ასეთი მკვეხარობითა და ბაქიაობით იკისრეთ...

მართლაც, თუ გნებავთ ქეშმარიტად დააფასოთ ბ-ნი ჩიკვაიძის მოქმედება ქალაქის მამულების ოპერაციების შესახებ, საკმაოა გადაავლოთ თვალი შემდეგ გარემოებას:

1890 წელში, ესე იგი ბ-ნი ჩიკვაიძის მმართველად პირველ არჩევის წელში ქუთაისის ბანკში დაგირავებული იყო ქალაქის მამულები სულ 2.119.700 მანეთის (ორი მილიონის და ას ცხრამეტი ათასი მანათის); ბ-ნი ჩიკვაიძის ცხრა წლის „ენერგიულ მოქმედებას“ შემდეგ კი, ესე იგი 1899 წლის 1 იანვრისათვის ქალაქის მამულების სესხი დარჩა სულ 1.554.823



მანათის (ერთი მილიონის და ხუთას ორმოც და თოთხმეტი ათას რუას ოც და სამი მანათის); ასე რომ, გაზრდისა და გაძლიერების მაგიერ, ბ-ნმა ჩიკვაიძემ ქალაქის მამულების სესხი 564.877 (ხუთას სამოც და ოთხი ათას სამოც და ჩვიდმეტი) მანათით შეამცირა!

ახლა გთხოვთ შეიხედოთ ტფილისის ბანკში და გაიგოთ, თუ როგორ იზრდება ამ მხრით მისი ოპერაციები ქუთაისის გუბერნიაში, ამავე ხანებში; თქვენ უთუოდ განცვიფრდებით მისი წარმატებით.—აი რამდენი სესხი გაუცია ტფილისის ბანკს ქალაქის მამულებში ქუთაისის გუბერნიაში:

1891	წელში	—	92,600 მ.
1892	—	—	418,800 მ.
1893	—	—	509,800 მ.
1894	—	—	631,200 მ.
1895	—	—	326,700 მ.
1896	—	—	182,100 მ.
1897	—	—	244,100 მ.
1898	—	—	138,600 მ.

სულ 2.543,900 მანათი.

სადაც სამართალია, ყველა ეს გირაო ქუთაისის ბანკს უნდა მიეღო; მაგრამ ისინი ჩვენს ბანკს დაუკარგა მისი გამგეობის დაუდევრობამ და ამისმა საფინანსო ორგანიზაციის უქონლობამ.

შეიძლება ბ-ნმა ჩიკვაიძემ ზემორე ახსნილი სამწუხარო გარემოება თავისებურად ახსნას, გადააბრალოს მაგალითად, დამფასებლებს და სთქვას, რომ ისინი ჩემთან პირადი მტრობით განგებ ძვირად აფასებდნენ მამულებს და ამით აშინებდნენ მსესხებლებსო, ან იმით ახსნას, რომ ქუთაისის ბანკს მხოლოდ 500.000 მანეთის სესხის გაცემის ნება აქვსო და სხვ.

ამისთანა ქორებით მხოლოდ იმათი მოტყუება შეიძლება, ვინც ბანკის საქმე არ იცის, და იმათთვის კი, ვინც იციან, დღესავით ცხადია, თუ რა არის ქუთაისის ბანკის დამარცხებისა და ტფილისის ბანკის წარმატების მიზეზი თვით ქუთაისის გუბერნიაში: ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ტფილისის ბანკმა

დროზე იშოვნა ქალაქის მამულებში 36 წლითა და 4 თვით*) სესხის გაცემის უფლება, სახელდობრ 1890 წელს, და ქუთაისის ბანკმა კი, ბ-ნი ჩიკვაიძის მიერ საქმის გაუფებრობისა გამო, სრულიადაც არ იზრუნა ამასზე, თუმცა თვით საზოგადო კრებამ 1890 წელში დაავალა გამგეობას—ეშუამდგომლნა ამ კითხვის შესახებ ფინანსთა სამინისტროს წინაშე. ბ-ნი ჩიკვაიძე თავისი საკუთარი საქმეებით იყო გატაცებული და, რასაკვირველია, არ მიუქცევია მას ყურადღება საზოგადო კრების ხსენებული დადგენილობისათვის: სჩანს, კრების დადგენილობას თავის საარჩევანო განზრახვებზე უფრო დაბლა აყენებდა. ამ სახით იმან გაუშვა ხელიდან 1891, 1892 და 1893 წლები. მაშინაც კი, როცა უზომოდ იწყეს ქალაქის მამულების გადატანა ტფილისის ბანკში და როცა ამით შეშინებულმა ბანკის გამგეობამ, როგორც იქმნა, დაადგინა ბ-ნი ჩიკვაიძის პეტერბურგს გაგზავნა,—ამ „ენერგიულ ყმაწვილ კაცს“ კიდევ არ ესმოდა, თუ რა სასწრაფო საქმისთვის გზავნიდნენ მას პეტერბურგს, და დღიურისა და გზის ფულის მიღების შემდეგაც, კიდევ რამდენსამე თვეს არხეინად დაბოლიაობდა ქუთაისის ბულვარში, და როცა პეტერბურგს მივიდა, დაიწყო იქიდან ცრუ დეპეშეების გზავნა, ვითომ 36 წლისა და 4 თვის ვადის ნება უკვე მივიღეო, და ნამდვილად შემდეგ კიდევ დიდმა ხანმა გაიარა იმის მიღებამდე.

და როცა, დასასრულ, როგორც იქმნა მიიღეს ამ 36 წლისა და 4 თვის ვადის სესხის უფლება, აღმოჩნდა, რომ ეს იყო „ურმის გადაბრუნების შემდეგ გზის გამოჩენა“, რადგან ტფი-

*) ამ ვადის სარგებლობა მსესხებლებისათვის იმაში მდგომარეობს, რომ 3⁰/₁₀₀-ის მაგიერ, რომელსაც მსესხებელი უფრო მოკლე ვადებში იხდის, ამ ვადაში იხდის ხოლმე 1⁰/₁₀₀-ს. მაგალითად 18 წლიან ვადაში მსესხებლები იხდიან 9⁰/₁₀₀-ს (5⁰/₁₀₀ სარგებელს + 3⁰/₁₀₀ გასაბათილებელს + 1⁰/₁₀₀-ს ბანკის სასარგებლოდ); 37 წლის ვადაში კი იხდიან 7⁰/₁₀₀-ს (5⁰/₁₀₀ სარგებელს + 1⁰/₁₀₀ გასაბათილებელს + 1⁰/₁₀₀-ს ბანკის სასარგებლოდ). აი ეს ორი ⁰/₁₀₀-ით ნაკლები ყოველ წლიური გარდასახადი იყო იმის მიზეზი, რომ ურიცხვი მსესხებელი ქუთაისის ბანკიდან ტფილისისაში გადადიოდა.



ლისის ბანკმა უკვე გამოაცალა ქუთაისის ბანკის დაუღწევარი და უზრუნველ მმართველებს მრავალი საუკეთესო მამული.

ქუთაისის ბანკმა $36\frac{1}{8}$ წლიან სესხის გაცემა იწყო 1896 წლიდან, და მკითხველი ტფილისის ბანკისაგან გაცემული სესხების ზემორე მოყვანილ ნუსხადან აღვილად დაინახავს, რომ სწორედ ამ წლიდანვე იწყო კლება ქუთაისის ბანკიდან ტფილისისაში მამულების გადასვლამ.

ცხადია, ბანკი იკვამიძეს რომ საფინანსო კითხვების გაგება ჰქონოდა, იმას რომ დროზე მიელო $36\frac{1}{8}$ წლიანი ვადის ნება, როგორც დავალებული ჰქონდა მას 1890 წლის საზოგადო კრებისაგან, — მაშინ, თუ ყველა არა, ზემოხსენებული მამულების უმეტესი ნაწილი ქუთაისის ბანკში დაგირავდებოდა, და არა ტფილისისაში; განსაკუთრებით მაშინ, თუ რომ ამასთანავე იმას მოეხდინა $6\frac{0}{0}$ -იან ფურცლების კონვერსია და თავისი ყოველ-წლიური 500 ათას მანეთის კრედიტი მამულების მხოლოდ-ღა გადაგირავებაში არ დაეხარჯა.

ტფილისის ბანკმა ქუთაისის გუბერნიაში გასცა სულ $2\frac{1}{2}$ მილიონ მანეთის სესხი, მაგრამ ერთ წელიწადს კი არა, არამედ 8 წლის განმავლობაში. მაშასადამე ქუთაისის ბანკისათვის საკმაო იყო წელიწადში 318 ათასი მანეთი, რომ არ გაეშვა ხელიდან ქუთაისის მამულები, რომ სხვაგან არ გადაეტანათ ისინი პატრონებს.

ის ხარალი რომ ვიანგარიშოთ, რომელიც ქუთაისის ბანკს მიეცა აქაური მამულების ტფილისის ბანკში გადატანით, დავინახავთ, რომ ქუთაისის ბანკს ამ მამულებიდან სარგებელი ექნებოდა:

1891 წელში	1.840 მან.
1892	—	.	.	.	9.296 „
1893	—	.	.	.	15.304 „
1894	—	.	.	.	22.830 „
1895	—	.	.	.	23.052 „
1896	—	.	.	.	23.427 „
1897	—	.	.	.	26.488 „
1898	—	.	.	.	26.819 „

სულ 149.056 მან.



ამ სახით ბ-ნმა ჩიკვაიძემ ჩვენს ბანკს აზარალა 149 მანათი და ამით დასაჯა მოზარდი თაობა, რომლის განათლებაზეც იხარჯება უმთავრესად ბანკის წმინდა მოგება, დასაჯა მთელი საზოგადოება, რომელსაც ეს ფული მრავალს აუცილებელ საქიროებას გაუსტუმრებდა.

ნუ თუ იმისთანა ფულით ღარიბი და ნივთიერად უსაშუალო საზოგადოება, როგორც ჩვენია, აპატიებს თავის უნებლიეთს გინდა ნებსით რწმუნებულს ასე დიდსა და გაუსწორებელ შეცდომებს! ნუ თუ ბ-ნმა ჩიკვაიძემ დაიმსახურა ბანკში თუ საზოგადოებაში თავის მოქმედებითა და მოღვაწეობით, რომ ეპატოს ამისთანა დიდი ცოდვები?!..

თუ რომ გადაათვალიერებთ ბ-ნი რევიზორის ანგარიშში იმ ადგილს, სადაც ის ბანკში დარჩენილ მამულებს ეხება, იპოვნით მთელს გამამტყუნებელ ოქმს, რომლისაგანაც ბ-ნ ჩიკვაიძეს არასგზით არ შეუძლია თავის გამართლება. ეს კითხვა ჩვენი ბანკის ანგარიშებში ყოველთვის ბურუსითა და წყვლიადით არის მოცული, და იმედი გვაქვს, წარმომადგენელთა მომავალი კრება ნათელს მოჰფენს მას.

ყველა ზემორე ნათქვამიდან მკითხველი ხედავს, რომ ბ-ნმა ჩიკვაიძემ ოარი უმთავრესი ზარალი მიაყენა ჩვენს ბანკს: ერთი მხრით—ბანკის მსესხებლებს აზარალა 122 ათასი მანათი, რომელიც იმათ ზედმეტად გადაიხადეს 6%-იან გირაოს ფუტკლებზე, და მეორე მხრით—თვით ბანკის მოგება შეამცირეს 149 ათასი მანათით.

ამ სახით, ბ-ნი ჩიკვაიძის ბანკის მმართველად არჩევა, ესე იგი იმისთანა თანამდებობაზე არჩევა, რომლისთვისაც ბ-ნ კ. ჩიკვაიძეს არც შესაფერი ხასიათი ჰქონია, არც ცოდნა და არც შრომისმოყვარეობა,—ერთობ ძვირად დაუჯდა ჩვენს საზოგადოებას, რომელიც მოიხიბლა ბ-ნი ჩიკვაიძის ხალისიანი ქცევით და კერძო ცხოვრებაში ცოცხალი ხასიათით,—ეს კაცი დაუჯდა მას 271 ათას მანათად!

ყველანი უნდა დავვეთანხმონ, რომ ამ სიდიდე ფასი ბ-ნი კ. ჩიკვაიძისათვის, თუნდაც ის ძალიან პურმარლის კაციც



იყოს და კერძო ცხოვრებაში საყვარელი ხასიათის მექონი, ერთობ გაზვიადებული და გადამეტებულია.

მეორე მხრით, ბ-ნ კალისტრატე ჩიკვაიძის ამომრჩევლებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ იმ თავაზიანობისა და მეგობრობისათვის, რომელიც შესაძლებელია ბ-ნ კ. ჩიკვაიძეს პირადად მათთვის აღმოუჩენია, არავითარი ზნეობრივი ნება არა აქვთ—საზოგადოების თანხით გადაუხადონ მაგიერი და დასაჯონ მთელი თავისი მხარე იმისთანა კაცის არჩევით, რომელსაც მთელი თავისი ცხრა წლის მმართველობის განმავლობაში საზოგადოებისათვის ვნების მეტი არავითარი სარგებლობა არ მოუტანია.

ბანკის წევრობა



პუშკინის ასის წლის იუბილეი

„И помнить меня всякъ сушій въ ней языкъ“.

ა. პუშკინი

გამართლდა დიდებულის პოეტის აზრი, გამოთქმული ერთს მისს ლექსში, რომ მისი დიდება მოეფინება მთელს რუსეთს და მის სახელს ადიდებენ რუსეთის ყველა მცხოვრებნი, ტომის და ენის განურჩევლად! დიდებული ძეგლი აღიგო პოეტმა თავის ნაწერებით, და არ დაივიწყებს მას არავინ მთელ რუსეთში, ვისაც კი სიყრმიდანვე ესმოდა მისის მშვენიერის მუზის ზმა, მისი გამაჰატიოსნებელი და თავისუფლების მოყვარულის სიმების ჟღერა. 26 ამ თვეს სრულდება ასი წელიწადი, რაც რუსეთს ბედნიერება ეწვია,—დაიბადა პოეტი, უკეთ ვთქვათ, დაიბადა თვით რუსული პოეზია, რადგან მანამდის რუსული პოეზია თითქმის არც კი არსებობდა: არსებოდა მხოლოდ სხვადა-სხვა სამზღვარ გარეთის მწერლების ნაწერების და მიმართულების მიბაძვა; არსებობდა სრულებით უცხო რუსეთისათვის. პსევდო-კლასიციზმი; მერე ერთხანს მრავალ ცრემლიანი სენტიმენტალიზმი და ბოლოს ფერ-მკრთალი და თვით ავტორებისთვისაც კი გამოურკვეველი რომანტიზმი. ყოველივე ესე იყო მხოლოდ ლიტერატურის სხვა-და-სხვა მიმართულება, რომელსაც ნამდვილ პოეზიის არავითარი მგზავსება არა ჰქონდა, და სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. მხოლოდ პუშკინიდან იწყება ახალი და მრავალ-მედეგიანი ხანა რუსულ ლიტერატურისა და პოეზიისა. გენიოსმა პოეტმა ჩაჰბერა ახალი სული რუსულ ლიტერატურას და მოახდინა ისეთივე ძირითადი რეფორმა რუსულ ლიტერატურის ისტორიაში, როგორიც მისმა საყვა-

რელმა გმირმა—პეტრე დიდმა რუსეთის პოლიტიკისა და კულტურის ისტორიაში.

პუშკინმა თავის ნიქის საკვირველის ძალით გაუკვალა რუსეთის პოეზიას სრულებით ახალი და თავისებური გზა, გააცნო სამშობლო ცხოვრება თავის ავითა და კარგით და უჩვენა იქ მჩქეფი დაუშრეტელი წყარო პოეტურ აღფრთოვანებისა. თუ ზემორე დასახელებული ლიტერატურული მიმართულებანი სუსტს და უფერულს, უცხო ქვეყნის მცენარეს მოგვაგონებს, რომელიც ვერ სძლებს ახალ-ნიადაგზე და ნელ-ნელა ჰქვენება და ჰხმება, პუშკინის პოეზია მშვენიერ ვარდის ბუჩქსავით აღმოცენდა, გაიშალა სამშობლო ნიადაგზე და მრავალი ახალი ნერგიც გამოიღო, რომელთაგან თითოს საკუთარი დიდებული სახელი ჰქვიან: ლერმონტოვი, კოლცოვი, გოგოლი, ტურგენევი, გონჩაროვი, ტოლსტოი და სხვ. ყველა ეს დიდებულნი მუშაკნი რუსეთის ლიტერატურისა ან პირდაპირ პუშკინის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, ან და მის ნაწერებში გამოხატულ იდეალებით იზრდებოდნენ. მაგალითად, გენიოსის გოგოლის საუკეთესო ნაწარმოების Мертвые души-ს დედა აზრი და თითქმის ფორმაც სრულებით პუშკინის მიერ არის ჩაგონებული.

ცნობილია, რომ ლერმონტოვმა პუშკინის მიბაძვით დაიწყო თავისი ბრწყინვალე მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზედ. ნეკრასოვის მუხაც გაიზარდა პუშკინის გავლენის ქვეშ: მისგან შეითვისა მან სიყვარული უბრალო ხალხის მიმართ და მისგან მიიღო სერიოზული შეხედულობა პოეზიაზედ, რომელიც საზოგადოების საუკეთესო აზრებს და გრძნობას უნდა ჰხატავდეს.

რუსული მოთხრობა და ნამეტნავად რომანი იმავე პუშკინის წყალობით გაჩნდა. მისი „ონეგინი“ იყო პირველი ნამდვილი ორიგინალური რომანი. ლერმონტოვის პეჩორინი, ვერა, მერი, ტურგენევის რუდინი, ბაზაროვი, ელენე, ნატაშა, გონჩაროვის ობლომოვი, აღუევი, რაისკი, ვერა და სხვ. ტოლსტოის ნებლუდოვი, ნატაშა, ანნა კარენინი—ყველა ესენი არიან

ონგინისა და ტატიანას ტიპების შთამომავალნი. გრიგოროვიჩის ნაწერებშიაც, რომელნიც სოფლის ცხოვრებას ეხებიან, პუშკინისაგან პირველად გამოთქმული აზრებია განვითარებული.

მრავალ სხვა მაგალითებს მოვიყვანდით იმისას, თუ რა დიდი დამოკიდებულება აქვს პუშკინს ამ საუკუნის ლიტერატურასთან, მაგრამ დრო და ამ წერილის სივრცე არ გვაძლევს მაგის ნებას.

პუშკინი დაიბადა მოსკოვში 1799 წ. 26 მაისს. შვიდ წლამდე ბავშვი ძალიან წყნარისა და ჩუმის ხასიათის იყო, მშინშარა და თითქო უნიქო; ამასთან ძალიან უშნო სახისა; სახით ისა ჰგავდა თავის ბაბუას დედის მხრით პეტრე დიდის იბრაგიმ განნიბალის შვილსა. მშობლებს არ უყვარდათ და კიდევ ეჯავრებოდათ თითქმის პუშკინი და ამ გვარად ბავშვობაში მოკლებული იყო დედის ალერსს; მისი მანუგეშებელნი და მოალერსენი იყვნენ ბებია და ვაღია ირინე, რომელთაც ბავშვი ძლიერ უყვარდათ; ორიენი ხშირად ართობდნენ ბავშვს ძველის დროის ამბებით, ზღაპრებითა და ანდაზებით. ნამეტნავად ვაღიას უმაღლის პუშკინი თავის გონების განვითარებას ამ მხრივ და სიყვარულს რუსეთის წარსულ და თანამედროვე ცხოვრების მიმართ.

ბავშვი რომ მერვე წელიწადში გადადგა, მის ხასიათს შესანიშნავი ცვლილება დაეტყო: საშინლად გაცეკქდა და გაემშაკდა; მის ეშმაკობას სამზღვარი არა ჰქონდა. ბავშვისათვის მიიწვიეს მასწავლებლები, ჩვეულებისამებრ, უცხოელები, გარდა საღმრთო რჯულის მასწავლებლისა. რუსულსაც კი გერმანელი ასწავლიდა. უპირატესობა მასწავლებლებშიაც და სწავლაშიაც ფრანგებსა და ფრანგულს ენას ჰქონდა, რის გამოც პირველი ცდა პუშკინისა ლიტერატურულ ასპარეზზედ ფრანგულ ენაზე იქმნა დაწერილი.

საზოგადოდ, სწავლაში პუშკინი დიდი ზარმაცი იყო, ნამეტნავად გერმანული ენა და ანგარიში ეძნელებოდა და კიდევ სძულდა. სამაგიეროდ ფრანგული ენა ზედმიწევნით იცოდა, აგრედევ იტალიური და ბოლოს შეისწავლა კარგად



ინგლისურისა. 9 წლის პუშკინს საშინლად შეუყვარდა კითხვა და მთელ დღეს თავის მამის ბიბლიოთეკაში ატარებდა; გადიკითხა პლუტარხი, ჰომეროსი და ენციკლოპედისტების ნაწერები. ამას გარდა იმათ სახლში იკრიბებოდა საუკეთესო განათლებული საზოგადოება, და ბავშვებს ნება ჰქონდათ—თავისუფლად დასწრებოდნენ ამ კრებებს, ისე რომ ბავშვის გონება ძალიან ადრე გაიხსნა და განვითარდა. ნიჟიერმა ყმაწვილმა თორმეტი წლისამვე იწყო ლექსების წერა, ჯერ-ჯერობით ფრანგულ ენაზე. ამასთან ყმაწვილის ხასიათს უფრო-და-უფრო მეტი გაბედულება და თავ-შეუკაეებლობა ეტყობოდა; მშობლები და მასწავლებლები ისე შეწუხებულები იყვნენ იმის ეშმაკობით, რომ ბოლოს გადასწყვიტეს სახლიდან მოეშორებინათ საშიშარი ყმაწვილი და მისცეს ახლად გახსნილ ცარსკოსელსკის ლიცეიში. 12 აგვისტოს 1811 წ. პუშკინმა დაიჭირა ეგზამენი და 19 იმავე თვეს დაიწყო ლექციები.

ლიცეიშიაც ყმაწვილებს საზოგადოდ დიდი ყურადღება არ ჰქონდათ მიქცეული,—ხასიათის განვითარებას და განმტკიცებას არავინ სთვლიდა საჭიროდ; ამიტომ ლიცეისტებიც თავს არ იწუხებდნენ სწავლით, და დროს უფრო ქალების არმყოფობას ანდომებდნენ. პუშკინი, რომელსაც აფრიკის აღგზნებული ტემპერამენტიც ხელს უწყობდა, თავ-დავიწყებით ეძლეოდა ყოველ-გვარს უწყეს-რიგობას; თუმცა საოცარია ისიც, რომ პუშკინი შოულობდა მაინც დროს წიგნების კითხვისას. ლიცეის ბიბლიოთეკა იყო მისი საყვარელი ადგილი, სადაც დღე და ღამ კითხულობდა რუსულს და ფრანგულ წიგნებს. ამას გარდა თავის მომხიბლავ, გიჟურ ხასიათის გამო პუშკინი შეიქმნა სული და გული საამხანაგო წრისა, რომელსაც, ეშმაკობისა და გიჟობის გარდა, სხვა დიდი აზრიც ჰქონდა; ეს წრე აწარმოებდა ხელნაწერ ჟურნალს. ამ წრეში ერთგვარი ლიტერატურული თამაშობა იყო შემოღებული: ერთი წევრთაგანი იწყებდა რამე მოთხრობას, მეორეს უნდა განეგრძო, მერე მესამეს და ასე გათავებამდე; ამ გვარად ავარჯიშებდნენ გონებას და ფანტაზიას ლიცეისტები, და ამ თამაშობაში პუ-

შკინმა პირველად უამბო ამხანაგებს თავისი ორი მოთხრობა: „Метель“ და „Выстрѣлъ“. რასაკვირველია, მერე ბევრად შეასწორა ეს მოთხრობები, მაგრამ უმთავრესი ხასიათები და სიუჟეტი მაშინ იყო აღნაქესული. სახუმრო სალიტერატურო ვარჯიშობამ ის ნაყოფი მოიტანა, რომ ამ წრიდან გამოვიდა ორი პოეტი: დელვიგი და პუშკინი. ამ უკანასკნელმა დაიწყო თავისი ლიცეის ლექსები ჯერ საყვარელ პოეტების მიბაძვით. ფორმის მხრით ჟუკოვსკისა და ბატიუშკოვს—რომანტიკოს-პოეტებს ჰბაძავდა, და შინაარსის მხრით კი საფრანგეთის და იტალიის პოეტებს—შენიეს, ფარნის და სხვ. გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამით აიღსნება სიყვარულის და საზოგადოდ გრძნობის უპირატესობა მის ლიცეის ლექსებში; ეს ლექსები, საესე სიცოცხლით და სიხარულით, შეადგენდა უცნაურს მოვლენას იმ დროს რომანტიულ-მგლანქოლიურ ნაწერთა შორის. 1815 წ. ლიცეიში ეგზამენებზე დასასწრებლად იყო მიწვეული დიდ-კაცობა, და იმათ შორის მოხუცებული ცნობილი პოეტი—ოდების მწერალი დერჟავინი. როცა პუშკინმა წაიკითხა თავისი ლექსი: „Воспоминанія въ Царскомъ Селѣ“, დერჟავინი ისეთს აღტაცებაში მოვიდა, რომ უნდა მოჰხვეოდა ყმაწვილ კაცს, მაგრამ პოეტი სადღაც დაიმალა. იმავე წელს პუშკინი დაუახლოვდა ჟუკოვსკის, და ეს მაშინ ცნობილი და ხელმწიფის კართან ძლიერ დაახლოვებული 32 წლის პოეტი მიდიოდა 16 წლის ყმაწვილთან და იმას უკითხავდა თავის ნაწერებს.

ჟუკოვსკიმ და შესანიშნავმა ისტორიკოსმა ყარამზინმა დიდი ყურადღება მიაქციეს ახალგაზდა პოეტს: უფლიდნენ და უფრთხილდებოდნენ მის ნიქსა. ლიცეიში პუშკინმა დასწერა 120 ლექსი, მაგრამ დაჰბეჭდა მათგან მხოლოდ 23. აქვე მან დაიწყო თავისი პირველი პოემა „Русланъ и Людмила“. 1817 წელს პუშკინმა ძლიერ სუსტად დაიჭირა უკანასკნელი ეგზამენი.

ლიცეის შემდეგ პუშკინს სხვა-და-სხვა მიზეზებით გაუცრუვდა სურვილი სამხედრო სამსახურში შესვლისა, და ამიტომ შევიდა სამსახურად გარეშე საქმეთა სამინისტროს უწყებაში.

პეტერბურგში პუშკინი მაშინადვე დიდის პატივისცემით მიღებულ იქმნა ლიტერატურულ საზოგადოებათა მიერ; ამასთან ის იყო მიღებული დიდ-კაცობაშიაც.

სამი წელიწადი პოეტმა გაატარა საშინელ უწყეს-რიგო ცხოვრებაში; ამ სამ წელიწადში პუშკინი სამჯერ გახდა ავად ამ უწყსრიგო ცხოვრების გამო, მაგრამ თავის ლიტერატურულ შრომას მაინც არა სტოვებდა: პირიქით, დიდის ყურადღებითა და მოთმინებით ასწორებდა ყოველს ლექსს თავის პოემისას, რომელიც დაიბეჭდა 1820 წ. დაბეჭდისათანავე მისმა ავტორმა მიიქცია დიდი ყურადღება მკითხველებისა და გამოიწვია დიდი კამათი რომანტიზმისა და კლასიციზმის მიმდევართა შორის. აქედან დაწყებული პუშკინის მუშა გარკვეულ გზას აღგება: სამშობლოს წარსულისა და თანამედროვე ცხოვრების, ხასიათებისა და ჩვეულებათა გამოხატვას საოცარის უბრალო ენით, ადვილ გასაგებით, როგორც განათლებულ, ისე უბრალო ხალხისათვის.

ამ სამ წელიწადს პუშკინი, გარდა დიდ-კაცობისა, კიდევ ახალგაზრდა განათლებულ საზოგადოებაშიაც იყო მიღებული, და იქ თუმცა სხვა-და-სხვა პოლიტიკურ საზოგადოებაში პირდაპირ მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ იმ დროს საუკეთესო პოლიტიკურ მიმართულების წრის წარმომადგენლებთან, როგორც ჩადაევი, რილევნი და სხვ. ჰქონდა დიდი მეგობრობა; იმათ გავლენით პუშკინმა შეითვისა პოლიტიკური იდეები და მიმართულება. 1820 წ. იყო დაპატიმრებული თავის პოლიტიკურის ხასიათის ეპიგრამების გამო.

ლიციის დირექტორის და ყარაშინის თხოვნამ გადაარჩინა პუშკინი უფრო სასტიკს სასჯელს, და პოეტი იყო მხოლოდ გადაყვანილი სამხრეთ რუსეთში.

1820—1824 წწ. პუშკინმა გაატარა სამხრეთ რუსეთში: ბესარაბიასა და ოდესაში, ღ ამ ხნის განმავლობაში პუშკინი ჩვენს ქვეყანაშიაც ჩამოვიდა და რამდენიმე ლექსი მის ქებას შესწირა. სამხრეთ რუსეთშივე მან კარგად გაიცნო ბაირონის ნაწე-

რები. მის იმ დროინდელ ნაწერებს ცხადად ეტყობა ბაირონის გავლენა; ნამეტურად ხასიათების დახატვასა, ტრადიციის უარყოფასა და სრულ პირად თავისუფლების ქადაგებაში. აქ მან დასწერა: „Цыганы“, „Кавказский пленник“, „Бахчисарайский фонтань“. მაგრამ პუშკინი აქაც ვერ შეეწყა მმართველობას, და 1827 წ. სამსახურიდან იქმნა დათხოვნილი და გაგზავნილი თავის სოფელში.

ორი წელიწადი გაატარა პუშკინმა სოფელ მიხაილოვსკოეში, სადაც მის მარტოობას იზიარებდა მხოლოდ მისი მოხუცებული ვაღა ირინა როდიონის ასული. ამას უკითხავდა დიდებული პოეტი თავის ნაწერებს, იმასთან ბაასს ანდომებდა მთელს საღამოებს, და იმისაგან სწავლობდა ხალხურს ზღაპრებს და ანდაზებს. მიხაილოვსკოეშივე გაიცნო პუშკინმა შექსპირის ნაწერები და ბაირონის მიმართულებას ფხიზელის თვალით შეჰხედა.

შექსპირის ნაწერებმა დიდად იმოქმედა პუშკინის პოეზიაზე, და მისი დრამა „Ворисъ Годуновъ“-ი და რომანი „Евгеній Онѣгинъ“-ი ამ ახალის მიმართულების ნიმუშებია: იმათში აწერილია ნამდვილ ცხოვრებიდან ამოღებული ხასიათები და რუსეთის საზოგადოების ცხოვრება მთლად, ნამეტურ რომანში.

1826 წ. ახალმა ხელმწიფემ ნიკოლოზ I დაიბარა პოეტი სოფლიდან, მოელაპარაკა და დაჰპირდა, რომ შენს ნაწერებს თვითონ მე გავსინჯავ ხოლმე და ნებას დავრთავ დასაბეჭდადო.

პუშკინს ძლიერ გაეხარდა ეს ამბავი, მაგრამ მისი სიხარული ხანგრძლივი არ იყო: თუ აქამდინ დიდის სიძნელით იბეჭდებოდა თვითეული მისი ნაწერი, ახლა უფრო გაუძნელეს საცოდავს პოეტს სიცოცხლე.

ერთის ლექსის „ანდრე შენიეს“ თაობაზე დიდი დავიდარაბა აუტეხეს პუშკინს, და ეს დავიდარაბა ბოლოს იმითი გადაწყდა, რომ პოეტი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მისცეს.



ყოველივე ეს, რასაკვირველია, დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა პოეტზე და უმწარებდა სიცოცხლეს. ამას დაერთო ერთი გარემოებაც.

პუშკინმა 1831 წ. შეერთო შესანიშნავი ლამაზი ქალი ნატალია გონჩაროვის ასული. იმ წელიწადსვე პუშკინი ხელახლავ იყო მიღებული სამსახურში, და პეტერბურგს დაბინავდა. ხელმწიფემ კამერ-იუნკრობაც უბოძა. პუშკინი განაგრძობდა თავის ნაყოფიერ შრომას: დასწერა „Капитанская дочка“ და მრავალი ლექსი, მოათავა მოთხრობა „ონეგინი“; მაგრამ ამასთან ემატებოდნენ მტრები დიდ-კაცობაში და ჟურნალისტიკაში. იმ დროს უმთავრესი ორგანო „Сѣв. Пчела“-ს რედაქტორი ბულგარინი დაუძინებელი მტერი იყო პუშკინისა და თან ჟანდარმების დიდი მეგობარი. ამ ჟურნალმა დიდი ბრძოლა გამოუცხადა პუშკინს და თან დანოსების გზასაც დაადგა.

პუშკინის კერძო წერილებსაც კი ხსნიდნენ და მესამე განყოფილებაში არდგენდნენ. ამასთან პეტერბურგის საზოგადოებამაც თითქოს პირობა შეჰკრა ბულგარინთან და ანონიმ ლიტერატურას მიჰმართა: პუშკინს დასცინოდნენ, მის მშვენიერს ცოლს ცილსა სწამებდნენ, და ბოლოს იქამდინ მიაღწიეს, რომ პუშკინი იძულებული გახდა ერთის ამისთანა წერილის შემდეგ დაწიის ელჩის შვილი კავალერგადი დანტესი დუელში გამოეთხოვა. დუელი მოჰხდა 1837 წ. პეტერბურგის მახლობლად. ამ დუელში პუშკინი იყო სასიკვდილოდ დაჭრილი და ორის დღის შემდეგ დაღია სული ტანჯულმა და მუდამ დევნილმა რუსეთის დიდებულმა პოეტმა.

ასე გაათავა თავისი ხან-მოკლე სიცოცხლე რუსეთის დიდებულმა პოეტმა და დაუტოვა თავის სამშობლო ქვეყანას მდიდარი მემკვიდრეობა.

დაუტოვა მან თავდაპირველად მშვენიერი ენა, მდიდარი ფორმა, ლამაზი და სუმბუქი ლექსი. პუშკინის ენა სამაგალითო ენა არის, მისი ლექსი და ფრაზა სიცოცხლით სავსეა და დიდ ხანს კიდევ იქნება გემოვნების საუკეთესო მასწავლებელი და აღმზრდელი.

პუშკინმა თავის მოთხრობებში, პოემებსა, დრამებსა და ლექსებში მშვენივრად დაჰხატა რუსულ ისტორიის სხვა-და-სხვა ეპიზოდი; მან პირველმა სავსებით შექმნა პეტრე დიდის დიადი სურათი თავის პოემებსა და წერილ ლექსებში; მანვე დაჰხატა ბატონ-ყმობის დროის რუსეთი, მისი მაღალი საზოგადოება და უბრალო ხალხის მდგომარეობა. მისი მშვენიერი აღწერა ბუნებისა ეხლაც სამაგალითოდ ითვლება რუსულ ლიტერატურაში. ამას გარდა პატარა ლექსებსა და ელეგიებში მან გამოჰხატა მთელი გამმა ლირიულ გრძობათა და ამით შეედარა ევროპიელ საუკეთესო ლირიკოსებს. ძალიან შემცდარია, თუმცა ფრიად გავრცელებულია, ის აზრი, რომ პუშკინი პოეზიას ისე უყურებდა, როგორც წმინდა ხელოვნებასაო და აწმორებდა მას ცხოვრებას და მის საქირ-ბოროტო საგნებსაო.

პუშკინი მთელის თავისის ნაწერებით ემსახურებოდა საზოგადოებას და მის კარგს გრძობებს აღვიძებდა. ის კეთილშობილურ იდეებს უნერგავს მკითხველს, უღვიძებს რწმენას, სათნოებას, მეგობრობის პატივის-ცემას, სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარულს. მისი ცხოვრება თითონ აძლევს პასუხს მის ცილის მწამებლებს, ვითომ ის დამოუკიდებელ აზრების მალვიარებელი არ ყოფილა. მუდმივი დევნა ყოველ თავისუფალ აზრის და გრძობის გულისათვის სამყოფი საბუთია იმისი, რომ პუშკინი თავისუფალ აზრის ფანატისი იყო. კიდევ ერთი დეაწლი მიუძღვის პუშკინს რუსულ ლიტერატურისა და საზოგადოების წინაშე: პუშკინმა პირველმა დააყენა მაღლა ლიტერატორის ღირსება რუსეთში; მანამდი ლიტერატურა და ლიტერატორი მორალურ დამოკიდებულებაში იყო ყოველთვის მმართველობასთან, თითქმის მის სამსახურში იმყოფებოდა.

პუშკინის შემდეგ კი ლიტერატორი დიდს, სრულებით დამოუკიდებელს ძალას შეადგენს და მის ხმას დიდი გავლენა აქვს რუსეთში. დიდი და ღრმა კვალი დასტოვა ამ გენიოსმა რუსულ ლიტერატურაში, რუსეთის ცხოვრებას ყოველს მხარეს მიაქცია მან ყურადღება; არც ერთი წოდება არ დარჩა უყურადღებოდ დატოვებული, და არც ერთს რუსს არ დაა-

ვიწყდება მისი ღვაწლი საშობლო ქვეყნის წინაშე. ჩვენც შევუერთდეთ მათ ამ პატივისცემის გამოხატვაში, რადგან, როგორც ერთმა მწერალმა სთქვა, გენიოსი ერთს ხალხს კი არ ეკუთვნის, ის ყველა ხალხისააო. ჩენი მხარეც მოემზადა მის პატივსაცემად და 26 მაისს შეამკო მისი ძეგლი იმ ქვეყნის ვარდებით, რომლის ბუნების სიმშვენიერე გამოჰხატა მან თავის ნაწერებში და რომლის ძეთა თავისუფლების სიყვარულს შეასხა მან ქება-დიდება.

ნინო ზურაბიშვილი



შეცდომის გასწორება

მე-IV №-ში, სტატიაში „ძველი და ახალი სკოლა“

დაბეჭდილია:

უნდა იყოს:

გვ. 38, სტრ. 10 ზემ. დადინჯებული

დვენტომენი

გვ. 42, სტ. 8 ზემ. ნაციონალური

რაციონალური

განცხადება

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების
და კ. თეარტქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

გლეხი - კაცის ისტორია, კრკმან - შატრანისა:

ნაწილი I	საერთო კრება	60 კ
	იგივე კარგ ქალაღლზე	75 "
ნაწილი II	სამშობღოს განსაცდელი	60 "
	იგივე კარგ ქალაღლზე	75 "
ნაწილი III	წელიწადი ზირგელი რესზუბღიგისა	} . 1 მ. 20 "
ღ ნაწილი IV	მამულიშვიღი ბონაზარტი	
	იგივე კარგ ქალაღლზე	1 მ. 50 "
ბტკუაღები, დრაზა 3 მოკმ. პოღ-ერვიესი		30 "
ფღითი, ტრაგელია 5 მოკმ. ჯიაკომეტისა		30 "

ზირგელი ნაწიღი ცაღკე ზღარ იყიდება



ისტორიული ნარკვევი

ა ნ უ

ჰრისტოპატია საჭართველოს ისტორიისათვის

შედგენილი

ალექსანდრე ჭეონასაგან

ძაწონებულია კაგკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან
საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის საზოგადოების ძაღაზიაში

ახალი ქართული წიგნი

სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებული ანუ ქრისტომატია

წიგნი შედგენილია

ალაკერდის ეპისკოპოსის კარიონისა და გრ. ეიფუშაძის-მიერ

ფასი 1 მანეთი

ვინც ათს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 80 კაპ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფას-დადებით შეუძლიანთ დაი-
ბარონ ამ აღრესით: Тифлись. Книжный магазинъ Общества
грамотности.